K 8736/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ანალი (Q) კრებიდისა

ტომი II

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1950

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

НОВОЙ (Q) КОЛЛЕКЦИИ

ТОМ II

Составили и подготовили к печати

Т. М. БРЕГАДЗЕ, Т. П. ЕНУКИДЗЕ, Н. Э. КАСРАДЗЕ, Е. П. МЕТРЕВЕЛИ, Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ и Хр. Г. ШАРАШИДЗЕ

Под редакцией И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ — 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ახალი (Q) კოლექციისა

ტომი II

Q.436
K 4

შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული
თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ჟუთათელაძისა
და ძრ. შარაშიძის მიერ

ილ. აბულაძის რედაქციით

სპეც-2000
შემოწმებულია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციის აღწერილობის წინამდებარე ტომი შეიცავს 500 ხელნაწერის აღწერილობას (501-დან 1000-მდე). იგი გამოსაცემად მოამზადა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ, რომლის ბაზაზე მომდინარე წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ხელნაწერთა ახალი კოლექცია, რომელიც 1929 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ხელნაწერთა განყოფილების ჩამოყალიბების დროიდან, ითვლის თავის არსებობას, აქამდის მკვლევართათვის მხოლოდ პირველადი საინვენტარო დაეთრების მარტივი ჩანაწერებით იყო ცნობილი. ამ კოლექციის აღწერილობათა პირველი და მეორე ტომების გამოქვეყნებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ უფრო სრული წარმოდგენა შეიქმნან ამ კოლექციის ძირითად ნაწილზე.

დღემდე გამოქვეყნებულ ხელნაწერთა აღწერილობებისაგან განსხვავებით წინამდებარე ტომის მასალა არ შეიცავს ახალი კოლექციის საინვენტარო დავთრებში გატარებულ იმ ხელნაწერთა აღწერას, რომლებიც თავისი შინაარსით ისტორიული საბუთების კოლექციაში ან სხვადასხვა საარქივო ერთეულებში გადატანას მოითხოვდა. ამან გამოიწვია რიგითს ნომრებს შორის ხარვეზები. ნომრის გამოტოვების ყოველ ცალკე შემთხვევაში მოტანილია ამ ნომრის ქვეშ გატარებული ხელნაწერის სათაური და მითითებულია, თუ რომელ კოლექციაშია იგი გადატანილი. ამიერიდან ხელნაწერების შერჩევისა და აღწერის ესეც პრინციპი დაცული იქნება აღწერილობათა მომდევნო ტომებშიც.

ამას გარდა წინამდებარე ტომში არაა შესული კიდევ ოთხი ნომერი, ესენია: 695, 699 და 928, 930 (უკანასკნელი ორი იმის გამო, რომ ამ ნომრების ქვეშ ნაგულისხმევი ხელნაწერები საინვენტარო დავთარში ორჯერ არის გატარებული; შდრ. №№ 859 და 923). ამ ტომის სხვა დამახასიათებელი მხარე ისიცაა, რომ მასში აწერილია არა მარტო ხელნაწერი წიგნები, არამედ ზოგჯერ ცარიელი ყდები და ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც ყურადღებას იპყრობს თავისი მოჭედილობითა და წარწერებით, ისე როგორც საცავ ფურცლებსა თუ წიგნის კიდეებზე გაკეთებული მინაწერებით. ასეთი ძეგლები მოიპოვება უმთავრესად პრიზიდან 1945 წ. დაბრუნებული კოლექციის იმ ნაწილში, რომელიც ქართულ ხელნაწერთა ახალ (Q) კოლექციაში მოხვდა.

წინამდებარე ტომის აღწერილობა შეადგინეს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების (აწ ინსტიტუტის) მეცნიერმა თანამშრომლებმა.

ხელნაწერები №№ 501 — 650 აღწერა ნ. კასრაძემ, №№ 651 — 715, 965 — 983 — თ. ბრეგაძემ, №№ 716 — 778, 984 — 1000 — ე. მეტრეველმა, №№ 779 — 800, 820 — 872 — თ. ენუქიძემ, №№ 801 — 820 — ლ. ქუთათელაძემ და №№ 873 — 964 — ქრ. შარაშიძემ.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, შესწორების სახით, რომ წინა ტომში აღწერილი მარტვილის კოლექცია (№№ 34—98) მარტვილიდან ჩამოიტანა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა და ვიდრე ეს კოლექცია გადმოეცემოდა სახელმწიფო მუზეუმს, ინახებოდა თბილისის უნივერსიტეტის ქართული ხელოვნების კაბინეტთან არსებულ მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

501

წირვის საკითხავები (კათოლიკური). XIX

113 ფ.; 21,5×16; ქაღალდი; ფუდო; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ჭეირნიშანი: 1832). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[წირვის საკითხავები]. „წირვის დასაწყისნი და ეპისტოლენი დღესასწაულთანი ლათინური კონდაკისაებრ. — პირველს უფლის მოსვლის კვირიაკესა, შენდამი უფალო, აღვიღე სული ჩემი, ღმერთო ჩემო, შენ გესავ. ნუ მრცხვენინ მე. ნუცა მეცინიან მე მტერნი ჩემნი და რამეთუ ყოველნი, როშელთა დაგითმონ შენ, არა ჰრცხვენეს..“ 1 r — 113 v.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა: „... მარტის (19) ცხრამეტსა დღესასწაული წ ა მამა იოსებისა“.

502

„მამაო ჩვენო“ სხვადასხვა ენაზე. XIX

162 ფ.; 17×24,5; ქაღალდი; კალენკორგადაკრული მუყაოს მკვრივი ყდა; დაწერილია სხვადასხვა ენაზე; 1891 წ. (თაეფურცელი). დაწერილია ყველა ფურცლის v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[მამაო ჩვენო]. — „Ramus Hebraicus...“ 1 r — 162 r.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა: 1. ალბომის სახით სხვადასხვა ენაზე წარმოდგენილი ლოცვა-„მამაო ჩვენო“ — მოთავსებულია ყველა ფურცლის r-ზე, მატყვრულად გაფორმებულ ჩარჩოებში.

2. თაეფურცელზე წარწერაა ს. ასლანიშვილისა: ა. „შენიშვნა. როდესაც მამა დ ა მ ი ა ნ ე რომიდგან მოემგზავრებოდა საქართველოსაკენ 1891 წელს, ეს ბეჭედი ს ტ ა მ ბ ო ლ შ ი საცენზორო კომიტეტში დაუსვეს“.

ბ. „ეს კრებული, რომელშიც 116 ენაზე და 151 დიალექტზე დაწერილია „მამაო ჩვენო“ რომის პროპაგანდის კოლეგიაში სხვადასხვა მასიონერებისაგან. ეს კრებული მამა დ ა მ ი ა ნ ე ს ა ა კ ა შ ვ ი ლ მა გადასცა ქართველ კათოლიკეთა დავთარხანას 29. VI. 1913 წ. მამა დამიანე სწავლობდა ამ ზემო აღნიშნულ კოლეგიაში, სადაც, თავის მხრით, ამხანაგებს უწერდა „მამაო ჩვენოს“ ქართულ ენაზე და რუსულზეც.“

503

ხრონოგრაფი. 1774

177 ფ.; 22,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დახიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1774 წ. (177 v); მთარგმნელები — ბაგრატიონს სოლაღაშვილი და არჩილ მეფე (87 r) გადაწერი — იოანე მღვდელმონაზონი, ახალციხელი კათოლიკე (177 v). ადგილი—ქუთაისი (177 v). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„სამღთოთა და სამღვდელოთა მსოფლიოთა მოთხრობითა შემოკლებულად მოთხრობა ხ ო ნ ო ღ რ ა ფ ი ს ა. აღიწერების ბრძანებითა კეთილმსახუ-

რისა საქართველოს (!) — სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩვენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლისა სიბრძნითა მისითა...“ 5 r — 175 v.

შენიშვნა: 1. უძღვის „ხანდუკი წიგნისა ამის სქემთა, რომელსა გარე შეიცავს შემოკლებით მოთხრობა დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობამდე კოსტანტინე პალეოლოგოსისა, უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა“ 1 r — 3 v.

2. ერთვის — ბ. „რასათვის უკუე წყრდების სიმეოლო მრწამსსა“ 176 r; ბ. „ნაწილი დიდისა კოსტანტინესი, რომელი მოლო ძმასა მისსა კოსტანტინოპოლითგან ხოლო ეთარება გამეფდა ძე დიდისა კოსტანტინესი კოსტა, მოიღო ნაწილი მამისა თვისისა ნიკომიდიით ყოველითა სამეფო პატივითა კოსტანტინოპოლს და დამარხა იგი...“ 176 r — v; გ. „გაწყუსებაჲ ბერძენთა მეფეთაჲ, რომელი დასხნა და დაადგინა მანვე დიდმან კოსტანტინე პრწ მეფემან ბერძენთამან“ 176 v — 177 r; დ. „სამღდელოსა განჴგებისათვის, რომელ არს ეკკლესიასა კოსტანტინეპოლისასა, მოქმედება მათი“ 177 r.

ანდერძები 1. გადამწერისა: „ჴ ესე ხონორაფის წიგნი ვიწყე გამოწერად ივლისის თვის დამდეგს და აღვასრულე ოქტომბრის კ 1774, მადლითა ღ[მრთ]ისაჲთა და სადიდებლად მისი ვიწყე და აღვასრულე მე, იოანემ მღდელმონაზონმან კათოლიკემ ახალციხელმან, ქუთაისს შინაგან“ 177 v.

2. დედანია, საიდანაც გადმოწერილია ეს ნუსხა; „ქრისტე, ადიდე და მრავალ-ჟამიერ ყავ მეფე არჩილ“ 69 v.

3. „ამას ზემოთი ესე წიგნი ხონორაფი აღიწერა ბრძანებითა მეფისა არჩილისათა ქალაქსა შინა სამეფოსა მოსკოჲს, სოლაღაშვილმან ბაგრატიონ მთაწმიდელმან ბერძულისა ენისაგან ენასა ზედა ჩვენ ქართველთასა. და ოდეს ბრძოლასა შინა რუსეთის ჯელმწიფისა და შეეთის კორელისასა დაირჩინეს მეფის შვილი ალექსანდრე, ესე ბაგრატიონ მღდელმონახონი წარუგზავნეს სტოკოლონს შვილსა თვისსა ალექსანდრეს ქ[ს] დასაბამიდგან შვიდი ათას ორას ათოთხმეტსა და ვიდრე ამას ქრონიკონსადმდე, რომელ მეფის შვილი ალექსანდრე არის, მუნ გარდსრულიყო ექვსი წელი, და ვინაჲდგან იგი ბაგრატიონ წარუგზავნა, არღარა უდებ იქნა მეფე ესე არჩილ და ამის ქვემორისა თვით იწყო გარდმოთარგმნად და აღწერად რუსთა ენისაგან ჩვენსა ენასა ზედა. მრავალმცა არიან წელნი, ცხოვრებისა მისისანი, ამინ“. 86 v — 87 r.

მინაწერები: 1. „შემოწირული პატრი ივანე ეკსანოვისაგან, ქუთაისი, 27. III. 1929“ 1 საცავი ფ-ის r.

2. „ხოლა ოჰანესი ტერ ოჰანესისა არის“ 177 v.

504

პავლე სენიერი—მარხვის ქადაგებანი. 1834 — 1835

207 ფ.; 34,6×21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული თავკაზმულობანი (თავფურცლის r, 200 r, 207 r). 1834 — 1835 წწ. (194 r). გადამწერი ტერ ანტონ თუმანოვი (200 r). ადგილი—ქუთაისი (200r). დაფუძრებულია: 1 r, 207 v —211 r. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[მარხვის ქადაგებანი]. „პ[ა]ლი ქადაგება დღესა ოთხშაბათსა ნაცრის დაყრისასა. მოიხსენე, ჩი კაცო, რამეთუ მიწავ იყავ და მიწადაც მიიქც. დაბად: — ერთი ყოველად სამწუხრო ჰამბავის მომტანად მოვსულვარ მე აქ, ჩი პატიოსანნო მსმენელნო...“ 4 r — 200 r.

შენიშვნა: 1. ციტატები ბიბლიიდან მოყვანილია ხშირად სომხურ ენაზე.

2. ერთვის — ბ. თავფურცელი: „მატენი ორმოცთა ქადაგებათა, შეთხზულთა მამა პავლე გაბრიელ სენიერისაგან, უფაპტივცემულესისა მღუდლისა და უუგანაქმულესისა მოქადაგისაგან კნინო მრთელი იტალიისა. განმარტებულ იქმნა ქართულთა ენა-

სა ზედა შაჰყულიანთ პოლოს დაეით ვართაპეტისაგან, ადრევე დაწყობილი ახალციხის ქალაქსა შინა. დასრულდა წელსა ცხოვრებისა სოფლისასა 1830-სა, ქალაქსა ტფილისისასა. ჭამსა უმჯერვალესისა მამათმთავრებისა წ-ისა მამისა ჩენისა მერვე პაოს ჰროი მის პაპისასა".

ბ. „წინათქმულებანი აღმომკითხველთადმი ქადაგებათა წიგნისა ამისათა. — თუმცა ყოველნი წიგნნი ფრიად. პატეცეცნლი მამა პავლე სენიერისაგან შეთხზულნი ცხადათ და ყოველგან ჰქადაგებენ ზეზეშთაცხებასა და ჭეშმარიტებასა მისსა, არამედ რამდენთე ჭაგრნი ორმოცეული მარხვის ქადაგებანი მისნი უფრო შუხვებულად რიტორიკის სქემითა და ქადაგების კანონებითა და, რაებეუ ჩენს გუთარსა უბედურობითა თვისითა ფრიად ნაკლებ მოუშენებიან ამგვარნი წიგნნი, ამისთვის ვიღაცნე და ვიშრომე სასარგებლად ძმათა ჩენთა განმარტება წიგნისა ამის...

საცნაურ იყოს კ-დ აღმომკითხველთათვის, რამეთუ ორმოცთა მათ ქადაგებათა სიტყვათა საჭიროებელი, თუ სიმზურად და თუ ხუცურად, აღვჰსწერეთ ცალკ-ცალკედ, რათა მოქადაგეთა და სხეთა აღმომკითხველთათვის სიადვილე ყოფილიყო აღმორჩევად ნივთთა სათნოსაებრ თვისისა.

კ-დ შევთხზეთ ერთი სხუა საჭიროებელი ანბანგანური, რომელსა შინა შემცმულ არიან ყოველნი იგი ნიეთნი, რომელთა ზედა ფართოდ ანუ მოკლედ ლაპარაკობს თვით აუქსონი სენიერი ქადაგებათა მათ შორის თვისთა...

სრულ ბოლოს აწ თქმულთა ამათ საჭიროებელთა კ-დ გიჩვენწეთ, რაოდენნი მაგალითნი გინა მოთხრობანი შეცმულ არიან მრთელს წიგნსა ამას შინა და კ-დ რიცხვითა მათითა სიადვილით მიაგნებთ ადგილთა მათთა.

მაშ, დაიმშენეთ წიგნი ესე სადიდებლად ღ-ისა, და სასარგებლოდ სულისა თქვენისა და ამეც ვიცო მოსწენებულ ლოცუთა შორის თქვენთა, ვითარცა კ-დ წილდებულ სხუათა კეთილ მოღვაწეთა თქვენთა, ვითარცა ვასპოტ მოწყალებითა უფლისაჲთა.

ყოველად უღირსი და უხმარი მონა პოლოს დაეით ვართაპეტი შაჰყულიევი" 2 r—3 r.

გ. საჩვენებლები: ა „საჩვენებელი წინასიტყვაოა ორმოცთა ქადაგებათა..." 200 v—201 r; ბ. „საჩვენებელი ანბანგაროელი (!) ნივთთა მათ, რომელნიც შეცმულ არიან ორმოცთა ქადაგებათა ამათ შორის..." 201 r — 207 r.

ანდერძი (გადამწერისა) „დასრულდნენ ორმოცეულნი ესე ქადაგებანი ტერ ანტონ თუმანოვის ჴელით აღწერილნი დაწყობით 1834-სა, მარიამობისთვის პ-სა, და დასრულდა 1835 იანვრის 29-სა ქუთაისსა შინა". 200 r.

მინაწერი: „წიგნი ესე დონ დამიანე საკაშვილმა ოზურგეთიდან წამოიღო 1918 წ. და მიაკუთნა ქუთაისის საეკლესიო ბიბლიოტეკას (თავფურცელი).

505

მისხალი. 1854

193 ფ.; 32,3×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტევიური ქაღალდის ყდა — მოძველებული; დაზიანებული; ხმდერული (სათაურები სინგურით); 1854 წ. (3 r, 187 v); გადაწერი—ტერ იოანე მამულური (187 v); ადგილი—ახალციხე (3 r, 187 v). დაუწერელია: 1 r-v, 3 v, 13 r-v, 53 v, 91 v, 100 v, 103 v, 109 v, 191 v — 193 v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

წრფელი მისხალი თავის რიგით; პ-ლი კვირიაკე მოსელისა, სტაციონი წმიდა მარიამ მაჯორნის მიმართ. — ფსალ. კდ. შენდამი აღვიღე სული ჩემი, ღმერთო ჩემო, შენ გესავ, ნუ მრცხენენიენ მე და ნუცა მეცინიან მტერნი ჩემნი..." 4 r — 186 v.

შენიშვნა: უ ძ ვ ე ლ ი თავფურცელი: „მისხალი კაფუჩინთ პატრების რიგისამებრ, გაკეთებული იმავე ფრანცუზი მისხალისაგან ქართულს ენასა ზედა ვინმე წერილი მსახურისაგან. მოწადინებითა და ხარჯითა ფრა კარლოსი, იმავე კაფუჩინთ რიგოსნისა. აღიწერა წელსა უფლისასა ჩყნდ მარტის, 6, ახალციხეს შინა, 1854". 3 r.

ა. ე რ თ ვ ი ს: „მოსახსენებელი მისსალისა ამის აღმწერისა. — მოწყალებითა ღთისა და მეოხებითა ყოველად კურთხეული ქალწული მარიამ ღთისმშობელისათა აღიწერა და აღსრულდა მისსალი კაფუჩინთ მისიონართ პატრების რიგისა მათი დღესასწაულობისებრ წმიდასთა და დღესასწაულობათა თვისთა მცენრულის ნაწერითა, გარდმოღებული იმავე ლათინთ მისაღთაგან, რომლის საშუალით მოგვიკრებია თუ სრულთრო წერილთაგან ჭეშტარისა და მისალისაგან სომხურისა და აღგვისრულებია მრთელი წლის საჭიროებისამებრ თუ საკითხავები, თუ სახარებები და თუ პრეფაციოები საჭიროებისაებრ, თუ საუფლო დღეთა და თუ სადღესასწაულოთა და თუ სხვათა საჭირო დღეთა, რომელნი შემთხვევიან წელსწუხდთა შორის. ჩვენებით დიდ დღესასწაულთა კვირაკიცთა და თვეთა და ყოველთ წმიდათა საკუთართა დღეთა ცოცხალთა და მკუდართა, ვითარცა საჭიროება მოითხოვს.

ამას გარდა მოგებსენებთ ყოველთ, მისალისა ამის მხმარებელთა, რომელ ყოველი თავისი რიგითი არის დაწუობილი და რიგისად მისდევს შეუცილებლად, და დაწყობილი მოცლის პლი კვირითგან მეორე იმ დრომდინ და ნოემბრის თვის 29-ითგან მეორე იმ დრომდისინ.

აწ მხოლოდ ამას ვაფრთხილებ ყოველთა, რამეთუ ოდეს იხილოთ მრავალს ადგილს, რომელთა შინა გაგასწოროს საკითხავისა ანუ სახარების საპოვნელად, რა ხამს, და დღესასწაულს კარგად დაჰკვირდეთ და სისწრაფით იპოვით.

ამას გარდა გეუწყებოდეთ, რომე ესე ქართული მისსალი ვითარცა ფრანგული, კაფუჩინთ რიგისა დაწუობილი არის მისსალის კვირიდგან რიგ-რიგისად და მიდევებით ყოველნი კვირიაკენი და დიდრონნი დღენი მრთელი წლისა, და მერმედ დაიწყობის ნოემბრის თვის 29-ითგან მეორე იმ დრომდინ ყოველნი დღესასწაულნი, რაიც იდღესასწაულებიან ყოველს თვეში კაფუჩინთ რიგისამებრ, კრ მერმედ დასასრულსა წლისასა შეიდებიან მიცვალებულთა წირვები და სხვა, თუ მაზარეთა, თუ ავათმყოფთა და თუ სხვათა საჭიროებათა, რაიც შემთხვევად შეიძლების.

ამის გარდა მერმედ შეიდგების სხვა საკალკო დღესასწაულნი ყოველთ თვეზედ დაწუობილნი, რომელნი, თუ საჭიროა იქმნებიან, იხმარებიან, და ყოველს თავ-თავის ადგილს იპოვით შეუცილებლად და არარაჲს სარჯულს მიიღებს მაზარებელი ამ ქართულის მისსალისა, რადგან მრთელი წელიწადი შესრულებული არის ყოველნაირი საჭიროებითა.

ბოლოს ესოდენი შრომის ნაყოფისათვის ვეედრები ამ მისალის მხმარებელთა, რათა მოიხსენიოთ თქუენ ლოცვაში, თუ აღწერი მისსალისა ამის და თუ ხარჯის გამწეი. რომლის შეგონებით გამიქეთებიეს ესე ქართული მისსალი, და რადგან ფიქრი კაცსა უნაკლებო არა იქმნების, ამისთვის ყოველთაგან ბოდიშს მოვითხოვ, რომე. უკეთუ რან ნაკლებულობა ასოთა ანუ სიტყვათა ჰპოოთ, არ დაეიძრახოთ, არამედ განსწოროთ და დაიბრალოთ უძლურებას კაცის ფიქრისას და არა უნაკლებლობასა წერაღისასა და მოიხმაროთ სასარგებლოდ და გასამკურნალებლად სულთა, თქუენთა, ამინ.

აღიწერა და აღესრულა ვინმე წერვის მოყვარისაგან, სახელად ტერ ანტონ წოდებული, ულტრისი მღედლისა, აბასტუნელი თუმპანაანთ გვარისა, ძისა იოსებისა. საშუალითა და ხარჯითა პატივდებული ფრა კარლოსი, იმავე კაფუჩინთ რიგისანისა, სადიდებლად ღთისა, მისი დედა ქალწული მარიამისა და ყოველთა წმიდათა...“ 187 r-v.

ბ. „სძიებული მისსალისა ამის, რომელი დაიწყობების იანვრიდგან...“ 188 r—191 r.

ანდერძი: „ბოლო აწე გარდმოვსწერე მისსალი ესე უღირსმან მღუდელმან ტერ იოანე მამუთოვ პაელს ძმან ტფილისელი ზაქარიას ძე იაკობ ეზოვისათვის და თვისთ ძეთათვის სახმარებლად და მოსაგებლად სულთა. დასრულდა 1854, III. 6 ახალციხესა შინა.“ 187 v.

მინაწერები: 1. „თავადმა ალიქონს თუმანისშვილმა მითავაზა სახსოვრად თავისი ეს წიგნი 1907, XII. 29“ 3 r.

2. „1921 წ. იელისის 12 დღესა მე, დონ დამიანე საკაშვილმა, ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარმა (!), ეიპოვნე ეს მისსალი ქ. ოზურგეთში, რომლის მისსალის არსებობაზე ეგები იყო, როდესაც პაპის წარმომადგენელი მოვიდა საქართველოში (1919 წ.) ღღ. დელფუშე“. 3 r.

506

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი. XIX

297 ფ.; (394 გვ.); 35,5×22; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (ჭიისაგან დაზიანებული); თავკაზნულობა: გვ. 11; მხედრული (ნაწილი მთავრული ასოებისა ხბატვრულად გაფორმებულია); XIX ს. (კვირიონშვილი 1828, 1829), დაუწერელია: გვ. გვ. 11, 588—594. შეძენილია, წინათ ჰქუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„სიტყჳს კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. — ესი არს პირველი ასო და ჳმიანი და ართრონი, მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა, ვითარცა თავსა დაგჳწერია და რიცხუში ერთად ითქმის...“ გვ. 11—585.

შენიშვნა: 1. უძველესი — ა. „ანბანი პირველად სასწაულო ყრმათათჳს...“ გვ. 1; ბ. მეორედ სწავლება ანბანისა რიგისა, სადა ჳმიანი ასო საჭმარ არს რიგითა...“ გვ. 1; გ. „შესამედ სწაულა ანბანურად გვჳჩს გარჩეულთ პირველ ამოღებისა...“. 1 გვ. დ. „ანბანთა რიცხუთა სწავლანი, თუ რომელნი ოთდენთა რიცხუთა იტყჳან...“ გვ. 2—4; ე. „საქცევნი ხუთთა ხმიანთა ასოთანი და სწაულა სხუათა ასოთა და თავბოლოთანი...“ გვ. 4—6; ვ. „ანდერძთა ამის მუშაისა ფრიად დამაშურალისა მოსწაულეთათჳს, გარნა მრავალნი მოსწაულენი მგმობარ და მოკიცხარ ეკნებიან შრომისათჳს და არა სარგებლად მისცენენ ლოცჳასა...“ გვ. 6—7; ზ. „ქარაგმანი. პროსოდიანი“ გვ. 7—8; ჱ. „ესე ორნი ნიშანნი ქცეყანის მზომელობისა ელლინენთანი არიან...“ გვ. 8. თ. [პოროპითი ნიშნები]...“ გვ. 8—9.

2. ერთი: ა. „თქმული მეფის ვახტანგისა. — რადგან დაშურა ასრე საბა ქება მართებს აწცა მეცა...“ გვ. 586.

ბ. „მისჳ მეფის ვახტანგისა. — სიყრმიდგან იყო მუდამად სიბრძნის სწაულისა მსახველი...“ გვ. 586

გ. „თჳს საბას ნათქუამი. — ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დანიწუნოთა...„ გვ. 586.

დ. „მისჳ საბასი. — აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაცყარათ ქართველთა/უკრძალველობით ფურცელი გვებნია ყე ქართველთა.“ გვ. 586.

ე. „ჱი ეს საბასი. — ახლად შჳკრიბე, შეჳწყუე, ჩემი ეიშრომე სულხანი/საბამან ორბელიანმან, ეის ერთად მერქჳა სულხანი“. გვ. 586.

ვ. „ქმნილი სალხთუზეცსი დიმიტრი ორბელიანის, ძმისა სულხან-საბა ორბელიანისა. —

> კ. სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ რასა, სწერს სულხან საბანი,
> მოსურნეთ გემსაპინძლებათ, გიშლიათ სნატის საბანი...“ გვ. 587.

მინაწერი: „თავადი მიხეილ თუმანოვის“. გვ. ა.

507

ტიბიკონი. XIX

258 ფ.: 24×19; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტკიცრული მუყაოს ყდა, მოძველებული; მხედრული (ხხვადასხვა ხელი): XIX ს. (კვირიონშვილი: 1821). დაუწერელია: 1 r—19v; 109 v — 254 r, 257 r — 258 v. შეძენილია, წინათ ჰქუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„ტიბიკონი. უკეთუ ერთი მხოლოდ სახუმილავი ითქმის კვირიაკესა, ორშაბათს და ხუთშაბათს ითქმის პ'ლი სახუმილავი, ხოლო სამშაბათს და პარასკევს ითქმის 2 სახუმილავი, ოთხშაბათს და შაბათს ითქმის მესამე სახუმილავი...“ 19 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტიპიკონში შემავალი ნაწილებია:

ა. „უამნის ლოცუა ენტარი მარიამისა მწუხრსა ზედა...“ 20 r—39 v.

ბ. „უმანკო ჩასახება ქალწული მარიამისა...“ 40 r — 46 r.

გ. „მოპა უფლისა 25 დეკემბრისა...“ 46 v — 58 v.

დ. „დღესასწაული წმიდა სტეფანე მთავარმოწამისა ცისკარსა ..“ 59 r— 67 r.

ე. „დღესასწაული წმიდა იოანე მახარებელისა...“ 67 v — 73 v.

ვ. „უმანკო ყრმათა...“ 74 r — 77 v.

ზ. „კუირიაკესა შემდგომად შობისა...“ 78 r — 79 v.

ი. „წმიდა სილვისტრესი...“ 80 r—83 v.

თ. „წინადაცუეთა უფლისა...“ 84 r — 89 r.

ი. „ანტიოქნები კებისა № 184 სათქმელი...“ 89 r.

ია. „სწორი წმიდა სტეფანესი...“ 89 v—90 r.

იბ. „სწორი წმიდა იოვანესი...“ 90 v—91 v.

იგ. „სწორი უმანკო ყრმათა...“ 91 v — 92 v.

იდ. „წინა დღე წყალკურთხევისა..“ 93 r — 94 r

იე. „6 იანვარს გამოცხადება უფლისა...“ 94 v—107 r.

ივ. „კვირიაკესა შემდგომად წყალკურთხევისა...“ 107 v— 109 r.

2. უ ძ ღ ე ბ ა — განმარტება ტიპიკონის შესახებ. (19 r-v).

მინაწერი: „სადიდებელად და საქებელად ღუთისა გ ა ბ რ ი ე ლ იოანეს ძის ა ნ დ რ ო ნ იკოვს ეცუთნი“ (ხედა ყდის v).

508

ბიბლიის წიგნების საკითხავები. XIX

352 ფ.; (გვ. 703); 21.17; ჭალოლი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა; მხედრული; XIX ს.; გადმწერი — ივანე ნებიერიძე, ახალციხელი (გვ. გვ. 90, 262). დაუწერელია: გვ. გვ. 91—92, 123—124; 184—186; 306—704; შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ღუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

1. „ფსალმუნნი ენებისანი. — სათქმელნი დიდსა ხუთშაბათსა, სერობასა უფლისასა განთიადს, ესე იგი მიმწუხრსა ოთხშაბათსა პირუელსა სახუმილავსა ზედა. 1 ანთიფონი: შუთმან სახლისა შენისამან შემჭამა მე...“ გვ. 1—90.

2. „ათორმეტნი საკითხავნი წმინდასა შაბათსა, სათქმელნი წირვის უწინარეს, პირველი, — წინასწარმეტყველება დაბადებისა შეჭმნათა საკითხავი. თავი 1 — 1. — დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა...“ გვ. 93—183.

3. ბიბლიის წიგნები — ა. „დასაწყისი იგავთა სოლომონისთა, ძისა დავითისა მეფისა ისრაილისა იერუსალიმსა შინა თავი — ა. — იგავნი სოლომონისი ძისა დავითისა, რომელი მეფობდა ისრაილსა ზედა...“ გვ. 187—242. ბ. „წიგნი ეკლესიასტე, ესე იგი არს საეკლესიაო მეფისა სოლომონისა, თავი ა. — სიტყუანი ეკლესიასტესანი ძისა დავითისა, მეფისა ისრაილისა იერუსალიმსა შინა...“ გვ. 243—262. გ. „წიგნი ქება-ქებათა მეფისა სოლომონისა, რომელ არს კურთხეულ-კურთხეთაო, სოლო გაბრიელებრ ითქმის „სრულ-ჰასირიმ“, თავი ა.. სძალი ეტყჳს: ამბორს მიყჳეს მე, ამბორის-ყოფისაგან პირისა თჳსისათა...“ გვ. 263—274. დ. „წიგნი სიბრძნისა სოლომონისა, თავი ა. შეიყუარეთ სიმართლე მსაჯულნო ქუეყანისანო. ჰბრძნობდით უფლისათჳს სახიერებათა შინა...“ გვ. 274—305.

შენიშვნა: ბიბლიის წიგნთა კიდეებზე განმარტებულია ძველი ქართული სიტყვები ახალ ქართულზე, ზოგჯერ რუსულადაც და სომხურადაც: გვ. გვ. 89, 211, 214 216, 228, 230, 240, 242, 258, 264—278, 281, 284—287, 296, 299, 303.

ანდრძები (ვადამწერისა): 1. „განსრულდა ვნებისა ფსალმუნები. დიდება სამებასა ერთარსებასა ღმერთსა მხოლოსა, ამინ, ივანე ნებიერიძის მიერ ახალციხელისა“. გვ. 90.

2. „დაესრულა წიგნი ეკკლესიასტე. ხოლო აქუს თავსა შორის თჳსსა თავი თორმეტი და მუხლნი შჳდასშჳდნი, იოანე ნებიერიძე. ახალციხელი“ გვ. 262.

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ფრანჩისკე მაისურაძესთან იყო სამი მანეთი მივეცი და გამოვართვი 5 მარტსა 1916. პ. რაფიელ ნებიერიძე“. გვ. 1.

3. „ესწერია ჭუთაისის რომის კათოლიკეთა სამკითხველოს პ. რაფიელ ნებიერიძე. 1919“. გვ. 1.

509

ფრანჩისკე გენეველი—ქადაგებანი სინანულისანი. XVIII

248 ფ.; 19.8.15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა (დაზიანებული ჰიისაგან); მხედრული; მარტივი კაზმულობანი: 28 v, 35 v, 67 v, 76 v 86 r, 95 v, 105 v, 115 v, 123 v, 135 r, 146v, 156 v, 169 r, 180 r, 188 r, 199 v, 208 v, 229 v, 238 r; XVIII ს.; შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

ქადაგებანი სინანულისანი წმიდა ჳრანჩისკესი სალესიანთისა გენეველისა... — პ̃ლს კვირიაკსა იესო ქრისტეს მოსელისა უკანასკნელი საწყალისათჳს. იყოს სასწაული მზესა შინა და მთოვარესა და ვარსკვლავთა, და ქუეყანასა ზედა ქიჳნება თესლებისა გაბზებითა (!) კაცთათა შიშისაგან. ლუკ. 21.25. — არა უმიზეზოთ წმიდა ეკლესია დასაბამსა და აღსრულებასა ეკლესიერი წლისა აკითხებს ამისთანა სახარებას...“ 3 r — 247 r.

შენიშვნა: 1. ქადაგებებს ერთვის — „საძიებელი...“ 247 v — 248 v,

2. უძღვის კი: ა. თავფურცელი — „ქადაგებანი სინანულისანი წმიდა ჳრანჩისკესი სალესიანთისა გენეველისა ჴელმწიფისა და ეპისკოპოზისანი. პირველად ფრანცესის ენისაგან გადმოთარგმანებულნი ლატინურის ენასზე მერე ლატინურისაგან ნემსის ენასა ზედა და ნემსის ენისაგან ქართულ მხედრული ენასა ზედა. პირველი წილი.“ 1 r ბ. „თარგმანობა პატივების...“ (ქარაგმათა განმარტება) 2 r-v.

მინაწერები: 1. „ვწერავთ ამა წიგნს, უმანკო ჩასაბების მონასტერს ტერიკვეზე ქალაქ კონსტანტინოპოლს. სახლობა მიხაილ ზუბალოვისა, 1894 წელსა.“ 1 v.

2. „შემოწირული პატრი ივ. ეკსანოვისაგან. ჭუთაისი 29. III. 1929. დონ დამიანე სააკაშვილი.“ 1 v.

510

იტალიურ-ქართულ-ლათინური ლექსიკონი. XIX

370 ფ. + 339 ფ. (ორ წიგნად); 19,5. 13; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ლათინური და მხედრული; XIX ს.; შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„In nomine Domini incipo scribere hoc vocabularium... ad majorem Die gloriam; deinde ad utilitatem omnium in Cristo fatrum meorum scientium... linguam Ibericum.“ 1 r.

[იტალიურ-ქართულ-ლათინური ლექსიკონი]. „A. Abramo credette a Dio e fu dius tivicato... Credidit Deo Abrham et justifucatus est..,“ 2 r—365; 328 ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. პირველ წიგნში შესულია სიტყვები A-M-მდის, ხოლო მეორეში, — N-R-მდის.

2. 1 ტომის 366 r ანბანის რიგზე დართულია, როგორც ჩანს, შესავსები მასალა, ასევეა II ტომის 12 v — 13 r და 329 r — 339 v.

მინაწერი: მხედრულად. 1. „სახელითა უფლისათა ქელ-ქჰყოფ ამ ლექსიკონის წერასა", წიგნი ა. 1 r.

511

საქრისტიანო მოძღვრება. 1809

152 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტეიფრული ბის ყდა; დაზიანებული; მხედრული; გადამწერი — ანდრია შიხინოვი (143 v); 1809. IV. 26 (143 v) დაუწერელია: 1 v, 144 r. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„საქრისტიანო მოძღუარება (!). წინა სათქმელი: მრწამსი მოციქულებისა. ა. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლის მპყრობელი, ცისა და ქვეყნისა დამბადებელი..." 3 r — 143 r.

შენიშვნა 1. უ ძ ღ ვ ი ს — ა. კითხვა-მიგების სახით საუბარი ქრისტეს ორი ბუნების შესახებ (ნაწყვ. ზედა ყდის v);

ბ. „სუფრის კურთხევის ლოცვა პურის ჰამის უწინ..." 2 r; გ. „მადლობა სუფრის აღებაზედა..." 2 v;

2. ერთვის ზოგიერთ დღესასწაულზე სათქმელი გალობანი, ლათინური ტექსტი ქართული ასოებით. 144 v — 151 v.

ანდერძი: „უფალი პატრი მარიოზის ღუაწდადებული და გამოღებულიდამ გარდმოვსწერე აწ ზ უ დ რ ი ა შ ი ხ ი ნ ო ვ ი, აპრილის კბ დღესა ჩჯთ." 143 v.

მინაწერი: სამკურნალო ხასიათის ნაწყვეტი (ქვედა ყდის r).

512

ლოცვანი. XVIII—XIX

132 ფ.; 15,3×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ბის ყდა (ზედა-სიგრძეზე გატეხილია); თანაკრული; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII—XIX ს.]; დაუწერელი: 38 r-v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი]. — „... ძეთა დედისა ჩემისათა, რამეთუ შურჰვან სახლისა შენისამან შემჭამა მე და ყველრებანი მაყველრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა..." 2 r — 132 v.

შენიშვნა: ლოცვანი კათოლიკური რიგისაა.

513

თომა კემფელი — თანაშედგომა ქრისტესი. 1844

214 ფ.; 17×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1844 წ (213 v); ლათინურიდან მთარგმნელი ტლუკიანთ პაპასშვილი დავით (213 r); გადამწერი — პეტრე პაველს ძე ექსანოვი (1 r); ადგილი — ახალციხე (213 v). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„თ ო მ ა კ ე მ ფ ე ლ ი, ბერი ეკლესიერი, წესისაგან წმიდის ოქოსტინესი ქრისტესთან შედგომისა ზედა. წიგნი პირველი, სახმარი ტუსვანი სულიერი ცხ^ბისათვის. თავი პირველი, ქრისტეს თანა შედგომასა ზედა და ყოველი სოფლისა ამის ამაოების გალახვასა ზედა. „რომელი შემომიდგეს მე, არა ვი-

დოდეს ბნელსა (იოანე: 8,12), იტყვის უფალი, ესენი არიან სიტყვანი ქრისტესანი, რომელთაგან ვიტუქსვით..." 10 r — 207 v.

შენიშვნა: 1. უძღვის — ა. „შესაწირავი იესო ქრისტეს მხსნელისა ჩ~ნისა მიმართ. — მეუფეთსა თავსა წ~ის იოანეს გამოცხადების წიგნსა შინა ჰმეშარიტად უწყიან ყოველნი ქრისტიანნი, რამეთუ არავინ ღირს იპოვების არცა ცოთა შინა, არცა ქვეყანასა ზედა..." 1 r — 3 r.

ბ. „ქება ამ წიგნისა. — მრავალნი დიდრონანნი და წმიდანნი კაცნი იყუნენ, რომელთა მოწმობა ჰქმნეს ამ წიგნისა, თუ რამთონად სულიერად სულის მარგებელი არის..." 3 r — 5 r.

გ. „ცხოვრება თომა კემფელისა. — ეს ასრეთი კაცის დაწერილი არის, რომა თითქმის თომა კემფელის დროს ცოცხლულობდა ეს თომა, რომელსა გვარის სახელად ეწოდება კემი, რომელს თათრულად ჩაქუს ეტყვიან.

აწ ეს კეთრიანთ თომა კემფელი ჰმეშარიტად კეთრი იყო თავის სიტყვათა და საქმეთა..." 6 r — 9 r.

2. ე რ თ ვ ი ს: „ლოცვა ყოველად მხურვალე მამა ღ~თისა მიმართ სათქმელი უწინარეს ვამის წირვისა..." 208 r — 212 v.

ანდერძები: 1. „წამკითხავთათვის. — აწ, ქრისტეს მიერ ძმანო სულიერნო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოველთა გვართ ენაზე გარდათარგმნული არის, აწ მე ვიფიქრე, რომ ქართველის გვარი ამ მადლისაგან არ გამოვარდეს და არც დანატრულდეს. ამისთვის ქრისტეს მიდგენების წიგნი ლათინურის ენისაგან ქართველის ენასა ზედა. და ასე იცოდეთ, რომ ეს წიგნი ყოველის ქების ღირსი არის, ამიტომ რომ არა თუ მარტო მორწმუნეთაგან, მაგრამ ურწმუნოთაგანაც დიდად მიჩნეული არის. ამ წიგნმა ყოველს ქ~ენაა გზა გაახსნა. რა წიგნი არის ამოონად ყ~ლთაგან სანატრელი და საკითხავი, დიდთაგან, შუათანათაგან, რამოონათაც ეს წიგნი არა წიგნი არის ამთონს სხუა და სხუა ენაზედ გარდათარგნული, რაცდონზედაც ესა: არა წიგნი არის ყოველთაგან ნაქები, რამდონადაც ეს არის ნაქები.

აწ, ძმანო, ეს წიგნი ყოველი ქების ღირსი არის, და თუ ამას ასრე არ დამიჯერებთ, სცადეთ თქვენვე, თქ~ში წაიკითხეთ და მაშინ შეიტყობთ სიტყვების ძალასა და სჯამთ ზეცითგრს მახანასა, რომელსა შინა არიან ყოველნი გემონი. ეს წიგნი არის ყოველი პირის წამალი. ამ წიგნში იცნობების დაუსრულებელი ღ~თის განგებულობა. ამაში არის მოწყენილთ გულის დადება. ამით კაცი მრავალს რამეს და ღრეცის რიგსა და ჯხას ისწავლის. ამით კეთილად იცოცხლებს და ამით წ~ან სიკეთილის ცოდნას ისწავლის. ეს წიგნი იქონიეთ თქვენს საცხარლათა. უბიდამ ნუ მოიშორებთ. კიდევ და კიდევ წაიკითხეთ. ასრე იცოდეთ, რომ რაჯანდ ისიე და ისიე ათჯერ ერთმანერთზედა წაიკითხოთ, უკეთესსა და უკეთესს სულიერს სხუა და სხუა გემოს ნახავთ.

აწ მიიღეთ ღთისაგან ეს ნაბოძვარი სიკეთე, რომელსა შინა არს ყოველი ჰეშმარიტი საქრისტიანო ფილოსოფია." 5 r — 6 r.

2. „მოსახსენებელი.—დავსძინოთ ესე მხურვალე წიგნი სულიერი თომა კემფელი სადიდებლად იესუს მარტვილობისათვის და სასარგებლოდ ძმათა და დათა სულიერთა სულთათ~ს წმიდა ჰრომის ქალაქსა შინა მთავრობასა კლემენტე მეთორმეტე ჰრომის პაპისასა სასწაულსა შინა უცხოთასა, რომელსა ლათინურად ეწოდების Propaganda fide. აწ, ძმანო და დანო სულიერნო, რაც ამ წიგნის წაკითხვით, გემო ნახოთ და სულიერათ ინაყოფიეროთ, ღმერთს შეავედრეთ და იყოს მისივე სადიდებელად. და თუ რამ სიტყვათა ოფლარჭნილობა გინა უშვენიერობა იხილოთ მე დამაბრალეთ, ამისთ~ს რომ მრავალნი სახელნი სიტყუანი ქართულნი თავათ ბ~ლ არ ვიცოდი და თუ რამ ვიცოდი, ისიც დამავიწყდა. ამისთ~ს მრავალს შრომითა, ჯაფითა, ხრუდნებითა, ზრახვითა და სასჯლითა ძლივ გადმოვთარგმნე ლათინური ენისაგან. ამისთს ეს წიგნი მრავალთ სხუა და სხუა ტომთ ენათა ზედა გარდათარგნული არის და მე ვიზრახე არამც და არამც ჩ~ნი გვარი ამ სიკეთის ნატრული დარჩეს. ამისთს გადმოვთარგნე და ჩემი ტკბილნარებისათ~ს და ნაკლებულობისათ~ს შენდობას გთხოვ მე, ყოველად მზა და ყოველად მხურვალე მონა საქართველოს გორელი ტლუკიანთ პაპასუშვილი დავითი". 212 v — 213 r.

3. „1844-სა წელსა, მაისი 20-სა, აღიწერა ახალციხესა შინა ყელთაგან ვინმე წერვის მოყვარული დიაკუნისაგან. და ვინც ესე წიგნი აღმოიკითხოს, თვითო მამაო ჩვენოთი მოიხსენიოს“. 213 v.

მინაწერი: „გადაწერილი პეტრე პავლეს-ძე ექსანოვის, ახალციხეში 1850“. 1 r.

514

კრებული. 1777

151 ფ.; 15.5×9,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დახიანებული მხედრული (სხვადასხვა ხელი); 1777 წ. (60 v); გადამწერი — ბატონჯანა, სიმონგულანთ ბერუკასძე (60 v). დაუწერელია: 61 r-v, 63 r. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

1. „მოკლე სახე თანამეტყველებისა მორწმუნე სულისა, რომელ არს საიდუმლოანი სძალი ქრისტესი, თავის სულიერ სიძე ქრისტესთანა. — რაჟამს ინებეგდეს მორწმუნე სული თანამეტყველებას თავის სულიერ სიძე ქრისტესთან და მადლიერ ყოფად მის, ჴამს მას უწინარეს გონებაჲ იგი თვის შორის შეკრება...“ 3 r — 60 r.

2. „მონანული გული მიზეზი გულოანი სინანულისათვის წინასწაგება. — ესე არს ნეტარებისა უკუ დიდი ბედი, რომელ მადლსა ღ~თისასა ვერ აღარა წარსწყმედენ და ესე არს ცოცხალთა ადამიერთა ბედი..“ 63 v — 151 r.

ანდერძი: 1. „დასრულდა წიგნი ესე ხელითა შენდობილი სიმონგულანთ ბერუკასძე ბატონჯანასითა. ვინც წიგნაი ესე აღმოიკითხოთ, ქრისტეს წ~ა ჯვარცმის ხათრისათვის იყოს ერთი მამაო ჩვენოთი, შემვედრეთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რომ თქვენითაც მისივე წ~ა სატანჯველის ძალით, ცოდვილი სული ჩემი სასუფეველსა შინა დაამკვიდროს. ამინ. აღიწერა წელთა უფლისათა 1777, კ~ნს უგჲ, მარიობის თვის 3. ამინ“. 60 v.

მინაწერი: „თ. პავლე თუმანიშვილისა, ქ. ქუთაისი, 15 მარტი 1917 წელსა“ 2 v.

515

ლოცვანი. XIX

57 ფ.; 17×10,5 ქაღალდი (ლურჯი); ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ვეფრინაშვი: 1823). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი] — „ორშაფათის ფიქრის ლოცვა სიკვდილზედა. — მაღე ის დღე მოვა, რომ მე დილას ცოცხალი ვიქმნები, ან საღამოს ცოცხალი და დილას მკვდარი ვიქნები...“ 1 r — 57 r.

მინაწერი: „ღმერთო, შეიწყალე ამ წიგნის პატრონი და მოთმინება მიეცი, ამინ“ 57 r.

516

კრებული. 1779

167 ფ.; 15,5×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დახიანებული; თაფნაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1779 წ. (65 v). დაუწერელია: 99 v — 155 r; 156 v — 157 r; 158r — 165 r; 167 r-v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

1. [ს.-ს. ორბელიანი, საქრისტიანო მოძღვრება]. „...ისრაილისა შეივდეს მის მიერ. ესეცა მითხარ ღმერთი სრული და კაცი სრული, ვითარ გვიღირს, ვირწმუნოთ...“ 1 r — 65 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „წამებანი წმიდათა წინასწარმეტყველთანი, იესო ქრისტე, ძე ღ[მრთისა, ღმერთი ჴმიშარიტი ვითარ განხორციელდა, იშვა და ჯვარს ეცვა, აღდგა და კვალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკვდართა, გამოღებული სა[ღთოსა წერილისაგან სულხან-საბა ორბელიანისა მიერ. თავი I, ესაია 29,13. — შეყვარებული უფლისა იაკობის ძენი და რჩეული ღ[მრთისა ერი და ნათესავი მათი, ვითარ განუდგეს ღმერთსა...“ 66r—95r.

3. „შობის ღოცვა. — სულიერ დამზადება ყოვლად წმიდის მარადის ქალწულისა მარიამისა იესოს შობისათვის...“ 95v—98r.

ანდერძები: 1. „ესე არს მართალი და უბიწო სჯულისტიანო მოძღვრება მოკლეთა-მე სულხან-საბა ორბელიანისაგან გაკეთებული, რომელსა ცუდების სამოთხისკარი, დაიწერა ქ[ს] ქრისტესა აქეთ ჩ[ღ]ო, ნოემბერს ა[. 65v.

2. „ვინც აქედამ გადასწეროს და საბას საბელი არ ჩასწეროს, ღმერთმან მისი საბელი აღმოჴოცოს სასუფეველისაგან. აღიწერა ნოემბერს გ.“ 90v.

მინაწერი: 155v—156r.

517

გალობანი. XIX

220 ფ.; 15,6×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, გატეხილი; დახიანებული, თავ-ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); გადამწერის მიერ შესრულებული კაზმულობანი: 9v, 12r, 24r, 26r-v, 28v, 44v, 49v, 58r, 65v, 69v, 76v, 77r, 92v, 93v, 99v, 106v, 118r, 124v, 130r, 144v, 148v, 198v, 202r; [XIX ს.]. შეძენილია, წინათ ჭყონდიდის კუთვნებია კათოლიკეთა ეკლესიას.

[გალობანი]. — ... „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უ[კდაო შემოწყალენ ჩვენ...“ 1r—220v.

წ უ ძ ე ბ ა: „... არ ცნობად წყლულთა“.

შენიშვნა: 1. გალობანი კათოლიკური რიგისაა; 2. ზოგიერთ დღესასწაულზე სათქმელი გალობანის ლათინური ტექსტი დაწერილია კართული ასოებით. 3. რამდენიმე გალობა გადატანილია ნოტებზე: 182r-v, 183v, 187r, 189r, 190r—191r.

518

განზრახვანი ტანჯვათა ჯ[ჯ]ოხეთისანი. XVIII

186 ფ.; 13,8×9; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დახიანებული მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს.; გადამწერის მიერ შესრულებული ნახატი (152r). დაწერილია: 3v, 14v, 28r-v, 42v, 63v, 64v, 83v, 117v, 183v. შეძენილია წინათ ჭყონდიდის კუთვნებია კათოლიკეთა ეკლესიას.

„განზრახვანი ტანჯვათა ჯ[ჯ]ოხეთისანი. — პირველი განზრახვა საკვირველიო ჯ[ჯ]ოხეთის საპყრობილესა ზედა, საპყრობილის ვიწროებისათვის. ა. განიზრახე, პირველ უსამართლობას რომ კაცი იქს, ღ[მრთისათვის ეს არის, ვითამც ავათ ხმარულობს თავისი თავის უფლებასა...“ 15r—183r.

შენიშვნა: უ[დ]ე ვ ი ს — ა. თაყვანისცემა: „განხმული ჯ[ჯ]ოხეთი წინაშე ურწმუნოთა ქრისტიანთა, რათა შეშინდნენ და არ შთავარდნენ მას შინა, განა განზრახვანი ტანჯვათა ჯ[ჯ]ოხეთისანი, რათა ვიელტოდეთ მათგან, რამეთუ დავით წინასწარ-

К 8.236 4

მეტყველი იტყვის: ცოცხლივ შთახდენ იგინი ჯოჯოხეთად (ნ'დ. ი'ე) და წმიდა ბერნარდე ეპისტოლესა შინა მონახსოვნა მიმართ ამას თარგმანობს და იტყვის, რათა მკუდრივ არა შთახდნენ". 4r.

ბ. „წინასწაჳლება მკითხაჳისა მიმართ. — განუზრახველობა და უმეცნიერება ასრე დიდათ ერთმანერთს ემსგაჳსებიან, რომ მრავალჯერ გამოიცვლებიან და ერთმანერთს ნაცვლად გვეჩვენებიან..." 5r—13v.

გ. ერთვის კრიპტოგრამა 184v—185v, 186v.

ანდერძი. (გადამწერისა): „პატიოსანო მკითხავო, მოთარგმანემა წიგნისა ამისმან ქართული არ იცოდა და ურიცხუთ ადგილთ საფერი ზმნა ვერ ჩაჳწერინა, ვინადგან თქმულნი მისნი მოუძლურდენ. ფრიად აღიარებს, ვითარმედ განზრახვანი ესე უძლიერესად და შეჰკეცეს მოზანიებს გულსა მკითხაჳისასა უწინდელს ჴელსა ზედა. უკუ ძლეჳრი მადლი იგი ღ'თისაჲ მოვედინ შენ ზედა და უძლურთ ზმნათ მათ წილათ განაძლიეროს და დაასრულოს ყოველნი განზრახვანი შენნი. ჰრიდე მას. და მწერალსაცა თჳისსა და მოიხსენე ცოდვილნი თავენი მათნი ლოცვასა შინა შენსა.

... აღ მოთარგმანესა მას ქართულზედ წერილნი წიგნი აღთქმისა ძველისა არა აქუნდა და ამისთჳის ლათინურიდამ აღთქმისა მისნი აღმოათარგმანა. უწოდე, ვითარ ლათინური წიგნი იგი ებრაულიდამ და ქართული ბერძულიდამ აღმოთარგმანებულ არს უკუე: ნუ გიკვირს, თუ ესენიმ სხვა და სხვა ზმნით, წიგნსა შინა ამას წერილ არს". 4v—5r.

მინაწერი: 3r, 116v (სომხური); 1r და 186v (ქართული).

519

საგალობლები. XVIII—XIX

298 ფ.; 15,5×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); გადამწერის მიერ შესრულებული ქაბშულობანი 1r, 2r, 24r, 54r, 65r, 80v, 92v, 11v, 127r-v, 137v, 138r, 143r, 145v, 169v, 210r-v, 234r, 248r, 268r, 277v, 288r. [XVIII—XIX ს.]. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას

[საგალობლები]. — „ქაფითულუმ — ძმანო, ამიერითგან უკჳე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანამოქალაქე წ'თა და სახლეულ ღ'თისა..." 1v—298v.

შენიშვნა: 1. დღესასწაულებზე სათქმელი ლათინური გალობა დაწერილია ქართული ასოებით.

2. ნაწყვეტი გალობისა უფლის შობიდან (298r-v).

520

სადღესასწაულო. XIX

421 ფ.; 15×11,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს.. დაწერილია: 212r—213v. 242r-v, 260r-v, 281r-v, 284r-v, 287v, 393v, 402v, 405v, 417r-v, 418v—421v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„ქმნის ღ'ცუა ნეტარი მარიამისა მწუხრსა ზედა. — გიხაროდენი (დუმილად), ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ..." 1r—416v.

წყდება: „ცხადათ უმზერდა და ძნიად გარეგნივ ცრემლოვანი სულთქმობისაგან დაითმენდა" (წმიდა მამა ფრანჩისკეს დღესასწაულიდან).

შენიშვნა: ა. სადღესასწაულო კათოლიკური რიგისაა; ბ. ფფ—ბი 256—259. ჩაკინძულია თავდაღმა.

521

წესი წირვისა. XIX

73 ფ.; 15×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული [XIXს]. დაუწერელია: 48v—51v, 73r-v. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია კუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„წესი წირვისა. მღ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამენ...“ 1r—48r.

შენიშვნა: 1. ერთვის: ა „ყოვლად წმიდის ვესპრო...“ 52r—63r; ბ. „ვესპრო შობისა, რომელ არს 25 დეკემბერს...“ 64r—72v.

2. ხელნაწერი კათოლიკური რიგისაა;

3. 63—64 ფურცლების ქვედა ნაწილი მოხეულია.

522

ლოცვანი: XIX

111 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; ქსოვილგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.]. დაუწერელია: 86v—87r, 100v—108r, 109v—110r. შეძენილია წინათ ჰკუთვნებია კუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი]. „შეისმინე ლოცვისა ჩემისა, ვედრებისა ჩემისა ყურად იღე. — რომელი კოდვათა ჩვენთაგან განრისხდები და სინანულთაგან ჩვენთა დასცხრები, მოხედე მოწყალებითა ვედრებასა ერისა შენისათა...“ 1r—100r.

შენიშვნა: ლოცვანი კათოლიკური რიგისაა.

523

გალობანი. 1791

182 ფ.; 15,7×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დახიანებული მხედრული (სათაურები სინგურით); 1791.1.27 (182v); გადმწერი—დათია ავთანდილს; შეილი, კათოლიკე (182v.); შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია კუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[გალობანი] — „უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩვენისა და ვედრებისა ჩვენისა ყურად იღე. უგალობდით უფალსა, მადლობა შენდა, ღმერთო...“ 1r—182r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი კათოლიკური რიგისაა. 2. ლათინური ტექსტი ზოგან დაწერილია ქართული ასოებით.

ანდერძები: (გადმწერისა) 1. „ქ. აღიწერა ესე წერილი წელსა უფლისასა იანვრის **27**, გასულს ქ^ეს ქ^კს 1791“ (182v).

2. „ქ. დასწერა ესე წერილი ღმერთის სადიდებელად მონამან კათოლიკე ავთანდილს შეილმა დათოამ შენდა სადიდებელად ღთისა მამისა ჩვენისა, ამენ. ვინც ამოიკითხოს, თავის ლოცვის მადლით ერთი მშიდობა შეუთვალოს. ქ^ეს ქ^კს იანვრის კზ, გასულს ჩღჟა 1791“ (182v).

524

იოვანე ნებიერიძე. ედემი: 1865

449 ფ.; 17×10,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივიერული მუყაოს ყდა; მბეჭდური; 1865 წ. (1r); ავტოგრაფი; ადგილი — ახალციხე (1r). დაუწერელია: 35r—62v, 120r—167r, 385v—430v. შეჭნილია, წინათ ჰკუთვნებია ჭუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[კრებული]: 1 „დამკჳდრებისათჳს სასუფეველისა.— კ. რაჲ არს სუფევაჲ?...“ 3r—9v.

2. [იოვანე ნებიერიძის ავტობიოგრაფია]. „ესოდენ ეკმაოდეს თხზულებასა ამას ჩემსა, რომელ ვარ მოწამე წინაშე თქუენსა...“ 9v—34r.

3. „ზნეობითი სწავლანი და დარიგებანი ახალგაზდა ყმაწვილებისათჳს, რომ არის ჭკუის სასწავლებელი. იგავი სოლომონისა, თავი 7.— შვილო! დაიმარხენ სიტყუანი ჩემნი, ხოლო მცნებანი ჩემნი დაიფარენ შენ თანა...“ 63r—119v.

4. რაჟამს აღჰსდგე ძილისაგან, მჰსწრაფულ ჰსთქუ ლოცვანი ესე დილისა.— ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოჰხედენ, უფალო, შეწევნად ჩემდა...“ 168r—182r.

5. „ზნეშუენელობა წმიდისა წირვისა ვნებათა ზედა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა ლოცუა.— უფალო ჩუენო იესო ქრისტე, ცხოვრებისათჳს ჩუენისა დაამტკიცე საიდუმლო წმიდის წირვისა მოსახსენებლად ვნებათა შენთა...“ 182v—189v.

6. „მოხსენება თჳთოეულთა სატანჯველთა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესათა.— წმიდა ელისაბედ ღირსი საკიერველთმოქმედი ეეედრებოდა უფალსა, რათა განუცხადოს მას სატანჯველი თჳსი...“ 190r-v.

7. [ამონაწერები ტომოთეს მოხილვიდან. როგორც ტექსტიდან, ასევე მისი გამომცემლის წინასიტყვაობიდან კომენტარიები]. „ნიკიას ქალაქსა შინა ყოველად წმიდისა ღ~ეთისმშობლის ხატზედ ესრეთ იყო ძველადგანვე ზედაწერილი დროსა საქართველოს მეფეთა...“ 190v—195v.

8. „სწავლითნი დარიგებანი საქრისტიანო მოძღურებისა, შემოკლებულად შეთხზულნი ჩემ მიერ (იოანე ნებიერიძისაგან) ოთხ-ხუთ წლოვანთა ყმაწვილებისათჳს, ზეპირად დასასწაულებელნი სარწმუნოებისა ნაწილნი, რომელნიცა მშობელნი მათნი, ესე იგი დედ-მამანი ვალდებულ არიან ღუთის წინაშე, რათა თავიანთ ახალგაზდა ყმაწვილებს ასწავლონ შთაგონებითა და სიტკბოებითა ყოველდღიე დილა-საღამოს და დაწოლის დროსაც, რათა ღუთის შიში და სიყუარული პატარაობიდგანვე შთაეწუეთებოდეს იმათ გულში.— 1. ერთ არს ღმერთი (ანუ ღმერთი ერთია)...“ 196r—385r.

შენიშვნა: 1. უ ძ ღ ი ს: ა. თავფურცელი — „ედემი. რომელ არს სამოთხე, ვინა წალკოტი შუშნიერი ბაღი, აღვსილი სხუათა და სხუათა კეთილ სუნნელოვანთა ყუავილოთაგან, რომელ არიან საუხუკეი სულისა ჩუენისანი; ვითარცა მხურვალენი ლოცუანი, გალობანი და შესხმანი აღვლენილნი ჩუენ მიერ ღუთისადმი.

ნაღუაწი არა მცირითა შრომითა, სასარგებლოდ მემკჳდრეთა ჩემთა შჳლითი შჳლადმდე მოდგმით, იოვანე ნებიერიძისა მიერ ახალციხელისა წელსა უფლისასა 1865-სა, ქ. ახალციხეს.

ეს პ~რი ტომი შეიცავს ვრცლად შეთხზულსა ჩემ მიერ კათეზიზმოსა, ხოლო მეორე ტომი ამაზედ მოხდილი შეიცავს ლოცვებსა და ლექსთა თხზულებათა ორთავე ცხოვრებათა შინა სახმართა, ნებიერიძე.“ 1r. ბ. „წინასიტყუაობა წარმკითხულთადმი

წიგნისა ამის პატივდებულთა გუამადმი. — რაოდენცა მჭსურდა! აღწერად წიგნისა ამის შემოსულებით, ეგოდენცა განერცხლდა იგი, განსაკუთრებით თხზულებაჲ კატეხისმოძღუარსა, რომელ არს საქრისტიანო მოძღურება...“ 2r—3r.

2. ე რ თ ვ ი ს: „სძიებელი მეორე ვრცელი ბ'ლისაგან შემდგარი თჳთოეულთა მუხლთა მოხსენებულთა წიგნსა ამას შინა, თავიდგან დაწყობილი ვიდრე დასრულებამდმდე კატეხისმოძღუარსა...“ 431r—442r.

მინაწერები: 1. „...მე ახალციხელი იოვანე სტეფანეს ძე ნებიერიძე 4-სა აგვისტოსა 1867-სა წელსა, დუხობორების სოფელსა შინა გორელსა. ეს ძვირფასი წიგნი არავის ველში არ ჩაუგდოთ, უცხოს არავის წააკითხოთ“ (30v).

2. „ოცდაშვიდნი მგალობანი სახარებისანი, მოვლინებისა და ჯამომავლობისათჳს სულისა წმიდისა დაწერილნი ჩემ მიერ სამა ენასა ზედა: ქართულად, რუსულად და სომხურად (იოანე სტეფანეს ძე ნებიერიძე, ახალციხელი)“. 442r.

525

წირვის გალობანი. 1842

138 ფ.; 17×10,3; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით; 1842 წ. (82r); გადამწერი — გრიგოლ პეტროვიჩ ხითაროვი (82r). დაუწერელია: 110r—138r. შეძენილია, წინათ ჭყონდრებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

„წირვის გალობანი ლათინურად (წირვის დაწყებაზე). — კირიე ელეისონ, კირიე ელეისონ, ქრისტე ელეისონ...“ 1v—82r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი კათოლიკური რიგისაა.

2. აქვეა 1 ფ. (11×6,7) ნაბეჭდი ლოცვანიდან; 3. ერთვის ლოცვები და გალობანი (82v—109r).

მინაწერი: „დასრულდა ესე წიგნაჲ 1842-სა წელსა მაისის 6 დღესა. დამწერი ამისი, თუმც იცითხამ, ქუთაისის მცხოვრები გ რ ი გ ო ლ პ ე ტ რ ო ვ ი ჩ ხ ი თ ა რ ო ვ ი სა გა 5“. 82r.

526

სადღესასწაულო. XVIII—XIX

348 ფ.; 18,5×14; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII—XIX ს. ს.]. შეძენილია, წინათ ჭყონდრებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[სადღესასწაულო]. „მწუხრსა ზედა. ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე...“ 1r—314v.

შენიშვნა: 1—ე რ თ ვ ი ს: ა—„სძიებელი... დღესასწაულთა...“ 315r—317r; ბ. „ფსალმუნი...“ 317v—321r (ნაწყვეტი); გ. „ანაკლვერიდამ ამაღლებამდინ კვირაობით სათქმელი...“ 321v—348v; 2. ხელნაწერი კათოლიკური რიგისაა; 3. გადამწერის მიერ ტექსტი უხვად შემკულია სხვადასხვა კაზმულობით.

527

საკითხავები ბიბლიიდან. XIX

75 ფ.; 21,3×15,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; თავ-ბოლოწაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით): XIX ს.. დაუწერელია: 1r—9v, 12r-v, 63r—75v. შეძენილია, წინათ ჭყონდრებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[საკითხავები ბიბლიიდან]... „...თ უფლისა მიერ, ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ, რამეთუ ნაყოფი სულისა ყოველთა კეთილითა და სიმართლითა და ჭეშმარიტებითა...“ 10r—62v.

წყდება „... და ვითარ განვლეს“.

შენიშვნა: საკითხავები კათოლიკური რიგისაა.

528

გეოგრაფია. XIX

235 ფ.; 21,8×16,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტკივრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]. შეძენილია, წინათ ჭყონდებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[გეოგრაფია]. „ბუნებითი და სამოქალაქო მოკლე გეოგრაფია, რომელი არის მოთხრობა მრთელის ქვეყნისა და მას შინა მყოფთა, მთავართა ნათესავთა, ვითარებათა მათთა და ფერად-ფერად ჩვეულებათა. ნაწილი პირველი — თავი ა.

კ. რა თქმა არის უკვე მოთხრობა ქვეყნისა?

მ. მოთხრობა ქვეყნისა არის ისტორია ქვეყნი[ა]ა, გინა ქვეყანასა ზედა ლაპარაკი...“ 2r—231r.

შენიშვნა: ე რ თ ვ ი ს— 1. „ლექსი“ 231v; 2. „ზანდუკი ანბანური მის მიმართ, რომელნიც არიან დაწერილნი რახანმი თვითეული კითხვა-მიგებისადმი, ამ რახმეზედ ეძიე, ჭი ალმოკითხველო, და ნუ ეძებ ფურცლის რახმესა, რამეთუ არ არს დაწერილ, ამიტომ რომ არ მოიხდინდა, და ამის გამო არ დაიწერა...“ 232r – 235r.

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ეკუთვნის ივან კარლის მგებაროვსა, 1835 წელსა, ნაყიდია“, 1 სატვ ფურც. r.; 2. „კარლო მღებაროვის არის ესე წიგნ[ი] ნაყიდი“. 235r.

529

დავთარი ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის შემოსავალ-გასავლისა 1845—1846

49 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა, მოცილებული; დაზიანებული; მხედრული; 1845—1846 (1r...). დაუწერელია: 16r—22r,39r—49v. შეძენილია, წინათ ჭყონდებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[დავთარი ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის შემოსავალ-გასავლისა].

1. 1845—1846 წლის შემოსავალი ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიისა... 2r—15v.

2. 1845—1846 წლის გასავალი ხარჯი. ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიისა... 23r—38v.

შენიშვნა: 1. უ ძ ღ ვ ი ს თავფურცელი: „დავთარი ქუთაისის ჩრომის კათოლიკეთ ეკკლესიისა, რომელსა შინა იწერების ყოველი შემოსავალი და გასავალი ამავე ეკკლესიისა. დაწყობილი 1845-სა წელსა, იანვრის 14-სა დღესა, და არს წელთათვის, 1845-ისა და 1846-ისა“. 1r.

2. ე რ თ ვ ი ს: „მოსახსენებელი შემდგომითათვის. 1845-სა წელსა შინა განძებულ იქმნენ რა კაპუჩინის რიგის პატრი სჯართველოდამ და ქუთაისიდამაც, ამისთვის ახალი ქვიტკირის შენობა, რომელიცა იყო დაწყებული 1826-სა წელსა შინა ხელითა მთავარ უფროსის პატრი ფილიპე ჩრომაელისათა, დაშთა ისრე უსრული, ხოლო ქუთაისის ჩრომის კათოლიკეთა და მწყემსმან მათმან, უფალმან დონ ანტონმან, ზრახვა ჰყვეს და მოათავეს ხის შენობითა, რომელიცა ზრუნვითა და თავობითა ამავე დონ ანტონ გლახოვისათა სრულ იქმნა და ამავე 1845-ის წლის ოქტობრის 7-სა დღესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იყო დღესასწაული ყოვლად წმიდის სავარდისა, აკურთხა მანვე დონ ანტონ გლახოვმან და ჰსთქვა პირველი წირვა სადიდებლად უფუწმიდესის სამებისა და ყოვლად წმიდა მარიამ უმანკოდ შთასახებულისა, რომელის წოდებისა ქეშეც არს აღშენებული, რასა შინა შემდგომად საუფლებლად ესწერა აქა და ემოწმოს სტარუსტა (კანდელაკი ამავე ეკლესიისა) და მასწავლებელი ქუთაისის კათოლიკეთა სკოლისა უღირსი მონა სიმონ ყაუხჩოვი.“ 22v.

მინაწერი: გვერდზე ფანქრით: „1860 წ. არის მოთავებული სულ კვითკირით“.(!)

530

გალობანი. XIX

64 ფ.; 17×10.7; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავ-პოლონკულული; მხედრული; XIX ს. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[გალობანი]... „ვაჯმე მატყუარს მლოცავსა, ჩვენი იმედი შენ ხარ, უფალო, გეყედრები, რაათა ამოიღო ამ ჩემი გულიდამ ქვეყნის უწესო სიყვარული...“ 1r—64v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მამის დიდები ნამზითვო, სიძის მადლითა სხურებულო“ (გალობიდან, „კურთხევა საყდრისა“).

შენიშვნა: გალობანი კათოლიკური რიგისაა.

531

ლოცვანი. 1842

135 ფ.; 17×10; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1842 წ. (1r); გადაწერი—პავლე სეროს ძე ოტელი (1r); ადგილი—ქუთაისი (1r). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი]. „საღამოს ლოცუა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წ-ისათა, ამინ. — უფალო აღახვენ პირი ჩვენი, რაათა უგალობდეთ წ-ასა სახელსა შენსა...“ 2r—126v.

შენიშვნა: 1. 127r—135v დამატებულია ლოცვები გვიანდელი ხელით.

2. უ ძ ვ ი ს თავფურცელი: „წიგნაკი ლოცუათა, გალობათა და ფსალმუნთა, რომელიც ითქმებიან უმეტეს კშირად ქუთაისის კათოლიკე ეკლესიასა შინა. დაწურილ იქმნა ქუთაისის კათოლიკე ყრმათა სასწავლებელსა შინა მას შინავე მოსწავლეთაგანის პავლე სეროს ძის ოტელისა მიერ წელსა ჩყმბ-სა; ოქტომბრის ზ-სა. ქ. ჭ.“ 1r.

532

ლოცვანი. XVIII

143 ფ.; 16,7×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაზიანებული; თავნაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს. შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი]. „... მათ, რომელნიც აუცხოვებენ ჩემგან სულსა წ-ასა შენსა, და გეყედრები, რაათა მადლისა შენისა შეწევნითა არღარა მთავარდე მე მათ შინა...“ 1r—142v.

შენიშვნა: 1. თავისუფალ მომდევნო 142v—143r-ზე გვიანდელი ხელით მიწერილია ლოცვები; 2. ლოცვანი კათოლიკური რიგისაა.

533

დავთარი ვაჭრობისა. XIX

44 ფ.; 16×11,5; ქაღალდი (სქელი); ტყავგადაკრული ქაღალდის ყდა; მხედრული; XIX ს. დაუწერელია: 30v—32v, 34v; შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[დავთარი ვაჭრობისა]. „ღ~თით, ღ~თით, ღ~თით. ქ. შენ ხეირათ ჰქენი ამ დავთრის საქმე, ჟუნაოთ, მოსაგებით, უცოდოთ და სიხარულით ამყოფე დავთარი ეს შენ სადიდებლათ, ამინ. დაიწერა თიბათვის სამს გასულს სამების სახელზედ. მუსულ. 1239“. 1r—44v.

534

ლოცვანი. XIX

41 ფ.; 16×10; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; XIX ს. (ვირონიშანი: 1841). შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

[ლოცვანი]. „დილის ლოცვა: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამენ. — უფალო, ბაგენი ჩემნი აღასვენ და პირი ჩემი-უთხრობდეს ქებულებასა შენსა...“ 1r—41v.

შენიშვნა: ლოცვანი კათოლიკური რიგისაა.

535

ლოცვანი. 1775

234 ფ.; 10,3×7; ქაღალდი; ტყავგადაკრული ყდა; დაზიანებული; თანაკლული; მხედრული: 1775 წ. (229v): გადამწერი — უდელი ბალაშვილი ბატონყმანა (229v); ადგილი — სტამბოლი (229v); შეძენილია, წინათ ჰკუთვნებია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიას.

1. [ლოცვანი] სომხური — 1r—7r (თავნაკლული).
2. თათრული — 7v—14v.
3. სავარდის ლოცვა — 15r—21v.
4. ყრდ წმიდის პაშტუმი — 22r—26r.
5. ჩარჩარანქ დუვალარი — 27v—48r.
6. ეს ტრირი იოვანესია — 48r—53r.
7. ცისკრის ლოცვასა ზედა — 53r—70r.
8. [წირვის მოსმენის სწავლანი] — 70r—106r.
9. ლოცვა განდობისა — 106v—110r.
   ა. ლოცვა სინანულისა განდობის უწინ — 107v—109r.
   ბ. ლოცვა სინანულისა განდობის უკან — 109r—110r.
10. წმ. ზიარების ლოცვანი — 110r—123v.
    ა. ლოცვა ზიარების უწინ სათქმელი — 110r—115r.
    ბ. ლოცვა წმ. ზიარების უკან სათქმელი — 115r—123v.
11. ლოცვა ყოვლად წმ. მარიამ ქალწულისა — 123r—131v.
12. შვიდნი სინანულნი — 131v—134r.
13. შვიდი ლახვრის ლოცვანი — 134v—147v.

14. ყოველად წმიდა ღმრთისმშობელი — 148r—151r.
15. ღმრთისმშობელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 151r—156v.
16. ღმრთისმშობელი ყოველად წმიდათა — 157r—164r.
17. კაცი რომ გზას დაადგება — 164v—170r.
18. სუფრის კურთხევის ლოცვა — 170r—172v.
19. მუშაობის ლოცვა — 172v.
20. შობის ლოცვა — 172v—174v.
21. ქართული ნანი ქრისტესი — 175r—177v.
22. ...ფიქრის ლოცვა — 177v—214r.
23. ლექსი წმ. ნერსეს მადლით სავსენი — 214r—215r.
24. ლოცვა... უფლისა ნერსესისაგან სომეხთა კათალიკოზისა — 215v—216v.
25. ავეტამ ხოსტოვანი, მე მრავალი ცოდვის მოქმედი — 216v—225r.
26. ჭეშმარიტად... საღამოს ლოცვა — 225r—229r.
27. ხოსტოვანი არაჩი — 230v—231r.
28. წა ზიარების მიღების უწინ — 231r—232r.
29. წა ზიარების მიღების უკან — 231v—233r.

შენიშვნა: ერთი ლოცვა სომხურ ენაზე (230v—231r).

ანდერძი: „ეს წიგნი უდელი ბალასშვილმა ბატონჯანმ დავწერე და ჩემი ნაკლებულობისაგან შენდობას ვითხოვ. და ვინ იცის, თუ ეს წიგნი დაიკარგოს და ვინც იპოვნოს, ღმრთის გულისთვინ პატრონს მისცეს. და თუ პატრონს არ მისცეს, რაც ამ წიგნში ლოცვა სწერია, ამ ლოცვებმა თვალები დაუყენოს, და ვინც წაიკითხოთ, ამისი დამწერი თუ ცოცხალი არის, დღეგრძელობით დალოცეთ, და თუ მკუდარი არის, შენდობა უთხარით. და ამისი აღწერა აღსრულდა სტამბოლს, ენკენისთვის 20, გასულს 1775 ჩღოე." 229r-v.

536

დიალოგები. XVIII—XIX

120 ფ.; 13,5×10; ქაღალდი; სქელი ქაღალდისავე ყდა; თავ-ბოლონაკლული; მზედრული (სათაურები სინგურით); [XVIII—XIX]. დაუწერელია: 113v—115v. შეძენილია, წინათ ჭყონდიდელი ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის.

[დიალოგები].... „ზე ეკლესია ყოველი და მისი სარწმუნოება უნდა მეეყუდოს. თუ თქვენ თქვენი დღევანდელი ცილობა მართებული პატრიარხისათვის ანუ სხვა სარწმუნოების თქმული ქამთა მოცქეულთა მოხდებოდა, არავის სხვა მსაჯულითა, გარნა წა პეტრით გარდაწყვეთებოდა ყოველი..." 1r—120v.

ანდერძები: 1. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი აბრაჰამ“ 2v.

2. „ღმერთო, შემიწყალე, წმიდაო ღმერთო, შემიწყალე ცოდვილი ეს კაცი, მონაჲ, საბელით აბრაჰამ, და ვინცა ბძანებდეთ, შეგინდვნენ“. 17v.

3. „ღმერთო მოიკსენე ფრიად ცოდვილი ამისი მწერალი აბრაჰამ მღდელი. ვინ შენდობაჲ ჰბრძანოთ, თქუმცა შეგინდვნეს ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ“. 146r.

მინაწერი: 4v, 12v, 13v, 18v, 26r. (მინაწერებში იხსენიება ვინმე მონაზონი ნინო, ბერაი, გედევან).

566

ვეფხის-ტყაოსანი. XIX

133 ფ.; 33×20,3; ქაღალდი (ცისფერი); უყდო; დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ჭვირნიშანი: 1815).

ვ ე ფ ხ ი ს-ტ ყ ა ო ს ა ნ ი. „შესავალი პირუმლი ვეფხის-ტყაოსნისა. ქ. ამბისა ამის დასაწყისი პირველი, ჰამო და სასმენელად მდენიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა, ტარიელს და ნესტარ(!) დარეჯანის(!) ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენ.— რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1r—114v (იხ. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ ტფილისი, 1937 წ.).

შენიშვნა: 1. ვეფხის-ტყაოსანს ერთვის: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა. — მე ვსწერ, ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას...“ 114v—133v (წ ყ დ ე ბ ა სიტყვებზე: „სიყუდღილი ყველას ცუდად შეიქსა ...რული კაცის გულის სიხარბეს“.

2. ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგის გამოცემიდან.

567

გვირგვინი. XIX

155 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; XIX ს. (ჭვირნიშანი: 1857). დაუწერელია: 154v—155v.

„ღ ერთიც შუმნიერნი მოთხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი.— თავი ა. მოუდელთმოქმედებისათჳს და საიდუმლოს გამოცსადებისა მოთხრობა ა. გამოცსადებისათჳს წმიდისა საიდუმლოჲსა და სიყუარულისა, რომელი სიყუარული არს ნანდჳლეე...“ 1r—144r.

შენიშვნა: ერთვის — ა. „ესე არს ზანდყი წერილისა“ ამის ღ ერთიც სულიერთა თხრობათანი“; 144r—147r; ბ. აპოკრიფული თხრობა სოდომისა და გომორის შესახებ (147r—154r).

568

სიბრძნე ფილოსოფოსთა. XIX

112ფ.; 18×15; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; დამკვეთი: ბაქარ, ვახტანგ მეფის ძე (36v); XIX (ჭვირნიშანი: 18...). დაუწერელია: 37v—44v.

„სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერო, ფრიად მარგებელნი სულ-სხეულობით, ორ კერძოვე, ძუელისა და ახლისა წიდათა წერილთაგან რჩეით გამოკრებულნი: კლემაქსსა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი, და ცხოვრებისგან მამათასა და სხუათა წმიდათა მღუდელთ-მოძღუართასა მიმართ, მოციქულ-წინასწარმეტყუელთა, სოლომონ, ზირ[ა]ქ, და გარეშე წიგნთა—პლატონ, სოკრატ და მენიანდროს და სხუათა ჭილასოფოსთა მიერ ქმნულნი, კლემაქსისაგან. — ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდეს ღმერთსა, ეპოების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრება, ურწმუნეთა და მორწმუნეთ...“ 1r—112r.

შენიშვნა: ეს ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება. მეორე ნაწილს თავისი სათაური აქვს:

„მოკლე სიტყვის-გება სოკრატისი, სწავლა პირველი...“ 37r—112r.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო ბრძანებითა [ბაქარისითა]. საქართველოს მეფისა ვახტანგის ძისათა, მაიანჭოს უფალმან ცხოვრება საუკუნო“. 36v.

569

ქალ-ვაჟიანი. XIX

43 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; ყდა, დახიანებული; თავ-ბოლონაკლული; მხედრული (სათაური სინჯურით); XIX (ჭვირნიშანი: 1818). დაუწერელია: 39r—41r.

[ქალ-ვაჟიანი]... „სახელი უწოდეს. ყრმა იყო დიაღ შვენიერი და ლამ[ა]ზი და მაედრებელი ღ〈ი〉თისა და დედ-მამისა...“ 1r—38v (შდრ. ქალ-ვაჟიანი 1901 წლის გამოცემა, გვ. 1).

წყებაა: „... და ამდენი ვეზირნი დიდებულნი და მსაჯულნი მოწამეთ წინაშე“.

მინაწერი: 42r—43v (სხვადასხვა).

570

კრებული XVIII—XIX

55 ფ.; 33,8×21,8; ქაღალდი; ყდა; დახიანებული; მხედრული (სათაურები სინჯურით); გადამწერის მიერ შესრულებული ილუსტრაციები: 1r; XVIII—XIX ს.; დაუწერელია: 45v.

1. [საეტლო] — „თავი პირველი. პირველი დასაწყისი, ფილოსოფოსთაგან გამოკრებული მათემათიკა, თუ კაცი, რომელსა ეტლსა ზედა რძევების(!)— წმინდა იოჰ ბრძანებს, რომ ყოვლის კაცის ჴელზედ შეიტყობის თჳთ ყოფადნი საქმენი, რასაც ეს წმინდის იობისაგან თქმული ფილოსოფოსთაგან გამოცხადებულისა ესე მეცნიერება, რომელიცა ლათინურის ენისაგან ქირონმანცია ეწოდება — ciromantia...“ 1r——41v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შემდგარი ყოფილა **31** თავისაგან, რომელთაგან აკლია: **6, 14, 17—20**;
2. სატლოს ცხრილი, რომელიც ასახავს ქართულ ანბანს, ცხრილის გაგრძელებად თითოეულ ასოზე მოთხრობილია იღბალი ანუ ხვედრი („ვიჭკაი") — 42r—45v.

2. [ფირმალიანი] — „მოთხრობა დიდებულისა ჭელმწიფისა ფირმალისა, მისის მოქალაქობისა და მისის შვილის აბულაყისა, განგებანი ცხოვრებისა თჳსისანი და შემდგომნი მოქმედებანი თჳსთანი. — ა. იყო დაფნის(!) ქალაქსა სიმდიდრე მორჩული და მოვლინებული ასეთი, რომ ქუჹყანა ამისის განძით და ქონებით რჩებოდა და ყოველი ჭელმწიფე მით მდიდრდებოდა..." 46r—55v.

წყდება: „... თუ შენს სიკვდილს დაიდასტურებ, უცი[ლოდ] თავს მოვიკლავო და უშენოდ სიცოცხლე აღარ მინდაო."

571

ანტონ I — კატეხიზმო. 1767

174 ფ.; 16,5×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა, მოცილებული; დახიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1767 წ. (3r); გადამწერი — ტრიფილე ბერი (3r, 170r). შემინილია ქოსპშვილისაგან 1939 წ.

„კ ა თ ე ხ ი ს მ ო ს. წიგნი კატეხისმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანა არს ქრისტიანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმოლიონ აღიჰსნების 123 შინა კითხვისა-მიგებათა. — კითხუა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანეჲსა მიმართ, რათა ჰრწმენეს..." 4r—150v.

შენიშვნა: 1. უძღვის — ა. „შეყუანილება, ანუ წინასიტყუობა წიგნისა კატეხიზმოსისა:

არ მომწყინდების თ̃ქნ თანა საუბარი,
ჱ ქართუ̃ლნო, სიბრძნის შემყუარებელნო,
აღტეხილება მაქუს ნიჭად თ̃ქნდა მომართ
შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად,
ამად, ეითარმედ მიყუართ ჭმშარიტებით.
ნამდჱლ ჭეშმარიტთ ზესთა მყო ისმენს ამას,
ეითარმედ თქნთჳს შეჩუ̃ნებულ ვჰყო თავი,
არარა მგამის, არად შემირაცხიეს,
[არცა] თ̃ქნ თანა სიკუდილი, არცა ტანჯუა,
[არ ეგ]შურები სურვილით, არ დავჰსცხრე ვირე ვიყო.
ვჰქმენ კატეხიზმოს სარგებლად თ̃ქნდა, ძმანო,
ჩემთ თანნერგულთად წჱლთა თ̃ქნთა ძმათადმი.
მომწოდებელმან სათანადოისადმი.
ქრისტეანეთად კეთილმსახურ მცხოვრებთა
მიიროთო, სარგებელ ჰყაჱთ ჩემთჳს თ̃ქნ ლოცუაი.
ეს აღჭჱსნის ტაეპთ სიმეოლისათ ათ ორთა,
ღ̃ისმეტყუჹლურად აღმოაჩინებს იმათ,
ხოლო სხუათაცა საღმრთოთა საიდუმლოთ
ეგ სახედ მათსა ჰყოფს აღმოჩინებასა
ტილოსოტჰოსებრ ყოველად დაურუჹველად.
რაცა საჭიროდ თანა-გუაძს ქრისტეანეთ,
რაისაც მიეჰსჱუთ, არარა დაუტევე
დაუდგებელად კატეხიზმოსსა შინა:
თეორეტიკა ანუ სპრაკტიკი
ღ̃ისმეტყუჹლება, ამისთჳს ვჰშუ̃რ უც[ე]ბ[მა]ნ" 1r-v.

ბ. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ანტონის მიერ არბიელიპაპოსისა ზემოჲსა საქართველოჲსა დავითიან-ბაგრატოვანისა წიგნი კათ ე ხ ი ს, მოს, რომელ არს მოწოდება თჳსთა მოწაფეთა ქეშმარიტებითა სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღმოჩინებითა ღ ირსმეტყველებითა და ტილოსოტოსობითითა იპყრობს თჳს შორის კითხუა-მიგებითად დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა, მეფისა ყოველისა საქართველოჲსასა, და მამათმთავრობისა თჳსისასა ყოველთა ქართველთა ზედა, წელსა დასაბ[ა]ითგან სოფლისა 7275, განჴორციელებითგან სიტყჳსა ღ ისა 1767, თთუესა მეხუთესა, რიცხუსა 20, აღიწერა ტ რ ი ფ ი ლ ე ს ჯ ან დიაკონ-მონახ ო ნ ი ს ა“ 2r—3r.

2. ერთჳნი — **ბ.** „პინაქს-სიტყჳაობა ჩ[ნ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზმისისა, რომელისა შორის სიმჴოლიონ აღიჰსნების 123 კითხუა-მიგებათა შინა ქართულსა ალტაიტასა ზედა“ 151r—170r.

ბ. ლექსი: „ი რ ა ჯ ლ ი ბრძენმან, მეორე ქართველთ მზემან,
გონება-დღემან, უმეცართგანმა დღემან,
სიბრძნით სავსემან, უხადოს ნათლის ძემან,
სატრფოსა მეტრფემან, ზენაისად აღმზ ემან,
გონება-ქველმან ინათლისმთჳნ ქუე მან“ 170v.

გ. ლექსი: „უნეტარესმან, უბრყჳლომან ნათელმან,
პირველის ნათლის უხადოისა მჴვეველმან,
თჳთ მცნიერისა მზებრ შარავანდთ მთოველმან
ა ნ ტ ო ნ ი, ბრძენმან ტილოსოტოსმან, მჴსენელმან,
მჴვევრსიტყუა ბრძნულად ლექს შვენიერთა მთხზველმან...“ 170v.

ანდერძი: „აღუწერე ესე, ყოვლითურთ შეჳასრულე ტრიტილე ბერმან, დიაკონ-მონახ ო ნ ი ს ა, კათოლიკოსის ანტონის მონად მყოფმან. მკითხულთ გაფიცებ საღმრთოსა ამის წიგნისა (!), ნუ დაკლებულ მყოფთ შენდობით მოჴსენებად“ 170r.

მინაწერი: 2r, 2v, 3v, 171r—174v.

572

შემოკლებული სალმრთო ისტორია. 1852

39 ფ.; 21×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1852 წ. 18. III (38v). დაწერილია: 1r—3v, 39r-v; შემოწირულია სირა მიზეილის ას. ჰიპინაძის მიერ 1939 წელს.

„შემოკლებული სამღუთო ისტორია. — კ ი თ ხ ჳ ა: რაჲ არს სამღთო ისტორია? მ ი გ ე ბ ა: სამღთო ისტორია არს აღწერა უწარჩინებულესთა მოსწავლეთაჲსა მყოფთა ეკკლესიასა შინა ღუთისასა დაბადებიდგან სოფლისა აქამომდე...“ 4r—38v.

ანდერძი: „შემოკლებული საღმთო ისტორია ესე, მპყრობელი თჳს შორის მრავალთა და უმრავლესთა სასარგებლოთა სწავლათა და კეთილმსახურებითთა ცხოვრებათა, გადმოვსთარგმნე რუსულისაგან ქართულს ენაზედ მენგრელიის სასულიერო სასწავლებლის სმოტრიტელმა ივან იაკობის ძემ ჰიპინაძემ სასარგებლოდ ჩჩილთა ყრმათა, მსურველთა გონებისა განათლებისათა, 1852-რო წ. 18-ს მარტს“ 38v.

მინაწერი: „ძღენათ სჯ. სახ. მუზეუმს, სირა ჰიპინაძე. 15.IX.39. თბილისი“. 29v.

573

კრებული. 1840

26 ფ.; 32×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული (ამოკრილია 1 ფ-ი 22 და-23 ფ. ფ. შუა, ხოლო ბოლოდან — ნაწ.), მხედრული (სათაურები სინგურით); 1840 წ. (2v, 5v, 21r); გადამწერი—მღვდ. სოლომონ ოქრიევი (21r); ადგილი—ბიჩანახი (21r); დაუწერელია: 1r, 2r, 22v;—23v.; შეძენილია თამარ ანდღულაძისაგან 1939 წელს.

1. „ქ. კარი პირველი ლეილ-მიჯნუნისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნილი მეფის თეიმურაზისაგან, სასმენელად საამო ყოველთა წიგნთასა. —

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნით ხარ სიბრძნის გამომცემულობით..“ 3r—21r.

2. „ამბათ(!)ქება ცხრა შაირად ნათქვამი. —

1. ანა, აჰა დრო და ჟამი ჩემზედ მოდგა დასამხობლად,
ბანა, ბედი გამიშხამდა, ამად ვიქმენ ლახვარ მსობლად..“ 21r-v.

3. «ბარათაშვილი მ:ათე»

„ქ. ნუ ეძიებთ ჩემსა წელსა, ვერ მიხვდებით ანგარიშსა,
კნიაზ მათევს მეძახიან მათუსალას ძმას და შვილსა...“
24r—25r.

შენიშვნა: განსამარტავად „კნიაზ“-ისა ზედა კიდეზე მიწერილია სხვა ხელით: „თუ იკითხოთ ესე კნიაზი, იყო ბარათაშვილი გადმოყოლერი (!) მეფის ვახტანგისა“ (24r).

4. [კრილოვი] — „მგლისა და კრავისათჳს. —

კრავსა ერთსა მოეწყურა და მიმართა წყლის კიდესა...“ 25r-v.

5. „მოძღვრისა და მოწაფისათჳს. —

ერთსა ვისმე მოხუცს პატრსა პარასკევსა დიდმარხვისას
მოუვიდა მოწაფე და თაყვანის-ჰსცა ვით ხატს ღუთისასა... 26r-v.

შენიშვნა: ბოლოში სხვა ხელით—„დაიწერა მოსკოვსა შინა ჩყმზ წელსა მარტსა“.

ანდერძები: 1. „სახსოვრად ჩემდა დაწერილ არს წიგნი ესე ლეილ-მაჯნუნიანი ჩყმ-ს წელს, დეკემბრის ა-სა დღესა, ვინც წაიკითხოთ, მომიგონებდით.

თვალო, ხედვიდე წერილსა, რომელიც ქვევით სწერია,
თავად არს ლეილიანი, მერმე მაჯნუნი სწერია,
სოლომონ მღუდელსა ეკუთნის, გვარი ქევითა სწერია
ოქრიაშვილი, შემდეგა არვის ეკუთნის სწერია,
ძეთა, ძის ძეთა, ასულთა ეკუთნის უკუნისამდე,
ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ძე მ̃ღის უკუნისამდე; ამინ“. 2v.

2. „ვიწყე ამა მაჯნუნისა და ლეილის წერა 1840-სა წელსა ნოემბრის 10-სა დღესა და სრულ ვყავ ამავე 1840-ს წელსა და ამავე ნო[ე]მბრის 30-სა დღესა, მე, მღუდელმა სოლომან დიმიტრის ძემ ოქრიევმა, ბიჩანახში“ 21r.

3. „მუნ ვერა ვპოვე სათქმელი, აწ მომიძღვა ქვენამა,
გული მიუძღვნა კეკლუცთა, ვინებე, ვარდი მენამა..“ 21v—22r.

მინაწერი ფანჯრით: „1918 წელს ენვერისთვის სვეტიცხოვლობის წინ მტკვარი მოვარდა საშინელი, სქელი, ლაფიანი, თევზები მრავალი მოჰქონდა დარეტიანებული და ყველანი ხელით იჭერდნენ, დიდი და პატარა, ამობენ(!)ყავთისსევი გამოვარდაო. რამდენიმე საათია განმავლობაში მცხეთაში ორი ათას ფუთამდინ დაიჭირეს“. 1v.

574

ჯანაშვილი. მ. — აწყურის სვინაქსარი და მისი მინაწერები. 1928

55 ფ.; 17,5×21; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული ქაღალდის ყდა; მხედრული; აეტოგრაფი; ადგილი—ტფილისი (1r); 1928 წ. (1r); დაუწერელია ყველა ფურცლის v.; შემოწირულია მ. ჯანაშვილის მიერ.

„გვ. 1. ლამაზი ნუსხურით — ქ. ამა წიგნისა მეორედ მკაზმავსა ფრიად ცოდვილსა ბასილა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ...“ 17r—55r.

შენიშვნა: უძღვის — 1. თავფურცელი: „აწყურის სვინაქსარი და მისი მინაწერები, ტფილისი, 1928. მ. ჯანაშვილი“ 1r.

2. მ. ჯანაშვილის ნარკვევი ამ ძეგლის შესახებ სიგელ-გუჯრებში მოხსენებულ პირთა სიითა და ათაბაგების შესახებ ცნობებით (2r—16r).

575

სამართლის წიგნები. 1710

252 ფ.; 28,4×19,3; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა (ნაწილად მოცილებული); ნაკლული; მხედრული (სხვადასხვა ხელი. სათაურები სინგურით); 1710 წ. (37v).; დაუწერელია: 38r. 49v, 103v, 195v.; შეძენილია შ. ბუსკოვაძისაგან 1939 წელს.

1. „მცნება ღთისაგან სამართალი მოსესი. — ქ. თავ უყავ-მამასა შენსა და ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რათა კეთილი გეყოს შენ ქუეყანასა ზედა...“ 41r—49r.

2. [სამართალი ბერძნისა] — „ქ. ლეონ ბრძნისა და კოსტანტინესი და სხვათა მეფეთა მიერ მართლმადიდებელთაგან თქმული და განწესებაჲ სჯულის კანონი მეფეთა და სამართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვჰყოთცა. — ქ. რომ მოჰბედეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა...“ 50r—103r.

3. «[სამართალი] სომხისა» — „ქ. ესე წიგნი არს დიდისა სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გარდმოთარგნული და ეწოდების სახელად წიგნი სამართლისა...“ 104r—185v.

4. «სამართალი კათალიკოზისა» — „ქ. სახელითა ღთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველსა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზ-მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შემოვკრიბენით ყოველნი ეფისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 186r—188r.

5. „მეფის გიორგისა. ქ. ძეგლის დადება მეფეთ-მეფისა გიორგის მიერ. — ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავსდევით ძეგლი, განაჩენი ესე...“ 189r—195r.

6. «სამართალი აღბუღისი» — „ქ. შევიყარენით ჭოლთა მინდობილნი ღთისანი და აწყუერისა ღთის მშობლისანი და გაქცევისა. — დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთუხუცესის ბეჭას განაჩენი და იგი აგრეც სრულობით და უკლებლად დავსწერეთ...“ 196r—212v.

7. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“...სთ მით სჯიდეთ და სამართალს იქმოდეთ. აწ ვიწყოთ განაჩენისა ამის ჩვენ მიერ აღწერილისა-

თვინ, რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურავინ ჰგონებთ თჳთ მხოლოდ თავით თვისით რასამე ეყოფდეთ...“ 212r—252r.

შენიშვნა: 1. სამართალი თავნაკლულია; ცნობილი დასაწყისი: „მყოფისა უმყოფისა“ და სხვა აკლია, **დაახლოებით** $1^1/_2$ გვერდი.

2. ფუძეები: ა [ვატანგ VI-ის წინასიტყვაობა სამართლის წიგნთა კრებულისათვის]. „დასაბამითგანვე დამბადებელმან საფუძველთა ქუეყანისათამან და დამჭუხულმან ცათამან, უფსკრულთა გამომკუღველმან და სიცრცეთა სიფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არა-არსთა არსებად მომყუნებელმან...“ 39r—40v.

ბ. საგნობრივი სძიებელი (1r—8v); **გ.** კამარებში მოთავსებული „სიმფონია“ სამართლის წიგნთა კანონებისა (9r—37r).

3. 37v ქვემო კიდეზე სძიებლის ტექსტის ხელით სწერია: „კ̃ჳს ტჳ̃“.

4. ხელნაწერში მინაწერის მიხედვით (**252v**), უნდა ყოფილიყო **255** ფურცელი, ამჟამად კი არის 252 ფ., მაშასადამე, დანაკლისი **3** ფურცელია. აქედან 2 ფ. აკლია სძიებელს **25—26** ფფ. შუა (ამოჭდუჯილია), ხოლო 1 ფ. „ვახტანგ ბატონიშვილის ნაბძანებ წინასიტყვაობას“ 212—213 შუა.

5. ყველა ფურცლის r-ს ზედა აშიაზე ტექსტის ხელით მიწერილია: „ჯორჯიუმც არის განცებელობა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა“.

6. მთხუთბის **რმო, როც, რაე** და **რჟე**-ის ტექსტი არ მოიპოვება, მარტო სათაურებია აღნიშნული სინგურით.

მინაწერები: 1. ვახტანგის ხელით ბერძნული სამართლის **ოე** თუხლისათვის, რომელიც წერებულა და მერმე გადაუხაზავთ და გადაუწლიათ, გაკეთებულია შენიშვნა სქოლიოში: „ის ვინც აჳ ეს ამოუწლია, აჳათ უქნია. ასე სწერია ლათინელთათვის. მსგავსადვე ამისა ლათინელთა წესსა და რიგსა და მართლმადიდებელნი ქრისტეანენი ნუ დაემსახლებიან ლათინელთა, თუარა განეშორნენ უსჯულოვებათა, რამეთუ რომელნიმე სიტყვასა ამას არა ირწუნებენ და ერთეი არა ყოფენ და არა განეშორებიან ლათინელთან, მღდელმთავართა მიერ შეიჩენენ და მეფეთაგან ტანჯოს“ 63v—64r.

2. „ქ. ადიდნეს, ღმერთო, ბ ა ტ ო ნ ი შ ჳ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ“ 188v.

3. „ქ. ხმიწიფისაგან რომ მამებარა მე, ქ ი რ ჳ ყ ი ფ ი ნ ა ს, ამის მოწამე თ ე ო დ ო რ ე მ ღ დ ე ლ ი“ 252v.

576

ანდრია სალოსის ცხოვრება. 1824

72 ფ.; 29,4×20,5; ქაღალდი (ლურჯი); უყდო; დაწლილი; მხედრული; 1824 (72v); შეძენილია მ. ლორთქიფანიძისაგან.

[ნიკიფორე ხუცესი] — ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთჳს, გვაკურთხენ მამაო! — ძმანო ჩემო საყვარელნო და მამანო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილ, ვითარცა თაფლი...“ 1r—72r.

შენიშვნა: ერთვის — 1. „ტროპარი ანდრია სალოსისა, ხმა ა. 72r. 2. „კონდაკი ანდრიასი, ხმა დ“ 72v.

მინაწერი: „აღიწერა წიგნი ესე თვესა ივნისსა მეხუთესა დღესა, წელსა ჩყკდ [1824]. 72v.

577

იოანე ბაგრატიონი—კალმასობა. XIX

9ფ.; 33×21; ქაღალდი; ფრაგმენტი; უყდო; დაწლილი ფურცლებად; თავ-ბოლო-ნაკლული; მხედრული; ავტოგრაფი; XIX ს. (ჰეერნიშანი: 1815). შეძენილია ეკ. აბაშიძისაგან 1939 წელს.

[კალმასობა] — ა. „მიმოვრა მეექვსისა უღელილებისა ზმნათა ვნებითთა, რომელნიცა სრულსა დროსა შინა განიკიდურებენ ე და მყოობადსა შინა— ო, მაგ.: საზღვრებითისა სქესისა აწმყოჲ.

მხ. ვიწერები, იწერები, იწერება,
მრ. ვიწერებით, იწერებით, იწერებიან...“ 1r—6v.

ბ. კითხვა-მოგების სახით იონა, ლეონ და მამუკას შორის ბაასი, „კაცის ნების“ შესახებ...“ 7r—9r.

შენიშვნა: უმჩნევია ცენზორის ხელი.

578

მ. ჯანაშვილი—აღწერილობა S ფონდის ხელნაწერთა. XX

ა.

წიგნი I

325ფ.; 21,6×16,3; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი; ადგილი—თბილისი; XX ს.; შემოწირულია ავტორის მიერ.

„1. წუობილ-სიტყვაობა (18×11 სანტ.) სულ 214 კაბადონი (თაყაიშვილის აღწერილობაში შეცდომით ნაჩვენებია 220 გვ.)...“ 1r—325r.

შენიშვნა: 1 სატავი ფ-ის r-ზე მ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წარწერაა: „მ. გ. ჯანაშვილი. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. წ. 1, №№ 1—384, ტფილისი, 1939“.

ბ.

წიგნი II

305 ფ.; 21.8×16; ქღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი; ადგილი—თბილისი; XIX ს.; შემოწირულია ავტორის მიერ.

„385. მხედრული ხელით დაწერილი წიგნი (34×22) სულ გვ. 1033, ბოლოში რაოდენიმე ფურცელი ჩრჩილს დაუზიანებია, შრომა ეკუთვნის ლევან ბაქარის ძეს, ხოლო გადაწერა მელქისედეკის (!) კავკასიძეს...“ 1r—305r.

შენიშვნა: სატავი ფ-ის r-ზე გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წარწერაა: „მ. გ. ჯანაშვილი. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. წ. II; №№ 385—1648, ტფილისი, 1939 წ.“.

გ.

წიგნი III

378 ფ.; 21,3×16,5; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა: მხედრული; ავტოგრაფი; XX ს.; შემოწირულია ავტორის მიერ.

„1649, აღ. ორბელიანის ნაწერები კალმით და ფანქრით. ა. მეფე ერეკლეს ამბები, მისი პატარა ჯიბის ბოხჩა და მისთანა...“ 1r—378r.

შენიშვნა: 1. სატავი ფ-ის r-ზე გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წარწერაა — „მ. გ. ჯანაშვილი. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა წ. III, №№ 1649—5334; ტფილისი, 1939 წ.“.

579

მ. ჯანაშვილი—A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა. 1925

360 ფ.; 21,8×17; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი; ადგილი—თბილისი; 1925 წ.; შემოწირულია ავტორის მიერ.

[მ. ჯანაშვილი, A ფონდის აღწერილობა] — „1041. ლამაზი ნუსხურით ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მარიამ ეგვპტელისა, აღწერილი სოფრონის მიერ იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისა. წიგნში 54 გვ....“ 3r—360r.

შენიშვნა: უძღვის — 1. თავფურცელი: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობა, ნაკეთი IV, № 1041-დან № 1640-

მდე, აღწერილი მ. გ. ჯანაშვილის მიერ 19[25]. ტფილისი" 1r; 2. „წინამდებარე ნაკვეთით დასრულდა სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობა. უკანასკნელ მე-IV ნაკვეთს დართული აქვს საკმაოდ ვრცელი მაჩვენებელი ხელნაწერთა და საკუთარ სახელებისა, მ. ჯანაშვილი" 2r; 3. გ. ჯაკობის ხელით: „მ. ჯანაშვილი ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდის (A) ხელნაწერთა აღწერილობა (ავტოგრაფი) №№ 1041—1640, ტფილისი, 1939" 1 საცვ ფ.-ის r.

ერთვის: „მაჩვენებელი თხზულებათა და საკუთარი სახელებისა 328r—360r.

580

იერუსალიმის განჩინება

(პარიზული ლექციონარის ფოტოპირი გამოკრებით, მიღებულია პროფ. გუსენისგან).

გადატანილია ფოტოპირებში.

581

მ. ფხალაძე. ქართული ლექსთა წყობისათვის.

გადატანილია საარქივო დოკუმენტებში (სხვადასხვა). **(№ 48)**

582

კასტელი — „საქართველოს სიძველენი" (პირი). 1905

(ალბომი)

38 ფ.: 30,5×27; ჭაღალდი (სქელი-ფოტოსი); კილენკოროგადაკრული მუყაოს მკვრივი ყდა; მთელდრული; 1905 წ. (1r) ადგილი — რომი (1r); შეძენილია ნესტორ ციფრიძისაგან 1940 წელს.

[კასტელი]. „Antiquites de la Georgie" 2r—38v.

შენიშვნა: 1. ალბომის ფოტოპირებს ახლავს წარწერები მ. თამარაშვილისა.

2. ალბომს უძღვის „შენიშვნა: ავტორი აქ მოკლებული სურათებისა არის პატრი. ქრისტოფორე კასტელი თვითნელი მონაზონი, საქართველოს მისიონერი. ეს ევროპიდან მოვიდა გორში 1632 წ. იქიდამ წავიდა გურიაში 1634 წ., ხოლო გურიიდან სამეგრელოში გადავიდა 1640 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრემ სამეგრელოდამ მი[ი]წვია ქუთაისს[ი] 1646 წ., გარნა დადიანის თხოვნით ისევ უკან გაბრუნდა სამეგრელოში 1649 წ. საქართველოში ამან დაჰყო 26 წელიწადი. ქართული კარგად შეისწავლა და სხვათა შორის დასწერა ორი წიგნი: ერთი „განზრახვა ქრისტეს ვნებისათვის", მოუძღვნა მალაქია კათალიკოსს, ხოლო მეორე წიგნი „სიტურფე საღვთო სიყვარულისა" გაუგზავნა თავის მიერ გაკათოლიკებულს ელენე ათაბეგის ასულს, სპარსეთის დედოფალს.

ამან საქართველოს დიდი ამაგი გაუწია ბევრნაირად თავისი განწირული შრომითა და იყო მეტად შესანიშნავი მხატვარი. ალექსანდრე იმერეთის მეფეს, თავის სურათის გარდა, დაუხატა წმიდანების ხატებანიც. ყველა აქ მოყვანილი სურათები მან საქართველოშიედ დიდის ხელოვნებით დახატა იმ დროს, როცა თვალით ბედავდა სურათებში წარმოდგენილს პირებს და საგნებს, გარნა ყველა მისმა ძვირფას ნახატმა საქართველოს შესახებ ჩვენამდინ ვერ მოაწია, ვინაიდგან თვითეე ერთ ადგილს ამბობს რომიდან პალერმოში დაბრუნების დროს ზღვაში ღელვის გამო დავკარგე ერთი წიგნი, რომელშიც ბევრი მშვენიერი სურათი მქონდაო. დანარჩენი მისი ნახატი დღეს მოკლებულია ოთ დიდ წიგნში, რომლებიც ინახებიან პალერმოს სამოქალაქო ბიბლიოთეკაში სიცილიას. სამწუხაროდ არც ამ წიგნებში დაცულ სურათებმა სისრულით მოაწიეს ჩვენამდინ, რადგან შეინიშნეთ, რომ რამდენიმე საუკეთესო სურათი ამოუჭრიათ წიგნებიდამ და ესრე სამუდამოდ დაკარგულა ჩვენთვის. ამ დანარჩენი

სურათების ერთი ნაწილიც მალე დაიღუპებოდა საქართველოსთვის, უკეთუ ესლა არ მიგვესწრო და არ გადაგვეღო ეს სურათები, რადგან ქაღალდი ძლიერ დაძველებულა და ახლა ხელის შეხების დროს ფურცლები იხეკა, რის გამო იძულებული გავხდით და ბევრს ადგილს დავაწებეთ ფურცლები.

ყველა სურათს თავის შესაფერი მოკლე წარწერა აქვს. ჩვენ, რაც შეგვეძლო, ვეცადეთ, ყველა წარწერა სისრულით გარდმოგვეღო, ხოლო იძულებული გავხდით ზოგიერთი, გამოგვეტოვა, რომლების ამოკითხვა შეუძლებელი გაგვიხდა.

აქ მოყვანილ წარწერებს ზოგიერთი შენიშვნა ჩვენ მივუმატეთ სხვა წერილებიდამ, რომლებიც ხელში გვაქვს. ეს ყველა მხატრობა არის კალმით მოხაზული, რაც აძნელებდა მათ სისრულით გადმოღებას, ამისთვის ჩვენ ბევრი ვიშრომეთ და, ორგზის სიჩინაში მგზავრობის გარდა, დიდი ხარჯიც თავზედ ავიღეთ, რადგან საჭირო გახდა კარგად გადმოღებისათვის ყველაზე საუკეთესო ფოტოგრაფისტი მიგვეწვია და ბევრი გვეშრომა, გარნა ყველა დიდის სიამოვნებით ვიტკივრეთ, რათა საქართველოსთვის შეგვეძინა ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა. მღვდელი მიხეილ თამარათი 1905, რომი" 1r.

მინაწერი: „საკუთრება კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა" 1 საცავ ფ-ის v.

583

საკითხავ-საგალობლები საუფლო დღესასწაულზე. XIX

266 ფ.; 21×16,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავ-ბოლოსკულული; მხედრული: XIX ს. დაუწერელია: 25v, 60v, 85v, 115v, 126v, 149r-v, 153v, 157v, 238r—266v.; შეძენილია მოქ. ნესტორ წიფწიფაძისაგან 1940 წელს.

„(ბ. გიორგობის თვისას). ქამის ლოცვა ყოველთა მორწმუნე მიცვალებულთა. პირველი სახუმილავი, ო. მამაო ჩვენო... და სხვა. 2 მეუფესა, რომლისაგან ყოველნი ცხოველ არიან, მოვედით თაყვანი-ვსცეთ მეუფესა..." 1r—237v.

წყდება: „... და სული წმიდის სძალი ფრიად საწადელი წარღვნ"...

შენიშვნა: სამღვდელმსახურო ეს წიგნი კათოლიკური რიგისაა, ალაგ-ალაგ ტექსტი ლათინურ ენაზეა ნაწერი ქართული ასოებით.

მინაწერი: არის პირველი საცავი ფ.-ის v.

584

ანტონ I—კატოლორიათა შეყვანილება. 1769

153ფ.; 18×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დახიანებული (ბოლო ფურცლის ნაწევარი მოგლეჯილია); მხედრული (სათაურები სინგურით); დამკვეთი — ეროკლე II (თავფურცელი); გადამწერი—მიხაილი (153r); 1769 (153r): დაუწერელია: 1v, 122v.; შეძენილია მოქ. იგორ ნიკოლავასაგან 1939 წელს.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიანისა, კატოლორიათა არისტოტელითთად შეყუანილებაჲ. § 1. საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე ქმნილთა ცნობად, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი მით, რომელ უკეთუ არა მეცნაე იქნებიანმცა..." 2r—122r.

შენიშვნა: 1. უძღვის — „აჰა მშვინუ̈ლი ჰსძღს ნაცუნად ცხოველისა,
ხოლო ცხოველი ადგიდ მოზარდისაცა,
ესფერ გვითარგმნეს ჩ̃ნთა ღრამატიკოსთა,
ვინაცა ვბაძე ჩ̃ნთა წმიდათა თარგმანთ
ზემოწერილთა სახელთა ქმუნულ ყოფა,
ამისთჳს ნუ ვინ უმეცართად მიგუაწეროს,

ვიცით მშვინჳლი მშვინჳერი არს პსიზი,
ხოლო ცხოველი კაცისა ნათესავი.
იქმნა ჩ~ნ მ~რ ცნობაჲ ესე დროსა
ი რ ა კ ლ ი ბრძნისა, მეორედ წოდებულის,
მეფისა, ძისა, ჩემისა სატრფოჲსა,
ბრძანებითავე მისისა სიმაღლისაჲ,
დადებად ესე ჩ~ნთა წიგნთა საცავსა". 1r.

2. ერთვის: „პინაქს-სიტყუაობაჲ ჩუ~ნ მიერთა შეყუანილებათა კატიღორიათა სიმეტნეთა და რომელთამე ჰსჯულთა ჩუ~ნ მიერ ქართულსა ალფავიტასა ზედა..." 123r—152v.

ანდერძი: „სრულ იქმნა წიგ(ნი] 1769. 8.10, იყავნ სადიდებელად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, მ ი ხ ა ი ლ ი" 153r.

585

ბაუმეისტერი—ლოგიკა. 1783

168 ფ.; 17,7×10,3; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფურული ბის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1783 წ. (163r); გადამწერი: მიხაილ (163r); დაუწერელია: 17v, 19v, 99v, 163v—168v.; შეძენილია მოჯ. იგორ ნიკოლავასაგან 1939 წელს.

„თავი პირუ~ლი. წინასიტყუა ფილოსოფიისთჳს და ნაწილთა მისთა. § 1.—ვინაჲთგან აწ შრომა ჩ~ნი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვკარგენითმცა, ვინა პ~ლ განმარტებისა განვჰსჯით საკმარად, მოკლედ წინადდებაჲ, რაჲსაცა გულისხმა ეჰყოფთ ფილოსოფიისა მიერ..." 20r—162v.

შენიშვნა: უძღვის.—1. თავფურცელი: „ფ რ ი დ ე რ ი კ ო ს ხ რ ი ს ტ ი ა ნ ო ს ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი ს ა, გორლიციორის ღიმნაზიისა რექტორისა დასაბამი ფილოსოფიის ახლისა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა..." 1r-v (შდრ. H—793).

2. „წინასიტყუაობა ანტონის მიერ არზიეპისკოპოსისა ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა. — აღნამჭსა ვიდრემე გონებისასა ვერ სადამე მიჰჴდი სიბრძნესა მით, რამეთუ წოდებულ ჰყოფენ მას ფილოსოფოსნი მეფად ანუ უფლად სხუათა ძალთა გონებისათა, ეთიკა § 137..." 2r—17r (იხ. H—793).

3. „პინაქსი ლოღიკისა..." 18r—19r.

586

საეტლო წიგნი. 1822

173 ფ.; 17,5×10,3; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტიფურული ბის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1822. V. 12 (170r); დაუწერელია: 18r-v. 152v.

[საეტლო წიგნი]—„ქ. პირველი დასაწყისი ფილოსოფოსთაგან გამოკრებული მათემათიკა, თუ კაცი, რომელსა ეტლსა ზედა იშუების. — წიდა იობ ბძანებს, რომ ყოელის კაცის ჴელზედ შეეტყობის თვით ყოფადნი საქმენი, რასაცა იქმს. ესე წმინდის იობისაგან თქმული ფილოსოფოსთაგან გამოცხადებულია ესე მეცნიერება, რომელიცა ლათინურის ენისაგან კ ი რ ო ნ მ ა ც ი ა ად იწოდება..." 1r—171v.

შენიშვნა: ერთვის — „ზანდუკი ამ წიგნისა" 172r—173v.

587

ხელაია ამბროსი. ბედიის ტაძარი. XX

53 ფ.; 35,5×11; ქაღალდი; უყდო: ბოლონაკლული; დაზიანებული (52 ფ-ის მცირე ნაწილია დარჩენილი); ავტოგრაფი: XX ს.; შემოწირულია დავით კასრაძისაგან 1940 წელს.

„ბედიის ტაძარი. ბედიის ტაძარი აშენებულია ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელზე მეათე საუკუნის მიწურულში მეფე ბაგრატ მესამის მიერ...“ 1r—52r.

წყობა: „...ხალხი, რომელიც უარყოფს ისტორიულ გზას, არ იხელმძღვანელებს ისტორიულის გამოცდილებით, სწყვეტს მასთან კავშირს, ძნელად შეიძლებს ...დეს კულტურულად განვითარებას“.

მინაწერი: სხვა ხელით: „ავტორი: ამბროსი ხელაია, შემომწირველი—დავ[ით] კასრაძე. გ. ჯაკობია. 28. IX, 40“ 53r.

588

კარაბადინი. XIX—XX

621 ფ.; 22,3×17,6; ქაღალდი; უყდო; ტილოგადაკრულ მუყაოს ბუდეში; მხედრული; გადაწერი—ს. ცოტაძე (1r, 15v..); XIX—XX სს.; დაუწერელია: 66v—68v. 104v—105v, 311v—312v, 327v—328v, 352r-v. 600v—601v; შეძენილია ალ. ცოტაძისაგან 1940 წელს.

[კარაბადინი]. — „მალამოებით წამლობა დაჭრილთათვის ხლმითა, ტყვითა ან დარტყმითა, აგრეთვე მუწუკებისათვის, იარისათვის და სიმსივნისათვის ...“ 1r—620r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მოთავსებულია სხვადასხვა დროსა და ადგილს ს. ცოტაძისაგან სხვადასხვა ხელნაწერისა და ნაბეჭდი სამკურნალო წიგნებიდან გამოკრებილი მასალა.

2. ტექსტი შეიცავს 27 რეცეპტს და თითოეულ მათგანს ერთვის ავადმყოფობათა სია.

ანდერძი: „1ნ მარტსა 1920 წელსა, სამკურნალო კარაბადინი. მე, ქემი სვიმონ დავითის ძე ცოტაძემ, ქალ. თბილისში მცოკრებმან, პირი ამ სამკურალო კარაბადინისა ვპოე, რომელიც იყო ნაღვაწლი და ნაჩუქარი საქართველოს ხალხთათვის დაუთ ხანისაგან თავისი ასულის მოსახსენებლათ. მეცა გავწიე ესე შრომა და ამაგი. ამისთვის გადავსწერე მისგან პირი და რიგზედ მოვწყვეი და ვიშრომე ეს კარაბადინი მისთვის, რომ მოიხმაროს და ამითი კეთილი საქმე მოიქმედოს, მადლი, რომელიც შეწუხებული ავანტყოფი აღადგინოს და უშველოს. მაშინ ფუნ დაუთ ხანს შრომის გამოწვესა და მერე მეცა, სიმონ დავითის ძე ცოტაძეს მადლობა“. 405r.

მინაწერი: 1. „ეს წერილი გადმოწერით შევიძინე სურამში 1882 წელსა, აგვისტოს 23-სა, მიეცეცა სასყიდელი 5 მანათი. სიმონ დავითის ძე ცოტაძე“ 15v.

მსგავსი მინაწერები მოიპოვება კიდევ: 31v, 52r, 88v, 104r, 133r, 151r, 191v, 219r, 235r, 259r, 287r, 303r, 311r, 313r, 351v, 376r, 404r, 440r, 472r, 509r, 581v, 600r, 602r, 621r.

589

ცოტაძე ს. დ. — ქართული მკურნალობა. XX

29 ფ.; 27.17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შეძენილია ალ. ცოტაძისაგან 1940 წელს.

1. „სიმონ დავითის ძე ცოტაძე, განცხადება სრულიად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს“ მალარიით დაავადებულთა განკურნების შესახებ. 1r—4r.

2. მისივე, „ქართული მკურნალობის ისტორიიდან. — ქართველ ერმა მკურნალობის მნიშვნელობა უძველეს დროიდან შეიგნო, როგორც სჩანს, ამის ისტორიული ცნობებიც არის...“ 5r—14v.

3. მისივე, „ქართლის მკურნალობით განსწავლულთ ექიმებთა დიპლომის ამბავი. — 1923 წ. მე დავბეჭდე წიგნი, სახელდობრ ქართული მკურნალობის ისტორიიდან...“ 15r—25v.

4. „სიმონ დავითის ძე ცოტაძე. — ქართული ენა, ერთის ძველის ბრძენ ქართველის სიტყვით, დამარხულ არს დღემდე...“ 26r—29r.

590

კრებული. XIX

82 ფ.; 21,6×17,3; უყდრო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; XIX ს.; შეძენილია ალ. ცოტაძისაგან 1940 წელს.

1. [იოანე ოქროპირი] „თქმულისა მისგან მ[კ]დრთა აღდგომისა. — რამეთუ ვითარცა ბრძოლასა შინა, რომელთა ენების პატივისა მოღებად, ახოვნად უხმს შესლვად წყობასა მას...“ 1r—9r.

შენიშვნა: 1. წიგნი თავნაკლულია; ამ საკითხვის წინა სტატიიდან დარჩენილია მხოლოდ: „შევიწყნარეთ ჴელისაგან უფლისა, ბოროტი არა შევიწყნარეთ მადლობით“.

2. „თქმული მისივე სინანულისათვის და სათნოებათა, მონებისათვის და ვნებათა განდევნისა. — მოვედით მორწმუნენო, და ისმინეთ სიტყვაჲ სინანულისა, რამეთუ ამისთვის ზედასზედა ვიტყვი სინანულისათვის...“ 9r—19r.

3. „მისივე სწავლა სიყუარულისათვის. — არარა არს სათნოებათა შორის უფროს სიყუარულისა, რამეთუ თავდასაცა მეუფ[ე]სა და ღმერთსა ყოველთასა სიყუარულ ეწოდების...“ 19r—26r.

4. „თქმული წ[მ]ისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, რათა ვეღტოდით ცოდვისაგან. — არიან ვინმე ბოროტნი და უგუნურებითა სავსენი, რომელნი იტყვიან არა ყოფადი სატანჯველთა, არამედ ნუმცა ვინ თქუენგანი, ჶ მორწმუნენო ღ[მ]ისანო, მიუპყრობთ ყურთა თქუენთა...“ 26r—34v.

5. „თქმული მისივე საუკუნოსა სასჯელისათვის. — მრავალნი იტყვიან, რომელნი-იგი მონანი არიან ჴორცთანი და მწარისა ამის საწუთროსანი, ვითარმედ სახიერ არს ღმერთი...“ 34v—45r.

6. [სიწმიდისა და სინანულისათვის] — „რომელნი ესე დავიბადენით ხატად და მსგავსად ღმრთისა, რ[ა] არს საქმე ესე, რამეთუ მხეცთა და პირუტყუთა მსგავს ვიქმნენით...“ 45r—52v.

7. [მეორედ მოსლვისათვის] — „მრავალთა საქმეთა გამოძიებს გონება ჩ[ე]ნი, საყუარელნო, ცნობად, ხოლო უფროს ყოვლისა აღსასრულისასა ეძიებენ მრავალნი, თუ ოდესმე იყოს, იყოსო მეორედ მოსლვაჲ...“ 52v—65r.

8. [ლოცვისათვის] — „დიდ არს ნიჭი ლოცვისა და დიდნი კეთილნი მოგუმცემან მხურვალითა, და წმინდითა აღვასრულებდეთ მას და გინა თუ მოგვეცეს სათხოველი იგი, გინა თუ არა მდაბლით შევიწყნარებდეთ მრავალ გზის...“ 65r—70v.

9. [მარხვისათვის] — „დიდი სამკაული არს სულისა წ̃ა მარხუა, ამისთვისცა წ̃ა მამათა ვითარცა თანა-მეუღლე ცხორებისა მათისა აქუნდა იგი და ესრეთ ანგელოზ იქმნეს...“ 70v—73r.

შენიშვნა: ერთვის დარიგებანი ქრისტიანული მოძღვრების სხვადასხვა საკითხებზე (73r—82r). წყდება: „...ესოდენსა შემკობასა ჯორცთასა ვყოფთ“...

591

იბაკონი და იაკსნი ღვთისმშობლისანი. XIX

71 ფ.; 7,5×4,8; ქაღალდი (ლურჯი): ტყავგადაკრული ტეიფრული ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით): [XIX ს.]; დაუწერელია: 68v—69v, 71v.

„იბაკონი და იაკსნი წ̃სა ღ̃ისმშობელისანი. — ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან...“ 2r—70v.

შენიშვნა: უძღვის: „ტროპარი ჴმაჲ ზ. — ბრძანებული ჩ̃ნდა საიდუმლო მიიღო გონიერად და მეყსეულად კარვად იოსებისა მოიწია უჭორცო და ეტყოდა უჭორწინებელსა, რომელმან სიმდაბლით ცანი მოჰხდრიკა, ყოველთაურთ უტყუებელად შენ შორის დატეულნ იქმნების, რომელსა ჳხედავ მუცელს შენსა მონისა ხატითა, განჳჰსცჯორები და გიღაღადებ შენ, ჴიზაროდენ სძალო უსძლოო“. 1r-v.

ანდერძი: „უფალო იესო ქრისტე, ღმო და სიტყუაო ღ̃ისა ცხოველისაო, შემიწყალე მე, უღირსი ესე მონა დუდა, განფხუარ გონებისა ჩ̃ისაგან გულის სიტყუა უჯერო და ვნებული, რომელი-ეგე კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ 71r.

592

იბაკონი ღვთისმშობლისანი. XVIII

36 ფ.; 3×2,5; ქაღალდი; ქსოვილგადაკრული ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII]; დაუწერელია: 30r—36v.

„იბაკონი წმიდისა ღ̃ისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების, ხოლო ბერძულად აკათისტო. ჴმაჲ დ, ი. — ზეშთა მბრძოლისა ჩემისა“თს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან...“ 1r—29v.

593

ძლიხპირნი საცისკრონი. 1788

115 ფ.; 11.3×8,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დახიანებული (ფურცლები კიდეებ შემოცვეთილია); ნუსხური (სათაურები სინგურით): გადამწერი — მღვდელ-დიაკონი მონახონი გურონტი (115r); ადგილი: მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (115r); 1788 წლის 5 მაისი (115r); შეძენილია ნუსხურ წიგნივაძისაგან.

„სძლისპირნი საცისკრონი. გალობაჲ ა, ჴმაჲ ა. — სასწაულითა ივსნა ერი უფალმან და ზღუა მღელვარე სიტყჳთ განაჴმა ბ̃ლ და დღეს უხრწნელად იშვა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩ̃ნ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა ბ̃გლობთ...“ 1r—115r.

ანდერძები: 1. „ღმერთო, შეიწყალე ცოდჱლი ბერი გ ე რ ო ნ ტ ი, ამინ“. 99v.

2. „აღესწერე სძლისპირი ესე შენთ̃ს, სულიერო ძმაო, საყვარელო დ ი მ ი ტ რ ი, მე, [მღ]დკლმან, დიაკონ-მონაზონმან გ ე რ ო ნ ტ ი მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში, მეფობასა სახელგანთქმულისა მეორესა ი რ ა კ ლ ი ს ა ს ა, თუმცა მაისსა ე, ქ̃ჯნი ჳოგ. რაოდენიცა ცთომა ჰპოო, შემინდეგ და წყ[ე]ვისა ნაცვლად ლოცუა ჰყავ ჩემ̃თს, ძმაო ო̃. ღმერთმან მოგანიჭოს მოგანძაროს, ამენ.“ 115r.

594

ლოცვების წიგნი. XVIII

49 ფ.; 9,6×7,2; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII].

„ჭ. ლოცვა ერისკაცთათვის წირვასა ზედა... ეკლესიად შესლვადმდე თქუ ლოცვა ესე: ვიხარე, რომელთა მრქვეს მე: სახლსა უფლისასა შევიდეთ. ხოლო მე მრავალითა მოწყალებითა შენითა შევიდე სახლსა შენსა თაყუანის-ვცე...“ 1r—49r.

ანდერძი: „.რუსულისაგან გარდმოთარგმნილი, გარდმომღებელი და ქართულად გამწყობელი, ორივე ღმრთმან აცხოვნოს“. 1r.

მიწაწერი: „ეს ლოცვები ა ლ ხ ა ზ ა მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა, ვინც მოიპაროს, ჯალუწყრეს თავად [ღვთისმ]შობელი“. 49r.

595

1783 წლის ტრაქტატის პირი. XIX

13 ფ.; 21×17,5 ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (გვირნიშანი: 1828); ადგილი — წმ. გიორგის ციხე (8r); შეძენილია ნესტორ წიფწივაძისაგან.

„სახელითა ღუთისათა ყოველისა შემძლებელისა ერთისა სამწმიდაობისა შინა დიდებულისათა. — ადრითგან ერთმორწმუნებამან ყოველსა რუსეთისა იპერიასა (!) თანა ქართველმან მსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესაველრებლობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად მაჰოველთა, რომელთაცა ქვეშე შევრდომ იყვნენ იგინი მეზობელთაგან თჳსთა...“ 2r—13v.

შენიშვნა: ერთვის — 1. თავფურცელი: „ტრაკტატის პირი წარდგენილი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს აგ ან იმპერატრიცა ე კ ა ტ ი რ ი ნე ალექსეიოვნასთან(!) ივნისის კ-სა ჩღბ-სა წელსა“. 1r.

2. ბოლოში წარწერაა: „იმისის იმ[პერატორ]ებითის დიდებულების ჴელმწიფა ე კ ა ტ ი რ ი ნ ა ს აგ ან გამოცემული ტრაკტატი საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვართასა“. 14r.

596

კრებული. XVIII—XIX

14 ფ.; 16×10; ქაღალდი (ლურჯა); უყდო; დაზიანებული (6 და 7 ფურცლებ შეა ამოჭრილია 2 ფ.); მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII—XIX ს.

1. „ლოცჳთა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ. — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ, სამგზის ამინ...“ 1r—4r.

2. „სწავლა ნდ, რათა მოსწრაფე ვიყუნეთ მოტაცებად სასუფეველისა ცათასა და არა სოფლისა საქმეთა. — ამისთ[ს გეგედრებით თქუენ, საყუარელნო ძმანო, რათა ვისწრაფოთ ყოველითა გულითა და სულითა ჩვენითა წარმართებად ცხოვრებისა ჩვენისა...“ 4r—5v.

3. „სწავლა ნ, ვითარმედ ჯერ-არს სწავლა წ-თა წერილთა და განყენებ[ა] ბოროტთა ხედვათაგან. — ესე ყოველი წერილ არს, რათა ჩვენ ვბაძვიდეთ, რამეთუ უკეთუ გლახაკმან და ბრმამან, რომელსა არცა ესილება იგი, ესოდენი კადნიერება აჩვენა და მათ ყოველთა წინააღუდგა...“ 6v—10r.

4. „სწავლა ნთ, მცნებათა ქრისტესთა და მარხვისათ-ს და საჭმართ ოყუარებისა-თს. — ამისთ-ს გეკედრებით, ვისმინოთ ჭმა პეშპარიტისა მის მდა კეთილისა მწყემსისა და მას ვჰორჩილდეთ...“ 10v—13r.

5. „თხრობა მამათ ცხოვრებისა. — თქუა ბერმან, ვითარცა სახედ კაცი, რომელი მოკუდეს ქალაქსა შინა, არცაღა ჭმა ესმის მუნ მყოფთა, არცა სიტყუა, არცა შფოთება მათი...“ 13r—14v.

597

ბაუმეისტერი—ლოლიკა. 1800

132 ფ.: 20×14,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ნუსხურით); მთარგმნელი — ანტონ I (1r): გადამწერი — გერონტი (130r); ადგილი — მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (130r); 1800 წ. (130r); დაუწერელია: 26v, 132v.

„ნაწილი პ-ლი ლოლიკისა სათეორეტიკო, ანუ სამთათჳს მოქმედებათა გონებისათა, თავი პ-ლი: მოგონებათათჳს ანუ იდეათათჳს § 29. — პ-ლსა ვიდრემე მოქმედებასა გულისჴმისყოფისა ჩ-ნისასა მარტიგად მოგონებად, ანუ იდეად წოდებულ ჳჰყოფთ, რომელიცა არა რაჲმე სხუა არს თჳნიერ ნივთისა რაჲვესა გონებასა შინა გამოხატუა...“ 27r—130r.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს სქოლიონები ანტონის განმარტებებით.

2. უძღვის — ა. თავფურცელი 1r-v (იგივეა რაც H—255, იხ. აღწერილობის ტ. I)
   ბ. „წინასიტყუაობა“. 2r—13v,
   გ. „პინაქსი“. 14r-v,
   დ. [შესავალი] — „თავი ა. წინასიტყუაობა ფილოსოფიისა და ნაწილთა მისთა § 1“. 15r—26r.

3. ე რ თ თ ი ს—„მაგალითნი ოთხთა ნაკუწთთა წინადადებათანი ლოლიკისანი მოკლედ. მაგალითი ყოველსა ნაკუწთთისა“. 130v—132r.

ანდერძები: 1. „სრულ იქმნა ძალითა ღ-თისათა, იუნისს კზ 1800. ჲ. 27“ 130r.

2. „მეითხუსლთაგან შენდობასა ვითხოვ შეცთომით წერისათჳს ყოველად უღირსი გერონტი“. 130r“.

3. „აღესწერე წიგნი ესე ლოლიკა მრავალმთის ნათლის მცემლის მონასტერსა შინა“ 130r

მინაწერები: 1. „ხსენებულ გერონტის სხვა საღმრთო წიგნებიც გადაუწერია. ერთს მის მიერ გადაწერილ სულ მცირე ტანის „სძლისპირნი სამწუხრონი და საცისკრონი რვა ხმათა“ წიგნზე მინაწერით — იგი 1788 წელს მაისის 5 იხსენიებს თავის თავს დიაკონ მონახონად. ხსენებული წიგნი გადაუწერია ვინმე „სულიერ ძმის დიმიტრი-სათვის“ მრავალმთაზე, ნათლის მცემლის მონასტერში“ 130r.

2. „გადაწერილია ათონს მთაზე გერონტის მიერ. 17 რვეულია, რვეულში 8 ფურცელია, ხოლო პირველ რვეულში 6 ფურცელია“ 1 საცავი ფ-ის r.

598

კარაბადინი. XIX

21 ფ.; 21,8×17,5; ქაღალდი; უყდო; დახიანებული; მხედრული; XIX ს.

„ათეშანგისათვინ შაბი და შაბიამანი, მორანდული საპონი, ვერცხლის წყალი, ძმარი, ესენი უნდა. ორი წილი შაბიამანი, მესამედი საპონი მორან-

დული, ექვსი მისხალი ვერცხლის წყალი, რაოდენიც მოუნდეს, მარი მოადუღე...“ 5v—21v.

შენიშვნა: უძღვის სამკურნალო ხასიათის შელოცვები: 1. „ბედნიერის ლოცვა“ 1r—2r; 2. „წყლის ლოცვა“ 2r-v: 3. „ლოცვა უკმური ციებისა“ 3r-v; 4. „ლოცვა სიყვითლისა“ 3v; 5. „თურქულის ლოცვა“ 4r-v; 6. „ლოცვა მელოგინისა“ 5r-v.

599

ქორწინებისა თავისათჳს. XIX

20 ფ.; 15,3×10 ჭალადი; უყდო; მხედრული (სათაურები სინგურით, ნუსხური დაწერილობით); XIX ს. (ვეირნიშანი: 1823).

„ქორწინებისა თავისათჳს — სყა — მ[ა]ტთესი: ხარისხნი ქორწინებისანი, ამად ვიღრე-მე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესაობაცა ხარისხად...“ 1r—20r.

600

მოლიერი—ლრაჲმატიკა სიყვარულისა. 1831

16 ფ; 21,8×17,5; ჭალადი; უყდო; დახიანებული; მხედრული; მთარგმნელი — ს. ყ. (1r); ადგილი — მოსკოვი (1r); 1831 წ. (1r); დაუწერელია: 1v, 2v.

«წიგნი პირუჳლი. მოწონების ჴელოვნებისათჳს». „განყოფა პირველი, თავი პირველი. მშვენიერებისათჳს. — ა. დედაკაცი ერთსა გარეგანსა მშვენიერებასა შინა არს ნამდვილი სახე მკურნალთა ვენერისა, რომელი ტყვე ჰყოფს სახედეელთა...“ 3r—16v.

შენიშვნა: 1. ტექსტი ალგ-ალაგ ნასწორებია.

2. შედგენილობა: ა. «წიგნი პირუჳლი: მოწონების ჴელოვნებისათჳს» (2r—7r).
ბ. «წიგნი მეორე: სიყუარულისათჳს» (7v—14v).
გ. «წიგნი მესამე: მეუღლეობისათჳს» (15r—16v).

3. უძღვის თავფურცელი: „ლრამმატიკა სიყუარულისა ანუ ჴელოვნება სიყვარულისა და სიყვარულით მოცემით ყოფისათჳს, შეთხზული უ. მოლერისა, თარგმნილ არს ფრანცეზულით ს. ყ., მოსკოვს, ტიპოლრაფიასა შინა ლაზარევთასა აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტისასა, ჩქლ“ 1r.

601

კურთხევანი. XIV—XV

15 ფ.; 13×10,5; ეტრატი; უყდო; დაწლილი; დახიანებული; მარტივი კაზმულობანი: 5r. 6r, 11v.

[კურთხევანი, ფრაგმენტები, რომელთა შორის ირჩევა: 1. [კურთხევა ბაჲასა]... „სა ზედა დასჯდეს, რომელი სჯულისა მომცემელ ხარ...“ 1r-v

2. [კურთხევა წყლისა]... „და განსწმიდე ... სულისა შენისა წ[ისათა წყალი ესე...“ 2r.

3. „განგებაჲ, უკეთუ ბილწი და არაწ[ა რაჲმე შთავარდეს წყაროსა, გინა ჯურღმულსა...“ 4r.

4. „განგებაჲ, უკეთუ ბილწი და არაწ[ა რაჲმე შთავარდეს ჭურჭელსა შინა...“ 5r.

5. „ლოცვაჲ ჭურჭელსა ზედა შეგინებულისა...“ 8v.
6. „კურთხევაჲ ცხოვარისა და კრავისა უფლისა მიმართ...“ 6r.
7. „კურთხევაჲ თესლისაჲ“ 11v.

602

საგალობლები. XVI—XVII

13 ფ.; 14,5×9,8; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; ნაკლული: ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVI—XVII].

«საგალობლები». 1. „ღᲽთისმშᲽრᲽჲ, მდᲽმრე შენდა [მი]Ჭართ სასოებაჲ ცხრᲽბისა ჩემისა დამიც, ნუ მრცხუᲽნ, ჱ დედოფალო, ნუცა განშაგდებ შენგან დანთქმად...“ 1r—4r.

2. „დღე სამშაბათი წᲽისა ი ო ა ნე ნათლისმცემლისა და სინანულისა.— ჴმაჲ გ გᲽრ, ვითარცა შთავრდომილი იგი ავაზაკთა და მოწყლული, ეგრეთვე მეცა დავეცი ცოდვითა ჩემითა...“ 4r—9v.

3. „დღე წᲽჲ ოთხშაბათი წᲽისა ღᲽისმშობლისა და ჯᲽისა, გ. გᲽი ჯᲽა დამსჭვალე ვენაკი ეგე ჴეშმარიტი და მოისთულეს წარმართთა სამოთხე ავაზაკისა თანა...“ 9v—12v.

603

კრებული. 1819

168 ფ.; 10,8×8; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა-მოცილებული; თავბოლონაკლული მხედრული (სათაურები სინგურით, არის მარტივი ილუსტრაციები: 13r. 36v, 63v, 146v, 163v, 165r); 1819. VI 20 (146r).

1. «ლოცვა» „შუაღამისა ...ან და შესლვად წმიდასა ტაძარსა შენსა...“ 1r—12v.

2. „გალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ჴმა ჳ. გალობა ა, სძლისპიერი — ზღვა მეწამული კვერთხმან განპო...“ 13v—36r.

3. [დაუჯდომელი ლუთისმშობლისანი] — „იბაკონი და იკოსნი წმიდისა ღᲽთისმშობლისანი, ჴმა ᲂ, ზესთა ბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა...“ 37r—145r.

4. „რაჟამს გენებოს დაძინება, წარიკითხე ლოცვა ესე წმიდისა ანგელოსისა მიმართ შენისა, სულთა და ჴორცთა მცველისა: წმიდაო ანგელოსო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო, მცველო და მფარველო მდაბლისა სულისა და ჴორცთა ჩემთაო...“ 147r—148r.

5. „ლოცვა ავაზაკისა ერთისა, რომელი მ ა ვ რ ი კ მეფემან მიიყვანა და სცხოვნდა ცრემლით მეედრებელი...“ 148—152v.

6. [სათვალავი ჴსნილისა და მარხვისა, თუ ვითარ იცნობების]. „აღდგომის უკან ორმოცდა ცხრა დღე უკუსთვალე, ყველიერის აღების ღამე იქნება...“ 153r—154v.

7. „ათორმეტნი თთვენი საცნობელნი დღეთა და ჟამთა, ღამეთა და დღეთასა, და საჩინოთა დღეთა და დღესასწაულთა—საუფლოთა და წმიდათა.— მარტს აქუს დღე ოცდაათერთმეტი...“ 154v—163r.

8. [ქება იოანე ნათლისმცემლისა] — „წინასწარმეტყველო და წინამორბედო ქრისტეს მოსლვისაო, ღირსად ქებად შენდა ვერ შემძლებელ ვართ...“ 164r-v.

წყდება: „... რომელი-იგი პირველ წინასწარმეტყველთა ჰქა“.

9. [ქება წმ. გიორგისადმი] — „კონდაკი, ჴმა დ, მოიმუშაკე ღ˙თისა მიერ და გამოსჩნდი მუშაკად პატიოსნად...“ 165v—168v.

წყდება: „... ხოლო სასწაული მორწმუნ“...

ანდერძი: „აღიწერა ივნისის კ ქრისტეს აჭათ ჩყით“ 146r.

მინაწერი: „ესე დაუჯდომელი თავადი გიგორგის ასულისა კნეინას ნინოსი ვარ“ 145v.

604

ბეჟან და მანიჟავის ამბავი. XIX

34 ფ.; 17.5×21; ქაღალდი (ლურჯი); უყდო, დაზიანებული; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ქვირნიშანი: 1804).

„ქ. აქ ანბავი დასაწყისი ბეჟან და მანიჟავის.—
თურანს ტახტი დაეკარგა, ხორციელათ ყველა სცნობდა,
დაემოყვრა თავადებსა, ქაიხოროს ყველა ჰყმობდა...“ 1r—34v.

წყდება: „... შენ და ბეჟან იზარებდით ერთმანეთის სახელითა (!)“

605

ქორონიკონი. XIX

7 ფ.; 22×16,5; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; მხედრული.

„ქორონიკონი მართალი და ჭეშმარიტი:
ა ფბ კ(ი) აჲ იგ დღ ვ ლ იე ლ...“ 1r—6v.

შენიშვნა: ამა თუ იმ თარიღს მიწერილი აქვს ღირსშესანიშნავი სხვადასხვა ხასიათის შემთხვევანი.

606

ლოცვების წიგნი. XIX

49 ფ.; 16×10,3; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; თავ-ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით, გადამწერის მიერ შესრულებული ჯაზმულობანი: 8r, 13r 14r, 20v, 24v, 28r, 32r, 35v, 36r, 40v, 45v, 49r-ზე); XIX ს. (ქვირნიშანი: 1828),

„ლოცვა ოცდაოთხი საჰათის საფიქრებელი იესო ქრისტეს სატანჯველებისა. — მაშინ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან თავისი დედის წინ დაიჩოქა და დასტური ითხოა, რომ სასიკვდილოთ წავიდეს...“ 8r—49v.

წყდება: „... ამიტომ რომ მე დაგიდევ ჩემის ცოდვით ეგ მწარე ჯვარ“...

შენიშვნა: 1. ლოცვების წიგნი კათოლიკური რიგისაა; 2. უძღვის გამოკრებილი ფსალმუნი ...„[თა]ვსა ჩემსა და ვითარცა ტკივრთი მძიმე დამიმძიმდების ჩემ ზედა. (37,4)“ 1r—6v.

მინაწერი: 6v—7r; 12v—13r.

607

ნებიერიძე ივ. „გულის კლიტე". 1855

340 გვ.; 10,5×8; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ავტოგრაფი; ადგილი — ახალციხე (299 გვ.); 1855. X. 25 (171, 304 გვ.); დაუწერელი გვერდებია: 52, 136, 172, 216, 253, 254, 290, 305—340; შეძენილია თ. კაჩხოვისაგან.

«გულის კლიტე» — „გოდება ყოველთა ცოდვათა თვისთა, და განზრახვა თვითოეულთა დღეთა შორის კვირისა, რომელ არს პირველი ღოცვა ორშაბათისა. ორშაბათისათჳს. — ნუ თუ მოყვარულობით და ეროცის სიამოვნით არა განსუქრეტ და დაწყლილებით არა განსჩხრიკომ თავსა შენსა, ჩი სულო ჩემო" ...გვ. 1—289.

შენიშვნა 1: უძღვის თავფურცელი: „გ უ ლ ი ს კ ლ ი ტ ე, ესე იგი გოდება ყოველთა ცოდვათა თჳსთა თჳთოეულთა დღეთა შორის კვირისა, შეუნერავად შეთხზული ქართულსა ენასა ზედა ივ. სტ. ნებიერიძის მიერ". 1 სატვ ფ-ის ქ.

შენიშვნა 2: ერთვის „საძიებელი წიგნისა ამის..." გვ. 291—297.

ანდერძი: „მადლითა და შეწევნითა ღუთისა და ყოვლად წმიდისა ღუთისმშობლის მარიამისათა გარდავსწერე წიგნი ესე, რომელ არს გოდება ცოდოთა თჳსთა ზედა თჳთოეულსა დღესა შორის კვირისა წესაკითხი ყოველთა ქრისტიანეთა მიერ და საეფრებელი მოსატევებელად ცოდოთა და დასამკვიდრებელად სუეყნო სასუფეველს დიდებისა, მე, ახალციხის მცხოვრებელმან ბა. ი ო ვ ა ნ ე სტ ე ფ ა ნ ე ს ძ ე ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე მ ან. ხოლო რაოდენცა შესაძლებელ იყო ჩემდა გოდებისა ამის განსწორება და განმართჳა კანონიერსა ქართულსა ენასა ზედა, არა ვჰრიდე შრომა და ღაწვლი, რათა წარმკითხველთა მისთა აჳფხდესთ მარადის ნიჭი და მადლი ღუთისა და იქონიონ იგი სამარადისოდ თქჳენისამებრ დაჳით წინასწარმეტყუელისა, რომეთუ დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა. ამისთჳსცა ყოველნი ქრისტიანენი თანამდებ არიან, რათა ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა მათისასა მარადის იგლოვონ ცოდვანი თჳსნი და განიწმიდონ ყოველივე ბიწიერებისაგან ამა ქუეყნიერისა და დაიმკჳდრონ სუეყნო სასუფეველი, შუბა და დიდება ჭეშტითი უკუნისამდე, ამინ.

ათას რვაას ორმოცდა ათხუთმეტსა წელსა უფლისასა, ოქტემბრის ოქად ხუთსა დღესა, ქალაქსა შინა ახალციხესა, 1855. X. 25", გვ. 297—304.

608

კრებული. 1822

187 ფ.; 33,5×21,5; ქაღალდი (სხვადასხვა ფერისა); უყდო; ნაკლული; მხედრული; 1822 (175v): გადამწერი—ტერ ხაჭარა სურამელი (11r, 33r, 48v, 61r, 67r, 85v, 111r, 175v); დაუწერელია: 10r, 70v, 71v, 113v, 119r-v, 179v.

1. [ქალ-ვაჟიანი]... „იკითხა ქალმა, რომელნი არიან სამნი [ს]აქმენი: სვეს, ჭამეს, მოკვ... და არა შობილიყვნენ..." 1r—4v.

2. „დეკემბრის ი, მოთხრობა წმინდის მ ი ნ ას მოწამისა და ამხანაკისა მისი ერმოგინისა და გრაბოს მწიგნობრისა. — წელსა უკეთურისა მეფის მაქსიმინიანოსისა იყო არეულობა დიდი ქალაქსა ალექსანდრიასსა..." 5r—11r.

3. „კეღალდ მოთხრობა კ ე ლ ე მ ე პატრიარქისა სასწაულ-მოქმედობა.— წმინდა მამების მთავარი კელემე იყო გვარათ ჰრომაელი, და იყო ფრიად სწავლული, ელაენთა (!) მწიგნობარ, გარეშე დაუშტომელი და მონავეთა მაგალი..." 11v—14r.

4. „აქა მოთხრობა წმინდისა მერკერიე მოწამისა. — მძლავარი წმინდა მერკერიე მოწამე ქრისტესი იყო აღმოსავლეთის კერძოთაგან გვარისა სკვეთელი, ესა არს თურქმანისა, ძე გრიგოლიანესი, კაცი კეთილმსახური და მორწმუნე...“ 14r—15v.

5. „მოთხრობა წმინდის თევდორე ძლიერის ხელდრეანისა. — მძლავარი (!) მთავარმოწამე ქრისტესი წმინდა თევდორე იყო წელსა უკეთურის ხელმწიფისა დეოკლეტიანისასა და მაქსიმიანე და მაქსიმე მსაჯულისა...“ 15v—18v.

6. „ესე მოთხრობა წმინდის გრიგოლ გამანათლებელისა, რომელი გამოიკითხა ანგელოზისაგან ცოდვილისა და მართლის სულის ამოღება. — ჰკითხა წმინდა გრიგოლმან ანგელოზსა, როდესს აღმოიღებ სულსა კაცისასა, სად წაიღებ?..“ 19r—21r.

7. „ესე მოთხრობა უძღურისა, რომელი გაჰკურნა ქრისტემ. — დღესა ერთსა იყო ვინმე დავრდომილი ანდამალუჩი, გლახა, უპატრონო, დაცემული და შეუწევნელი...“ 21r—24r.

8. „მოთხრობა წმინდის გიორგის სასწაულ-მოქმედობისა და წამებისა — მძლავარი (?) წამებული და მთავარმოწამე ქრისტესი და გვირგვინი საქადული მოწამეთა და ძალოვანი ყაულუხჩი ცხედარი ქრისტესი წმიდა გიორგი, რომელ ითარგმანების მუშაკი მიწისა...“ 24v—29r.

9. „მოთხრობა წმინდის ალექსიანოს კაცი ღვთისა შენატრებული. — ალექსანდრე კაცი ღვთისა ძე იყო დედისერთა და კაცისა ვინმე დიდ სახლისა, რომელი სახელი ეწოდებოდა ეფრემიანოს, ქალაქსა დიდსა ბიზანდიასა...“ 29v—31r.

10. „მოსახსენებელი მოთხრობა ლაზარე მეგობარი ქრისტესი, რომელი აღადგინა ოთხის დღის მკვდარი. — კეთილმსახური მეფე ბერძნისა ლეონ, ძე დიდის ვასილისა, აღაშენა მშვენიერი და დიდფასისა ეკლესია, სახელსა წმინდის ლაზარესა ზედან კოსტანდიპოლსა...“ 31r—33r.

11. „ქადაგება წმინდის ეფრემის, ნათქვამი სარწმუნოებაზედა. — პირველი თავი ყოველისა სამოქალაქეო არს სარწმუნოება, რომ პირველთა ირწმუნოს მამა ღმერთი...“ 33v—36v.

12. „ნათქვამი წმიდა ეფრემისა, გამოკრება ქრისტეს იგავისა, თუ სიტყვითა შენითა განმართლე და სიტყვითა შენითა დაისაჯო. — ჰეშმარიტი კაცისა ენა არს სასურფეველი (!) და ყოვლის კეთილის ღირსეულს ყოფს კაცსა...“ 37r—38v.

13. „დიდ მარხვის ორშაბათს დღესა, ქადაგება, ნათქვამი პირითა ესაია წინასწარისა, რომ იტყვის. — გაირეცხენით, გაიწმინდენით და განაგდეთ ბოროტი თავისა თქვენისაგან...“ 38v—40r.

14. „ქადაგება აღსარებისა, თარგმანი წმინდა სახარებისა ქრისტესი, რომ ბრძანებს. — მოვედით ჩემდა ყოველნი მოღალულნი და მძიმე ტვირთიანნი და მე განგისვენო თქვენ...“ 40r—42r.

15. „ქადაგება მაგინებელთა ზედა, რომ ბრძანებს ქრისტე, თუ: ყოველი საქმე, ცოდვა და გინება მიეტეოს და რომელმანც სული შეაგინოს, არ მიეტეოს მასა არც აქა და არცა საუკუნესა. — აჰა მოძღვარნი ჩვენი მარადის ვასწავლის და გვეუბნება, თუ შეწინდით და გეწინდებესთ, კრთოდეთ და ცახცახებდეთ უსარგებლოს ცოდვისაგანაო...“ 42v—45r.

16. „ქადაგება მოწყალებაზე, რომელს იტყვის იოანე ოქროპირი.— რამეთუ ბრძანებს უფალი ჩვენი ქრისტე წმიდა სახარებაში, თუ: განყოდეთ რა მონაგები თქვენი და მიეცით მოწყალება და ქმენით ქისა თქვენი გაუცვეთელ...“ 45r—48v.

17. „ქადაგება მიცვალებ[ულ]თა ზედა, ნათქამი წმიდა გრიგოლ ტაოელისა. ეგრეთ იტყვის შენატრებული მამა იობ: პირით მიცვალებულისთა თუ შემოწყალეთ მე...“ 48v—54r.

18. „მოთხრობა მანასე ხემწიფისა.— ხემწიფე ეზეკიამ სცოდა რამე დროსა თვისსა და ღმერთი შესწყრა მას და ნებევდა ამოხოცა მისი...“ 54r—57r.

19. „მოთხრობა იოვანე ელუსარემისა პატრიარქისა.— ხოლო ესმა წმიდა ეპიფანე პატრიარქსა კიპროს ქალაქისასა, რომელ იოვანე ელუსარემის პატრიარქისა თუ ძნიად ვერცხლის მოყვარულ არისო და მრავალს ქონების პატრონიო...“ 57r—58r.

20. „მოთხრობა, ამრიელის ა, მარიამ ეგვიპტელი მეძავი დაყუდებულისა.— იყო ვინმე დედაკაცი ესე მარიამ ალექსანდრიის ქალაქისა, შვილი ქრისტიანისა...“ 58v—61r.

21. „მოთხრობა წმიდა მამა სრაპიონისა და აბბა მარკოზ ბერისა.— მოგვითხრა ჩვენ წმიდა მამა სრაპიონმან, თუ შევემთხვივ მე დიდს იოვანეს კასკატისა, რომელ არს ეგვიპტეს ალექსანდრიისა, და მუნ ვიხილე ხილვითა, რა მოვიდენ ორი ძმანი სახით ბერისა...“ 61r—67r.

22. „მოთხრობა საკვირველი კირაკოზ ბერისა, რომელი იხილა თავის დისა.— იყო ვინმე ბერი, სახელი მისი კირაკოზ, და დისა მისი სახელი პარასკევე. ესენი იყვნენ ალექსანდრიის ქალაქსა, ხოლო როცა დაიხოცნენ დედმამა ამათი, მოინდომა კირაკოზამ ბერათ შედგომა...“ 67r—70r.

23. „მეორეთ მოსვლა ქრისტესი, სამართალი შეუტყობელია კაცთაგან.— პირველ ეს, რომ შეუტყობელი არს კაცთაგან; მეორე — თხუთმეტი სასწაულობა რამ იქნების სამართლის უწინ; მესამე — ბოლოს ცეცხლისა და აღსასრულის დღისა; მეოთხე — საყვირისა; მეხუთე — მოსამართლენისა ქრისტესნი; მეექვსე — ცოდვილთა დაბეზღებისათვინ; მეშვიდე — მოწმებისათვინ; მერვე — სამართლისათვინ; მეცხრე — მწუხარე დღისათვინ. პირველათ ვიხილოთ უწინდელი თავი, თუ მოსვლა ქრისტესი და აღსასრული სოფლისა შეუტყობელია...“ 72r—81r.

24. „წიგნი, რომელი იტყვის, თუ დღესასწაულის მოყვარენი არა არს მიუღებელნი და წამებულთან გვირგვინოსანნი გახდებიან.— გარჩევა ადამისა და განკაცება ბუნებისა, თავი ი. როგორათაც მამამ თავისი შვილი გაჰყიდოს და ტყვეთ მისცეს, ეგრეთ ჩვენ მიგვცა ტყვეთ ადამმან ეშმაკთ სულთა...“ 82r—83v.

2. თავფურცელზე სწერია: „ამას წიგნსა ეწოდების მარგარიტ. ჰსთქუა უფალმან: მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებს კეთილთა მარგარიტთა და ჰპოვის რა ერთი მარგარიტი მრავალსასყიდლისა, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაცა ედგა და მოიყიდა იგი“ 1 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ნამდვილეე ეჳშმარიტად უსასყიდლო მარგარიტი, ღვთივსულიერსა ამას წიგნსა შინა მდებარე, სამღთო მცნებაჲ, აღმასრულებელთა ზეცის იერუსალიმად აღმყვანებელი და სატრფიალოჲსა ღვთისა მიმაახლებელი, ყოველს სურვილით და ფრიადის შრომით აღვსწერე, რამეთუ დედანი უმეტეჲ ხომისა ძნელ და წაბილწულ იყვნეს, გარნა სიყვარულმან ტკბილსიტყვაობისამან გულსმოდგინე მყო და გედღრები ყოველთა, შეცთომისათვის მომიტევეთ და შრომისათვის მილოცეთ მეტყუელთა. ღმერთო, შეიწყალე უღირსი ხეცს-მონაზონი გაბრიელ, აღვწერა უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემლისასა, წელს განბრძოლებითგან სიტყვისა ღვთისა ჩღჟგ, ოქტომბერის ოგ“ (158 v).

მინაწერი: „ქ. ყოველად სამღვდელო მიტროპოლიტი ნიოწმიდისა და არხიეპისკოპოზი რუსთავისა სტეფანე“ (ქვემო ყდის შიდა მხარე).

726
კრებული. 1827

184 ფ.; ქაღალდი თეთრი და ლურჯი ფერისა; ტყავგადაკრული ხის ყდა, ტვიფრული; მხედრული, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით; მარტივი თავსამკაული (1 r); 1827 წ. (171 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [ნიკიფორე ხუცესი]. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის. გ. მ. — ძმანო ჩემნო საყუარელნო და მონანო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყოთ, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილი, ვითარცა თაფლი...“ 1 r — 171 r.

ანდერძი (გადამწერისა): „1827, 4.10 სრულ იქმნა სადიდებელად ღმრთისა, ყოვლისა მპყრობელისა უფლისა ყოველთა ძალთასა“ (171 r).

2. „საკითხავნი წმიდისა ახალკრიაკისანი. თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა აღსარებისათჳს თომა მოციქულისა და დღისა ახალკრიაკისა. — მოვედი აღთქმისა მის აღსრულებად თქუენდა, რომელი მომცა მე მომანიჭებელმან აღორძინებისა თქუენისა...“ 172 r—180 v.

შენიშვნა: „საკითხავის“ ტექსტი ლურჯ ქაღალდზეა დაწერილი. გადამწერის ანდერძი დაწერილია ანდრია სალოსის ცხოვრების შემდეგ.

მინაწერი: „დეკანოზ შიო კაიშაურის საკუთრება ესე ანდრია სალოსის წიგნია“ (180 v).

727

ანდრია სალოსის ცხოვრება XVIII—XIX

154 ფ.; 21×16; ქაღალდი, მოლურჯო ფერის; მხედრული, სათაურები და დასაწყისები მთავრულით, სინგურით; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ტეიფრული; ზემო ყდა მოცილებული აქვს; დახიანებულია: 1—4 ფ. ფ.; [XVIII—XIX ს. ს. მიჯნა]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ნიკიფორე ხუცესი]. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთჳს. გ. მ. — ძმანო და მამანო ჩემნო, საყუარელნო, უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყეთ თქუენ...“ 1 ვ—154 ▼.

შენიშვნა: ხელნაწერში ჩადებულია წერილი: „პატივცემულო გიორგი ბაქრაძევ! ამასთანავე გადმოგცემთ ერთს ხელნაწერს წიგნს — „ცხოვრება ნეტარისა ანდრია სალოსისა“, და გთხოვთ გადასცეთ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ენისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტს. ეპისკოპოსი ალექსი წილკნელი (გერსამია). 26 სექტემბერი, 1931 წ., მცხეთა“.

728

რუსულ-ქართული ლექსიკონები. XIX

190 ფ.; 20×16; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; ყდის ყუა ამძვრალია მხედრული; ჰვირნიშანი — 1805 წ. (ფ. ფ. 28,33); [XXI ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[რუსულ-ქართული ლექსიკონი]. 1. Агнец კრავი ანუ ტარიგი

агничий	ტარიგისა
адамантовый	ადამანტისაგანი
адамант	ადამანტი
адский	ჯოჯოხეთისა...!

1 ვ—134 ვ.

2. Присовокупление. Словарь разноязычный, или толкование Еврейских, Греческих, Латинских, Французских, Немецких и прочих иноземених (!), употребляемых в руском (!) языке и некоторых славянских слов. — Аббат авва.

абдрун образец..“ 135 ვ—185 ვ.

3. Толкование Имени Человеческих.

Афон горный высокии Евр.

Аваккум подвижник, Евр...“ 186 ვ—190 ▼.

შენიშვნა: ხელნაწერის ყუაზე დაბეჭდილია: „Российско-грузинский словарь“ მინაწერი: „Из книг Семена Анодатова“ (ზემო ყდის საცავი ფურცელი).

729

რუსულ-ქართული ლექსიკონი. XIX

176 ფ.; 21×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ტეიფრული; მხედრული; [XIX ს]; ჰვირნიშანი 1834 წ. (ფ. ფ. 16,19); ქაღალდის კიდეები შემოცეცხლილია; ხელ-

ნაწერი ლევან აღნიაშვილის საკუთრება ყოფილა; გადამწერი—იოველ ხატიევი (176 v). ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[რუსულ-ქართული ლექსიკონი].

A a

А союз ხოლო, და, კი.
Абасы აბაზი..." 1 r—176 v.

შენიშვნა: ხელნაწერი იელბ-ისთვის გადაუცია ლევან აღნიაშვილს. 1 r-ზე სწერია: „იელბ'ს ლევ. აღნიაშვილი, 13/II." ამავე გვერდზე ბეჭდია წარწერით: „ბიბლიოთეკა ლ. აღნიაშვილისა".

ანდერძი (გადამწერისა): „აღწერე ფრიადის შრომითა ესე რუსულიდამ ქართულათ სიტყუანი თარგმნილნი მოწაფეთმან სემინარიისმან სასულიეროს სასწავლებელისა იოველ ხატიევმან" 176 v.

„Поправлено (!) и дополнено (!) сей Словарь(!) Г. С. у. Июля Хатиевым" 176 v.

730

ქართულ-რუსული ლექსიკონი. XIX

135 ფ.; 20×16,5; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისი ასოები მთავრულით; ქაღალდის ჭვირნიშანი—1835 წ. (3,9 ფ. ფ.) [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ქართულ-რუსული ლექსიკონი] „ა. ლი აბაარგე собери в путь, к езду (!) приготов(!)..." 1 r—135 v.

შენიშვნა: ლექსიკონი შეიცავს ა. — მ ასოების მასალას.

მინაწერი: „ლექსიკოლოგიის კაბინეტს შემოსწირა არკადი არდიშვილმა 1929. 24XI" (ზემო ყდის შიდა მხარე).

731

ბ. გაბაშვილი. რუხის ბრძოლა. 1839

8 ფ.; 21.5×17,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული. დასაწყისი ასოები მთავრულით; მარტივი თავსამკაული (1 r); 1839 წ. (8 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ბესიკი, რუხის ბრძოლა]. „ბრძოლისათვის ავხაზთა მიმართ მეფისა მიერ სოლომონ დავითიანისა ითქვას მაირი პირველი ჩახრიხოული.—

ათინურთ ენა, ქველ შესაძენი, შესხმის მოცალედ გშვენს წამის-წამად.
პლატონ, ჰუმიროს, პროკლეთურთ იროს, არისტოტელი ყვეს დასაწამად..." 1v—8r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის შესავალი: „იხარა დიდმა დავით სულიერისა ებნისა ქნარ-წყობითა, თან სულითა მეფებრითა მღაღადებელმან და სთქვა..." (1 r—v).
2. ტექსტის ბოლოს მიწერილია თარიღი: „1839,3.8-სა" 8 r.

მინაწერი ფანქრით: „კოლექცია ლენინგრადის. Царевича Иана(!). Рухская битва. 189“ (8 ვ).

732

ქართველი შვილი იოანე. ქართული გრამატიკა. 1822

XXII+81 ფ.; 20,5×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ტვიფრული; მხედრული, სათაურები და დასწყისები სინგურით, მთავრულით; დაწერილია: 1—XXII, 61—81 ფ. ფ.; 1822 წ. (60 ვ); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[იოანე ქართველი შვილი]. „ქართული ღრამატიკა. § 1. ღრამატიკა არს ჰსწავლა ელთმძღვანელი კანონიერ უბნობისა და მართლწერისადმი...“ 1 ვ — 60 ვ.

ანდერძი: „დასრულდა მეორე ნაწილი ღრამმატიკისა 1822 წელსა, ფებერვლის 4-სა დღესა“ (60 ვ).

733

შ. რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XX

71 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავ-ბოლონაკლული: დაზიანებულია ფ. ფ. 62—67; [XX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი]

„...ქალი სტირს დაცრემლსა არფქვევს(!), ხრის ყორნისა ბოლო ფრთათა,
მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა.
ამად სტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა...“ 1 ვ — 71 ვ.
(1937 წ. გამოცემის 46—47 სტრფ.).

წყება: „.... თათბირი ტარიელისა სამთავაგანვე ციხის შეხდომისა და აღებისა.
...კვლავ ერთმანეთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვახები,
დასკვნეს(!) იგი თათბირი ტარიას განაზრახები...“ სტროფი 1408.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე სწერია: „ვეფხისტყაოსანი, ხელნაწერი მესხეთიდან. დაწერილია ნ. მაისურაძის პაპის პაპის მიერ სოფ. მუსხში“.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოკლე რედაქციისაა.

734

კრებული. XIX

219 ფ.; 31×20,5; ქაღალდი მოლურჯო და თეთრი ფერისა; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, მსხვილი მხედრული (1—165 ფ. ფ. ამ ხელითაა დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე „ვეფხის-ტყაოსანი“) წვრილი კალიგრაფიული მხედრული, სათაურები და დასწყისები ასომთავრულად (ამ ხელითაა თეთრ ქაღალდზე დაწერილი „ჯრამატიკა“); დაუწერელია: ფ. ფ. 166—171; მოლურჯო ქაღალდის ჟვირნიშანი — 1819; [XIX ს.]; ბოლონაკლული; „ვეფხისტყაოსნის“ თავების დასაწყისებთან მარტივი თავსამკაულებია ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი].

„როშელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყუნა ზეცით მონაბერითა...“ 1 ვ — 165 ვ.

შენიშვნა: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა გადმოწერილია ვახტანგ VI-ის გამოცემიდან.

2. ხელნაწერი შეიცავს ვახტანგ VI-ის კომენტარებს.

2. [ანტონ I]. „თჳს ჴელოვნებისა ღრამატიკოსობითისა. ნაწილი პირველი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თჳთოეული ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფე-ქმნილთა. თავი ა. პრუნუათათჳს სახელთასა. — რიცხუსა შინა ჩუენ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რვა მარტივისა ანუ ჰრთულისანი...“ 172 r — 219 v.

წყებაჲ: „თჳს მესამისა სახელის მდეგრისა, ესე იგი სახისა. თავი თ. —მდეგარითა, რომელა შედრგინებული სახელისა ორთა მიმართ სახეთა იწუალების, ესე იგი ყოველ სახისა მიმართ...“

შენიშვნა: ტექსტი წყებაჲ ნაბეჭდი გამოცემის 129 გვერდზე.

735

ალექსანდრიანი. 1862

168 ფ.; 35×21.5; ქაღალდი; უყდო; მხედრული. დასაწყისები სინგურით; დახიანებულია ფ. ფ. 1—12; გადამწერი ლუკა მგალობლისშვილი (168 r: 1862 წ. (168 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„წიგნი მოთხრობა ალექსანდრე [მაკედონელისა]. — ქვეყანასა მაკედონიის კითხვა და მისნობა. წყალი ოქროსა, რამლი და ჯამ-სტროლაბი. უთხრა ვინმე გამდელსა ალუმპიადესა მალვით და საიდუმლოთ: შემოსრულ არს ქალაქსა ჩუენსა კაცი ვინმე უცხო სურიელი და უნაკლულო ანაგებითა...“ 1 r—168 r.

შენიშვნა: „ალექსანდრიანის“ ტექსტი ჩხატარაძის პროზული რედაქციისაა. შრდ. ხელნაწ. S —1514 (იხ. ალ. ბარამიძე, ქართული ალექსანდრიანი, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, გვ. 235—246).

ანდერძი (გადამწერისა): „აღსრულდა წიგნი ესე ალექსანდრე მაკედონელისათჳს ჩემ ცოდვილისა ლუკა მგალობლისშვილისათა ჩყგბ-სა წელსა, მარტის ლ-სა “168 r.

736

პეტრე ჩხატარაძისძე. ალექსანდრიანი. XVIII

174 ფ.; 30×21; ქაღალდი; ტეიორული ტყავის ყდა, უფიცრო, მოცილებული; ხელნაწერი დაშლილია; მხედრული, დასაწყისები სინჯურით; თავ-ბოლონაკლული; კანია შიგნით: 5—6, 77—78, 81—82, 82—83, 88—89, 105—106, 107—108, 168—169 ფ. ფ. შორის; ქაღალდის ჭერონშანი—სამი მთვარე (158 ფ.); [XVIII ს. 1/4]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ამბავნი ძველ-მოსახსენებელნი დიდისა და პატიოსნისა კეთილის-მოქმედისა კაცისა და ცათ ქვეშ მპყრობელისა და მეფისა მაკედონელისა ალექსანდრესი შობისა და ცხორებისა და სიმხნისა მისისათვის. — ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყნად, იყო დებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამთა სიგრძითა ძველქმნითა ყოველს ჭეშყნად დავიწყებული,
გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული.
და მიბრძანეს, ლექსად გამოვთქუ, მსმენო, იყვენით შვებული...“
3 v — 171 v.

შენიშვნა: 1. პეტრე ჩხატარაიძის გალექსილი „ალექსანდრიანის“ ეს ნუსხა სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ცნობილი (იხ. ალ. ბარამიძე, ქართული ალექსანდრიანი, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 246). ეს ხელნაწერი ცნობილ ნუსხებზე უფრო ძველი და სრული ჩანს. ხელნაწერის ქაღალდის ფურცლებზე ჰეირნიშნად სამი მთვარე, რაც უფლებას გვაძლევს ხელნაწერი XVIII ს. დამდეგით დავათარიღოთ.

2. სხვა ცნობილი ნუსხებისაგან განსხვავებით, ჩვენ ნუსხას გააჩნია ვრცელი შესავალი (თავნაკლული):

„მოჰყავთ ყური გონიერად, კუალად გითხრობ ამას მართლად,
რა აღესებად თანაარსი მღვდელთ-მოძღვარს ეპყრას სანთლად,
ჯვარის სახედ გამოსახვით ქვეყნის მბათი არს სამ ნათლად,—
და შემტკიცებით, კაცო, სწორ ჰყავ სახილველად ერთ არს ალად...“ 1 r—3 v.

3. ბოლოს ერთვის გიორგი გურიელის ხოტბა (თავნაკლული):
[უცნაური ღმერთი], სამებით ერთი, ცნობის განბნევი, გამომხატესი,
მოსცე ფიცრისა, მოსცე ფიცრისა, მცემ განმარტები განუკარტესი...“ 172 r—173. (ამ ხოტბის ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია, იხ. ანთოლოგია, II, 1928 წ., გვ. 159).

4. „ალექსანდრიანის“ ტექსტს ამ ხელნაწერში, სხვა ცნობილი ხელნაწერებისაგან განსხვავებით, ერთვის გიორგი გურიელის ბრძოლის აღწერა, ჩახრუხაულით დაწურილი. ვინაიდან ეს აღწერა ამ ერთადერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული ამიტომ მას სრულად ვაქვეყნებთ. ტექსტში ნაკლული და დახიანებულია:

„... მეფე გურიელის პატრონის გიორგის და გამარჯვება შეწევნითა და თანამდგომ[მითა] ოდიშის და ლეჩხუმის პატრონისა ბეჟანისათა და აბაშიძეთა ზურაბ და სვიმონისათა.

... ერნი ქებულ ძლიერნი, მეფე გურიელს ზონთქარმან მისცა.
... ახალი მეფობს მაღალი, ქუთათის ტახტად მამა-პაპ ჰისცა.
... ღთის ცნობას ვინ ცოცს, ზეგარდუბრუნდეს ბორბალი ვისცა.
... ხმობს დაეთ ეჩრად ფსალმუნთა შინა ბევრ მრავალჯზისცა.

... იმერეთისა სოფლისა საბრხე განსაცდელია.
... დავითიანად მათ ძველად ედვა ღ'თისა ჭელია.
... გვართა [ძ]ველთარ (!) მიმართა რისხვა, წყალობა ღთისა ვრცელია.
... ლს მისს, ზე მაღლად ზისს, სრა მისი, ტახტი სრულ ყოველია.

...ლად გზითა ჯერკულად მეფე იმერთა თავდასასხმელად,
...ფიქველად ახლდენ რაჭველად ზემო, მზრთ ჯარნი ეპყრა მას ჭელად,
... ერთად დგენ სვიმონეთად მეფე და ფაშა, მწე მძანი ძველად,
... ბეჟან დადიან, ვინ მძლედ დადიან, მეგობრად მარჯედ და ტახტის მცველად,

... ქსვაც რაჭის ერისთავს, ტაბალად ენითა გამოაშორვებს,
... ჭყონდიდელს, ცაგარ-გენათელს თანა აახლებს, კულავ ძმათა ორებს,
... სიმონიო, ძლეისა პოვნით, სახელოსანნი, მტერთ შუა მორებს.
და მანუჩარ, ჯაბუკ და შამახდველ, მძლენი ვაქაცნი...

მეფის მოსვლა ცნეს, ალამნი გასცნეს, მათ უძლეველთა დიდ ახოვნებით.
წინ მიეგებნეს, ჰპოვეს, რაც ძებნეს, ჯაბუკნი გმირნი თავმოწონებით.
ხმა სალენძ-ჯუთა, თურჩთა და ურთა, ქანარათ ბერვა, ქუხილთ გონებით,
და მეფე გურიელ, მას დღე ტარიელ, ბრძანებს დღეს ვინცა მოვიწონებით.

წინ შემომხვინეს, მსწრაფლ შეეტივნეს, თქვეს: ახა, ჟამი გულოვანი.
შეიქმნა სროლა, ხმოთთა ძრწოლა, სპათა შუბიან-ჴრმალოსანი.
არა გვიანად მოეკვნენ განად, სემონ და ძმანი დადიანი,
და უქმნეს სადარნო, ვინ შეადარნო, ჯართ იწყეს აწლა, ადრე ხანი.

მეფედ ცხებული, გალომებული ფაშა, ჰყონდიდელ, ხურაბ ქებული,
რაზმს წინ მოეკვნენ, ნახეს გაიკნენ, დაბრუნდენ, იქმნეს ფიცხლად რებული.
სრულ მეთოფენი, ველთა მომფენი, ველთა დაიპყრნეს, იქმნეს...
და ეს გამარჯვებად იქმნა, დიდ ქებად, არ იქმნას ჟამად დავიწყე[ბული].

დიდად შეებულნი, გამარჯვებულნი, ქუთათის, გეგუთს მოვიდოდიან,
სახელოსანნი, დიდგულოსანნი. გურულ თავადნი ტკბილად ყმობდიან.
მყრობი იმერთა, ჭოროხ-ქმერთა ღმერთს და ხონთქარსა შემწედ ფლ[ობდიან],
და ერთგულთ კეთებით, პატივს-ცემს ქებით, ორგულნი ყუელა დაინთქმოდიან.

ქ. მეფედ ცნობილი, კეთილშობილი, ოქროა ხალს გამოდნობილი,
რაზმ დაწყობილი, მტერ შემსრობილი, ესაეს ახალს გულ-ტკბილლმობილი.
ბრძენთა მკობილი, არ დაგმობილი, სპა უთქს ახალს, ფოლად წდობილი.
და ჰყავთ მონდობილი, ვითარ(!) ყმობილი, იმღერს ახალს ტკბილად ძნობილი.

მე, ისარისრე, მოისარისრე აქილეველს და მოსიმახო,
ასპარეზობდის, თვალთ პანეზობდის, არ ვეკ მისებრი დაისახო,
... ერს ოროლით, მუზრაკ-კოროლით, სტადიონთ რბევა და სანახაო.
... მასთან ...ილითა ნორადნ მასთან განიზრახო". 174 r — v.

737

შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. XIX — XX

108 ფ.; 32,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა, მოცილებული მხედრული; ქაღალდის კიდეები შემოცვეთილი და დახიანებული; ხელნაწერი დაშლილია; აკლია 3 და 4 ფ. ფ. შორის; გადაწერილი დიაჩოქი ბასილი ცაბაკაია (საცავი ფურცელი), [XIX—XX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„შესავალი პირველი ვეფხისტყაოსნისა. — ამა ამბის დასაწყისი პირველი ჰამო და სასმენელად მშვენიერი ჰსწყალისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენ.— რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა..." 1 r — 108 v.

შენიშვნა: „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტი მისდევს „ვეფხის-ტყაოსნის" ვახტანგისეულ გამოცემას.

ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე ხმობილი „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ა დ" დიაჩოქის ბ ა ს ი ლ ს ი მ ო ნ ი ს-ძ ი ს ც ხ ა კ ა ი ა ს მიერ" (საცავი ფურცელი).

738

ს. ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. 1820

78 ფ.; 34×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ტეიფრული; მხედრული, სათაურები და დასწყისი ასოები სინგურით; ფ. 78 დახიანებულია; გადაწერილი ნიკოლოზ ბაღინოვი (78 v); 1820 (78 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჯაბუკისა მისისა. — ქ. იყო ველმწიფე ერთი, რომელსა არავისგან საქმენი მისი მოიგონებიან, რომლისა სიკეთისა [და] სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეჩარიბნა გულსა მისსა, რომე ზღვისა ათასის თავად არ აღრიცხებოდა..“ 1 r — 78 v.

შენიშვნა: ტექსტი უწიგნურად არის დაწერილი, საგრძნობლად სხვაობას უკანასკნელი გამოცემისაგან (შდრ. სიბრძნე-სიცრუის 1938 წლ. გამოცემას).

ანდერძი (გადამწერისა): „დასრულდა წიგნი ესე სიბრძნე სიცრუისა თებერვლის ა, ერთსა, ჩყკ-სა წელსა. აღიწერა ესე სიბრძნე სიცრუის წიგნი ქელითა ტიტულარნის სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაღინოვისათა“ (78 v).

739

ს. ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. XIX

170 ფ.: 19×15,5; ქაღალდი მოლურჯო ფერისა; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგრით; ქაღალდის ჭვირნიშანი 1804 წ. (2 ფ.); [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი ჟამსა სიჯაბუკისა მისისა. — იყო ველმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკარიბნა გულსა მისსა, რომე ზღვისა ათასის თავად არ აღერიცხოდა...“ 1 r — 170 v.

740

ათინაიდა. XIX

40 ფ.: 21,5×16,5; ქაღალდი მოლურჯო ფერისა; ტყავგადაკრული ხის ყდა, ტიფრული; თარგმანისა რუსულიდან დავით ფურცელაძის მიერ [1 v]; [XIX საუკუნის პირველი ნახევარი]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ათინაიდა. — სჩნდა, ვითარმედ შემდგომად დარღუვისა თჳსისა კუალად მყოფობდა ჩინებულება მისი, რომელითამე სახითა იპყრობდა მის თანა ამას პატივისცემასა და ამას დიდებასა, რომელნიცა მოიპოვა მან ეგოდენ ელვარითა ტიტლოებითა, ჟამსა ყვავილოვანისა მდგომარეობისა თჳსისა..,“ 1 r — 40 v.

შენიშვნა: „ათინაიდა“ გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე: „Афинаида, исторический отрывок; соч. Г. Арнода, перевод с французского. Москва, 1794“.

მინაწერები: 1. „კარგი ისტორია ესე უთარგმანებიეს როსსიულის ენიდამ კართულსა ზმასა ზედა კარგს მამულის შვილს საქართველოს ახნარს დავით ზურაბის ძეს ფურცელაძეს წელსა ჩყკე-სა, ბრწყინვალესსა ქალაქსა ქუთაისსა, რომელიც დიდათ საქებელი არს და სამადლობელი წამკითხველთაგან. თავადი გრიგოლ წერეთელი“ 1 v.

2. „1826-სა წელსა, დეკემბრის 4-ს გარდიცვალა ღენერალი თავადი, ჩხერის მოურავი ბერი წერეთელი და მის სახსოვრად დამრჩა მისი ნათარგმნი ეს წიგ-

ნი. რა ვქნათ, ბატონს დედოფალს როგორ გაუცხადოთ? თუ დღეს გაუცხადდეთ, კეფალოზს ალარ მიირთმევს, ვიცი. მაგრა აგერ ახალი ზუთხი რომ მოგვივა პალასატომიდამ, მაშინ შეუცხადებთ. თვითონ ზუთხს არ მიირთმევს და დაგვირჩება ჩვენ. უთუოდ ასე ვიქ" (ვ. წერეთლის ნაწერი უნდა იყოს).

3. „ბეთრეთ უმორჩილესათ აღმომცირებელთა წერილისა ამის, რათა შენდობით მომიხსენებდეთ. ღენერალ-მაიორი და კავალერი ნ ი კ ო ლ ა ძ დ ა დ ი ა ნ ო ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი" (40 r).

741

ხირომანტია. XVIII

45 ფ.; 21,5×16,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული, დასაწყისები, სათაურები სინგურით; ქაღალდის ჰეკრინიშანი — სამი ნახევარმთვარე (ფ. 3); ქაღალდი დალაქავებულია; [XVIII ს. დამდეგი]; ხელნაწერში მრავალი სქემა და ნახატია; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ხ ი რ ო მ ა ნ ტ ი ა]. „...თარგმანობა ამ ორთავე ხატთა. პირველად შეეიტყოთ, თუ რა დღე არს, მერმე თავზე გასინჯე საათის ანგარიში რამდენს საათზე გინდოდეს, იმ ანგარიშით ეტლი ნახე..." 1 r.

წ ყ დ ე ბ ა :„... მზე შეეა ერკემელში პირველს წინწკალს, მარტის თვეს, ცის შუაში პირველ გამოჩენაზე. მაშინ იპატრონებს ოტარიდ ტყუბის ბურჯით, რომელი არს თავის სადგომი. ამ წელს, დიაღ, შიმშილობა იქნება და კაცნიც, დიაღ, დაიხოცებიან და ფუტკარნი და პირუტყუნიც და დ..."

შენიშვნა: 1. „ხირომანტიის" ბოლო ფურცელი შეიცავს სიგრძედ-სიგანედთა გამოანგარიშებას. მოღწეულია ამ ტექსტის მხოლოდ ერთი უკანასკნელი ფურცელი. ტექსტის ბოლოს სწერია: „რაც ამათ ზემოთ დაგვიწერია, მართლა არ შეიტყობის, თუ რომელს ქვეყანას რომ ვართ. იმისი სიმაღლის და სიმდაბლის ზომაც არ შეიტყობთ მაგრამ ეს წიგნი მარტო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი, კ ა ხ ე თ ი ს ა, ი მ ე რ ე თ ი ს და ო დ ი შ ი ს შეგვიტყობს და შეგვატყობინებს. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სიმაღლე არის სამოცდა თექუსმეტი მართაბა. სიგანე არის ორმოცდაოთხი მართაბა და მ ნ ვ ი ლი, კ ა ხ ე თ ი ს არის სიმაღლე ე ი მართაბა არის(!), სიგანე მ ი ს ი ი კი ცხრამეტი მართაბა არის და ოცდათორმეტი ნაწილი. ი მ ე რ ე თ ი ს სიმაღლე არის ოცდათვრამეტი მართაბა. სიგანე არის კ ი მართაბა და თორმეტი ნაწილი არის, ო დ ი შ ი ს სიმაღლე ლ ვ ბ მართაბა და ლ ნაწილი არის, სიგანე მისი მბ მართაბა არის და მე ნაწილი. ზემოთ წერილი კუთხებით ესები ადვილ შეიტყობთ" 40 v.

2. ტერმინების მიხედვით ხირომანტია თარგმნილი უნდა იყოს ლათინურიდან.

3. ხელნაწერის დედანი შედგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს XVII საუკუნის დამდეგისა. ამას მოწმობს ოგ თავის სათაური: „თუ მთოვარე და მზე რომელს წელს, რომელს თვესა, რომელს კვირას, რომელს ჟამს დაბნელდებიან. ქ ვ ს ტ ბ — ამ წელს დაბნელება იქნება, ერთხელ მზისა, ორჯელ მთვარისა".

4. „ხირომანტიის" ტექსტი მისდევს ხელნაწერ Q — 867-ის ტექსტს.

5. ხელნაწერს აქვს მრავალი მინაწერი და კრიპტოგრამა.

მინაწერები: 1. „თავადი ბ ე რ ი წ ე რ ე თ ე ლ ი". 18 v. 2. „დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს არის" 25 r.

იხ. აგრეთვე 18 r, 19 r, 40 v, 41 r — v, 42 r — v; 44 v, 45 r — v, 43 r-ზე არაბული ანბანი და მისი რიცხობრივი გამოსახულება. კ რ ი პ ტ ო გ რ ა მ ე ბ ი: 42 v, 43 r — v, 44 r.

13. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

742

კრებული. 1789

102 ფ.; 20×15,5; ქაღალდი მოლურჯო ფერისა და თეთრი: ტყავგადაკრული ხის ყდა, ტკიფრული; ზემო ყდა დაზიანებულია; მხედრული, სათაურები და დასწყისი მთავრული ასოებით, სინგურით; ამოცვენილია: 26,27 ფ. ფ; გადამწერი დავით გოსტაშაბის ძე (101 v); 1789 წ. (101 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „ტყუეობისათჳს დიდებულისა სამეუფოჲსა ქალაქისა კოსტანტინეპოლისა, რომელსა უწოდებენ ახლად რომად, რომელიცა დაატყუევა მახომედ მეორემან, სულთანმან თურქთამან მერვემან, შემდგომად ქრისტესა წელსა 1453, ჩუნგ. — მახომედ, სულთანმან თურქთამან, რომელისა სახელი მეორე, შემდგომად სიკუდილისა მამისა თჳსისა ამურატისასა აზიასა შინა სამთავროსა ბითვინისასა და ქალაქსა შინა ბურესსა ღირსებისაებრ აღასრულა დაფლეჲ მისი...“ 1 r — 27 r.

2. [ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში]. „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა ფრანცისიდამ წამოსვლა სულხან-საბა ორბელიანისა და იტალიაში შესვლა ქ-სს ჩლია, ივნისის თხუთმეტს. — ფრანციცის თემის ბოლოდამ წამოვედით, რომელსა ჰქვიან ტანტიბ ქალაქი...“ 28 r — 101 v.

შენიშვნა: ხელნაწერი საფუძვლად დაედო ბეჭდურ გამოცემას. გამოცემაში ხელნაწერი A ლიტერით არის აღნიშნული (იხ. ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1940 წ. გვ. V).

ანდერძი (გადამწერისა): „ყოველად წმიდაჲ სუეტ, ღმერთო, შემიწყალე უღირსი მწერალი ამისი გოსტაშაბის ძე დავით, რომელმან აღვსწერე წიგნი ესე თუსცა აგვისტოსა ი, ქრისტეს აქეთ ჩ ღ პ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უოზ დაწერილი“ 101 v.

მინაწერები: 102 v, ქვემო ყდის შიდა მხარეზე.

743

კრებული. 1812—1819

283 ფ.; 20,5×16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით; დაუწერელია: 151—252 ფ. ფ.; გადამწერი — ხუცესი მამფრიდი იოანე (93 v, 150 v); 1812 — 1819 წ.წ. (93 v, 150 v); დაწერის ადგილი — ვორონეჟი (93 v), მოსკოვი (150 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა თქმულთაგან ღუთივშვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყარო. სწავლა ა. წმიდათ წერილთა ჴელად მიღებისათჳს. — საყვარელო, იკითხვიდე რა საღჳრთოთა სიტყვათა, პირველად ეგედრე ღმერთსა, რათა განგიხვნეს შენ თვალნი გულისანი არა მხოლოდ კითხვად წერილისა, არამედ ყოფადცა...“ 1 r — 93 v.

შენიშვნა: „ოქროს წყარო“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა სულისა მომრწყველი ოქროს წყაროჲ ყ'დის სურვილით მწერლის, ცოდვილ ხუცესის ჴელითა მამფრიდის იოანესითა დიდსა როსიასსა, ქალაქსა შინა ვარონიჟსა, წელსა განჴორციელებითგან სიტყჳსა ღჳთისა ჩ ყ ი გ, დეკემბრის ლ“. 93 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „გამოჩინებისათვის მელქისედეკისა. — ჰშვა ასელა სუ-ლი, და სალამან ჰშვა მელქინ, და მელქინ იყო წარმართ და ბილწ და აღა-სრულებნ გებასა კერპთა მიმართ და შეკრბეს ყოველნი მოყუასნი მისნი და მოჰკდიდეს შესაწირავსა კერპთასა..“ 94 r — 96 r.

3. „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელ[ი]ზ-ბარისა და უწყება წამებისა მათისა. გკ̃ხენ მეუფეო! — მოწამეთა სამრავ-ლებან გარე მომიცუ̃ს ჩვენ მრავლითა რაჲთამე ბრწყინვალებითა და გარდა-მეტებულითა ჰაეროვნებითა...“ 97 r — 108 r.

4. „სამუელ რაბინ იუდიანისა. — ოქროს ანაქუსი(!). — თავი ჲ. — მისთვის ვითარმედ რასთვის იმყოფებიან ღმრთისა რისხვისა ქუ̃შე იუდიანნი. — მსურს, უფალო ჩემო, რათა შენ მიერ უწყებულ ვიქმნე დამტკი-ცებითა სჯულისა წინასწარმეტყუ̃ლთა და სხვათა წერილთაგან, რაჲსათვის ჩვენ ყოველნი იუდიანნი ერთობით შევრდომილ ვართ ტყეებასა ამას, რო-მელსა შინა აწ ვართ...! 109 r — 150 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: ჲ. რუსულ ენაზე გადმომღების მღვდელ-მონაზონს ვა რ ლ ა მ ის წერილი მწყემსმთავრისადმი (110 r — 111 v). ბ. „ოქროს აღნაქვ-სი ნ“ ქართულ ენაზედ გადმომღების დ ი მ ი ტ რ ი ბაგრატიონის წინასიტყვა-ობა: „მკითხუ̃ლთათვის. — ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელ იყო სალმთა-წერილის ენის გამოუცდელობით“ (111 r). გ. „ალნიშუნა“ (მეორე გამოცემის წინა-სიტყვაობა) 111 v — 112 r, (შდრ. H — 1657 ხელნაწერის აღწერილობას).

ანდრეძი (გადამწერისა): „ველ-ვჰყავ წიგნისა ამის სამოელ რაბინის, უპირ-ველესის სინაღოღისა იუდიანისაგან მიწერილი სჯულს შესაკრებელის მოძღუ̃რის ისაკ რაბინის მიმართ, რომელ ეწოდების წიგნსა ამას ოქროს ანაქუსი. აღეწერე სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს წელთა 1819, აგვისტოს ი, ცოდვილი ბუღცსი მამუ̃ხოვი იოანე“ 150 v.

5. [იონა ხელაშვილი]. „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო. — ჰხე-ვენ ქვეყანაო, ისინიც სიტყვანი ესე კილოვნებისა, კიდით-კიდემდე დაშენებულო. ხედავთ სამთა ამათ ძნიად სატკივრითელთა ფიცხელთა ხარკთა შენთა...“ 253 r — 258 v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგინს ერეკლე II-ის ძის, ვახტანგ ბატონიშვილის გარ-დაცვალების გამო დაწერილ გლოვას, რომლის ავტორია იონა ხელაშვილი (იხ. A — 1145, 83 v).

6. „ამბავი მაჰხმადისა თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოკვანილი და წიგნთაგან მაჰხმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათი. — გალობა. ფსალმუნი ასაფისი 3 ბ. — ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუ̃ლმან აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათჳს სთქუა, რამეთუ წინასწარ ხედვიდა სულითა განშრავლებასა მათსა და გამოფენასა ყოველთა კიდეთა ზედა და შეურაცხ-ჰყოფასა მორწმუნეთასა მათგან. პირველად ადიდებს ღმერთსა და იტყვის წინასწარმეტყუ̃ლი: ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ. თ არ გმანი: ამისთვის იტყვის: ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ, რამეთუ მრავალნი კერპთმსახურნი იყუნეს, რომელნიმე რომელსა იტყოდეს ღმერთად...“ 250 r — 278 r.

7. „სიმღერო სარწმუნოებისა. — მრწამს უკუ̃ე, ვითარმედ ღმერთი იყო მარადის და არს და იყოს, გარნა უფროსღა არს მარად...“ 278 v — 283 v.

744

ს.-ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. XVIII

24 ფ.; 27,5×18; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული, დასაწყისები სინგურით; დაზიანებულია: 1—2, 19—24 ფ. ფ.: ქაღალდი დალაქავებული; ფრაგმენტი შეიცავს ხელნაწერის ზ—ი რვეულებს; ნაკლულია ზ და ი რვეულები, სრულია ი და თ რვეულები. [XVIII ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ს.-ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა]. „...[რომე შიგან შესვლა]საც არ აღირსებდენ, ართუ დაჯდომილიყო. მან კაცმან, [რა კაც]ი ეგრე მჯდომი ნახა, ერთი მოსამახურე კაცი შეუყენა...“ 1 r — 24 v (შდრ. 1938 წლ. გამოცემას, გვ. 85).

წყდება: „... შეეხვეწა კაცი: ცოტა [კიდეე მაცალე, აგერ მელა არის] და მასცა ვკითხოთ. მივიდნენ, მელას [ჰკითხეს. კაცმან თავისი საჭირვარი უთხრა]. გველმა ხისა და ჯარის მოწმობა მოახსენა...“ (შდრ. 1938 წლ. გამოცემას, გვ. 127).

745

ქალვაჟიანი. XIX—XX

7 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო: მხედრული; ხელნაწერის ფურცლები შუა ადგილას გადაბეჭდულია; ქაღალდი დალაქავებულია; [XIX—XX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ლექსი ქალ-ვაჟისა, თქმული ბრძენთა. — იყო ერთი კაცი ფრიად მდიდარე(!) და დიდი ქალაქის პატრონიც იყო. უანგარიშო ხაზინა ოქრო და ვერცხლი, თვალ-მარგალიტით ასე, რომ მის ტოლი სხვას არავის ეჭნებოდა...“ 1 r — 5 v.

მინაწერები: 5 v, 6 r, 7 r—v.

746

კარაბადინი. XIX—XX

64 ფ.; 20×16,5; ქაღალდი; უყდო: მხედრული; თავ-ბოლონაკლული: [XIX — XX ს.ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს ჯადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[კარაბადინი]. „...სასაქმებელი ყველასი ბალღამისა და ზაფრისა ზაფრისა(!). ან გულის რევისა: ორი დრამი რუბის რევანდი, ერთი დრამი აბუსალათინის გული კარგად დანაყე და დალბე (!)...“ 1 r — 64 r.

შენიშვნა: 64 r — v-ზე სხვა ხელით მიწერილია სამკურნალო რეცეპტები.

747

კარაბადინი. XIX — XX

I—X 72 ფ.; 23×17,5; ქაღალდი; დაშლილი; ხელნაწერი ჩადებულია მუყაოს ყდაში; მხედრული; დაუწერელია: 66 v—70 v; [XIX—XX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„წიგნი, რომელიცა იწყობის(!) კარაბადინამად. — ძალითა და შეწევნითა ღვთისათა, რომელმან შეჰქმნა ყოველნი არსნი ხილულნი და უხილავნი...“ 9 r — 66 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის ხანდუკი (1 r—8 v). 2. ხელნაწერში დევს ორი ფურცელი, რომელზედაც აგრეთვე სამკურნალო დარიგებებია დაწერილი: „დარიგება წინად დასაცველთა ხომითა დასაწყისთა აქიმობათათვის დამცველისა სნეულების ხოლერისა...“ (71 r — 72 r).

3. ხელნაწერში ჩადებულია აგრეთვე კარაბადინის ერთი ნაწილის რუსული თარგმანი (1 r—V r).

748

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1852

I—II 132 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; ტკივადაკრული ხის ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით; გადამწერი მახარებელ დარახველიძე (132 v); 1852 წ. (132 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„სამართალი ვახტანგ მეფისა მიერ თქმული. თავი ა. — ლეონ ბრძენისა და კოსტანტინესი. და სხუათა ხელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულისა კანონთა მეფეთა...“ 1 r — 132 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი, სახელწოდების მიუხედავად, იწყება ბერძნული სამართლით, მაგრამ წყდება პირველ მუხლებეგ (7 r), რის შემდეგ იწყება ვახტანგის სამართლის პირველი მუხლი (7 r-ხე).

2. ვახტანგის სამართალს ერთვის რამოდენიმე მუხლი (რჰს—რყ და რვე მუხლები) ბერძნული სამართალიდან (იხ. ხელნაწერში სჯ—სყდ მუხლ.).

3. ვახტანგის სამართლის ტექსტს ხელნაწერში არა აქვს შესავალი.

4. სამართლის ტექსტს ერთვის საძიებელი (121—132 ფ. ფ.).

ანდერძები (გადამწერისა): 1. „დაიწერა სამართლის წიგნი ქრონიკონსა ჩ ყ ნ ბ წელსა, იანვარსა ვ განსრულდა, რომელსა შინა წელთა მეორემდე გარდამოვითარგმე(!) მე მახარებელ დარახველიძემან, სახას ძემან“ 132 v. 2. „ღმერთო. აცოცხლე პატრონი ამისი მახარებელ დარახველიძე და მერმედ აცხოვნე სასუფეველსა შენსა, ამინ“ II v.

მინაწერები: 1. „ჩ ყ ნ დ წელსა, მაისის კზ რიცხსა მოიშალა ხუანთჭარის ჯარი ამავ შუხუთის ქალაქშიდ და მრავალი დაიხოცნენ ჩხუბითა. კიდევაც ხასან ბაშის თავი ვიშოვნეთ ჩვენ. ამავე სოფლისა მცხოვრებმან გიორგი იობის ძემან ორაგველიძემან მოსწყვიტა ეს თავი... და სხუანი მრაუალნი ვიშოვნეთ დავითყიეთ] და მოვკალით. აღმიწერიეს ესე მე მახარებელ სახას ძეს ორაგველიძეს“. II r.

2. მინაწერება ორაგველიძეთა ოჯახის წევრების შესახებ (Iv, II r).

749

კარაბადინი. XVIII

15 ფ.; 27,5×18; ქაღალდი; ფრაგმენტი: უყდო; მხედრული, დასაწყისები სინგურით; დაწერილია სხვადასხვა ქაღალდზე სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელით; ხელნაწერში 3 სხვადასხვა ფრაგმენტია ერთად შეკერილი; [XVIII ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[კარაბადინი]. „... კაცსა აწყინოს, ამისი წამალი თბილი, მწურვალი და ტკბილი საჭმელები არის. ამავ კიტრის თესლის წყალი საფარისა სიმწარეს გააქარვებს, კაცს გახსნის და ყოველს მწურვალს სენს არგებს...“ 1 r—15 v.

წყდება: „... ეს კატის ჯორცი რომე კაცმან ჭამოს და ან ზედ დაიდვას სოკოსათვის, ნოვასილისათუის და სარბანასათუის სამისა თუ ისვე მწუედ კარგი არის. აწე ბოვასილი სოკოსა ჰქვიან. ნოვასილი ამასა ჰქვიან, რომე უკანა კარს გარეშემო ხურელი...“

750

კრებული. XIX — XX

147 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, დახიანებული; მხედრული; დაუწერელია: 125—147 ფ. ფ.; გადამწერი — იაგორ იოსებიჩ ალელეპტროვი (7 ვ). [XIX—XX]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „დღე არის დღესასწაული ანდალამუწისა(!), რომელმანც(!) გაჰკურნა ქრისტემ. თავი 39. — კაცი ვინმე იყო ანდამალუწი გლახაკი, უპატრონო და შეწუხებული, უნუგეშო და ყოველიე სახმარი(!). დადუნებული ჰქონდა ყოველი ასო, რამეთუ თვალით იყო ბრმა...“ 1 r — 6 v.

2. „ლაპარაკი სოდომ-გომორი კეისრისა. თავი 40. — სადიდებლათ თანაარისისა(!), მამისა, ძისა და სულის წმინდისა, ამენ. ესე წიგნი აღიწერა ლესარის გუბერნიაში, ვენეტის უდაბნოსა შინა...“ 7 v—17 r.

3. „მოთხრობა უშვილო ეფრემისა, რომ გაუჩნდა წმინდა ალექსი. თავი 41. — ერთი კაცი იყო სტანბოლს ქალაქში...“ 17 v — 29 v.

4. „მოთხრობა წმინდა იოვანე ნებიერი გლახისა. თავი 42. — ამის მამას ერქვა იესტროპოს, რომელიც სტანბოლის ქალაქში არკაზეოს კეისართან გეხარლათ იყო...“ 29 v — 39 v.

5. „მოთხრობა შვიდის ყრმის იეფესოსისა, თავი 43. — იეფესოს ქალაქი ახლა აიასუქ ითქმის, გუშ ათასი ნათქვამი ალაგია, რომელ ახლოა იზმირსა...“ 40 r — 49 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ჯვრის გამოსახულება წარწერით: „იაგორ იოსეფოვიჩ ა. ლ.“.

6. „ქრისტე მთაზედ თავისი ქადაგებას დაიწყებს და უჩვენებს, რომელნი არიან სანატრელნი. თავი 44. — 1. როდესაც მრევლი ნახა, ავიდა მთაზედა...“ 50 r — 55 r.

7. „რიგი და მოთხრობა წმინდათა. თავი 45. — წმინდა ადრიანე და ანატოლი. ადრიანე კერპის შვილი იყო...“ 55 r — 65 v.

8. „მოთხრობა წმინდა ანტონისა აბანუ ანაპატისა ჰიჭნაურისა. თავი... — ესა იყო ეგვიპტელი, კეთილი და სულიერი დედ-მამის შვილი...“ 66 r — 72 r.

9. „მოთხრობა წმინდა ვონომფერიესი ბერისა, ჰიჭნაურისა. თავი — ეგვიპტელი იყო, თითონა პატარობისასა ერთრ(!) ვანქში საბეროთ შეიდა...“ 72 v — 76 v.

10. „მოთხრობა ამბება მარგოზისა ბერისა, თავი. — ერთ დღესა, როდესაც წმინდა სრაპიონი(!) ბერთან იყო, სიზმარი ნახა...“ 76 v — 84 r.

11. „მოთხრობა იევგენე კუსისა. თავი. — ეს ქალი იყო ჰორომა ქალაქში, ფილიპეს ქალი...“ 84 v — 94 r.

12. „მოთხრობა წმინდა გიორგისა. თავი. — კაისერის მხარეს დაიბადა, ბარშამის ქალაქში გაიზარდა, ბარშამელი იყო ამისი დედა...“ 95 r — 102 r v.

13. „მოთხრობა წმინდა სიმეონ სვეტლისა(!). თავი. — ანტიოქი ქალაქში იყო დაბადებული მცირე თეოდოს კეისრისა დროსა, ღარიბ კაცისა შვილი იყო...“ 103 r — 109 v.

14. „მოთხრობა წმინდა გიორგისა(!) გამნათლებელისა. — ამის მამას ერქვა ანაკ და დედას ვომოხე. მამა პართელების სჯულისა იყო, კერპთმსახური...“ 110 r — 118 r.

15. „მოთხრობა წმინდა ქალწული იევპრაქსია. თავი. — ეს დაიბადა სტანბოლის ქალაქში წელსა 380-ს...“ 118 v — 124 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი თარგმნილი ჩანს სომხურიდან. გადაწერილია სომხის მიერ უწიგნურად.

2. ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია ფერნანის ცირკის აფიშა, ლიტოგრაფიული წესით დაბეჭდილი.

ანდერძები (გადამწერისა): 1. „დიდება მამასა, და ძესა, და სულსა წმინდისა, ამინ. აწდა მარადის და უკუნის უკუნისამდე, ამენ. ღმერთო ცისა და ქვეყნის გამჩენო იესუ ქრისტე, რომელიც, გაჭკურნე ანდალმუწი იგი, ეგრეთვე ამის დამწერის სული შეიწყალე და დაისხენ ჯუოჯოზეთისაგან“ 7 r.

2. „წიგნი ესე დაბადებისა დამიწერია მე იაგორ ოსებიჩ ალელპეტროვსა და გთხოვთ წარმკითხვენო, თუ რომ უკეთუ იხილოთ რამე შეცდომილი, ნუ გამიკითხამთ, რამეთუ, როგორც ცა არავის უხილავს სრულიად მოწმენდილი, რათა არა იყოს ხსენებული მცირეთაგანი, ეგრეთვე წერილნიცა თუ სომხური და თუ ქართულნი არ შეიძლება შეუცდომელნი მცირედი ასოთაგანიცა“ 7 r.

751

ერისთავი ვასილ. თხზულებათა კრებული. XIX

74 ფ.; 22×18,5; ქაღალდი: უყდო; მხედრული; ამოცვენილია ფ. ფ. 26,27; [XIX ს.].

1. „ვასილ ერისთავი. „ლევანის ბედი. დრამა ოთხს მოქმედებათ. — (სცენა წარმოადგენს რევაზის სახლს, წინ მწვანე ველზედ ერთი ხე სდგას. შორით მთები მოჩანან). მოქმედება პირველი. გამოსვლა პირველი.— ლევან დაფიქრებული დადის და ცოტა ხანს შემდეგ: არ ვიცი როგორ დავარწმუნო მამა ჩემი, რომ ის ქალი, თუმცა თავადიშვილის ქალი არ არის, არც დიდი მზითევი აქვს, მაგრამ განათლებული და ყოველი ღირსებით სავსეა...“ 2r — 24 v.

2. „იკორთის ეკკლესიას. —
ტაძარო წმინდაო! შენს მშვენებას და შენს დიდებას
მე შემოვსწირამ წმინდასა ცრემლს და მოწიწებას...“ 25 r.

3. „გნახე უცხო მხარეს, ტურფა,
გადაშლილი ვარდივითა...“ 25 r — 26 v.

4. დადგა ზამთარი,
დაღონდა ყველა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფრინველთაგან თავისუფალი
აღარსად ისმის გალობა, სტვენა..." 27 r.

5. „დ. ა.—გამოველ ერთხელ მოწყენილი მთვარიან ღამეს,
იყო დუმილი ბუნებაში, მთელ არე მარეს..." 27 v — r.

6. „ფოთოლი (მიბაძვა ლერმონტოვისა). —
ფოთოლო, საით მიდიხარ, რომელს ქვეყანას დაბადებულხარ..."
27 v—28.

7. „კ. დ. — მეჯუდის ვარდო,
სულით უმანკო..." 28 r — 29 r.

8. „უყურეფ ცაში ურიცხეს ვარსკვლავებს,
ზოგი ანათებს, ზოგნი ქრებიან.." 29 r.

9. „სამშობლო მხარეს. — განგშორდი, მაგრამ მარად თვალში მიცურვენ ცრემლნი..." 29 r — v.

10. „ალბომში. — არა, კალამს არა ძალუძს,
რომ გამოსთქვას შენი ქება.." 29 r.

11. „ს. ვ. — ნეტავ იმ დროსა, როდესაც,
მე შენ გიმზერდი თვალითა.." 29 v — 30 r.

12. „კათ. 16. 1880 წ. — ამდენს რათა სწუხს, ან რასა სწუხს ეს ჩემი
გული..." 30 r — v.

13. „ალბომში.— ოდეს განახე, მაშინვე
გულსა მეცნენ დარდები..." 31 r.

14. „მარიამობის 16 დღ. 1880 წ. — მიყვარს მე განთიადისას,
როს ცა უმანკო მშვენიერებს..." 31 r — v.

15. „ყაბახის შადრევანს. — ოდეს გულითა ვარ სევდიანი,
მსურს, შადრევანო, მე შენი მზერა..."

16. „სიზმარი. — ათასნაირი ფიქრებითა გაშფოთებული,
წამოვწექ ჩრდილში ხის ძირისა დასასვენებლათ..."
32 r — 33 r.

17. „ — მიყვარს ზამთარს როს დაბურამს
შავი ნისლი სათოვლეთა..." 33 v — 34 r.

18. „1863 წ. იანვრის 4 დღესა. ნათარგმნი რუსულით. —
ოხ! სიხარულო, სიხარულო, ნეტავი რათა
ჩვენთვისა კვალად მსწრაფლად იცვლება..." 34 r — v.

19. „ჯიმშერ. — ხმა ჯიმშერისა, მახსოვს, ერთხელ იყო განთქმული..."
34 v — 50 v.

20. „მი ლახორი (მეჯინიბეთ უფროსი). —
ღმერთო, გეევდრი, ვსდგევარ შენ წინა
მუხლმოდრეკილი, შეჰირვებული..." 50 v—66 v.

21. „ტუსაღი (მიბაძვა ლერმონტოვისა). —
ერთხელ შევესწარ ქალაქ ადგილს სასატიმროსა..." 67 r — 74 v.

მინაწერი (ხელნაწერისაგან განსხვავებული ხელით): „მე ჯვრის ხევსი მცხოვრებული ვასილი სოლომონის ძე ერისთავი. 30 ივნისს 1887 წ.“ 26 v.

752

ოთხთავი. XVII

175 ფ.; 22×12; ქაღალდი; ხის ყდა; ტყავგადაკრული, ტეიფრული; მხედრული, დასაწყისები სინაფრით; ყოველი სიტყვის შემდეგ განკვეთის ნიშანი; ქაღალდი დალაქავებული; სახარების ყოველ თავს აქვს პირველი ფურცელი, ნაკლული ადგილები გვიანდელი ხელით არის აღდგენილი; მინიატურები: 1 v, 52 v, 82 v, 132 v; ამოვარდნილია ფ. 138; დაზიანებულია: 174—175 ფ. ფ.; [XVII ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ოთხთავი]. „სახარება მათესი. — თავი ა. დასაწყისი ა. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისი...“ 1 r — 174 v.

ანდერძი გ. მთაწმიდელისა: 1. „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდა ოთხთავი არათუ ახლად გუთხრაგნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სრულთა და ბრძნად მეცნიერთა თანა ბერიგორთა სახარებათა შემოწერებითა და ფრიადითა გამოწულილოვითა თარგმნულან. აწ, ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოვოთ, ეგრეთვე დასწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გონჩდეს დაწერა, შიშისა ღვთისათვის სიტყვისა სიტყვად ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა ჰპოვოთ, ეგრეთვე სწერდით, და თუ არა... პირველითგან წმიდად თარგმნეულით და კეთილად. ხოლო ხანმეტიცა და საბაწინდღიურნიცა. მუნით დასწერეთ და, ღთისათვის, ერთმანერთსა ნუ გარევეთ“ 174 v — 175 r.

2. გადამწერისა: „და გლახაკისა ამის მწერლისათვის ლოცვა ყავთ. ღმერთმან შეუნდნეს ამ წიგნისა დედის დამწერელსა ყოფილი ცოდვანი და შეცოდებანი მისნი დიდითა მოწყალებითა მისითა, ამინ. ჯერ-იყოს ესე თქუენ მიერ, ძმანო ჩემნო, რამეთუ არა დაიწერა საძიებელი ამათ წმიდათა სახარებათა ამის მიზეზთა მიერ. რამეთუ მეშინის, ვითარმედ ნუთუ ვერ შემძლებელ იქმნენ მიწდომად საძიებელთა ქეშმარიტებით გამოკითხვად კაცნი ერისანნი, რომელი-იგი მოკეთულ არს მღრღელთა მიერ, რათა წმიდათა ეკლესიათა შინა გამოკითხვად საძიებელთა მიერ დღითიდღისა მსჯავსებით სიტყუა სახარებისა ამის, რათა განანათლოს და განაწმიდოს დღეიგი და გონება ყოველთა მსმენელთა ქეშმარიტებ ბრძანებამან უფლისა ღმერთის ჩუენისამან. ხოლო საძიებელთა აღმოკითხვა წმიდისა ამის სახარე... ...ესე უწყოდენ ქეშმარიტად, რამეთუ ყოელგან კეთილ არს, რათა ‹მცირედცა რასამე გულისჴმისმყოფელი იქმნენ, დიდ არს მათთვის ესე.

ხოლო ყველად ჴედერები მე, ესე ყოველად ცოდვათაგან ძლეირად შეპყრობილი და მონა-ქმნილი ცოდვისა, რათა ბრძანოთ მწერლისა ამის შენდობა თანანადებთა მათ ჩუენთა.

ხოლო მონობისაცა უღირსი, ვითარმედ მონა ღვთისა ვინმე ფრიად ცოდვილი ესე, რომელი მე ესწერ წიგნსა ამას წმიდისა სახარებათასა, რომელი არა ჯერ-იყო წერითა მჳედრულითა, არამედ მოვით(!) შენდობას ვითხოვ ამისთჳს, რამეთუ მრავალთა კაცთა მჯდრად და ერისჯნად განწესებეთ გული უთქმით ქეშმარიტთა საბეჭითა, რათამც ღირს იქმნენ გულისჴმის-ყოფად ესე ვითართა საქმეთა და გონება-მიუწუღიმელთა სასწაულთა და საკურველთ-მოქმედებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთა, და არა ძალ-უძს წიგნთა ხუცურთა აღმოკითხვად. აწ უკუე ვიეთნიცა... აღმოიკითხოდით წერილსა ამას...“ 175 r — v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

753

მანანა. XIX

120 ფ.; 16,5×14; ქაღალდი; ნახერგადაკრული ხის ყდა; შემორჩენილია მხოლოდ ზემო ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით, მთავრულით; დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით; [XIV ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ღვთივდიდებულთა წმიდათათჳს შესხმანი სულისა დამატკბობელნი, რომელსა ეწოდების მ ა ნ ა ნ ა. შესხმა ა. ღვთისმშობელისა და ყოვლად დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, — აღსდექ, უფალო, განსასუენებელად შენდა შენდა(!) კიდობანი სიწმინდისა შენისა...“ 1 r — 120 v.

შენიშვნა: კრებული „მანანა“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ.

754

მირიანი. XIX

62 ფ.; 22×17,5; ქაღალდი კლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; ქაღალდი დალაქებული; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„აჰა ანბავი დასაწყისი ჩინეთის ხელმწიფისა და ძისა მისისა მ ი რ ი ს, რომელიც მისცა ღმერთმან ფერის ხელმწიფის ქალთან. — იყო ხელმწიფე ხოსროშაი, ჩინეთს დგებოდა. ამისთანა ძლიერი და მაღალი ხელმწიფე უშვილობას ისე შეეწუხებინა, რომ თავისი სახელმწიფო აღარაფლად (!) მიაჩნდა...“ 1 r — 61 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... ესენი ყველანი დასხდნენ ტახტზედ და ფერიებს უბრძანეს, ასწიეს, სადაც ანდლიბს გულაღზარი დაეკარგა, იმ წყაროზე...“.

შენიშვნა: ტექსტის უკანასკნელი თავია: „აჰა მირის, ნიკიტარის და ნასიბის, ორმოში რომ ცყარენ, ერთი თვის შეთავება. მირის სიხმრის ნახვა და გამოხსნა იმ ჯურღმულიდამ“.

მინაწერები: 62 r-ზე.

755

ჯულაბაშვილების დავთარი. XVIII — XIX

29 ფ.; 20×15,5; ქაღალდი; კლენკორგადაკრული ტყავის ყდა; მხედრული; [XVIII—XIX ს. ს.]. ხელნაწერი 1949 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ჯ უ ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს დ ა ვ თ ა რ ი]. „ქ. ნე პაპუნმა იმ თარიღჩი, რომ ისპ[ა]ჰ[ა]ნს ხოჯა ბეგთ დაუნახათან ამანთი გაუშვი ისპანს, მე ასე მითხრა დაუნჷ, რომ მლთინსაო მამის შენის გოდერძასიო სამას თუმნის თამასუქიო...“ 1 v — 29.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის დოკუმენტები, ნუსხები, და წერილები დაწერილია ჯულაბაშვილთა ოჯახის სხვადასხვა წევრების მიერ. ძირითადი ხელით ჩაწერილი ტექსტების უმრავლესობა თარიღიანია, თარიღდება XVIII ს. პირველი ნახევრით;

დანარჩენი ტექსტები თარიღდება XVIII ს. მეორე ნახევრითა და XIX საუკუნით. ყოველი სიტყვის შემდეგ განკვეთის წერტილებია ნახმარი. ტიკსტი დაწერილია მეტად გაუმართავი ენით.

2. ხელნაწერი წარმოადგენს გორელი ვაჭრების — ჯულაბაშვილების — საქმიან დავთარს, სადაც შეტანილია სხვადასხვა სახის დოკუმენტები და ცნობები მათი საქაჯრო საქმიანობის შესახებ როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს გარეთ.

3. ჯარდა სავაჭრო საქმიანობის ამსახველი მასალისა, ხელნაწერში შესულია: სამკურნალო ხასიათის ცნობები (7 v — 8 r), სამღვდელო (8 v — 16 r), გოდება სომხურად, ქართული ტრანსლიტერაციით (20 v — 22 r.).

4. ხელნაწერი ჩადებულია პატარა ქაღალდი შემდეგი ცნობით: „გორელი კათოლიკეს (?) ჯულაბაშვილებისა (?) ოჯახიდან. გადმომცა ლ. ციხისთავმა. 11. XII. 34. საქმიანი დავთარი".

756

კრებული. 1859

225 ფ.; 19,5×15,5; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული ყდა; მხედრული; 1859 წ. (61 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმმა გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „ანბავი პირველი დასაწყისი ჩინეთის ჴელმწიფისა, ამ წიგნს ეწოდების მირიანი. — იყო ერთი ჴელმწიფე ხოსროვ შაჰ, ჩინეთსა იმყოფებოდა. ამისთანა ძლიერი და მაღალი ჴელმწიფე იყო..." 1 r — 61 r.

2. „გოდება ყოვლად წმიდისა. — სიმწუხრითა გოდებით გალობა ყოველად წმიდისა. დგას ჯვართანა იესოს დედა სიმწუხარით. მაზედ სცრემლეოდა, ოდეს მას ხედავდა..." 62 r — 66 v.

3. „ლოცვა წმიდის თომა აქვინელისაგან ნათქვამი. — ჱი, დამბადებელო და გამოუთქმელო, რომელი სიბრძნისა შენისა საუნჯეთაგან ცხრა გუნდნი ანგელოსნი დაარიგე..." 66 v — 67 r.

4. „ლოცვა დიაღ შემძლე მორწმუნე ქრისტიანეთათვის, რომელი დაგვიტევა წმიდა ნერსეს განათლებულმან. — სარწმუნოებით აღვიარებ და თაყვანის-გცემ შენ, მამაო, ძეო და სულო წმიდაო..." 67 r — 71 r.

5. „თვესა აგვისტოსა ია-სა მიცვალება ყოველად წმიდისა ღ-თისმშობელისა. საკითხავი, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ვასილი კესარიის მთავარეპისკოპოსისა. — რაჟამს-იგი სულისაგან წმიდისა ღ-თისმშობელმან მარიამ ჟამი განსულისა თვისისა ამიერ სოფლით გულისჴმაჰყო, მაშინ მხიარულიქმნეს სიბრძნითა საღვთოთა..." 72 r — 113 v.

6. „აღმოსავლეთის კერძოთ მთავრისა და იელუსარიმის(!) განმგისა პილატეს ნიერ (რაპორტი). — მოხსენდეს თქვენს თვითმპყრობელობითს დიდებულებას საქმე იგი საოცარი, რომელიცა იქმნა ამ ჟამად ქვეყანასა ჩვენსა შინა..." 115 r — 125 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა (114 r — 115 r).

2. ერთვის „ლექსი მთარგმნელისაგან. — ვეცხლი აიღო მღვდელთაგან, თავი დაირჩო იუდა, /სიცრუემცა ჯუჯუხეთისას პილატე მასთან ჩიოდა,/ მართლ-მსაჯული ქრისტესი, მწყ კესარი კიოდა, /ჰეროდე ცეცხლში იწოდა, ძლიერ თავიცა სტკიოდა./ ჯვარმან ერთმან განმაცოცხლა და მეორემ არ მაწყინა. /ჯვარით მავსო მესამისამ, ნამდვილ დიდათ მომაწყინა,/ ჯვარი ერთი შემეწია, მყის მკურნალი მომირიბნა. /ჯოჯოხეთში არ ჩამაგდო, სატანებსა მომარჩინა" 125 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძები (გადამწერისა): 1. „1859 წელსა, აპრილის 6 დღესა სრულ იქმნა.“ (61 r). 2. „დასრულდა, დიდება ღმერთსა, წელსა ჩ ყ ნ თ, მაისის კც დღესა, ქელითა გ. ს. ტ.“ (125 v).

757

კრებული. 1790

28 ფ.; 33,5×20; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, დახიანებული ჭიისაგან; მხედრული, დასწყისები მთავრულით; გადაწერილია ბენდერს (ქვემო ყდის შიდა მხარე); 1790 წ. (ქვემო ყდის შიდა მხარე); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. ,,მოკლე სწავლა, თუ ვითარ ჯერ არს კითხუა საღმრთოსა წერილისა აღსა[შე]ნებელად თავისა თჳსისა. — 1. ყოველითურთ სიფრთხილე სათანადო არს, რათა არა აჭუნდეს გულსა შინა თჳსსა საიდუმლოდ...“ 1 r — 3 v.

2. ,,ამბათ-ქება ყოველად წმიდისა. — ანი აქებს აღრეულსა, ბანი ბრწყინუად ბნელის ბრალთად...“ 4 r — v.

3. ,,ათენს ბნელს გულსა დიასებრ, ვარდ-ზამბახ, ◌ თმით იანი, კაზმავს ლალს მინა, ნარგიზთ ორ-პირ ჟამ რიგით სჳანი...“ 4 v.

4. ,,ქ. აღაღებს ბაგეს, გულს დასადაგებს, ელვარებ, ვფუცავ, ზე ◌იერულად, 4 v.

5. [ვახტანგ VI]. „ამას ბრძანებს გიორგ დედა, ესრეთ ვიყავ ზეზეთ ◌რა...“ 4 v.

6. ,,თთუ◌სა აპრილსა, 23 დღესა წამება წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა ძლევა-შემოსილისა გიორგისა...“ 5 r — 14 r.

7. ,,სასწაული წმიდისა დიდისა მოწაფისა გიორგისა. — კერძოთა სირიისათა იყო ქალაქი,სახელით რამელა, რომელსაცა შინა აშენებდნენ ეკკლესიასა ჭკსასა სახელსა ზედა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისსა...“ 15 r — 19 v.

8. ,,სიტყუა მისის უგანათლებულ[ე]სობის კნიაზის გრიგორი ალექსანდრიჩის პოტემკინ-თავრიჩესკისა, მაღალ მბრძანებელისა უფლისა ღუნარალ-ფერდმარშლისა და სხუათა და სხუათა ორდენთა კავალერისადმი დროსა მას ზედა დადგმისა ლავრის გჳრგჳნისასა ეკლესიაშინა ამაღლებისა უფლისასა, მონასტერსა შინა გოლს, თქმული ეკატერინოსლავისა და ხერსონისა ტაძრის არჳეპისკოპოსისა ამბროსის მიერ იანუარს 15 დღეს, 1790 წელსა, იასს. — უგანათლებულესო კნიაზო! თუმცა კეთილმოქმედება არს ასული ყოველად უზესთაესისა სოფლისა და ყოველად უზესთაესობა არს შესაბამი მისი პატივისა...“ 19 r — 21 v.

9. „იოსებ არხიერისაგან მიწერილი ბოქრეშის ჰერმანთადმი. — კეთილმსახურნო სამწყსონო, წარმოდგომითა ჩუენითა დღეს წმიდასა ამას შინა ტაძარსა ჰსჩანს წინააღდგომი ვითარება...“ 23 r — 24 v.

ანდერძები: 1. „ქ. ამბათ-ქება.
ქ. წმიდის გიორგის ცხოვრება.
ქ. წმიდის გიორგის სასწაული.
ქ. კნიახის შესხმა 1 და 2.
ქ. წიგნი მიწერილი.
ერთათ აღესწერე ბენდერს აგვისტოს 16 დღესა,
1790 წელსა (ქვემო ყდის შიდა მხარე).

2. „საქართველოდამ გამოველ ოკდონბერს კ, კ'ნს უოე". 27 r.

მინაწერი: „კრისტეს აქეთ 1790, მთელი წელიწადი 365 დღე არის. იმერეთის მეფე დავით ლეორდეციჩი, 34 ღლდა, სუპარუჟესტვე იმეტ ანნა კნიაჟნუ ორბელიანოვ—25 ღლდა. ცარევნა ელენა — 45 ღლდა. ვე ზამუჟესტვე ზა ღეორდიმ ერისთოვიმ; მარია 45 ღლდ, ვე ზამუჟესტვე ზა კნიაზომ პაპუნომ ცერეთელოვონ, ფერდმარშარომ ესე იმერეთიი. ანნა 37 ლეტ, ვე ზამუჟესტვე ზა კნიაზომ პეტრომ ერისთოვიმ. ცარევნა მარია 33 ღლდა, ვე ზამუჟესტვე ზა სიმეონომ აბაშიზევიმ. ქ. უმერ ტაღო ცარია სოლომონა სუპრუღა ვდოვსტუიუშაია ცარიცა ღულბანა, უროჟდენნაია კნიაჟნა ცულუკაზევა, 60 ლეტა. ცარევნა დარეჯან, 35 ღლდა, ვე სუპარუჟესტვე ზა კნიაზომ კაიხოსრომ აბაშიზეომ. მარია 30 ლეტ, ვე სუპარუჟესტვე ზა კნიაზომ ელიზბარომ ერისთოვიმ. ბრატ ცარია სოლომონა ბაღრატ ალექსანდროვიჩ, 50 ლეტ. სინ ეღო დავით, 9 ლიტ. დეტი უშერშაღო მეწშაღო ბრატა სოლომონოვა არჩილ: 1.—დავიდ 17 ლეტ; 2. ვარვარა — 20 ლეტ; 3. მარია — 15 ლეტ.

კართლინია იაკეთია. ღრუნსყაღო ზაკონა. ცარ ირაკლი თეიმურაზოვიჩ 68 ლეტ. როდილისია 7 ნოემბრია 1721 ღლდა, ვე სუპარუჟესტვე იმეტ დარიუ ღეორღივნუ, კნიაჟნუ დდიანოვუ, 52 ღ. დეტ ოტ პერვაღო ბრაკა სე ცარიცაღო ანნა, კნიაჟინუ აბაშიდზეოვ. 1) ცარევიჩ ღეორღიუ, 40 ლეტ, ვე სუპარუჟესტვე იმეტ ვარვარუ ღეორღივნუ, კნიაჟნუ ციციანოვუ, 19 ლეტ. [უ]ნეღოტ პერვაია ცოლი კატევანა-კნიაჟნი ანდრონიკოვი.

გიორგის შვილები:

1). კნიაზ დავიდ, 23 ღლდა.

2). — იოანნე, 21 ღლდა.

3). — ბაღრატ., 13 ღლდა.

4). — ტეიმურაზ, 7 ლეტ.

5.) კნიაჟნა ვარვარა, 19 ლეტ. ვე ზამუჟესტვე ზა კნიაზომ ზასიმეონ ანდრონიკოვიმ.

6). — სოფია., 18 ლეტ.

7). კნიაჟნა ნინა, 16 ლეტ.

8). — ცარევნა ტომარა, 41 ღლდ; ვე სუპარუჟესტვე ზა კნიაზომ დავიდომ ორბელიანომ.

ოტ ნინეშნი ცარიცაი:

1). ცარევიჩ იულონ, 28 ლეტ, ვე სუპარუჟესტვე იმეტ სალამანიუ რევაზეევნუ, კნიაჟნუ ამილახოროვუ, 23 ღლდ.

2). — ვახტანღ, 27 ლეტ.

3). — ანტონიუ, 26 ლეტ.

4). — მირიან. 23 ღლდა.

5). — ალექსანდრე, 19 ლეტ.

6). — პარნაოზ, 15 ლეტ.

7). ცარევნა ელენა, 35 ლეტ.

8). მარია, 34 ღლდა.

9). კათევანა, 24 ღლდა, ვე ზამუჟესტვე ზა კნიაზომ ივანომ ბაღრატიონომ.

10). — ანასტასია, 21 ღოდა.
11). — ეკატერინა, 14 ლტ.
12). — თეკლა, 12 ლტ.

როსიისკოი იმპერატორსკოი დომ ეია ველიჩ̃ეს̃ტვო ბლაღოჩ̃ესტიეშაია ღოსუდარინა, იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა, სამოდერჟიცა ესე როსისკაია, როდილას ვე 1729 ღოდუ, 21 აპრილია.

პ[ა]ველ პეტროვიჩ როდილსია ვე 1754 ღოდუ 20 სენტაბრია.
მარია თეოდოროვნა როდილსია ვე 1754 ღოდუ 14 ოკდამბრია.
ალექსანდრა პავლოვიჩ როდილსია ვე 1777 ღოდუ დეკამბრია 12 დნია.
კონსტანტინ პავლოვიჩ როდილსია ვე 1779 ღოდუ აპრილია 27 დნია.
ალექსანდრა პავლუვნა როდილსია ვე 1783 ღოდუ დეკამბრია 13 დნია.
მარია პავლევნა როდილსია ვე 1786 ღოდუ ფევრალია 4 დნია.
ეკატერინა პავლუვნა როდილსია 1788 ღოდუ მაია 10 დნია.
(26 v — 27 v).

758

ქალაჯიანი. 1835

64 ფ.; 21×17; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, დაზიანებული; მხედრული, დასაწყისები სინგურით; დაზიანებულია: ფ. ფ. 54[1]— 55; დაუწერელია 58 v — 64 v; გადამწერი—არუთინ (54 r); 1836 წ. (54 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ქალაჯიანი]. „დროსა ერთსა ყოფილან სამეუფოსა ქალაქსა კოსტანდიელსა საბერძნეთისა კეისარსა, ყოფილან ცოლ-ქმარნი ღთისა სათნოთა სწავლისა მოყუარე ორნივე. ხოლო ყოფილან უშვილო, დროსა გარდასულსა ბუნატრიაათ უფლისა მიერ, რათ[ა] მისცეს მემკვიდრეთ თავიანთი ქონებისა...“ 1 v — 53 v.

ანდერძი (გადამწერისა): „სიცოცხლით გამაძღარ, სულიერათ და ხორციელათ ცხონებაც მრავალი ეტყოდნენ. ამათ უკან თავიანთი სამართალი მეცნიერებით დარჩა ესე ანბავი სიბრძნის სათქმელი ქვეყანაზედა. არაკთა სმენელნო, თქვენც ამასთანა მეცნიერება და სწავლა მოგცესთ, კეთილ-ცხოვრება ამავ სოფელსა და საიქიოსა, თქვენი მასწავლებელი, ოსტატი თქვენი, დედ-მამაც საიქიოს განსვენება მოგცესთ, ამინ. წელსა ჩ ყ ლ ვ. მარტისა ზ დღესა, მთვარისა ბ შაბათსა მე დავწერე არუთინ. გთხოვთ, ვინც წაიკითხოთ, ჩემსა მასწავლებელსა, ოსტატსა და ჩემი დედ-მამის ცხონებ[ა] მოახსენეთ“ 54 r.

მინაწერები: 54 v, 55 r, 55 v, 56 r.

759

ყარამანიანი. 1787

53 ფ.; ქაღალდი; 21×16,5; უყდო: მხედრული, დასაწყისები სინგურით; ხელნაწერი დაშლილია; აკლია მრავალი ფურცელი; დაზიანებულია: ფ. ფ.: 25—28, 31 — 32, გადამწერი — იოსები (53 r); 1787 (53 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ყარამანიანი]. „აქა მოიხსენეთ, გარდანგეშამა რომ დევნი პყრობილობისგან განთავისუფლა, მათი ამბავი. — რა იგი დევნი პყრობილობისგან გარდანქეშამა განთავისუფლა, მსწრაფლ თავ-თავის სამყოფს წარვიდნენ...“ 1 v — 52 v.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს „ყარამანიანის“ პირველსა და მეორე კარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი გადამწერისა: „ეს ორი კარი ყარამანიანი ერთის გამოჭრილის კალმით არის დაწერილი ჴელითა იოსებისათა. დასრულდა სეკდნებერს კე, ქ'ჯს წოდ" 53 ր.

760

ელეონორა კასტილიელი. XIX — XX

22 ფ.; 36×22; ქაღალდი; ფყდო; მზედრული; [XIX — XX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ელეონორა კასტილიელი, გინა გმირობა მეუღლეობითისა სიყუარულისა.—ეუტეევ მე სხუათა, გამკიცხონ სატირითა ის სჭესი, რომლისადმი ვალდებულია კაცი თჳსით კეთილდღეობით. შეურაცმყოფელი ადვილისა ამის ჴელოვნებისა სასიამოვნოდ მზაკურობისათჳს აღვსწერ მე მაღალსა მსხვერპლვასა ახალგაზდასა მეუღლესა..." 1 ր — 22 ր.

შენიშვნა: 1. ტექსტის მთარგმნელი არ ჩანს. 2. ხელნაწერი მთარგმნელის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ტექსტი მრავალ დგილას ნასწორებია. 3. ხელნაწერი ჩამოტანილია მ. კახიშვილის მიერ თიანეთიდან 1934 წელს (22 ր).

761

ოთხთავი (ფრაგმენტი). XVII — XVIII

4 ფ.; 24×20; ქაღალდი; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები მთავრულით; 2—4 ფ.ფ. რესტავრირებულია; პირველი ფურცელი ძალზე დახიანებულია. ამ ფურცელზე პირუკუ დაკრულია მეორე ფურცელი, აგრეთვე დახიანებული; [XVII,— XVIII ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ლუკას თავის სახარებაჲ]. „... და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას. მოძღუარ, შერისხენ მოწაფეთა შენთა..." ლ. 19,39. 1 ր — 4 ვ.

წყდება: „... რამეთუ მე მოგცე თ'ქნ პირი და სიბრძნე, რომელსა ვითარ შეუძლონ წინაღდგომად და სიტყჳს-გებად ყოველთა წინააღმდგომთა თ'ქნთა, რამეთუ მიეცი..."

762

კრებული. XIII — XIV

339 ფ.; 24×18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით; ქაღალდი შემოცვეთილი და დახიანებულია; ხელნაწერი რესტავრირებულია ცალკეი ქაღალდით; დახიანებულია ფ. ფ.: 150, 189, 198, 199; გადამწერი—თეოდორე (294 ր); [XIII — XIV ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „ღაწლი წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა ფოტინე სამარიტელისა მის დედაკაცისა, რომელსა ეზრახა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯურღმულსა მას ზედა იაკობისსა და მის თანა წამებათა სხუათა მათ წმიდათაჲ, მ. გ. — ოდეს-იგი მაღლით მოხედვა ყო ჩუენ ზედა წყალობამან და მჴსნელმან იესუ, ინება განახლებად..." 1 ր — 17 ვ.

2. ,,თუესა აგვსტოსა **ი3.** კოსტანტინეს მიერ მეფედ ბერძენთა დადგინებულისა ქრისტეს მიერ მეფისა საუკუნეთაჲსა თხრობაჲ, შეკრებული თითოსახეთა თხრობათაგან ავგაროზის მიმართ წარყვანებულისა მის ხატისათჳს ქრისტჱს ღ~ისა ჩუენისა, თუ ეითარ ედგესით კოსტანტინეპოლედ აღმოყყვანეს მ. გ. — არა ხოლო თჳთ თავადი იგი ოდენ სიტყუაჲ თანა დაუსაბამოჲ მამისა მიუწდომელ იყო თავით თჳსით ბუნებითისა მისთჳს მიუწდომელობისა, არამედ ყოველნივე საქმენი განგებულებისა მისისანი განუცდელ არიან..." 18 r.—46 v.

3. ,,თხრობაჲ დიდებული და საკჳრველი ძუ~ლთა მათ წიგნთაგან საუწყებელთა. ჯსენებაჲ სასწაულისა მის ყოველად დიდებულისა და ბრწყინვალისაჲ, რაჟამს-იგი სპარსთა და ბარბაროზთა სამეუფოჲ ესე ქალაქი მოიცვეს ბრძოლად. ხოლო საღ~თოჲთა საკელითა წარწყმდეს იგი მეყსა შინა... და... ესე დაცულ იქმნა... მეოხებითა ყოველად წმიდისა ღ~ის მშობელისაჲთა, და მიერითგან განეწესა წლი... დღე ესე... შაბათი ხარებისაჲ გალობით სამადლობელად, რომელსაცა დაუჯდომელ სახელ-ედების. გ. მ. — მრავალ არიან და უკუე და უკეღრეს მითხრობისა მადლნი და საკჳრველებანი ყოველსა ზედა ნათესავსა ჳაცთასა..." 47 r — 72 v.

4. „უწყებაჲ, ეითარ იგი ერაკლე მეფემან ყოველი სამეფო სპარსთაჲ წარმოტყუ~ნა. მ. გ. — რამეთუ ჯერ-არს უწყებად, რამეთუ სურის უმრავლესთა ცნობად დასაბამი და მიზეზი თხრობისა ამის საკჳრველისაჲ..." 72 v—85 v.

5. „საკითხავი პოვნისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, აღწერილი ალექსანდრეს მიერ კჳპრელ მონაზონისა, რომელსა ეყედრნეს მრავალნი წმიდანი მამანი. — ვინაჲთგან მოვიღე ვედრებისა თქუენისა ბრძანებაჲ, წმიდანო მამანო, ფრიად დამიკჳრდა, რამეთუ ითხოვეთ ჩემ გლახაკისაგან და მწურაცხისა, რათა აღვწერო სახე ჴეშმარიტი პოვნისათჳს ძელისა ცხოველისა და პატიოსნისა ჯუარისა..." 86 r — 126 v.

6. „მაისსა. ჳკდსა. გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ. გ. მ. — და ეითარცა დაიპყრა კოსტანტინე მეფობაჲ მამისა თჳსისაჲ, მაშინ მოიწინეს მისსა წინამძღუარნი არიანოზ თანა..." 127 r — 135 r.

7. „ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ონოფრე მძოვრისაჲ და სხუათა განწორებულთაჲ, რომელნი იხილნა ნეტარმან პაფნუტი. გ. მ. — ცხორებაჲ საღ~თოჲ და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი ისმინენით, საყუარელნო ძმანო;..." 136 r — 150 r.

8. „თუესა აგვსტოსსა **იე.** მიცვალებაჲ წმიდისა ღ~ისმშობელისა ქუეყანით ზეცად, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელისაჲ. მ. გ. — წინაწე ღმრთისა და მაცხოვრისა, რომელმან საიდუმლოჲ სასურველი აღასრულა ცასა შორის და ქუეყანასა შორის..." 151 r — 187 v.

9. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ღაწული წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესაჲი ქართველთაჲ. გ. მ. — ინება რაჲ მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან და შემოქმედმან ყოველსა მთავრობათა და ჴელმწიფებათამან იესუ, ძემან ღმრთისამან, თანაწორმან მამისა და სულისა წმიდისამან მოსლვაჲ ქუეყანად ჴსნად დაბადებულთა თჳსთა, მოავლინა მოციქულად მოსლვისა მისისა მთავარანგელოზი გაბრიელ..." 188 r — 234 v.

10. „სასწაულნი საკჳრველნი წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა თეოდორესნი. პირველი სასწაული. გ. მ. — კაცი ვინმე იყო მჴურვალე სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა და მსახურებასა ამას წმიდასა მოწამისა თეოდორესსა...“ 235 r — 248 r.

11. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი. მ. გ. — ერნო ქრისტესნო და სამწყსონო წმიდანო...“ 248 v — 260 v.

12. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ. მ. გ. — ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაჲ...“ 261 r — 273 v.

13. „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისი. მ. გ. — მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს პირველ საუკუნეთა მეუფებასა არა არს არცა დასაბამი დღეთაჲ, არცა აღსასრული ცხორებისაჲ...“ 274 r — 294 r.

14. „უწყებაჲ საკჳრველებათა თჳს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისთა. გ. მ. — რომელნი ნიჭთა ღ[ა]ისთა მიმთხვევად სერველ ხართ, სავსენებელთა კრებათა წმიდათასა შეურგულებულითა სარწმუნოებითა, მჴურვალითა სიყუარულითა დღესასწაულად ნუ უდებ იქმნებით...“ 294 v.

15. [თუესა ოქტომბერსა ლა. წამებაჲ და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დადიდ და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანაჴებსა არგუ[თისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მაღლისა მეფისა ვახტანგ გორგასლისსა, რომელმან მეფობაჲ ყოველისა ქუეყანისაჲ საფლავად შთაიტანა ურ[თოჲსა მის და მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისწული მუჰად ცუღსაბელისა მოციქულისა. მ. გ. — მეფობასა ბერძენთა ზედა ღ[ა]ისმსახურისა ჰრაკლესსა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თჳსსა.“ 327 r — 338 v.

წყებაჲ: „... მაშინ იცნეს იგინი და სიხარულისა და წუხილისგან განკრთომილნი ხედვიდეს წმიდათა მათ. მაშინ ორნი ვინმე სხუანი...“.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი პაგინირებულია ბერძნული ანბანით. 2. ხელნაწერის ფურცლების ზემო კიდეებზე მხედრული ხელით წარწერილია სტატიების შემოკლებული სათაურები.

3. ხელნაწერი რესტავრირებულია, სავარაუდოა, XVIII საუკუნის დამდეგს, ვინაიდან რესტავრირებულ ფურცლებს ამ დროის მინაწერები აქვს (იხ. 327 r).

ანდერძი (გადამწერისა): „წმიდაო გიორგი, შეიწყალე თეოდორე, რომელმან ვწერე წამებაჲ შენი“ (294 r).

მინაწერები: 1. (დავით და კოსტანტინეს წამებასთან დაკავშირებით): „ჵ. უფალნო, ვახტანგ გორგასლის დროს მამად გამოჩენილიყო. [მ]ურვან ყრუ მაჰ[მად]ს კარგა ჴანს იყო. [მუ]რვანი რომ გარდიცვალა, იმ დროს ერეკლე კეისარი ქართლს მოვიდა. მაშინ გამოჩნ[დ]ნენ ბაგრატიონნი. მურვან ყრუ ამის დროს მოვალს — ვერ შევიტყე უმჯობესთ, გასინჯეთ“ (327 r).

2. „ეკუთვნის დიდს მცხეთის სობოროს ჩ ყ ნ ე-სა წელსა“ 23 r.

I4. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

3. (ასომთავრულად): „ქ. ა˘დ ჲ ყოველად წმიდაო დედოფალო, შეიწყალე სული მონისა შენისა ხახულისა და ოშკისა მძღვრისა, მათე მახარებლისა უბრ[ა]ლო ტყ[ე]ისა, ვა˘ მე დარიბსა. ვინცა წარიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ, თქ˘ნცა შეგინდოს“ (187 v).

მინაწერები: 151 r (XV—XVI ს. ს. მხედრულით), 155 v, 163 r, 338 r.

763

ქორწინების თავთავის. XVIII — XIX

15 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; უყდო, დაზიანებული, ქაღალდის კიდეები შემოცვეთილია, ფურცლები დალაქვებულია; ნუსხური; დასაწყისები მთავრულით; [XVIII—XIX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„ქორწინებისა თჳთოეულთა თჳს. თავი სჯა მატთესი. — ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიღრე იწოდებიან.... რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და.... ეგრეთვე არს ნათესაობაცა ხარისხად...“ 1 r — 15 v.

შენიშვნა: ტექსტს ბოლოს დართული აქვს „მაგალითნი ქორწინებისანი“: „ამა, მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელიცა დასხნა უბრძნესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან, ესე იგი არს წიგნთა მცუშლმან უფმიდესისა კრებ ეკლესიისა კოსტანტინეპოლისმან, იეროდიაკონთა შორის უფალმან მანუილ ქსანთინოს“ 9 v—15 v.

764

ანტონ I. მარტირია (გამოკრებილი). 1845

201 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ტკივფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგარით, დასაწყისი ასოები მთავრულით; დაუწერელია: ფ. 49; გადამწერი— დიაჩოქი ნიკოლოზ კაჭარავა (200 v); 1845 წ. (200 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. <ქართუ˘ლთ ცხოვრებაჲ>. „მოქცევა მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუ˘ენისა ნინო მოციქულისაჲ მიერ. — პირველად ვასხენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ნინო მოციქულისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა, რომლისათჳს მოგვითხრა ჭამსა აღსრულებისა მისისა, რომელი აღწერა მორწუნემან ნეტარ-მან დედოფალი (!) სალომე უჯარმელოსან (!)...“ 1 r — 30 r.

შენიშვნა: „მოქცევა“ შეიცავს შემდეგ თავებს: „თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა ნინოს“ 12 v — 19 r; „თქმული სიდრნია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმიდისა ნინო მოციქულისა. ესე იხილა და დაიწერა სასწაულითა...“ 19 r—20 v. „თქმული მისიუ˘ აღშენებისათჳს ეკლესიათა“ 20 v — 25 r. „აღმართებისათჳს პატიისნისა ჯუარისა“ 25 r — 28 r; „წიგნი, რომელი მოუწერა პატრიარხმან რომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოსა და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა“ 28 r — 30 r.

2. „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისა, გიორგის ძისა, რომელი იყო სამეოცდამეათცხრამეტე შვილიშვილთაგანი დავით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა დავით აღმაშენებელი. ესე იყო მეფე ქართლისა და აფხა-

ზეთისა ორმეოცდამეცხრამეტე მეფე. — ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქშა, მოადგა სამშაილდესა და წარიღო და იოანეს ძე ლიპარიტე ტყუე ჰყო, მოაოხრა სომხითი..." 30 v — 48 r.

3. „დაჯდა ნებითა განგებითა ღვთისათა მეფე თამარ. — დასაბამითგან წელთა ექვსი ათას ექვსას ოთხმეოცდაექვსსა, ქრისტეს აქეთ ათას ას ორმეოცდა(!) ათექვსმეტსა. იყო თამარ მეფე საქართუელოსა. სამოცდა მესამე. — ხოლო ამიერითგან ვიწყო და მოგითხრა დაფარული იგი ცეცხლი, ვითარცა საღრჩელსა შინა კვეთებითა ჩვენისათა გამოკრთეს, ეგრეთუე აღმობრწყინვებად ამბავთა თამარისათა და სიტყჳთა ოდენ მცირედი რაჲმე ნაბერწყალი დიდისა მის სახმილისა აღმოვაჩვერო..." 50 r — 104 v.

4. „წმიდათა დავით და კოსტანტინე, მთავართა არგუუთისათა, რომელნიცა იწამნეს უღმრთოთა მურვან ყრუსა დისწულისაგან. — მოწარხობასა ბერძენთა ზედა ირაკლიას პირველისასა, მიიღო რა ჴელმწიფობა დისწულმან მამადისამან, მურვან ყრუდ წოდებულმან..." 106 r — 109.

5. „წმიდისა მეფისა არჩილისათჳს. — ვახტანგ დიდისა, ზედწოდებით გურგასლანისა, კეთილმსახურისა მეფისა სრულიად საქართუელოჲსა და შთამომავლობით ხოსროიანისი, ძეთაგან მისთა მეშვიდემან წარმოებულმან კეთილმსახურმან სტეფანოს, მთავარმან ქართლისამან, რომლისა მთავრობისა დროსა იქმნა მსოფლიო კრება მეექუსე..." 109 v — 113 v.

6. „წმიდისა მეფის ღარსაბის წამება. — გიორგი მეათემან, კეთილ-მსახურმან მეფემან დავითიან-ბაგრატოვანმან, ძემან დიდის სიმონისამან, შობილმან კახთა მეფისა ლეონ დიდისა ასულის დედოფლისაგან..." 114 r — 126 v.

7. „წამება წმიდისა დედოფლისა სუსანისი, რომელსა პირუელ ეწოდა შუშანიკ. — ეს დედოფალი უკუე სუსანნა, რომელსა სომეხნი უწოდებენ შუშანად, ასული იყო სომეხთა ნათესავი სპანპენტისა(!), სახელად ვარდანისა..." 125 v — 134 v.

8. „ესე წმიდა აბიბოს იყო ერთი ათორმეტთაგანი. — მამათა(!) იოანე ზედაძნელისა მოწაფე, რომელნიცა იყვნენ ქუყანით სარიით აღმომზენი და გჳრგჳნი მმართუელთანი, რომელთასა უწყებულ ვართ ჩუენ, რომელ მოიწია იოანესა ბრძანებაჲ ზეგარდამო..." 135 r — 137 v.

9. „წმიდაჲ ნეოფიტეს წამება, რომელმან მიიღო გვირგვინი. — ამირ მუმლი ვინმე, რომელიცა ფლობდა არაბათა(!), სირთა და მიდთა, წარმოავლინა მხედრობითა თჳსითა..." 138 r — 141 r.

10. „წმიდისა დიდისა მოწამისა შალუ(!), მთავრისა ახალციხელისა. — მოთხრობისამებრ ისტორიისა შინა თამარ მეფისათა, ვითარმედ ბრძოლასა შინა ნოქარდინ სულტანისა მიმართ ძლევა-შემოსილისა სპისა თამარისა, თამარისათა წინაბრძოლად განიჩინა მანდარტუ(!)ხუცესი შალვაჲ..." 141 v — 143 v.

11. „წმიდისა მოწამისა რაჟდენისათჳს. — რაჟდენი იყო ნათესავით ბარბაროსი, მოსრული საქართუელოდ ასულისა თანა სპარსთა მეფისა ცოლის ვახტანგ პირველისა, ანუ ვახტანგ დიდისა, ზედწოდებით გურგასლანისა..." 144 r — 147 r.

12. „წმიდათა მოწამეთა ბიძინა და ელისბარისა და შალვასი. — რა უღმრთომან შაბაზ პირუელმან აწამნა წმიდანი მეფენი, ესე იგი

წმიდაჲ დედოფალი ქეთევან და წმიდაჲ მეფეჲ ელისბარი და ლუარსაბი..." 147 v — 154 v.

13. „მოწაფეთათჳს მონასტერსა(!) დავით გარეჯისასა. — ესე წმინდანი მოწამენი უკუე იყვნეს მკჳდრნი ზოგად ცხოვრებელთა მათ მოწამეთა გარეჯისათა, სხვადასხვათა საქართუველოჲსათა მოსრულნი და შეკრებულნი მონასტერთა დავით გარეჯისასა..." 154 v — 157 v.

14. „წამება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა. — დროსა მთავრობასა ქართლსა ზედა სტეფანოზის, ძის გუარამ კურატპალატისასა, ოდეს იგი ნებსით თჳსით განუდგა სტეფანოს ბერძენთა..." 158 r — 163 v.

15. „წმიდისა აბოსა წამებისათჳს. — აბო იყო შთამომავლობით ისმაიტელი, შობილი ახალსა ბაბილოვანსა შინა..." 164 r —169 v.

16. წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთათჳს ტფილისსა შინა. — ჯალალედინი, სულტანი ხვარასნისა, მეფე ყოელისა სპარსეთისა და მჴყრობელი ხვარასნისა ვიდრე ინდოეთამდე..." 169 v — 173 v.

17. „წმიდისა ნოწამისა კოსტანტინე მთავრისა. — დროსა კურატპალატისასა, რომელიცა მეფედ ჰყო მსახურებისათჳს ხალილ არაბის ძემან მახმედ და ბაგრატს არწმუნა სრულიად მეფობაჲ ქართლისა..." 173 v.

18. „წმიდისა მიხაილ-გობრონად წოდებულისა და მოყვასთა მისთა. — დროსა შინა მეფობისა ბერძენთა ზედა კოსტანტინესსა, რომელი იყო ძე ლეონისა და ძმის წული ვასილი მაკედოლენისა(!), წელიწადსა განკოცელებითგან სიტყჳსა ღჳთისა..." 178 r — 182 r.

19. „წმიდათა მოწამეთა ქუაბთახევს შინა წამებულთა. — ბაგრატ მეექუსე ზე, ნათესავით დავითიან-ბაგრატიანისა, ძის წულისა გიორგის მეოთხისა, ბრწყინვალედ ზედწოდებულისა, რომელიცა მონარხობითა მართჳდა ყოველსა იერისასა, აფხაზეთსა და საქართუველოსა, რომელიცა ბაგრატ დიდად წოდებულ-ჰყო საქმეთან, დროსა მეფობისასა გამოჩნდა დემორ..." 182 r — 186 v.

20. „წმიდისა სუქიოსის და მისთანა ვნებულთათჳს. — მოზრახეობენ ამისთჳს ჴეშმარიტი მეისტორიენი, ვითარმედ მამაჲ მოციქულისა იუდასი იყოფო მჭონები ეპისტოლის ავგაროზისა..." 187 r — 191 r.

21. „ისაკ და იოსებისა მოწამეთა და ვნებისათჳს. — ისაკ და იოსებ იყვნეს ძენი მთავრისა..." 191 v — 193 v.

22. „წმიდისა მღვდელ-მოწამისა გრიგორი დიდისა, სომხითისა ეპისკოპოსისათჳს. — დროსა მეფობისა სომეხთა ზე ხოსროსისა გამოჩნდა ნათესავით პართი, ზედწოდებით ანაკოს..." 193 r — 200 r.

შენიშვნა: 1. „ქართუველთ ცხოვრებაჲ" წარმოადგენს გამოკრებილ „მარტირიკას". 2. წმინდანთა ცხოვრებებსა და წამებებს ერთვის ანტონ პირველის იამბიკოები. 3. ერთვის სარჩევი (201 r — v).

ანდერძი (გადამწერისა): „ესე ყოვლად კეთილი წიგნი, რომელსა ეწოდების ქართუველთ ცხოვრებაჲ, აღვსწერე მე, სანღვდელოდ ღმრთისმეტყველსა დიაკონ[ად]მან ნიკოლოზ კაჭარავამ სრულიად თავისის სარჩევითა და ყოველითაჲვე თავისის ჰაზრითა, არარაჲ დამიკლიეს, ვინაჲდგან ფრიადი სურვილი მქონდა მე შვენისათჳს ამა წიგნისა, და აღვასრულე მე კეთილი სურვილი ჩემი, და გადმოვსწერე მე ფრიადისა მცირითა შრომითა ჩემითა, ვინაჲცა ნანდვილი იგი პირი ამისი ჰხვიარ და ფრიად წინა-ფუძმა დაწერილ იყო მწერალთაგან, და მე ფრიადის გულისმოდგინებითა მო-

წადე ვიყავ, რათამცა კეთილად აღმეწერა და აგსწერე უმტნაკლე, რომელსა ქონან და არიან სარჩევნი თავნი წმიდათა მოწამეთანი 26-ნი, და ფერტცელნი 181-თი. და აწ თქვენ, ჰ-ი კეთილნო მხილველნო ამა წიგნისანო, ვინცა იპყრათ, და ჭკუთუ შეცთომა რამე ი8ილოთ, ნუ მწყევთ, არამედ ლოცუთ მომიხსენებდეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, უფალნო. და ჭკუთუ ვინმე ველ-ჰყოს ჩემგან მიღებად წიგნისა ამის, მაშინ შენ შერისხენ თჳთ, ღმერთო დაუსაბამოო, და ცხოვრება მისი ჰყვე იუდასთან და ჰშთაბადე უფსკრულთა შინა ჯოჯოხეთისათა, ამინ. ჩ ყ მ ე-სა წელსა, იანვრის ი9-სა დღესა. ნ. მ.“ 200 v.

765

ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. 1753

133 ფ.; 31×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა მოცილებული: ნუსხური (წერილი); დახიანებული, ნაკლული; ქაღალდი გაყვითლებულია, კიდეები შემოცვეთილია; გადამწერი სვიმეონ (133 v); 1753 წ. (133 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ა]. „... და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავს დავგიწერია.

ა ახლოს დანიშვნა.

ა იქავ ახლოს შეძლევა.

ა ა კავშირში. იხილე აქა, თუ ვითარ გაყოფს აობასა...“ 1 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი მისდევს A რედაქციის ხოსიმესეულ გავრცობილ ნუსხას (შდრ. „სიტყვის კონა“, 1949 წლის გამოცემა).

2. სომხურ-თურქული შესატყვისები ხელნაწერში იშვიათად არის მიწერილი.

3. იტალიური შესატყვისები სულ არ არის.

4. ერთვის: ბ. „ვ ე ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ნათქვამი. — რადგან დაშერა ასრე საბა... 128 r.

ბ. „მ ი ს ი ვ ე მ ე ფ ი ს ა. — სიყრმითჳან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსაზველი...“ 128 r.

გ. „ს ა ბ ა ს ნ ა თ ქ ვ ა მი. — ამ ლექსიკონის რიგება...“ 128 r.

დ. „იესუ ქრისტეს ღუთისა ჩუენისა სამეოცდა ათორმეტი მოწაფეთ სახელები...“ 128 v.

ე. [ანბანთა რიცხვთა სწავლანი, თუ რომელნი რაოდენთა რიცხვთა იტყვიან] 129 r და [ზოლა და ქართული რიცხვის სწავლა] 131 r.

ვ. „დასაბამითგან ქრისტეს მოსულადმდე ქართულის რიცხუთა გარდახდა წელიწადი ხუთი ათას ასოთხმოცდაათორმეტი...“ 130 r.

ზ. [განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები] 130 r.

ჱ. [ანბანი პირველად სასწავლოდ ყრმათათჳს.] 130 v — 131 r.

თ. [მოხელენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე არღარა ჳწოდენ.] 133 r — v.

ი. 132 r-ზე მოთავსებულია ცის სქემა.

ანდერძი (გადამწერისა): „ვიწყე მაისს კ. ქ-კსა ოშა ს ნ მ ა ნ და განსრულდა აგჳსტოს ე წიგნი ესე სიტყჳს კონა“. 133 v.

მინაწერები: 1. ლექსიკოლოგიური ხასიათისა (ქვემო ყდის შიდა მხარე).

2. ლოკვები (132 v).

3. ცნობები ბერძნული მითოლოგიიდან და ბიზანტიის ისტორიიდან.

4. „სიცოცხლის უმჯობესად მოსაგონისსა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქისა ა [ნ] ტ ო ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ს შ ვ ი ლ ი ს ა (!)“ 128 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

766

ანსილიონი. „ესტეტიკებრი განსჯანი". 1819

1 + 15 ფ.; 34×21; ქაღალდი (ლურჯი ფერისა); უყდო; მხედრული; ქაღალდი დალაქავებული; ქაღალდის ჰვირნიშანი 1818 წ.: მთარგმნელი—დავით ბატონიშვილი (13 v); გადამწერი—იოანე ერისთავი (?) 14 r; 1819 წ. (13 v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„პაექრობა ანუ ბაასი უფლისა თეოფილაკტე ექსარხოზისა და არქიერისა ფილარეტისა რაოდენთამე შენიშვნათა ზედა უფლისა ანსილიონისა აღნაქვსსა შინათა. — სიტყუა ავქსონისა (პირველისა განსჯისა მესამესა პუნკტსა შინა). ყოველობა წარმოდგენათა და ანუ უმჯობეს თქმად: ყოველნი მყოფნი დაარსნი, გარეგან ჩემსა პოებულნი და ჩემ ზედა არა დამოკიდებულნი, ერთითა უკეე სიტყუითა: სოფელი, შემცველ თვის შორის ყოველისა, არს დაუსრულებელ. — შემცნეცა კრიტიკოსისა ა. სიტყვანი ავქსონისანი წარმოადგენენ თავის შორის ესევითართა შერეწილებასა მოგონებათასა, რომელსაცა შინა სხვანი და სხვანი მოგონებანი არიან მიღებულ იგივეობითად, ხოლო ჭეშმარიტნი შეერთებულ ცრუთა თანა..." 1 r — 13 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს სქოლიოში გაანჩია დავით ბატონიშვილის შენიშვნები. 2. ტექსტი თარგმნილია დავით ბატონიშვილის მიერ.

ანდერძი: 1. „სრულ-ვჰყავ ყოველივე და ესეცა ვსთარგმნე თანაშესატყვისად ანსილიონისა და გთხოვ ივანე ერისთავსაც გარდაწერინო. დავით(!)" (ხელწერა გაურკვეველია) 13 v.

2. ტექსტის ხელითვე: „პოშტში არ წამოიღეს გამოსაზავნთან (?), დაბეჭდილი არ არსო და ჴელწერილიაო, წაღება არ იქნებაო. ნეტარ მკითხავი აცოდინონ, ბეჭდი ანუ სამოთხე იქნების თვინიერ ავაზაკთა, ანუ არა" 13 v.

მინაწერები: „ჯაიმართა 1819-სა წელსა, ივნისის 14-სა დღესა მეჯვრისჴევს" 13 v.

2. „მოწყალეო ჴელმწიფე გრიგოლ ხუროაბის ძეო! კმაყოფად თქუენის სურვილისა მოგართუი კრიტიკაჲ ანტიკრიტიკაჲთურთ, ერთად შეთხზული, რომლისაცა თხზულებისა სიმაღლესა და ფუნიერებასა შინა, მოწყალეო ჴელმწიფე, დასტკბების რა მაღალ-განმბილველი გულისხმის-ყოფა თქუენი, ვიცი მას შინა მეცა მომიეღინებთ თქუენს მონას ივანე ერისთოვს 1824. 24.2 მეჯვრისხევი" 14 r.

3. „აპრილის ე-სა მივიღე, გრიგოლ" 14 r.

4. „ღმითი პატარა სამსონ დიმიტრის ძე, ისევე ნესტორ ჩემი იშვა ჩყლ-სა წელსა შინა. ... მამაც ღმერთო, შენ შეუწიე და აღზარდე კეთილდღეობასა შინა, ვინაჲდგან შენ ხარ ჭეშმარიტად მეცნიერი, რომელ უბრალოდ დასთნიეს სისხლი მამისა მისისა და მძინარე მოკლეს მოჭმედებითა სისხლით შესვარვითა ოფიშვითელთა ნიკარაძეთასა, მდგომარე ოდეც მეორესა წელსა შინა შობიდგან თჳსით, მართალი და კარგი ჩ[ი]ნ დიმიტრი, ღმერთო, ნუ შეარჩენ სისხლთა მისთა" 1 r.

767

ხ.-ხ. ორბელიანი. სიტყვის კონა. 1822

285 ფ.; 33×21.5; ქაღალდი ლურჯი ფერისა; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ქაღალდის ჰვირნიშანი: 1820 წ.; გადაწერილია 1822 წელს (1 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. — ანი არს პირუწლი ასო და ხმოვანი და ართრონი, მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა...“ 3 r — 284 r.

შენიშვნა: 1. „სიტყვის კონის“ ეს ხელნაწერი A რედაქციისაა (იხ. „ქართული ლექსიკონი“ 1928 წლის გამოცემა, გვ. IX).

2. „ლექსიკონს“ წინ უძღვის: „ესე ნიშანნი სადაც სხედან, მოგასწავლის ცხოველი არს თუ მცენარე. გონება აგანმხედველე]“ 2 r.

3. ლექსიკონს არა აქვს სომხურ-თურქულ-იტალიური შესატყვისები.

ანდერძი: „ლექსიკონი ესე ვიწყე წერა 1822-სა დღესა, სეკტემბრის 18-სა დღესა“ 1 r.

მინაწერი: „Сей грузинский Лексикон принадлежит колледжскому регистратору князю Ивану Аргутинскому-Долгорукову“ 285 r.

768

შ. რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XIX

117 ფ.; 35×21; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით; ქაღალდის ჭვირნიშანი 1833 წ. (85 ფ.); [XIX ს.];

[ვეფხის-ტყაოსანი]. „ქ. ამა ამბისა დასაწყისი პირველი და ამის სასმენელად. — რომელმან შექმნა სამყაროო ძალითა მით ძლიერითა...“ 1 r — 110 r.

შენიშვნა: 1. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი ერცელი რედაქციისაა. გაარჩევა გმირთა სიკვდილის ეპიზოდები.

2. ტექსტს ერთვის ვახტანგ VI-ის კომენტარები (ა — ოვ სტროფების) 111 r — 116 r.

3. ხელნაწერი ალექსანდრე სიმონისძე გამრეკელის საკუთრება ყოფილა (117 r).

მინაწერი: „ალექსანდრე სიმონისძე გამრეკელს მის პატივისმცემელი თ. ივანე აფხაზი. 6 თიბათვეს, 1899 წ. თიანეთი“ 117 r.

769

კრებული. XIX

84 ფ.; 33,5×21; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, დაზიანებული; მხედრული, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით; დაუწერელია ფ. ფ. 34, 37 — 84; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოველისა საქართველოისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინა მოციქულისა მიერ, რომელიესე იკითხების იანვარსა ით, — და იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წმინდა გიორგი კაპადუკიელი იწამა ქრისტესთჳს კაპადუკიათ ქალაქით, კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონა ღუთისა, სახელით ზაბილონ. და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან...“ 1 r — 24 r.

შენიშვნა: „მოქცევა“ შეიცავს შემდეგ თავებს: „მეორე, თქმული მისივე აბიათარ მღუდლის (!) კურთისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა“ (9 r — 12 v); „თქმული სიდომია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმიდისა ნინასი, რომელი-ესე იხილა და დაწერა მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისათა და შერდო-

მა ნინასი აღსარებისათჳს ქრისტესისა, ჯვარის აღმართებისათჳს, ეკკლესიის აღშენებისათჳს და მას შინა სასწაულთა მისთათჳს“ (13 r — 17 r); „აღმართებისათჳის პატოსნისა ჯუარისა“ (17 v — 19 v). „წიგნი, რომელი მოუწერა პატრიარხმან რომასმან და ბრანჯთა მეფემან ნინას და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა“ (20 r —24 r).

2. „ღუთივშვენიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელს ეწოდების გჳრგჳნი.— თავი ა. მღუდელ-მოქმედებისათჳს და საიდუმლოთა გამოცხადებისა. თხრობა ა. გამოცხადებისათჳს წმინდისა საიდუმლოისა და სიყვარულისა.— ღმერთი, რომელი სიყვარული არს, ნამდვილეე რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა..“ 25 r — 33 v.

წყდება. „... თხრობა იე. უბრალოდ შესმენისა ბერისათჳს. — ...ხოლო მსმენელმან ამისმან ნეტარმან იოანემ გონა, ვითარმედ დააყენოს ესევითარისა ცოდვისაგან და წარავ...“

შენიშვნა: „გვირგვინი“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ.

მიმნერი: „ჩემი წიგნების კატალოგი. 1929 წელი, „ხაჰესი“ (დასახელებულია 71 წიგნი) 35 r — 36 r.

770

ქრებული. XVIII

9 ფ.; 19,5×14,5; ქაღალდი (მოყავისფრო. დაზიანებული), უყდო; მხედრული (კალიგრაფიული), დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.]: ხელნაწერი 1942 წელს „ მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [თქმული მეფის არჩილის მიერ ანბან ლ[ექსად, ამიცა]ნად სათარგმანებელნი, უცებთათჳს [მც]ირე საჭიროდ წერტილნი და ბრძენთა ადგილ გულის-ხმის საყოფელნი.— [არსი] ყოველთა დამაარსი, სხვა უარსო არსად არი...“ 1 r — 4 r.

წყდება: „... ჰი, ერთს მიეყავთ აქ მყოფი, სხვას მოჰყავს აქა სახლები,
ჩორთაგან ერთი გვაოჴრებს, ერთით მოშენოს სახლები,
და ჩომის დღეს ერთი კარგია, ერთი არ არის სახლები...“

შენიშვნა: ანბანთ-ქება ნაკლულია, ტექსტს აკლია 2 — 3 ფურცლებს შორის. 2. ტექსტი წყდება ბეჭდური გამოცემის 66 ე სტროფზე (იხ. არჩილი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I. 1936 წ. გვ. 285).

2. „საქართველოს ზნეობანი, რომელი ჯერ-არს ესევითარად წჳრთილობა კაცთა, რომელთა ნებაეს, რათა სრულ-იყოს საწუთოსა ამის ზნეკეთილობათა მიერ. ესე ყორად იხენ და გულად მიიხვენ, რომელიესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წარმოუთქვამს, რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იქცეოდნენ.

აჰა ისმინე ეს მკითხველო.—
მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღ[მერთო],
გვამოვნებით სამხატეროო, ღვთაებითა მხოლოდ ერთ[ო],
ვინ თბე ჩვენი შეიმოსა, სხვას ნივთს არას არ იერთ[ო],
და რისხვაზედა სულ სულგრძელო, წყალობაზედ წამი [ერთო] ...“

1 r — 4 v.

წყდება: „...ვინ ამასა იქმ, მასცა, რაც რომ არ დამიწერია,
ბევრი რამ ზნეობებისა კარგი რამ ანაწერია,
ზოგი რამ იცის წუმამა, მთავრობდა და [აწ] ერია...“

შენიშვნა: 1. „საქართველოს ზნეობანის“ ტექსტს აკლია 4—5 ფ. შორის 1 ფურცელი; 5—7 ფ. ფ. შორის 2 ფურცელი.

2. ტექსტი წყდება ზემოთ დასახელებული გამოცემის 65-ე სტროფზე.

3. [ა მ ი რ ნ ა ს ა რ ი ა ნ ი]. „...შვილო! არა მტერი ავგულობისთანა არა იქნების რა, [ამი]სთვის, რომე ავგულს კაცს მტერი არ დაკლდების.

[შეი]ლო! სწავლების დროს რა ძებნა უნდა, ან ეს [არ] სთქვა, ჯერ გუნება არა მაქვს და მერმე ვისწავლიო. ესრეთ ჴამს, რომ ერთი საათი არ გამოუშვა, რომ არა ისწავლო რა, თუ ჰკვიანსა და ბრძენს კაცს არ ახლავხარ, უჭკოსაგანაც ბევრი კარგი ისწავლების ...“ 8 r — 9 v.

წყდება. „...ერთხელ ხვასრო, ერანის ქელმწიფე, თავის ვაზირს ბოზორჯამირის ცოდნის ამბავს ურუმის ელჩს უამბობდა და ქელმწიფეს ეგონა, იგი ვაზირი დაემოწმებოდა...“

შენიშვნა: „ამირნასარიანის“ ეს ფრაგმენტი გამოქვეყნებულ ტექსთან შედარებით უფრო ძველსა და სწორ წაკითხვებს შეიცავს (იხ. გ. იმედაშვილი, ყაბუს ნამეს ქართული ვერსია ამირნასარიანი, ლიტ. ძიებანი, IX, გვ. — 325).

771

კეისრისა და მისი ქალიშვილის ამბავი. XIX

17 ფ.; 22,5×17,5; ქაღალდი; ქაღალდზე გადაკრული ნაბრის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[კ ე ი ს რ ი ს ა და მ ი ს ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი]. „კაცი ვინმე იყო ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლისა კეისართა მდიდარი, სახელოვანი, ძლიერი და ახოვანი, მართმადიდებელი ქრისტიანელთა, აღმაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა და დარდობილთა შემბრალე. ამ კეისარს ყავდა მეუღლე სჯულიერი და განთქმული მშვენიერებით...“ 1 r — 17 r.

შენიშვნა: ტექსტი დაწერილია უწიგნურად.

772

გ. ერისთავი. შეშლილი. XIX—XX

9 ფ.; 22×18; ქაღალდი მოყავისფრო, დალაქვებული; უყდრო; დაშლილი; თავ-ბოლონაკლული; მხედრული, გაუმართავი; [XIX — XX ს. ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [გ. ე რ ი ს თ ა ვ ი შ ე შ ლ ი ლ ი], „...დარბაზში სხედან მართა, ანანა და მაკრინე [ა ნ ა]: გენაცვა, ქალო, მართლა გვიანბე როგორ ყოფილა, სოფელს თუ ყოფილა და იმისგან გაცივებულა...“ 1 r — 9 v. (იწყება მეორე ნაწილის პირველი სურათით. შდრ. გ. ე რ ი ს თ ა ვ ი, თხზულებანი, 1936 წ., გვ. 106).

წ ყ დ ე ბ ა: „...შენმა მზემან, ხვალე დავსწეროთ ჯვარი, ამოვიყაროთ ლოტრანის ჯავრი.

ქალები სხედან გრძელს ხალაში...“ (შდრ. გამოც., გვ. 117).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტი დაწერილია გაბმით. არ არის დაცული ლექსის სტრიქონები.

2. ხელნაწერი დაწერილია გაუმართავი ენით და ხელით.

3. ტექსტში რამდენიმე შემთხვევაში შეცვლილია მომჭმედ პირთა სახელები.

4. „ჯაფარა მყ[ა]ვდა, მიყვარდა ეშმაკური სიტყვის მთქმელი,
ხუთი კვირის რომ შეიქმნა, გარეთ ფრინვას მიყო ხელი...“ 8 v — 9r.

Q 773

დიმიტრი ქობულაშვილის წერილი. გადატანილია საარქივო ფონდში: „სხვადასხვა“, № 69.

774

კრებული. XIX

4 ფ.; 21.5;×17,5, ქაღალდი (ლურჯი); უყდრო; მხედრული, გაუმართავი; ქაღალდი დალაქავებული; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [ს ა ს უ ლ ი ე რ ო ხასიათის ლ ე ქ ს ი].

„ქ. ცოდვით სავსევ, ჩემო თაო, რატო არ ცვითე შალია,
არ დ[ა]კლებიდ ღვინოსა, პური არ ჭამე მშრალია...“ 1 v — 3 r.

2. [ა მ ბ ა ვ ი ჯ უ მ ჯ უ მ ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა]. „ჯუმჯუმ ხელმწიფე იყო დიდი დ[ა] მდიდ[არი, მორწმუნე...“ 3 v — 4 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი ბოლონაკლულია. ხელნაწერი დაწერილია გაუმართავი ენითა და ხელით.

2. ხელნაწერი შემოწირულია სტუდენტ ალიხან ავაზაშვილის მიერ. ჩამოტანილია ყვარლიდან, ნ. ჭავჭავაძის ოჯახიდან.

775

ბეჟანიანი. XIX

I + 23 ფ.; 22 × 18; ქაღალდი; ნაჭერგადაკრული ქაღალდის ყდა; მხედრული; ამოვარდნილია ფ. 22; გადაწერი — ესაია ჩხეიძის ქალი (22 v); [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„აქა ანბავი დასაწყისი ბ ე ჟ ა ნ ი და მ ა ნ ი ჟ რ ი ს ა(!). —
თურანს ტახტი დაეკარგა, ხორციელად ყველას ყმობდა...“ 1 r — 22 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი ყოველთვის არ მისდევს გამოქვეყნებულ „ბეჟანიანს“ (შდრ. ბეჟანიანი, ნათარგმნი ხოსრო თურმანიძისაგან, 1913 წ.).

2. ხელნაწერში ჩადებულია დიდი ზომის (20 × 27) ფურცელი, აგრეთვე „ბეჟანიანის“ ტექსტით (I r-v).

ანდერძი (გადამწერისა): „დაეწერე ეს ლექსი მე ე ს ა ი ა ჩ ხ ე ი ძ ი ს ქალმა“ 22 v.

მინაწერები: 22 v, 23 r.

776

კრებული. XIX

6 ფ.; 21×16,5; ქაღალდი (ლურჯი ფერისა); ფრაგმენტი; უყდო; დაშლილი; მხედრული, დასაწყისი ასოები მთავრულით; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „ღირს საჭოვარნი სიტყუანი. — ოთხნი ნივთნი არიან უკმოუქცეველნი, ანუ დაუბრუნებელნი; სიყმაწვილე, დროჲ, ნათქუამი სიტყუა და ქალწულება.

უკეთუ ვინმე ოცისა წლისა დაბადებითგან არა იყოს ლამაზი, ოცდაათისა ღონიერი, ორმოცისა გონიერი, ორმოცდაათისა მდიდარი, სამოცისა ღუთისმოყუარე, იგი აღარა თანამდებ არს მოლოდებად ამ თჳსებათ მიღებისა..“ 1 r — 2 v.

2. „აღწერა თჳსებათა უჩინებულესთა ერთა ევროპიისათა.

	ნემეცი	ფრანციცი	იტალიანელნი	ღიშპანელნი	ინგლისნი
საქცეცსა შინა, ტანადობასა შინა...	ლატონნი, მაღალნი...	თავაზიანნი, განწყობილნი...	ხდილნი, საშუალნი...	შეურაცხ-მყო, დაბალნი...	მედიდურნი, კეკლუცნი...

3 r — v.

3. „უბნობა შორის მწივნობრისა და ყრმაწულისა. — ყრმა ერთი დასერინობდა პირსა ზედა მდინარისასა და შემოეყარა მას მწივნობარი ფრიად ჩაფიქრებული და უთხრა ნას: უფალო ბრძენო, რისგან ხარ ჩაფიქრებული...“ 3 r — v.

4. „შოტლანდიის ლიტონი სალდათი. — ღლასკოვსა შინა-სალდათი, სახელად ჩარდ-მედილტონ, დღესა კვირიაკესა მივიდა ეკკლესიასა და მიიტანა თან ნაცულად ლოცუანისა ერთი ჴელი სათამაშო ქალაღდი...“ 6 r — v.

წყუება: „...ჰი, ფიცხელო უფალო, სალდათისა მიხედვით მე ვსცნობ თავსა ჩემსა და სულელსა ჩემსა სერჟანტსა, რომელიცა მდებს მე ბრალსა ამაოდ, ვინაჲდგან გარდა ზემოჴსენებულისა, ვსარგებლობ მე სათამაშო ქალაღდთგან ჰსწავლასაცა ამას, რომელ და-რა-ვთვლი მათ...“

777

კრებული. 1813

36 ფ.; 21 × 17; ქაღალდი ლურჯი ფერისა; მხედრული, სათაურები სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულით; უყდო; დაშლილი; დაუწერელია: ფ. ფ. 18,19,27 — 32; ქაღალდის ჰეირნიშანი: 1812 წ. (29 ფ.); 1813 წ. (26 r); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. [დ. ჩოლოყაშვილი. ეფიღენია. ტრაღედია]. „თეატრი წარმოადგენს მინდორზედ სამსხვერპლოსა. კალხაზ დუმილით ილოცამს და აგმეცს... გამოცხადება ა, მოქმედება ა, ღამით. აღიამენონ: დიაღ, მე დიაღ, მე აღამემნონ, მე ხელმწიფე შენი, მე დამჰირნე შენისა ღჳძილისა და მეგობრობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არკაზ: ხელმწიფეც, რა მიზეზმან აგასწრობინათ მთიებისათჳს,..." 4 r — 17 r.

წყდება: „მოქმედება თ... არკაზ სირბილით შემოვა.

არკაზ ქაქანით (ანბობს): დასცხერით გლოვისაგან, დედოფალო, ღმერთი შენის მწარეს ოჯრისა მსმენელთა მოწყალების სიტკბოება მოგემადლეს (!). ოდესცა ახილ ეღიფენიას(?) სიცოცხლის დასფარავად მრავალთ ბერძენთ სულთ ჯოჯოხეთად..."

შენიშვნა: 1. „ეფიღენიის" უკანასკნელი ფურცელი დაწერილია სხვა ხელით.

2. ტრაგედიის თავფურცელზე წერია: 1) „ტრაღედია. ეფიღენია. მათის მეფობის დიდებულების სრულიად საქართუელოს მეფის ირაკლი მეორის შვსაქცეველად, ეპოხასა მეფობისა მისისასა ნბ წელსა, შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა ჩ ღ ჟ ე, თთუესა მარტსა ვ, თქმული მდივანბეგის თავადის დავით ჩოლოყაშვილისაგან ქალაქსა ტფილისს" 2r.

3. ტექსტი მრავალ ადგილას ნასწორებია ტექსტისვე ხელით.

4. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949 წ., გვ. 297).

2. „სვინაქსარი ოთხშაბათსა განზოგებისასა. — ოთხშაბათსა განრღვეულისა კეირიაკისასა ვდღესასწაულობთ დღესასწაულსა ერგასისა განზოგებისასა.-." 20 r — 26 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ალექსანდრეს ლავრაში სანკტპეტერბურხს თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ზედა არხიეპისკოპოსის დოსითეოსის მიერ ფიცხელაურისათა 1813 წელსა, აპრილის 20" 26 r.

3. „დანიშვნა იპოკემტაგროჲსა. — არა ვარ შემოქმედი, არცა ქმნილი. არაოდეს ვიყავ ხილულ ცოცხალთა შორის..." 34 v.

4. „სქიმა ხუთთა საკოროლოთა.

	ნემცები	ფრანცუზები	იტალიანები	ოშპანიელები	ანგლიელები
ქცევათა შინა	ცუდნი	ზრდილნი	თავაზიანნი	საგიობელნი	დიდებულნი

35 r.

5. „თჳს შოტლანდიის ვაშტისა, ანუ სალდათის სიწრფოებისა. — გლასკოვსა შინა მხედარი, სახელით რიჩარდ მედილტონ, მივიდა დღესა კჳრიაკესა ეკკლესიასა შინა და მიიტანა თჳს თანა სალოცუსლისა წიგნისა წილ დასტა სათამაშო ქაღალდი..." 35 v — 36 v.

778

თედო რაზიკაშვილის წერილები. გადატანილია საარქივო ფონდში: „სხვადასხვა".

779

შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XVIII

181 ფ.; 33×23; ქაღალდი: უყდო, დაფურცვლილი, ნაკლული; მხედრული; სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XVIII ს.].

[ვეფხის-ტყაოსანი] „...უბრძანა აჰა შერმადინ, ამად მე შენგან მრცხუენია,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან...“ 1 r — 181 v.

წყება: „... ისია ჩემი გამზრდელი და თქუენ...
იქი ვერ მივალ მრცხუენიან გუ...
ჩემად არაკად სულდგმული კაცი...“

შენიშვნა: 1. ვეფხის-ტყაოსანი ვრცელი რედაქციისაა.

2. ხელნაწერი გადაწერილია აღმურანთ ბაღდასარას შვილ მუშრიბი გასპარას მიერ (იხ. ვეფხის-ტყაოსანი, ს. ყუბანიშვილის გამოცემა, 1956 წ., გვ. 06 — 07)

3. ყდას, რომელშიც შენახულია ეს ნუსხა, მიწერილი აქვს შემდეგი: „ცნობა ვეფხის-ტყაოსნის ხელთნაწერზე.

იმერეთის მეფემ სოლომონმა აჩუქა ჯილდოთ იმერეთის ჯარების სარდალს ხახული აბაშიძეს, რომლის შვილი ნინო, დედა იყო ჩემი ბაბუის ბარონ დავითისძე მდივნისა. ხახულმა გამოატანა იგი თავის ქალიშვილს ნინოს მზითევად დავით მდივანზე გამოთხოვების დროს, რადგან საქართველოში წესათ იყო შემოღებული ვეფხის-ტყაოსნის მზითევათ გატანება.

ვეფხის-ტყაოსანი ინახებოდა ზესტაფონის რაიონში, სოფელ. ზოვრეთში დავით კოსტანტინეს ძე მდივნისას. 2. I. 35.

დ. მდივანი.
ხახულ აბაშიძე
↓
ნინო + დავით მდივანი
↓
ბარონ მდივანი
↓
კოტე მდივანი
↓
დავით მდივანი.“

780

კრებული. XIX

191 ფ.; 35×22; ქაღალდი: ტყავგადაკრული ხის ტყიფრული ყდა; პოლონაკლული, დაშლილი და დაფურცვლილი; მხედრული; სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაწურელია: 179 v — 180 r.; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. „ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად მშვენიერის სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა. ვეფხის-ტყაოსნობითი უხსობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1 r — 172 v.

წყდება: „და უბნობს, ცოდვა ცეცხლად ამთონმა ცოდვის მოქმედებამან რატომ ვერ დაგწვაო, გულო, რომ ასჯელ...“

შენიშვნა: კრებულში შესული ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი განმარტებებითურთ ზედმიწევნით მიჰყვება ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილ ვეფხის-ტყაოსანს. განმარტებანი წყდება 323 გვ., 305-ტაეპსა (იხ. შ. რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა, 1712 წ. აღდგენილი ა.ჯ. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937 წ.)

2. „რუსუდანიანისაგან. აქა დაბადება ჯიმშედ ხელმწიფისა.— დაიბადა ვაჟი ცისკრის უნათლესი, ლომის მონაკვეთი, საფალავნოდ შექნილი...“ 173 r — 191 v.

წყდება: „მერმე ასე უთქვამს: მე ერთი გამოძებული კაცი ვარო და, თუ მოყვარესა არას მოვიკიდებ, არ იქნებაო...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი მისდევს რუსუდანიანის ტექსტს (იხ. „რუსუდანიანი“ ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, 1957 წ., კარი II, გვ. 163_{31} — 229_{16}).

მინაწერები: 1. „ეს საძაგელი წელიწადი დაიწყო, 1907 შვიდიდან დაიწყო. 1908 წელსა იყო ნამეტანი გლახა წელიწადი. ყორიფლის სიძეირე; არ მოვიდა ნამუშევარი გვალვის მიზეზით. ისეთი გვალვა იყო, ოცდაექვს თიბათვეს არ იყო დაწყებული თესვა. ჯერ ვეღარ მოასწრო მოსვლა და, რაც მოვიდა, ისიც წახდა. ფული არ იშოვებოდა და ნამეტანი შიწუხება ადგა ხალხს. იყო ნამეტანი სიკვდილი. ზშირათ კვდებოდა ადამიანი“ (ზედა ყდის შიდა გვერდი).

2. „ანუშკა დაიბადა ჩყოგ იანვრის პირველს;
ონისიმე დაიბადა ჩყოდ სეკდებრის იდ;
ლუარსაბი დაიბადა ჩყოვ ოკტობრის თვრამეტს;
მატრონა დაიბადა ჩყოთ მარტის ი დღესა;
ბარბარა დაიბადა ჩყბგ იანვრის თვრამეტს;
ნატალია დაიბადა ჩყბე იანვრის ცხრამეტს;
ვასილი დაიბადა ჩყბჳ იანვრის ოცდაათს;
სანდრო დაიბადა ჩყბი თებერვლის თერთმეტს;
ივლიანე დაიბადა ჩყგბ აგვისტოს რვას;
ვარინკა დაიბადა ჩყგიე მარტის რვას.

3. 1905 წელსა გაიყვნენ სპირდონი და მისი შვილები“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

781

მპოვნელი ქარვისა. XIX

66 ფ.; 35,5 × 22; უყდო; დაზიანებული; ბოლონაკლული: მხედრული [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„მპოვნელი ქარვისა. თავი I.— აღმოსავლეთის ზღვის ელვა დიდის ხმით ეხლებოდა ქვიან ზამლანდის ნაპირს და შემდეგ აქაფებისა იფანტებოდა...“ 1 r — 66 v.

წყდება: „... მაშ უნდა მიხვიდე და ჰკითხო, უყვარხარ თუ არა? — არა, მე ვეტყვი: თქვენი ქარვა აღარ არის ქვეყანა...“ (XIV თავი).

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შედგება XIV თავისაგან.
2. ხელნაწერი თარგმნილი უნდა იყოს.
3. ხელნაწერს დაკრული აქვს ქაღალდი, რომელზედაც სწერია:

„რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს.

გიდგენთ ხელნაწერს „მოყვეული ქარვისა“, რომელიც მისაჴუჭრა კ[ა]ტო მაჭავარიანმა, ეხლა კი ჩემი საკუთრება[ა]. გთხოვთ, თქვენი შეფასების და მიხედვით მოცეთ ამ ხელნაწერის საფასური. პლატონ გურგენიძე. 2. II. 38.

შემფასებელ კომისიას. კ. კ[ეკელი]ძ[ე]“

782

გულასპაიანი. XIX

209 ფ.; 35 × 21,5; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„აქა კარი პირველი. დასაწყისი ამბავთა ძლიერის ინდოეთის მეფის [ვა]დონისა და ძისა მისისა მშვენიერის გულასპაისა, რომელსაცა შეუდგებიან შემდგომნი სიტყვანი. — დიდსა სამეფოსა შინა ინდოეთისასა იყო ჴელმწიფე ერთი ფრიად დიდისა მორჩმა-დიდებისა მქონებელი, სიბრძნე-მეცნიერებითა სრული, მხნე აჴოვანი, [ძლიერი, ხაზინა-ჴვარ-მრავალი...“ 1 r—208v.

შენიშვნა: 1. ტექსტში 4 v, 17 r, 20 v, 23 v, 38 r, 51 r, 57 v, 60 r, 64 v, 71 r, 81 r, 90 r, 94 r, 99 v, 111 v, 117 v, 118 v, 126 r, 123 r, 139 v, 147 r, 163 v, 170 r, 171 v, 178 r, 181 v, 191 v, 196 v, 198 r, 200ც-ზე გამოტოვებულია ადგილები და გადმწერის ხელით მიწერილია: „აქა ალაგი სამხატროსი“.

2. ტექსტს ბოლოს დართული აქვს:

„სვიმონ ფარსადანის ძესა, პოეზიურათ მეტყველსა,
შაირ-ლექსითა სავსესა, მჭერ-მეთქვეობის მქონესა,
აქვს ვალი, გაქოს შესაბამ წიგნისა ამის მცნობელსა,
შაბაშ ესოდენ შრომასა, ანბავსა გრძელსა და ძველსა,

თქვენგან შრომითა შეკრებულს ტყეთა მინდორთა და ველსა.
რა გიმარღანე გაჭირილმან, თუ არ ეს მცირე ქებანი,
რაზედაც შრომა გასწიე, თვალს არ ეც განსვენებანი,
ანბავთ კეთილათ სასმენსა აზრსა აქვს განშვენებანი,

ვსთქვით, არ დამშვრალა ცუდათო, არცა აქვს ლექსთა კლებანი.
ვერვინ იკადრებს, არ აკონ, თუ არ სურსთ შურით ვნებანი,
ამად ვსწერ ჴეშმარიტებით, არა მაქვს ჲპირთა თნებანი.

უმორჩილესი მონა დავით ესტატის ძე ციციანოვი“ (208 v).

მ ო ნ ა წ ე რ ი: „ეს წიგნი წეიკითხა მიჩკო ავალიშვილმა და დიდათ მოეწონა, 1880 იანვრის 15 დღესა“ (209 r).

783

ოთხთავი (ფრაგმენტი). XIII

3 ფ.; 25,5 × 20; ეტრატი; დაზიანებული; ჴუსხური, დასაწყისები სინგურით; [XIII ს.]; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ოთხთავი] „...არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განდევიან იგი...“ (ლუკა 14,32). 1 r — 3 v.

წყდება „...ჰრქუა მას აბრაჰამ, ჰქონან მოსე და წინასწარმეტყუელნი...“ (ლუკა 16,28).

შენიშვნა: 3 r-v წარმოადგენს პალიმფსესტს.

784

უ. რენანის შრომის კრიტიკა. XIX

173 ფ.: 35,5 × 22; ქაღალდი; უყდრო; თანაკლული; მხედრული, [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[უ. რენანის შრომის კრიტიკა]. — „...და მოვიღოთ ეს დოკუმენტები იმ სახით, როგორაც არიან. თუ ამ დოკუმენტებს შევსცვლით, უთუოთ გავრყვნით. განაღა შეიძლება შედგენა ჰეშმარიტის ისტორიისა გარყვნილის და გადასხვავებულის დოკუმენტებისაგან?...“ 1 r — 173 v.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი შეიცავს XXVII თავს.

785

გადატანილია აკ. წერეთლის პირად საარქივო ფონდში—№ 237.

786

გადატანილია საარქივო ფონდში: „სხვადასხვა“.

787

გადატანილია გ. წერეთლის პირად საარქივო ფონდში—№ 40.

788

გადატანილია ს. გორგაძის პირად საარქივო ფონდში.

789

თეოფილე ხუსკივაძე. საბრალო დედა (საახალწლო ესკიზი). 1907

4 ფ.; 35 × 22; ქაღალდი; უყდრო; მხედრული; ავტოგრაფი; 1907 წ. (4 v); ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

«ხუსკივაძე თეოფილე» „საბრალო დედა (საახალწლო ესკიზი). — ვინ გააჩინა ეს დღესასწაულები, ვინ? მეტი ვერაფერი მოიგონეს?! ეს რა გასაჩენი იყო?!...“ 1 r — 4 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: ა. „ჭ. ცუთაისი, 1907 წ.“ (4 v).

ბ. „პატივცემულო ანასტასია მიხაილის ასულო! უკაცრავათ, რომ კი ბანია ვერაფერი მოგაწვდინეთ, ღმერთმანი, დრო ვერ ვიშოვნე და მიზეზი ეს არის მხოლოდ. დღეს გიგზავნით ამ ესკიზს და საახალწლო ნომერში მოათავსეთ. თ. ხუსკივაძე“ (4 v).

790

გრ. დერჟავინი. იამბიკო ღმერთზედ. 1880

6 ფ.; 21,5 × 16,5 ქაღალდი; ქაღალდისაგე ყდით; მზედრული; გადამწერი ს. ტაბიძე (5 v); 1880. Vl. 12 (5 v); დაუწერელია 6 r — v; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

„დერჟავინის იამბიკო ღმერთზედ.—

ჰოი, სიერცითა ყოველ კერძოდ
შენა გჭვრეტ დაუსრულებსა...“ 1 r — 5 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: ა. „საქართუელოს მეფის გიორგის მეათცამეტის ძისა მისისა იოანესგან იქმნა გარდმოღებული რუსულისაგან ქართულად ლექს-იამბიკოდ თჳსთა მემამულეთათჳს წელსა 1818, თთჳსსა ივნისსა 22 დღესა. საუკუნოდმცა იყავნ ხსენება მისი“ (5 v).

ბ. „მათს ბრწყინვალებას, თავადს იოანეს გივის ძეს მიერთმევის მათის უკანასკნელის მონის ს. ტაბიძეს მიერით სანტ-პეტერბურღსა შინა, წ. 1880 ივნისსა 12. ღმერთმან მწვადობაში მოახმაროს და აცოცხლოს მრავალჟამიერ თჳსის მეუღლითურთ“ (5 v).

791

სვიმონ ტაბიძე. ლექსები. 1876 — 1881

4 ფ.; 20,5 × 13 (1-2 ფ.): 26,5 × 20 (3'— 4 ფ.).: ქაღალდი; უყდო; ავტოგრაფი; დაუწერელია: 2 r-v, 4 r-v; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

1. «სვიმონ ტაბიძე» „მათს ბრწყინვალებას, ბატონს თავადს ღენერალ-მაიორს იოანეს გივისძეს მიერთმევის აკროსტიხი ესე, რომელ არს კიდურწერილ „ამილახვარს.“ —

აღვაღებ ფნდოს ბაგესა, თქუმნდა შემკობის,
მრავალთ შემწეო, ყურადღებით მწყალობო...“ 1 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დავშთები თქუენი უკანასკნელი მონა, გურული, თქუენი მლოცველი ბებერი კაცი სვიმონა ტაბიძე, 1876 წ.“

2. «სვიმონ ტაბიძე» „ღირსად ჩინებულნო თავად-აზნაურნო, ამერ-იმერნო, მჱსწრაფლად მოსრულნო მარშალ-დეპუტატნო. —

ათას რვაას ოთხმოცდაერთსა წელსა
პირველსა მარტსა აღსრულებულსა...“ 3 r.

შენიშვნა: 1. ლექსის ბოლოს ციწერილია: „ეგებე უმორჩილესად დიდის პატივისცემითა თქუენდამო უმორჩილესი მონა სვიმონა ტაბიძე, წ. 1881, მარტ. 18.“

2. ლექსი მიძღვნილია იმპერატორ ალექსანდრე II-ის დასაფლავებაზე მისული ქართველი თავადაზნაურებისადმი.

792

გადატანილია ილ. ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში—№ 32.

793

გადატანილია აკ. წერეთლის პირად საარქივო ფონდში—№ 240.

794

ლვთისმშობლის ცხოვრება. XIX

78 ფ.; 18,5 × 12; ქაღალდი; მუყაოს ყდა: დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

[ღვთისმშობლის ცხოვრება] „... ანასა რათა ხარო დალონებული, უთხრა ანამა: როგორ არ დავლონდეო, ქვეყანა თავთავის მუცლის ნამეფხზედ (!) ხარობენ და უხარიანთ, მარტო მე გამხადა ღმერთმა დაჩაგრული...“ 1 ს—78 ვ.

წყდება: „... ხარზე ჯვარი დაკიდეს, რადგან სული წმინდაი იდგა თავზედა ქანწყულა...“

შენიშვნა: დაწერილია უწიგნურად, გაუმართავი ხელითა და ენით.

795

ქართლის ცხოვრება. 1479 — 1495
(ანასეული ნუსხა)

470 გვ.; 30 × 21; სქელი მოყავთალო ფერის ქაღალდი; მუყაოს ყდა; დახიანებული, ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; მომგებელნი: დედოფალთ-დედოფალი ნესტან-დარეჯან, ძე მისი — მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა (411 გვ.); [1479 — 1495 წ. წ.]; აქვს ჰვირნიშანი (7,11,13,23 და სხვ. გვ.); შეძენილია 1942 წ.

[ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა] „... გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა ნათესავთა [ფარნავაზიანთა], რადგან მოკუდა მეფე ჩუენი და ვმადლობთ [სუესა ჩუენსა],...“ (ლეონტი მროველის თხზულებიდან: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“). 1 გვ. —410 გვ.

წყდება: „მუნ არს შრომა, შუებ[ა] და სიხარული, და რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე, და რომელსა არა გაჭკუთს ურვა და მეფობა, რომელსა არა აქუს აღსასრული, და მუნ არს ცხორება, რომელსა არა შეამრღუევს სიკუდილი“ („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“).

შენიშვნა: 1. კრებულს ერთვის: ა. [ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე.] 412 გვ. — 425 გვ. ბ. „ცხორება წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძენელისა, რომელი ბრძანებითა ღ[თისათა და წინამძღოლობითა სულისა წმიდისათა მოვლინა ქუეყანით შუამდინარით კუეყანად ქართლისად, ითორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა, განახლდა და განავრცო წმიდამან ჩუენმან, კრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან...“ გვ. 426 — 470.

წყდება: „შემდგომად ამისსა მოართუეს მათდა ღრეგილი, შკრული [ვით]არცა რკინითა, და ცნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყუნეს ყოველნი ჯორნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო იგი ქამთა მრავალთა ფიცხელ“.

2. იოანე ზედაზნელის ცხოვრებას წინ უძღვის: „სახელები წმიდათა მოწაფეთა...“ გვ. 425—426.

3. ქართლის ცხოვრების ანასეული ნუსხა 1942 წელს გამოსცა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა.

4. კრებულზე დართული იოანე ზედაზნელის ცხოვრება გამოსცა პროფ. ილ. აბულაძემ (იხ. „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ. 1955).

ანდერძი: „სამნი ჴელთა ჩუენთანი წარმართენ უფალო. ცხორება და მოქცევა ჭართლისა და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელნი რომეთუთა ტომთანი ვართ ანუ თუ ვითარ მოვიქეცით და მოვიღეთ სჯული ქრისტეანობისა და ვიცანთ ღმერთი, ისიმნეთ აღწერილი აბიათარისი.

აღიდგენ ღმერთმან და დაიმყარენ ორთავე ცხორებათა შინა პატრონნი: დედოფალთადედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმტკუნ ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მოსწრფშენენი, მაშენებელნი ეკლესიათანი. რომეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჴელ-ეყო განწმედად და აღშენებად; ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოველისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და სამკრონი, რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა ჯერ-იყო წინანდელთა ქნეულთა ნიკოთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატრიოსანთა ნაწილთა წმიდათითა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსხურებელთა, ყოელად დიდებულთა ყოელითა სიკეთითა, შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთაჳის შემდგომად ამათ თანა როდენნიმე ეკლესიანი აღაშენნეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებულნი ეკლესიანი განწმიდნეს სახლად ღმრთისა და წარსმართებელად მეფობისა თჳისისა.

ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარ-მოწამეო, მცველ და მფარველ, მჭირისა მდგომელ და განმმარჯუებელ ქმნენით ორთა ცხორებათა შინა პატრონთა: დედოფალთა-დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და ძესა მათსა, ღმრთივ გუირგუინოსანსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატრიოსანთა ამათ წიგნთა, აღწერა; დაღაცათუ ჩუენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერღარა ურჩ ვექმენით. ხოლო ჩუენ ძალისაებრ, ვითარცა ძალ-გუედვა, ვიღუაწეთ, დაღაცათუ ნაღვაწი ესე უნდო და უშეცრ არს, არამედ შენდობა ოჳენ ყოველთაგან". (410—412)

მინაწერები: 73,80,81, 157, 160, 245, 258 და 307 გვერდებზე.

796

შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XIX

171 ფ.; 35,5 × 21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტყიფრული ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 1—4; 170—171 ფ. ფ.

* [ვეფხის-ტყაოსანი]. ამბავი პირველი. დასაწყისი. რუსთველისაგან ნათქუამი. —

ჰე, ღმერთო ერთო. შენ შექმენ სახე ყოელისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათურგუნად მე სატანისა..." 5r—169 v.

შენიშვნა: ვეფხის-ტყაოსნის ეს ნუსხა ვრცელი რედაქციისაა.

მინაწერი: 3 r.

797

შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XIX

85 ფ.; 34,5 × 22; ქაღალდი, ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; თავბოლონაკლული; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურითაა ნაწერი; [XIX ს.].

[ვეფხის-ტყაოსანი] „რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი
გკონდეს,
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონ-
დეს...“ 1 r — 61 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი ზედმიწევნით მისდევს ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსნის ტექსტს.

2. ტექსტს დასაწყისში აკლია სტროფები: ა — ღოდ (1—774).

3. დართული აქვს: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის“ (61 r — 85 v).

წ ყ დ ე ბ ა ტ პ (387) სტროფის განმარტებაზე. (იხ. ვეფხის-ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკ. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, ტფ., 1937).

798

შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. 1842

184 ფ.; 35 × 22; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს დაბიანებული ყდა; მხედრული; სათაურები და ყოველი სტროფის პირველი სიტყვა სინგურით; გადამწერი ეფემია სვიმონის ასული ჯავახოვი (184 v); 1842 წ. (საცავი ფურცლის r).

„ქ. ამ ანბის დასაწყისი პირველი ამოდ მშენიერისსა და ნესტან-დარეჯანისა ვეფხვის-ტყაოსნობით უხმობენ. —
როშელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1 r — 184 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ „ვეფხის-ტყაოსანს“ (იხ. ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკ. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, ტფილისი, 1937 წ.).

2. კომენტარიები არ აქვს დართული.

ანდერძი: 1. „ამა სოფლისა სიმჭნე-სიმდიდრე იმ სოფელს არ სჯეგებელი,
ინდოთ და არაბეთ მეფეთა ანბავთა შესაგებელი,
ჯავახოვის ქალმა აღეწერე სულისა არ მარგებელი,
და მკითხველო, ღ̇თსა მითხოვე კეთილი მისაგებელი.
თამარ მეფისა ბრძანებით შეთხუბული რუსთველი (!) ენითა,
ვახტანგ მეფისა დროს ბეჭდული მესტანბე მიქაელითა,
მზანამა ვპოვე ნიშანი, მეც დავშვერ ჩემი კელითა.
და ვინც რომ იკითხოთ, შექცეთ (!) სიტყვითა მოსმენითა.
ვეფხვის-ტყაოსნად ხმობილი ამბავი სამთა გმირისა,
შესწმა ღმთა და მნათობთა და გარდახდომა ჭირისა,
რუსთველისაგან ნათქვამი ქება ბროლთა მჭირისა
და მკითხველო, ღმერთსა მიმადლე კეთილი მისაგებელი“ (184 v).

2. „აღიწერა წიგნი ესე ვეფხვის-ტყაოსანი კეთილშობილის სვიმან ჯავახოვის ასულის ეფემიასაგან მიერ (!) წესსა ჩყმბსა, მარიამობისთვის ე-სა დღესა“ (საცავი ფურცლის r)

მინაწერი: „წიგნი ეკუთვნის რომან ანტონიძე ჩუბინაშვილს“ (საცავი ფურცლის r).

799

შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. XIX

161 ფ.; 21 × 17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; თაბლოლა ნაკლული; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX ს.]. ბეგრნიშანი 151 — 153 ფ. ფ.; შეძენილია 1942 წელს.

[შ. რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი] „...მოშაირე არა ქვიან თუ
სადმე თქვას ერთი ორი,
[თავი ყოლა] ნუ გონია მელექსეთა კარგთა სწორი...“
1 r — 161 v.

წყდება: „ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები,
მან უთხრა, აგრე ნუ უბნობ, შეცევ ბროლისა ყორები...“

შენიშვნა: ტექსტი ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსნის რედაქციისა, იწყება კბ (22). სტროფით და წყდება ჩნგ (1553) სტროფზე. (იხ. „ვეფხის-ტყაოსანი“ ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ., ტფ. 1937, გვ. — სოთ.).

მინაწერი: „ვინძლო კარგი დასწერო, ჩემი სიცოცხლე შეილო ბატონო ელენე“. 45 r.

800

ივ. პურადაშვილი. მოგონებები და ნარკვევები ქუთაისის შესახებ. 1937

I — II, 321 ფ.; 31 × 20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მანქანაზე ნაბეჭდი; ავტორი ი. პურადაშვილი (II ფ.); 1937 წ. (II ფ.).; შეძენილია 1944 წელს.

„[ივ. პურადაშვილი, მოგონებები და ნარკვევები ქუთაისის შესახებ], ნაწილი მეორე, თავი პირველი. — წინასიტყვაობაში ნათქვამი მქონდა, რომ ჩემი მოგონებების მეორე ნაწილი შეიცავს მოგონებებს ქ. ქუთაისის ცხოვრებიდან...“ 1 r — 321 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წამძღვარებული აქვს ავტორის „წინასიტყვაობა“ (I — II ფ.)

2. მოგონება-ნარკვევი შედგება შემდეგი თავებისაგან:

ა. „თავი პირველი. <პურადაშვილის მოგონებებიდან>“ (1 r — 51 v).
ბ. „თავი მეორე. საზოგადო არევ[ებ]ები“ (52 r — 64 r).
გ. „თავი მესამე. ქუთაისის თვითმართველობა“ (65 r — 95 r).
დ. „თავი მესამე (!) ფინანსები“ (96 r — 105 r).
ე. „ბანკები“ (106 r — 107 r).
ვ. „საფოთიერთო ნდობის საზოგადოება“ (108 r — 135 r);
ზ. „ქუთაისის მიზეილის სახელობის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი (136 r — 149 r). ამ თავს ერთვის: „Список уполномоченных Михайловского дворянского земельного банка А. От дворянства 1910 — 1912 г.“ (2 ფ.).

თ. „სახალხო განათლება“ (150 r — 178 r).
ი. „ხალხის ჯანმრთელობა“ (179 r — 190 r).
ია. „წყალსადენი და ტრამვაი“ (191 r—202 r).
იბ. „რკინისგზა და ქალაქ ქუთაისის ცდები“ (203 r — 221 r).
იგ. „პატრობა და მრეწველობა“ (222 r — 253 r).
იდ. „საქველმოქმედო საზოგადოება“ (254 r — 254 v).
იე. „ქალაქის კეთილმოწყობა“ (255 r — 271 v).
ივ. „ებრაელების დარბევა ქუთაისში“ (272 r — 278 r).
იზ. „1905 წლის მოძრაობა“ (279 r — 299 r).

3. ტექსტს დართული აქვს შემდეგი მასალები:

ა. „ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობა 1917 წელში“ (300 r — 301 r).
ბ. „მოხსენება ქუთაისის ქალაქის თავის დ. ლორთქიფანიძისა —

Его сиятельству наместнику кавказскому. 1906 წ. I. 1V. (302 r — 306 r).

ბ. „მოხსენება ქუთაისის ქალაქის სათათბიროს კომისიის თავმჯდომარის ზდანოვიჩისა ქუთაისის ქალაქის თავისადმი რუსულ ენაზე, 1906 წ. 25 იანვარი. (307 r—309 r).

დ. Копия с письма предводителя дворянства Кутаисской губернии Д. Кипиани на имя экзарха, 1886 г. VI. 8. (310 r);

ე. „Выписка из обследованных делопроизводств и судебных приговоров по делу Соломона Гвачьева Ашордия“ (311 r — 313 r);

ვ. „Из приговора 1910 г. июля 5/12 дня“ (314 r);

ზ. „Анонимный донос“ (315 r);

თ. „მოსაზრება კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის დაარსებიდან 10 წლის იუბილის გამო, 1939 წ. 15 იანვარი“ (316 r — 321 r).

801

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1858

105 ფ.; 17 × 11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნაკლული; მხედრული; 1858 წ. (97 v, 104 v); გადამწერი — ანტონ ქორიძე (104 v); შემოსულია 1944 წელს.

„სამართლის წიგნი ვახტანგ მეფისა. — ჯერ ესე გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და ყოველს სამართალშიდ მჯდომს კაცსა: ესე იცოდეთ, დამარხვით გონებაში გქონდესთ, რომე ღმერთი, ყოველს დამბადებელი, თქუმნგან სამართლის უფროო არას ითხოვს და რისხვაც უსამართლობით მოიელინების...“ 1 r — 97 r.

შენიშვნა: ერთვის — „საძიებელი წიგნისა ამის სასამართლოსა“ (98 r — 104 v).

ანდერძები: 1. „სრულ იქმნა წიგნი ესე სასამართლო ჩყნთ წელს, იანვარს კთ-სა“. (97 v).

2. „1858-го года, генваря 29-го дня“ (104 v).

3. „აღესწერე მღუდლის ძემ. ანტონ ქორიძე“ (104 v).

4. „ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის დამწერი დიაჩოკი ანტონ ქ[ორიძე], კანდელაკი თუმც რაამე ცთომა იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შემინდევით“ (104 v — 105 r).

მინაწერები: 1. „Сия книга приналлежит дворянину Г и г о Чиладзе“ (105 r)

2. „ეს სასამართლო წიგნი ეკუთვნის ახნაურს გ ი გ ო ჭ ი ლ ა ძ ე ს“ (105 v).

802

ქადაგებანი. XIX

24 ფ.; 35 × 22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 12 v; შემოსულია 1944 წელს.

1. „ქ ა დ ა გ ე ბ ა დიდმარხვისა პირველ დღესა, სიკუდილსა ზედა. —

მოიხსენე, ჰი ადამიანო, რამეთუ მიწა ხარ და მიწად უნდა იქცე.

ძმანო, დღეს, არა პირველს კეცრა დღესა დიდმარხვისა, აღმოვსულ ვარ ამა წმიდა ტრაპეზზე თქუმნდა ერთისა ყოულად სამწუხროისა ამბავისა მისათხრობლად, და ვაღვიარებ სიმართლით, რომ მე დიდის სიძნელით ძლივს გბედავ ამის თქმასა...“ 1 r — 6 r.

2. „ქ ა დ ა გ ე ბ ა სიტყვისა ღვთის სმენის სურვილსა ზედა. —

არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი, არამედ ყოულითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა [მათე 4,4].

ვითარცა ხორცსა ესაჭიროების საზრდო და საჭმელი, აგრეთვე სულსა ესაჭიროება თჳისი საზრდო. სულის საზრდელი არა არის პური, არამედ არს სიტყვისა ღვთის სწენა. ამას პირველად აჲტკიცებს თჳით ქრისტე...“ 6 v — 12 r.

3. „განზრახვა სიკუდილსა ზედა. —

მოიხსენიე, ჩი კაცო, რამეთუ მიწაჲ, გ^ა მტვერი ხარ და მიწად, გ^ა მტვრად უნდა იქცე.

იტყვის ეკკლეზიასტე: უმჯობეს არს წასულა იმ სახლში, სადა არს მწუხარება და გლოვიერება, ვირემ იქ, სადაცა არს ლხინი და განცხრომაო...“ 13 r — 18 r.

4. [განზრახვა მცონარესა ზედა]. —

„ვაი კაცსა მას, იტყვის წმიდა წერილი, რომელიცა ამაოდ და უნაყოფოდ ატარებს სიცოცხლესა და ამ დღიდამ იმ დღეზედ გარდააქუს ქმნა სინანულისა და განწორება ცოდვათაგან...“ 19 r — v.

5. „ქადაგება სიმდაბლესა ზედა. —

რომელმან აღიმაღლოს თავი თჳისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმანც დაიმდაბლოს თავი თჳისი, იგი აღმაღლდეს.

სიმდაბლის ცნობა საჭირო არს ყოველა კაცისათჳის, თუ მათთჳის, რომელნიცა ბრძანებლობენ სხჳათა, თუ მათთჳის, რომელნიცა ვაღდებულნი არიან დამორჩილებად...“ 20 r — 24 v.

შენიშვნა: ტექსტში შიგადაშიგ ჩართულია ლათინური წინადადებები. ეპიგრაფები, ქართულთან ერთად, ლათინურადაცაა მოყვანილი.

803

რ ო ტო-პ ი რ ი „ჭაშნიკისა“ (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექციიდან). გადატანილია ფოტოპირების კოლექციაში — № 61.

804

რ ო ტო-პ ი რ ი ვახტანგ VI-ის თხზულებათა კრებულისა (სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექციიდან). გადატანილია ფოტოპირების კოლექციაში — № 59.

805

რ ო ტო-პ ი რ ი შაჰნამეს პროზაული ვერსიისა (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილისეული კოლექციიდან). გადატანილია ფოტოპირების კოლექციაში — № 60.

806

ლოცვანი. XIX

216 ფ.; (432 გვ.); 16 × 10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა (ტყავგადაკრული მუყაოს ბუდით); მხედრული (დასაწყისი ასოები და სათაურები სინგურით); თავკაზმულობიანი (გვ. 1); [XIX ს.]; ჯაუწერელია; გვ. გვ. 36, 68, 80, 110, 136, 146, 175, 197, 213, 221, 227, 231, 235, 245, 253, 259, 273, 284, 285, 292, 293, 295, 297, 299, 301, 303, 305, 307, 309, 311, 313, 315, 319, 321, 323, 325, 327, 329, 331, 335, 337, 339, 341, 343, 347, 349, 351, 353, 355, 357, 359, 361, 363, 365, 367, 390, 391, 399, 432; შემოსულია 1944 წელს.

[ლოცვანი] „ლოცუა დილისა. — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

უფალო, აღახვენ პირი ჩემი, რათა უგალობდე წმიდასა სახელსა შენსა...“ გვ. 1—425.

შენიშვნა: ერთვის ხანდუკი (გვ. გვ. 426 — 431).

807

მიხითარ სებასტელი. რიტორიკა. 1766

108 ფ.; 17,5 × 14; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; მხედრული, 1766 წ. (107 v); გადამწერი — იეროდიაკონი ნეოფიტე; დაუწერელია 1 r-v, 6 v-7 v; 105 v, 108 r-v; შემოსულია 1944 წელს.

„თჳს ჴელოვნებისა სარიტოროჲსა (ესე იგი სამჴეცრმეთქჳოჲსა) წიგნი ა. თჳს საზღურისა სამჴეცრმეთქჳოჲსა და წუალებისა ნაწილთა მისთჳსა. თავი ა. — მჴეცრმეთქუმობა, რომელიცა თჳმის რიტორებად, არს ჴელოვნება საკეთილმეთქჳო. ითჳმის ჴელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოთა ჴელოვნებათა...“ 8 r — 105 r.

შენიშვნა: უძღვის: ა. თავფურცელი „მიხითარ ყ'დ ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა, ქართულსა ენასა ზედა გარდამოლებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა...“ (2 r).

ბ. „წინასიტყუობა—ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, დავითიან ბაგრატოვნისა, ირაკლის მიმართ მეორისა ძისა თჳისისა, მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, დავითიან ბაგრატოვნისა“ (2 v — 6 r).

ერთვის: „პინაკს-სიტყუობა სარიტოროჲსა ჴელოვნებისა“ (106 r — 107 v).

ანდერძი: „წელსა 1766, თუჱსა მაისსა 27, ჴჯ, ნეოფიტეს მიერ იეროდიაკონისა“.

808

ღვთისმშობლის საგალობლები. 1787

112 ფ.; 7,5×5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1787 წ. (84 v); გადამწერი — ამეროსი წილკნელი (84 v); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

1. „იბაკონი დაიკოსნი წმიდისა ღ'ისმშობელისანი, ჴმაჲ ა. — ზესთა ბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსინილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა შეჳსწირავთ, ღ'ისმშობელო ქალწულო...“ 1 r — 44 v.

2. „პარაკლისი, ახლად თარგმნილი ბერძულისაგან, საედრებელი ყოვლად წმიდისა ღ[ა]ისმშობელისა მიმართ. — მღუდელმან: კურთხეულ არსი, მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო...“ 45 r — 112 v.

ანდერძი: „ყოვლად წმიდაო დედოფალო, ღ[ა]თის მშობელო, მარადის ქალწულო მარიამ, დაიცევ და დიფარე მონა და მსახებელი შენი მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი, სარდალ-სახლთუხუცესი იოანე, და ყოველის განსაცდელისაგან გან[ა]რინე.

აღსწერე წ ი ლ კ ნ ე ლ მ ა ა მ ვ რ ო ს ი მ, 1787“ (84 v).

809

დაუჯდომელი. XVIII

76 ფ.; 7×5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დახიანებული (ფ. 76-ს ტექსტი მოხეული აქვს და დაკარგული); მოპატული (თითქმის ყოველი ფურცელი მოხატულია ჩიტებითა და ყვავილებით); მხედრული, სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი... ბერძულისაგან თარგმნილი საედრებელი. — ზეშთა მბრძოლისა და მოღვაწისა უძლეველისა ჯვარისა შენისა, ქრისტე ღმერთო, მორწმუნეთა, მონათა შენთა და ძლევა მომადლე მათ...“ 2 r — 76 r.

810

ღვთისმშობლის საგალობლები. 1788

70 ფ.; 9,4×6,5; ქაღალდი ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა (ამოცვივნულია ფ. ფ. 1 — 8,43 — 52); მხედრული, სათაურები სინგურით; 1788 წ. (70 v); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

1. „იბაკონი დაიკოსნი ყოვლად წმიდისა ღ[ა]ისმშობელისანი, რომელსა ეწოდების დაუჯდომელი, ტროპარი, ჴმა ჳ. — ბრძანებული საიდუმლო გულისჴმა-ჰყო გონიერად და მეყსეულად კარედ იოსებისა მოიწია უჴორცო და ეტყოდა უქორწინებელსა...“ 1 r — 37 v.

2. „პარაკლისი ღ[ა]ისმშობელისა მიმართ საედრებელი. — მეუფეო ზეცათაო; წმიდაო ღმერთო; მამაო ჩვენო; უფალო, შეგვიწყალენ ი ბ, მოვედით თაყვანის-ვჰსცეთ გ...“ 38 r — 70 v.

შენიშვნა: 70 v-ზე მოთავსებულია ხელნაწერის გადაწერის თარიღი: „1788. 6/7 “.

811

დავითონი. XVII — XVIII

154 ფ.; 11,7×8,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები დაწერილია ოქრომელნით); თავკაზმულობიანი (7 r), დასურათებული (6 v), ტექსტი ჩაწერილია ფერადსა და ოქრომელნით შემოხაზულ ჩარჩოებში; [XVII—XVIII ს.]; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„ფ ს ა ლ მ უ ნ ი პირველი, ალ, ესე იგი არს ქებაჲ და გალობაჲ უფლისაჲ, გინა თუ გალობაჲ და ქებაჲ ღვთისაჲ. — ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმოოთასა და გზასა ცოდვილთასაჲ...“ 7 r — 145 v.

შენიშვნა. უძღვის: ლოცვები „უკეთუ ვისმე ძილსა შინა დაცემა შეემთხვიოს, მას დღესა ნუ ეხიარების, სამი მიწყალე თქვას...“ (1 v — 6 r).

ერთ.ის: საკითხვები „საკმე მოციქულთა“-დან: „ცვირიკეს ფსალმუნი, იყავნ, უფალო, წყალობაჲ შენი, დასდებელი. იხარებდით მართალნი უფლისაჲ მიერ. ჰრომაელთა მიმართ. — ძმანო, რომელთა-ცა ნათელ იღეთ ქრისტე იესუს მიერ...“ (146 r — 154 v).

812

ლოცვანი. 1794

102 ფ.; 14×9,5 ქაღალდი; ქსოვილგადაკრული მუყაოს ყდა; ოდნავ დაზიანებული: მხედრული, სათაურები სინგურით: 1794 წ. (102 v); გადამწერი — ერისთავი იოანე (102 v); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„ლოცვანი შუაღამისანი. — რაჟამს აღდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანე: ლოცვითა წმიდათა მამათა ჩ̃ნთა...“ 1 r — 102 r.

ანდერძი: „სრულ იქმნა თთვესა იანვარსა პირველსა, ქ̃ს ოთხმოცდაორსა, ჴელითა მოსინასა მღრთისა ერისთავისა ძისა იოანე“ (102 v).

813

ცხოვრება იოანე გლახაკისა. XIX

18 ფ.; 17×10; მოლურჯო ქაღალდი; სქელი ქაღალდის ყდა; დაზიანებული (ბოლო ფურცლები ჭიანჭამია): მხედრული (სათაური სინგურით); [XIX ს.]; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანესი, რომელი გლახაკ იქმნა ქრისტესჳს მონასტერსა მას დაუძინებელთასა, გ. მ. — იყო ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს კაცი ვინმე კეთრთხეული, ღ̃ისა მიერ შემკული სიტყვითა და საქმითა, და ყოველითავე სალ̃თოთა სათნოებითა...“ 1 r — 18 v.

მინაწერი (ტექსტის ხელით): „თორნიკესიას წიგნი, არავინ მოიპაროს, თორემ ღმერთი გიწყენთ“ (ზემოყდის v).

814

კრებული. XVIII

04+63 ფ.; 16×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივიფრული ხის ყდა; ნუსხური და მხედრული, სათაურები სინგურით: [XVIII ს.]; გადამწერი — ბესარიონ (29 v); დაუწერელია: 01 — 04,62 r — 63 v; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

1. „წესი და განგება წმიდისა ზიარებისა ლ̃ოცვისა. — ოდეს გენებოს შეწირვა უსისხლოსა მსხუ̃რპლისა, წინა დღე მცირე სერობისა იღოცე ესრეთ...“ 1 r — 29 v.

2. [კლემაქსი იოანე სინელისა, გალექსილი იოანე პეტრიწის მიერ].

„ოოანესაგან სინელისა, სამთონი,
გვარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი...

ანდერძი: „ბესარიონ“ (ასომთავრული, ბეგუნად. 29 v).

815

არითმეტიკის სახელმძღვანელო. XVIII

22 ფ.; 15×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII ს.]; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

[არითმეტიკის სახელმძღვანელო].—

„ჭელმწიფესა ვისმე, მპყრობელსა მრავლისა ქუყნისასა, აქუს შემოსავალი თეთრი, რომელსა მოერთუა თითოეულადმან: 1) 5.678.932, 2) 78.943, 3) 94.689.439, 4) 640, 5) 700.629, 6) 8.456.789— ოდეს შეკრბებიან ესენი ერთად, რაოდენი იქნება, მინდა შევიტყო...“ 2 r — 22 v.

მთავრდება: „არითმეტიკა არს სიტყუა ბერძული, ხოლო ქართულისა ენითა ეწოდების ქვეყნის მზომელობა და ხელოვნება ველთა მზომელობისა და აქუს მათემატიკოსობისა გამოცდილებათა შორის უპირველესობა. დაღაცაოუ ჰეშმარიტ არს იგი მათემატიკოსობა, არამედ ამისდა შეუწევნელად ძნელოვან არს წამება მისი“.

მინაწერი (ტარიხებული ასომთავრულით) „აწ“წე ესე: რევას, დავით, ი“ს, გიორგი, როსტომ. შაწშე, რევაჲ, ბიძინა, ელიზბარ, ელისბარ, მიხაილ, იოანე, ბესარიონ, მირვანოზ, თონიკე, სოლომან, გიორგი, ლუარსაბ“ (1 v).

816

არითმეტიკის სახელმძღვანელო. XIX

54 ფ.; (108 გვ.); 16,5×10,5; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაწერილია გვ. 108; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„ნაწილი I. თჳს არიხმატიკისა, რომელ არს შემოკლებული. — არიხმატიკა არს ჴელოვნება მრიცხუმლობითი, რომლითა იგულ[ის]ხმების ნივთთა აღრიცხულთა რაოდენობა.

არიხმეტიკა იწუალების ორ სახედ: 1. პოლიტიკად, 2. ლოღისტიკად. არიხმეტიკა პოლიტიკა იწუალების ხუთგუარ...“ გვ. 1 — 107.

შენიშვნა: უკანასკნელ ფურცელზე სხვა ხელით სწერია: „სამკუთხის კუბიკი. განამრავლე რადიჭსი 8 ერთის გამომატებულის რიცხვით 9. 8×9=72 იქნება და ესე განყავ 2-ზე და გამოვა 36, და გამოსული განამრავლე რადიჭზე...“ გვ. 107.

817

ბასილი დიდი. მიცვალება ღვთისმშობლისა. XIX

59 ფ.; 16×10.5; მოლურჯო ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაწერილია 59 r-v შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„თუმცა აგვისტოსა ი“ე, მიცუალება ყოველად წმიდისა ღ“თისმშობელისა, თქუენი წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილისი, გ. მ. — რაჟამსაც იგი სულისაგან წმიდისა ღ“ისმშობელსა მარიამს ჟამი განსულისა თჳსისა ამიერ სოფლით გულისხმა-ეყო განსლვა, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა საღმთოჲთა და ლმობიერად აღივსო...“ 1 r — 58 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

818

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1856

01+115 ფ.; 17,4×10,8; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; მზედრული; 1856 წ. (105 r); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

[სამართლის წიგნი]. — „ა. ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომსა კაცსა: ეს იცოდეთ, დამარხჳთ გონებაშიდ გჭონდესთ, რომე ღმერთი ყოვლისა დამბადებელი ოქვენგან სამართლის უფროსს არას ითხოვს...“ 1 r — 105 r.

შენიშვნა: ერთგული: „სახიერებელი წიგნისა ამის“ (105 v — 112 v).

ანდერძი: „1856-სა წელსა, აგვისტოს 26-სა“.

819

კარაბადინი. XVIII

109 ფ.; 16,4×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაზიანებული; თავნაკლული; მზედრული; [XVIII ს.]; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„კარაბადინი ბართალი და ჴეშმარიტი. — ხურვებისათვის ქერის ჭატო მჟავის დოთ მოიღე და ფერჴთა შემოსცევ...“ 83 v — 109 v.

შენიშვნა: უძღვის: ა. ლექსი [სულისა და გვამის გაბჭობა].—

„... შენ საჭაო... რომ სიხრმის, კვალად ხარ ცუდი,
მოხვალ, ნახავ ამ ს[ო]ფელსა, გაიპარვი როგორც ქურდი.
სულმან უთხრა: გვამო ჩემო, ამ დღისათვის რას მიელიდი...“ (1 v — 6 v).

ბ. შეღლეცვები:

1. „სახარება იოვანესი, თავი პირველი... ღმერთო და ოთხნო თავნო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე! შემწე, მეოხ, მცველ და მფარველ ექმენით მონასა ღმითისასა სახელით [ ] და იჳსენით ყოველს ჭირისაგან, სენისა, სნებისა, ცხრომა და ჴურვებისაან...“ (7 r — 16 r).

2. „ლოცვა უქმურისა“ (16 r — 20 v).
3. „ლოცვა მუცლის ტკენისა“ (20 v — 21 r).
4. „ლოცვა ალისა“ (21 r — 23 r).
5. „ლოცვა შაკიკისა“ (23 r — 26 r).
6. „ლოცვა ქაჯისა“ (26 r — 30 v; 44 r — v).
7. „ლოცვა თვალებისა“ (30 v — 33 r).
8. „ლოცვა თვალცემულისა“ (33 r — 35 r; 38 v — 40 v).
9. „ლოცვა კაცსა ზედა ჭირვეულსა“ (35 r — 36 v).
10. „ლოცვა თვალ-ყებისა“ (36 v — 38 v).
11. „ლოცვა ქამისა და უქმურისა“ (40 v — 41 r).
12. „ლოცვა საწურლისა“ (41 r — 43 r).
13. „ლოცვა გველის ნაკბენისა“ (43 r — 44 v).
14. „ლოცვა სამას სამეცდაბუთის სენისა და ჭირისა განმაჴვრებელი“ (45 r — 51 r).
15. „ლოცვა შეიდთა ყრმათა, სნეულისა უძილობისათვის“ (51 r — 57 v).
16. [ლოცვა] „უკეთუ ფიცით კრულ იყოს ვინმე, მისი გაჴსნისა“ (57 v — 59 r).
17. „ლოცვა მაცხოვრისა და ყოველთა წმინდათა მისთა დღითი-დღე საგონებელი“ (59 r — 65 v).
18. „ლოცვა წმინდათა მოწამეთა კვიპრიანესი, მაოტებელად წმინდათასა“ (77 v — 83 v).

გ. „ებისტოლე, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა აგვაროზ მთავარმან ედესით“ (66 r — 67 v).

დ. „ებისტოლე, რომელი მიუწერა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან აგვაროზ მთავარსა“ (57 v — 77 v).

ანდერძი: „სამკურნალო წიგნი ვსწერე,
სეფულმან მოიხედოსო,
იოვანეს ნაბძანები:
უძლურმან მოიხედოსო.

კარაბადინი მკურნალთა“ (109 v).

820

ბასილი დიდი. მოცვალება ღვთისმშობლისა. 1816

68 ფ.; 16,7×9,7; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დახიანებული. დასწყისი და ბოლო ფურცლები ჭიანჭამია; ხიდრული, სათაური სინგურით; 1816 წ. (67 v); გადაწერი — გიორგი (67 v); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წელს.

„თვესა აგვისტოსა **იე**, მ ი ც ვ ა ლ ე ბ ა ყოვლად წმიდისა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ს ა ქვეყანით ზეცად, თქჳული წმიდისა მამისა ჩუენისა ე ვ ა ს ი ლ კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა, გ. მ. — წინაზე ღუთისა და მაცხოვრისა, რომელმან საიდუმლო სასურველი აღასრულა ცასა ქეშე და ქვეყანასა შორის...“ 1 r—67 v.

ანდერძი: „წმინდაო ღუთისმშობელო, მეოხ ეყავ წიგნისა ამის სასურველისა პატრონს, და უცოცხლე და მშვიდობით მოგუარე მეუღლე და დაუზარდე ორნი ძენი და ნუ შეუცვალი სიყვარულსა.. და მეცა მეოხ მეყავ, მიხაბაშვა ამისსა [გ ი ო რ გ ი ს].

დაიწერა თვესა მარტსა ბ, წელსა ჩყჲვ. ღმერთო, მშვიდობით ახმარე პატრონსა ამისსა“ (67 v).

შენიშვნა: ა. ანდერძში გადამწერს თავისი სახელი „გიორგი“ დაუწერია სიდიდემლო ნიშნებით.

ბ. კრიპტოგრამა გახსნა გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ემ. იხ. „დროშა“, 1953, № 6. გვ. 20.

821

აპოფთეგმები. 1783

51 ფ.; 18,5×14; ქაღალდი, ტყავგადაკრული მუყაოს ტეიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; გადაწერა საქართველოს მეფის სძლის მუხრანის ბატონის ასული ქეთევანი (46 r); 1783 წ. V. 3. (46 r); დაუწერელია: 47 r — 51 v; შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წ.

1. „ქ. მ ო კ ლ ე დ ს ი ტ ყ ვ ი ს გ ე ბ ა სოგრატისი, სწავლა პირველი, და სხვათაცა ფილასოფოსთა, რუსულისაგან ქართულს ენაზედ თარგმნილი(!). — კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკან კი ძრახეოდეს...“ 1 r — 8 r;

2. „ი გ ა გ ნ ი კ ე თ ი ლ გ ო ნ ი ე რ ი ს ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს ა ნ ი. — შენს თავს ნურც იქებ და ნურც იძაგებ, თუ თავს იქებ, არაფერი იქნები და თუ იძაგებ, ქვეყანას ფარისეველად აღუჩნდები...“ 8 r — 17 r.

3. „მისნივე [ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს ა] მ ც ნ ე ბ ი ე რ ნ ი ს ი ტ ყ ვ ა ნ ი. — მეგობარი ყოვ[ე]ლთვის უნდა გყვანდეს შენის თავის მოსახმარებლად. შენს თავზე კარგი მოსამართლე ვერ იქნები, თუმცა სხვათ კაის სამართალს არ უზამ...“ 17 r — 21 r.

4. „მისნივე [არისტოტელისა] ბრძენნი სიტყვანი.— ბრძენს კაცსა და პატიოსანს პატივს ნუ დააკლებ. ნამეტნავი გაბედვა კაცს მრავალჯერ გააჯავრებს...“ 21 r — 23 v.

5. „სწავლანი ბრძნის ან[ა]კსაღორისანი. — ღმერთი აქე, მშობელთ პატივ ეც. მეგობართ მოუხმარე და შური ნურავის გაქეს...“ 23 v — 33 v.

6. „მოკლედ გამოსახსნელი ამბავი, წიგნი მეორე, რომის კეისრებისა, სხვათა მეფეთა, მთავართა და მიედართა მთავრობისა. — ოცდაათი კეისარი ერთხელ ნავში იჯდა და დიდი ღელვა აღუდგა...“ 33 v—46 r.

ანდერძი: „აღწერილი საქართველოს მეფის [. . . .] სჯლის, მუხრანის ბატონის ასულის ქეთევანის მიერ, თვეს მაისსა 8, წელს ქე´სით ჩ̂ლბ, ქართულსა ქ[რონი]კ[რონ]სა ფოა“ 46 r.

მინაწერები: „ოდეს ჭეშ̂ქანა ქართლისა ჟამთა მიმოცვალებათაგან მო[ო]ხრებულიყო უბადრუკა ლეკთაგან და წარჯყვნილ̂ქმნილ იყვნენ სოფელნი და დაბანი, მას ჟამსა ჩვენ მუხრანის ბატონმან კოსტანტინემ კელ ვჰპოვე ციხისა ამის შენებად მოგებულთა ჩემთა საფასეთა და მრავალნი წარვაგენ, რამეთუ ნივთნი ზღუდეთა და კედელსა და სახლთანი შორით მოვიხეშნ და ფრიადი შრომა ვჰპოვე და აღვაშენე სამკვიდრებელად ჩემდა და განსასვენებლად და მნახავთაგანსა ნუ ეყო მოსაწონი და თუალთა სანებათ საამოვნო ჩარენი და ორთა მდინარეთაგან შორისობითა შეჰკეთნი სახელად წოდებული ვარციხე. კელ აქეთ ჩ̂ლმ, ქართულს ქრონიკონს ულვ“ (კვედა ყდის შიდა ბჭარე).

იხ. აგრეთვე მინაწერები ზედა ყდის შიდა მხარეს და 46 r-ზე.

822

კრებული. XIX

72 ფ.; 21 × 16; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინურით; [XIX ს.]; ჭეირნიშანი 1801 წ. (64 — 67 ფ. ფ); დაუწერელია 1, 31, 32, 48 და 72 ფ. ფ; შეძენილია ნ. ჯაკობიშვილისაგან 1944 წ.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ხარებისათჳს ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღ̃ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მ. გ! — კუალად სიხარულისა სახარება, კუალად განთავისუფლებისა უწყება, კუალად აღმოწოდება, კუალად აღმოსულ̃ად, კუალად მხიარულებისა ჴმად, კუალად მონებისა წილ აზნაურებად. ანგელოსი ქალწულსა ზრაავს...“ 2 r — 5 v;

2. „თუმცა აგვისტოსა იე, მიცვალება ყოვლად წმიდისა ღ̃ისმშობელისა, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილისი, მ. გ! რაჟამს იგი სულისაგან წმიდისა ღისმშობელსა მარიამს ჟამი განსვლისა თჳსისა ამიერ სოფლით გულისხმა-ყოო...“ 6 r — 30 v.

3. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მარიამ მეგჳპტელისა, რომელი იყოფოდა უდაბნოთა მათ იორდანისათა, გ. მ! — საიდუმლოთა მეფისათა დამარხულ̃ად კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღისათა ქადაგება სარგებელ არს...“ 33 r — 47 v.

4. „დიდსა პარასკევსა, საკითხავი ჯუარცმისათჳს და დაფლვისა უფლისა ჩუ̃ნისა იესო ქრისტესსა, თქმული ნეტარისა მამისა ჩუ̃ნისა გიორგი

ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა, მ. გ! — მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგებაჲ იგი სახარებისა..." 50 r — 63 r.

5. წმიდათა შორის მამისა ჩუ̃ნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ვნებისათჳს მაცხოვრისა ჩუ̃ნისა იესო ქრისტესსა ძისა და ღ̃ისა და კუალად დღესა, რომელსა განავლინა ადამ სამოთხით, მასუე დღესა შეეყარა ავაზაკი სამოთხედ, მ. გ! — გუშინ აღთქმულსა მას ვალსა დღეს მნებავს აღსრულებად. საყუარელნო..." 63 r — 67 v;

6. „თქმული წი̃სა და ნეტარისა მამისა ჩუ̃ნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ არხიეპისკოპოსისა თარგმანებაჲ მატთეს სახარებისა სიტყჳსა. ამისათჳს გუაკურთხენ, უწმიდესო მეუფეო. — სახარება ხუალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკეუისა. შეკრბეს მღუდელ-მთავარნი იგი და ფარისეველნი პილატესსა და ჰრქუ̃ს..." 68 r — 71 v.

823

გამოკრებული ჟამნი. 1780

114 ფ.; 20,5×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტკეფრული ხის დაზიანებული ყდა ნუსხური, სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრულით და სინჯურით; აქვს რვეულებრივი პაგინაცია; აკლია პირველი რვეული და ბოლო რვეულის ზოგითა ფურცლები. ამოკდებულია და დაზიანებული 113 ფ; გადამწერი გიორგი დიაკონი (114 r); 1780. VII 3. (114 r); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წ.

1. [ჟამნი შუაღამისანი] „... ო̃ და ნუგეშინის მეცა მე, ურვამან შემიპყრა მე ცოდეილთამან, რომელთა დაუტეეს შჯული შენი..." 1 r — 21 r.

შენიშვნა: ჟამნი შესულია:
ა. „ჟამნი პირველი შაბათისა შუაღამისა..." (21 r — 32 r).
ბ. „სხუა შუაღამის ჟამნი კჳრიაკისა..." (32 r — 34 v).
გ. „დასაწყისი ცისკრისა..." (34 v — 55 v).
დ. „ჟამნი პირველი მზისა..." (55 v — 61 v).
ე. „ჟამნი მესამე..." (61 v — 66 r)
ვ. „ჟამნი მეექჳსე.." (66 r — 71 v).
ზ. „განჴება სადილის ჟამნისა..." (71 v — 81 v)
თ. „ჟამნი ცხრა ჟამისა..." (81 v — 86 v).
ი. „დაწყება მწუხრის ლოცჳსა..." (86 v — 95 r)
ია. „ჟამნი მცირე სეროპისა.." 95 r — 105 r).
ეზ. „ოხითა იბაკონი აღდგომისანი, რვა ჴმანი, ა..." (105 r — 111 v).
ოვ. „ოხითა იბაკონი მაგდუსისა..." (111 v — 114 r).

ანდერძი: „აღიწერა გამოკრებული ჟამნი ესე ჴელითა ფრიად უღირსის დიაკუნის გი̃ორგისათა. ცოთმისა რაისათჳს მე ჴედრით ფრიად გულს-მოდგინებით შენდობასა. თთუსა იცლისს გ., ქ[ორონი]ჷ[ო]ს უოც." (114 r),

824

არითმეტიკა. XVIII

116 ფ.; 20×16; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული ხის ყდა, ზემო ყდა შუაზეა გადატეხილი და მოკიდებული აქვს; მხედრული; სათაურები სინგურით; ჭეირანშაჰი 1791 წლისა (იხ. ფ. ფ. 109 — 114) [XVIII ს.] შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წ.

„ა რ ი ხ მ ე ტ ი კ ა, პრაკტიკა, რომელ არს აღმრიცხველობისა გამოცდილება. — კითხვა: რა არს არიხმეტიკა, აღმრიცხველობა? მიგება: არიხმეტიკა, რომელ არს აღმრიცხველობა, არს ქელოვნება პატიოსანი, უშურველი და ყოელთა ადვილ გულისხმის-საყოფელი, მრავალად უმარგებელესი და ფრიად უსაქებელესი ძველთა და ახალთა ბრძენთა არიხმეტიკათა მიერ მრავალ ჟამ კეთილ გამოცხადებით პოვნილ შემოკრებული...“ 1 r — 114 r.

შენიშვნა: 1. წიგნი შედგება 5 ნაწილისაგან:

ა. „ნაწილი I: არიხმეტიკა, პრაქტიკა, რომელ არს აღმრიცხველობისა გამოცდილება“ (1 r — 16 v).

ბ. „ნაწილი II: რიცხუთათვის შემუსვრილთა, გინა დანაწილებულთათჳს“ (17 r — 31 r).

გ. „ნაწილი III: განწესებულთათვის შესაფერთა, ესე არს სამთა ხუთთა და შვიდთა ჯუმალთათვის რიცხუთა მთელთა და შემუსვრილთათვის“ (31 r — 80r);

დ. „ნაწილი IV: განწესებულთათვის ტყუილთა, ესე არს გამოსაცნობთა.“ (80 r — 95 v).

ე. „ნაწილი V“ (97 r — 114 r).

825

ბაუმეისტერი ფრიდერიკოს ხრისტიანოს. ლოღიკა. XVIII

165 ფ.; 2,15×17; ქაღალდი; ხის ტყავფარული ყდა; მხედრული, სათაურები და ტექსტის ზოგიერთი ადგილები ასომთავრულით; ჭეირნიშანი 1792 წ. (იხ. 155—160 ფ. ფ.) [XVIII ს.]; მთარგმნელი ანტონ I (2 r); შეძენილია ნ. ჯავახიშვილისაგან 1944 წ.

„<ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი ფ რ ი დ ე რ ი კ ო ს ხ რ ი ს ტ ი ა ნ ო ს — ლ ო ღ ი კ ა.> ფილოსოფია ახალ-პაექრობითი, მპყრობელი თჳს შორის განსაზღურებათა და დადებულებათა. განსაზღურება ლოღიკისა.—ცნობა ისტორიკებრი არს, ცნობა ნივთთა მათ, რომელნიცა არიან და იქმნებიან, ანუ ნივთიერსა შინა სოფელსა და ანუ არსებათა შინა უნივოთთა შემთხუჳულ იქმნებიან, მოკლედ: ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა საქმეთა...“ 3 r — 46 v.

შენიშვნა: 1. გარდა ზემოთ მოყვანილი თავისა წიგნში მოიპოვება შემდეგი თავები:

ა. „განსაზღურება ინტოლოღიისა. — ინტოლოღია ბუნებითი არს შეგრთება ცნობათა შერევნილთა...“ 46 v — 73 r.

ბ. „განსაზღურებანი კოზმოლოღიისნი, — კოზმოლოღია საზოგადო არს ცნობა, რომელიცა იპყრობს თეორსა (ესე იგი ხედუასა) საზოგადოსა სოფლისათჳს დასაბამთა შინა ონტოლოღიისათა...“ 73 v — 82 v.

გ. „განსაზღურებანი პსიხოლოღიისნი. — მჳნვიერი ანუ პსიხი არს ესეგითარი, რომელმანაც იცის თავი თჳსი და ნივთნი გარეგან ჩუმწსა მდებარენი...“ 83 r—116 v.

დ. „განსაზღურებანი ბუნებითისა ღ-ის-მეტყუელებისანი. — არსი თავით თჳსით ეწოდების მას, რომელსაცა მიზეზი ყოფისა თჳსისა აქუს თავსა შორის თჳსსა...“ 116 r — 124 r.

ე. „განს[ა]ზღურებანი ფილოსოფიისაგან საყოფაქცეოსა, — საქმედ ბუნებითად იწოდებიან იგინი, რომელთაცა კეთილ-ბუნება თჳნიერ განჰსჯისა განსაზღურებს,..“ 124 r — 141 r.

ვ. „განსაზღურებანი საპოლიტიკონი. — თან საზოგადოება არს შეყურა რომელიმე, ქმნილი წარმოობისათჳს საზოგადოსა ბედნიერობისა ძალთა მიერ საზოგადოთა...“ 141 v — 145 r.

ზ. „განსაზღურებანი საფისკონი. — ფორნი სხუულთა შინა იწოდებიან სიერცენი ცალიერნი, თავსა შორის თჳსსა აოა მეკონნი მის ნივთისანი, რომელისაგანცა შედგმულ არიან სხეულნი იგი...“ 145 r — 148 r.

2. ლოღიკის ტექსტს წინ უძღვის: ა. „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა, ჲორლიციფორის ღიმნაზიისა რეკტორისა, დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი. წიგნი. განსაზღურება ფილოსოფიისა, მაყრობელი თჳს შორის საზღუართა 1263, ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრწყინუალესისსა და უმჯობრობელესისა დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსევნასა, თჳთმპყრობელისა ყოვლისა როსიისასა და მემკჳდრისა მისისა კეთილ-მორწმუნისა ხელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისასა ჴელს დასაბამითგან სოფლისა 7270, ჲორციელად შობითგან სიტყჳსა ღ-ისა 1762 ინდიკტიონსა 10, თთუესა მეოთორმეტესა 30“ 1 r.

ბ. „ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატოვანისა წინასიტყჳა წიგნისა განსაზღურებისა ფილოსოფიისა. ხუთმუხლნი დასდებელნი. — ფილოსოფოსმან ბაუმეისტერ ფრიდერიკოს საზღუარ-დებულ ჰყუნს ნივთნი საბრძნოთ შინანი, ახალ ხელოფიით პაეკრობითნი თქმანი სამოცდასამ და ორას და ათასნი. ესე ერთ წიგნად ქმნილი სარგებლად ბრძენთა როსიისასა, პორფირის ქალაქთასა თარგმანებითა ლათინთა ენისაგან გარდამოღებით ჩუენსა ზედა ენასა იმხარკა ესე ტკივილთ-მოყუარებითა სარგებლად ჩუენთა ტრფიალთა სიბრძნისთა ანტონი, ეჳშურები მთარგმნე სიყუარულით თქუმან ჩუენთა მაგათ თანა მოქალაქეთა ერთსათესაეთა, ერთ მეცნიერსაეთა ბრძენთა ქართულთა მირთმად ძღუმენ-სიტყჳერთა, დროს მეფობითსა ირაკლი მეორისსა“ 2 r.

3. ლოღიკის ტექსტს ბოლოს დართული აქვს: „პინაქს-სიტყვაობაჲ ახლისა ფილოსოფიისა, განსაზღურებათა და დადებულებათა, ქმნილი ანბანთა ზედა“ 149 r — 165 v.

4. მთელ რიგ გვერდებზე სქოლიოებში გადამწერის ხელით ანტონის კომენტარიებია მიწერილი (იხ. 3 v, 12 r, 14 r, 15 r, 15 v, 44 v, 61 v, 101 r, 104 v, 111 v, 114 r, 115 r, 115 v, 117 r, 143 r v, 125 r).

მინაწერი: „Კთ ივნისს კე სა 1810 წელსა“ (ქვ. ყდის შიდა მხარე).

826

იოანე სინელი. კლემაქსი. XVIII

66 ფ.; 16 × 10,5; ქაღალდი; ტყავის ყდა; თაგნაკლული; მხედრული; სათაურები და აბზაცის დასწყისი ასოები სინჯრით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 66 r-v.

[იოანე სინელი. კლემაქსი ლექსად]. —

„... ესე მოგებად შეუძლებელ არს ყოველად,
გარდა სრულიად ტრფიალთა უფლისადმი...“ 1 r — 65 v.

შენიშვნა: „კლემაქსი“ ანუ „კიბე“ ლექსად, იამბიკოდ უთარგმნია იოანე პეტრიწს (იხ. კ. კეკელიძე ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I,1941 წ. გვ. 263).

მინაწერი: „ხოსლარი... მეჯორე
ჯილა .... საჴორწილო ტახტი“ (ზემო ს. აც. ფ. r).

827

კარაბადინი. XVIII

48 ფ.; 12 × 8; ქაღალდი; ტყავის ყდა; თაგბოლო ნაკლული: კიდეებ შემოცვეთილი, აკლია ფურცლები შიგნითაც; მხედრული, სხვადასხვა ხელით; [XVIII ს.].

16. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

[კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი] „... კიდევ კაცისთვის გოგრითა. ო[რშა]ფათს დღესა თავზედ წყლი დის... ღ~თის ბრძანება არის, რომე თუ გინდ სმი წლის შეკრული იყოს, ღ~თის ძლითა უსაცილოდ...“ 1 r — 48 v.

წ უ დ ე ბ ა: „დიახ რომე არწყევდეს ვერ [....]დეს, ანისული თბილი შაჭარი და [. . . .], დანაყე და ა[ა]ღუღე, და[ა]ლევინე, გუ[ლ]ს გაუგრილებს ღამით და არგებს. ჭარხლის ძირი დანაყე, და[ა]ლევინე. კიდევ თუ ამით არ იქნას, ინდურის ძირი დ[აა]ლევინე...“

შ ე ნ ი შ ე ნ ა ტექსტი „ა“ მეტიანია.

მ ი ნ ა წ ე რ ი ტექსტისავე ხელით: „ღმერთმან უშველოს ამ წიგნისა მასწავლებელსა (!); და მერე ამისა დამწერსა, ოსტატს წყ[ა]ლობ[ი]თა ადღეგძელოს“ 27 v.

828

კრებული. 1830 — 1837

75 ფ.; 21×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1830 — 1837 წ. წ. (58 r — 75 v); აქვს თავსამკაულები: 1 r, 17 r; დაწერილია: 47 r, 49 v, 58 v, 59 v; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

1. „წ ი გ ნ ი ს ა მ ო ძ ღ უ რ ო, ს ვ ი მ ე ო ნ თ ე ს ა ლ ო ნ ი კ ე ლ ი ს ა მიერ თქმული. — ჯვრ-არს მოძღურისა მიერ, რათა ჰქონდეს ადგილი განმზადებული...“ 1 r — 16 v.

2. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო მ ო ძ ღ უ რ ე ბ ა, პირუმლად სასწავლო ყრმათათჳს, აღწერილი სულხან ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი. — სარწმუნოებისათჳს მართლისა და უბიწოსა სჯულისა, რომელი მოგვეცა წმინდათა მამათა მიერ. — მოძღურამან ჰკითხა ყრმასა ვისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და რქუა: ქრისტიანე!...“ 17 r — 46 v.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ტექსტის ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ეკუთვნის ეს მოძღურო-მოწაფის წიგნი მთავარ დიაკონს ს ვ ი მ ო ნ კ ა ს რ ა ძ ეს, სრულ იქმნა $18\frac{16}{V}$ 36“ (46 v).

3. „მ ღ უ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი ს ა ლ ი ტ უ რ ღ ი ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა დ სახის მეტყველებითი, ვითარმედ ყოველსავე მღუდელმოქმედებასა რა ძალი უპყრიეს. ღმერთმთავარო, გონებაო გამომაბრწყინვებელო ღმერთმთავრისა სულისაო, მომეც სული სიბრძნისა და მადლი სიტყჳსა აღებასა პირისა ჩემისასა, რათა სათნოდ შენდა აღვსწერო წინამდებარე ესე ჰაზრი, რამეთუ შენ მიერ არს ყოველი ნიჭი სრული და მადლი მამისაგან ნათლისა და შენგან ზომბილისა ძისა და შენგანვე გამომავლისა სულისა წ~ისა, შენდა შვენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა პირველ საუკუნეთა აწ და უკუნისამდე, ამინ.

თქმულისაგან წ~სა ვასილისა, მაქსიმესა და სხუათა წ~თა მიერ. — ეკლესია სახე არს უხილავისა მის საუკუნოსა სასუფეველისა და ხილულისა ამის საწუთოსა სოფლისა...“ 47 v — 58 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „აღწერილ არს $18\frac{2}{II}$ 37“ (58 r).

4. „ქორწინებისა თავთა ჳს, თავი სჯა, მატთეს.—ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესავობაჲ ხარისხად...“ 60 r — 68 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „სჯულის კანონი ესე ეკუთვნის [პალტელიმონ(!) მცხვედაძეს, ვინც ტყუილათ დაიჩემოს, რისხვა ღვთისა არ გამოელიოს საკუნთათა].[1] ეს ძალითა მღთისათა ღმერთმან მოაზმაროს მშვიდობით აწ და უკუნისამდე. აღიწერა $18\frac{29}{VI}30$“ (59 r).

2. ტექსტს ბოლოს დართული აქვს მაგალითები ქორწინებისანი, სათაურით: „ჰაჰა, მაგალითნიცა ქორწინებისანი რომელნიცა დაჰსაბნა უბრძენესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან (ესე იგი წიგნთა მცუოლმან) უშჳიდე[ს]ისა ქ̈ჳს დიდისა ეკკლესიისა კოსტანტინოპოლისამან, იეროდიაკონთა შორის უფალმან, მანუილ ქსანთინოს“ (68 v — 75 r).

ანდერძი: „განსრულდა, დიდება ღმერთს $18\frac{29}{VI}30$“ (75).

მინაწერი: „წიგნი ესე ფრიად მშვენიერი ეკუთვნის მღვდელს დიმიტრი მცხვედაძეს“ (ზემო ყდის შიდა მხარე).

829

აღდგომის საკითხავები, გამოკრებილი. XVI — XVII

42 ფ.; 14,5×12,5; ეტრატი; უყდო; დაშლილი, ნაკლული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნით); ნუსხური; [XVI — XVII სს.]; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

[აღდგომის საკითხავები] „...უთხრობ..., მიველ და უჩ̈ნე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმენდისა შენისათჳს, რომელი-იგი ბრძანა მოსე საწამებელად მათა...“ 1 r — 42 v.

830

საგალობლები. 1882

205 ფ.; 17 × 11; მუყაოს ყდა; მწდრული; სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; გადამწერი: მგალობელი ექვთიმე კერესელიძე (1 გვ.); 1882 წ. (1 გვ.); დაუწერელია: გვ. 6, 11, 12, 18, 22, 30, 48, 51, 52, 66, 175, 274, 275, 276; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

[საგალობლები] — „ხმა ა. სამწუხრონი ლოცვანი ჩვენნი შეიწირენ წ̈ა უფალო და მოგვმადლე ჩვენ მოტევება ცოდვათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ, რომელმან უჩ̈ენა სოფელსა აღდგომა...“ 2 r — 205 v.

შენიშვნა: 1. მთელ ტექსტს ფანქრით გაკეთებული აქვს თავისებური სანოტო ნიშნები.

---

[1] კავებში ჩასმული ტექსტი შემდეგ არის მიწერილი გადაფხეკილ ტექსტზე, სხვა ხელითა და მელნით.

2. საგალობელთა კრებული შეიცავს: შობის, აღდგომის, საუფლო დღესასწაულების, ბზაღვიერის და წმიდა დავითის და კოსტანტინეს დღესასწაულზე შესასრულებელ საგალობელ ტექსტებს.

3. ხელნაწერს წინ უძღვის: „1882 წ. სხვებთან ერთათ დავიწყე მე ქართულ-იმერულ კილოზე ზეპირი გალობის სწავლა მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძისაგან და რომ ადვილად გვესწავლა და არც ნასწავლი დაგვიწყნოდა, სწავლის დროს გალობის ყველა მუხლებს და სიტყვებს (სანამ ნოტები არ ვიცოდით) სხვადასხვა ნიშნებს უკეთებდით და ეს ნიშნები სწავლაში ძალიან გვეხმარებოდა. და შემდეგ 1891 წ. ნოტებიც ვისწავლეთ ფილიმონ ქორიძისაგან და ეს ნიშნებიანი წიგნი შეეინახე ნიშნად მისა, რომ სანამ საქართველოში ჯერ ნოტების სწავლა არ იყო შემოღებული იმ ძველ დროებში, თუ რანაირის ნიშნების დასმით სწავლობდა ხალხი ზეპირ გალობას, ამ წიგნში ნახეთ.

მგალობელი ეკვთიმე კერესელიძე“ 1 r v.

831
კრებული. XVIII

133 ფ.; 14×9.5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით, სხვადასხვა ხელით; დაუწერელია: 76 v; [XVIII ს.]; შეძენილია ეკვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

[მ ე ტ ა ფ რ ა ს ი]:

1. [თთუ҃სა იყლისსა ი҃ზ, წამებაჲ წმიდისა და ღუაწლით შემოსილისა ქალწულისა მ ა რ ი ნ ა ს ი] „...შენთა მიერ ვსძლო მას ძალითა შენითა და დავთრგუნო იგი...“ 7 r — 21 v.

2. „თთუ҃სა ფებერვარსა ი, წამებაჲ წმიდისაჲ და ყოვლად ქებულისა მღუდელ-მოწამისა ხ ა რ ლ ა მ პ ე ს ი, მ. გ. — მეუფებაჲსა უფლისაჲ ჩუენისა იჳსუ ქ҃სისა ყოველი საცთური ეშმაკისა დაჴსნდა და განქარდა...“ 22 r — 37 v.

3. „თთუ҃სა ივნისსა ၀ბ, ცხორებაჲ წმიდისაჲ მამისა ჩუენისა ო ნ ო ფ რ ე ს ი, რომელი განეშორა სოფლისაგან და უკანასკნელ ვითარ იხილა ნეტარმან ძმამან პ ა ფ ნ უ ტ ი, რომელი-ესე მოგჳთხრა, გ. მ! — ცხორებაჲ საღთო და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი ისმინენ, საყვარელნო ძმანო, რომელსა ღირს ვიქმენ ხილვად მე, გლახაკი პაფნუტი...“ 38 r — 50 r.

4. „თთუ҃სა დეკენბერსა ၀დ, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ბ ა რ ბ ა რ ა ს ი, მ. გ! — იყო მათ ჟამთა მეფე, რომელსა ერქუა მ ა ქ ს ი მ ი ა ნ ო ს და ჴელმწიფე იყო აღმოსავლით კერძო კაცი, რომელსა ე რ ქ უ ა მ ა რ კ ი ა ნ ე...“ 50 r — 63 r.

5. „თთუ҃სა მარტსა ၀ზ, ცხორებაჲ ნეტარისა ა ლ ე ქ ს ი კ ა ც ი ს ა ღ ა ს.— იყო ვინმე კეთილმორწუნე ჰრომს შინა სახელით ევფემიანე..“ 63 v — 72 r.

6. „მეოთხესა კ҃ესა, განკურნებაჲ განრღუ҃ულისა, რომელსა განსცდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. — ოდეს შევიდოდა იესუ იერუსალ҃მად, იხილა განრღუ҃ული იგი...“ 72 r — 76 r.

7. „მწუხარებისათჳს ს ტ ე ფ ა ნ ე წ ი ს მიმართ. — მწუხარებაჲ დაჰნერგა ღმერთმან ჩუენ შორის არა ამისთჳს, რათა არა ცუდთა და ამათთა საქმეთა ზედა ვიქმარებდეთ მას...“ 76 r — 77 r.

8. „თთუ҃სა ნოენბერსა კ҃ზ, წამებაჲ წმიდისა ი ა კ ო ბ ი ს ი, რომელი იწამა ქუეყანასა სპარსეთისასა, რომელსა ჰრქჳან ქალაქსა ბ ა ლ ა ს ა რ ი ა დ, მეფისა მიერ ურჩულოსა, კ҃სნ. — იყო ნეტარი ი ა კ ო ბ დაბალ მოწაფეთა შორის, ნათესაჲთ პატიოსან და სახელოვან ერსა შორის...“ 78 r — 85 v;

9. „სიტყვანი გამოკრებილნი წმიდათა წერილთაგან სარგებელად სულისა და განმბრძნობელადა გონებისა, სახარებისა ა. — შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა...“ 86 r — 111 v.

10. „თქმული წმიდისაჲ და ნეტარისა მამისა ჩუენი ე ფ რ ე მ ი ს ი სიკუდილისათჳს და გამოსლვისათჳს სულისა ჯოჩოსაგან. — ვაჲ ჩუენდა შენ მიერ, ჰოი-სიკდილო, რამეთუ თანამდები ხარ უწყალო, რომლისა არა არს მიტევება...“ 112 r — 119 v.

11. „საკითხავი კჳრიაკისა, ზეცით ბრძანებაჲ ღ ჲ ზეგარდამო. — მცნებანი უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესნი, რომელნი მოიწერნეს ჰრომს საყდარსა შინა...“ 120 r — 125 r.

12. „ლოცვაჲ, ოდეს მღდელი სახლად შევიდეს უფლისაჲ მიმართ. — ღ ო, რომელმან სართულსა ქუჱშე მონისა შენისასა ჯერ-იჩინე დატევნა...“ 125 r — 125 v.

13. „თარგმანებისაგან ფსალმუნისა, თავი ოზ. — რამეთუ რომელი ჴშმარიტად ბრძენი იყოს და საუკუნეთა მით სასოებითა განმტკიცებული...“ 126 r — 127 v.

14. „შესვენებულთათვის თქმულისაგან. — თავისა შენისა მოიქეც და იხილე, რამეთუ შენ მცირედისა ჟ ჯა იგივე აღსასრული გელის...“ 127 v — 131 r.

15. თარგმანებისაგან თესალონიკელთა ეპისტოლისა. — ამისთჳს გეველდრები, ოდეს მოგიკვდეს შვილი საყუარელი, ნუ ესრეთ უჯეროდ გოდებ...“ 131 r.—133 r.

შენიშვნა: 1. კრებულს წინ უძღვის: ა. სძლისპირთა ნუსხა 1 r — 2 v; ბ. „ბომნანიებელთათვის“ 3 r — 6 v.

2. კიდეებზე განსხვავებული ხელით მიწერილია: „ღმერთსაჲ წ ჲ კჳპრიანესი...“ 126 v — 132 r (ქვემო კიდეები).

3. დართული აქვს, „ქანანელისათ ს თქმ ლისა...“ 133 rv (ნაკლულია).

მინაწერი: „ამ საღთო წიგნს ეწოდების გამოკრებული ქ ალწ უ ლ თ მ ე ტ ა ფ რ ა ს ი“ 2 v.

832

ძლისპირები. 1918

262 ფ.; 12,5 × 7,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით; გადამწერი: მგალობელი ექვთიმე კერესელიძე (2 r); 1918 წ. (2 r); დაუწერელია: 111 v. 112 v, 126 v, 133 — 262 r - v; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წელს.

[ძ ლ ი ს პ ი რ ე ბ ი]. — „სძლის-პირნი საცისკრონი, ხმა ა, გალობა ა. სასწაულთაჲ იხსნა ერი უფალმან და ზღაჲ მღელვარე სიტყვით განახმო პირველ და დღეს უხრწნელად იშვა ქალწულისაგან, და წარმოიძეს ჩვენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობთ...“ (3 r — 132 v).

შენიშვნა: საცისკრო სძლისპირთა გარდა მოიპოვება: ა. „სძლისპირნი სამწუხრო უფალო დადად ვყავსა ზედა“, რვა ხმაზე (113 r — 126 r); ბ. „რვაჲ ხმა ფერისცუალებისა“ (127 r — 130 v); გ. „რვაჲ ხმა ნათლისმცემლისა“ (131 r — 132 v).

2. ტექსტს წინ უძღვის: „ეს სძლისპირთა საჯალობელი წიგნი, გადმოვიწერე მგალობელ დ ა ვ ი თ ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ი ს სძლისპირთა საგალობელ ხელთნაწერ წიგნიდგან

1918 წელს მკალობელ ექვთიმე კერესელიძეს. მერე შევადარე ჩემ ნოტებზე დაწერილ სძლისპირებზე (რომელზედაც ვფიქრობდი: ხომ არ დაგვირჩა ნოტებზე დაუწერელი მეთქი) და, რომ შევადარე, ამაზე ხუთჯერ უფრო მეტი აღმომჩნდა ნოტებზე დაწერილი სძლისპირთა საგალობელი. ამითი დავრწმუნდი, დავიჯერე მასწავლებელ არისტოვლე ვასილიძე ქუთათელაძის სიტყვა, რომელსაც მეტყოდა მე: „ჩვენ სძლისპირები, ფილიმონ ქორიძის წყალობით, მთლად ნოტებზე დაწერილი გვაქვსო". ექვთიმე კერესელიძე" (2 r — v).

833

საგალობლები ნოტებზე. XX

8 ფ.; 35,5 × 26; სანოტო ქაღალდი; მხედრული ტექსტი; გადამწერი: იღუმენი ექვთიმე კერესელიძე (8 v); [XX ს.]; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

[საგალობლები ნოტებზე]. „ძველად საქართველოში საღმრთო მსახურების დროს როგორი კილოთი იტყოდა მთავარდიაკონი, გინა მღვდელი კვერექსებსა და ასმაღლებლებსა და როგორი კილოებით წაიკითხებოდა სახარება, სამოციქულო და საწინასწარმეტყველონი, ყველა ამათი კილოები არის ნოტებზედ დაწერილი. შემდეგი: ა „მცირე კვე[რე]ქსი: მერე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ..." 1 r v.

ბ. „დიდი კვერექსი: მშვიდობიანი საშვ. ზომით. მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ..." 1 v — 3 r.

გ. „დიდი კვერექსი: ვსთქვათ ყოველთა. ვსთქვათ ყოველთა ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა ჩვენითა..." 3 v — 4 v.

დ. „დიდი კვერექსი: აღუსრულოთ, აღუსრულოთ სამუშოჲ ვედრება ჩვენი უფალსა..." 5 r v.

ე. „სამოციქულოს კილო: თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა საკითხავი..." 6 r v.

ვ. „სახარების კილო (მთავარ დიაკვნისა): აკურთხე, მეუფეო, სიტყვანი კეთილმაუწყებელისა წმიდისა დიდებულისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანესი..." 7 r — 8 r

ზ. საწინასწარმეტყველოების კილო: წინასწარმეტყველება ისაიასი საკითხავი..." 8 r v.

შენიშვნა: ხელნაწერში ჩადებულია (22 × 16) ზომის ერთი ფურცელი, რომელზედაც სწერია:

„1941 წ. ჩვენმა დიდმა მამათმთავარმა, სრულიად საქართველოს კატალიკოზმა (!) პატრიარქმა კალისტრატემ თავის ბინაზე მიმიწოდა და, რო ვეახელი, დავალებით მთხოვა და მითხრა: შენ, ექვთიმე კერესელიძეს, იმდედენი(!) ნამუშევარი და იმდენი შრომა და ღვაწლი გაქვს დადებული საქართველოს საეკლესიო ნოტების საგალობლებზე და სიმღერებზედაც, რომელიც დასწერეთ საკუთარის თქვენის ხარჯით. ამ კეთილი საქმისათვის როგორც მე, ისე ყველა საქართველოს ერი დიდი მოხარული ვართ ამ ხსენებულ დიდებულ საქმის მოგვარებისათვის. მოხარული ვარ კიდე მასზე, რომ ეგ შენი ნაშრომი საქართ. მუზეუმში გაქვს დაცული და შენახული.

ახლა ვხედავ, რომ დროთა ვითარებისა გამო საქართველოში, — მონასტრებში და ეკლესიებში, — თანდათან ისპობა სამღთო მსახურების კვერექსებიც. ამიტომ გთხოვ, რომ არ დაიკარგოს და დასწერო ნოტებზე სამღთო მსახურების დროს სათქმელი კვერექსები, მცირე და დიდნი, მასთან ასმაღლებლები სახარებისა და სამოციქულოს კილოები და საწინასწარმეტყველოს კილოები, თუ როგორც ძველად ჩვენში სრულდებოდაო.

პატრიარქის კალისტრატე[ს] დავალების ამსრულებელი იღ. ევთიმე კერესელიძე.

იხილე შემდეგი.

ეს წიგნიც სხვა დიდ წიგნებთან ინახებოდეს".

834

ცხოვრება ანდრეა პირველწოდებულისა. XX

57 ფ.; 18,2×13,8; ქაღალდი; ქაღალდისავე მოწითალო ყდა; მხედრული; [XX]; დაუწერელია: 54 v — 57 v; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

„ცხოვრება წმიდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულის მოციქულის ანდრეა პირველ წოდებულისა. — მსურს და მოწადინე ვარ, თორმეტ მოციქულთა შორის პირველ მოციქულს და უდიდესად წოდებულ ანდ-რეას ქება შევასხა..." 1 r — 54 r.

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს თავფურცელი შემდეგი წარწერით: „ცხოვრება წმ. დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრეა პირველ წოდებულისა, ქართულიდამ გადმოღებული. პირველი გამოცემა იოსებ ლეჟავას მიერ 1903, სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა, ნიკოლოზის ქ. № 21".

მინაწერი: „Дозволяется напечатать, прот. Г. Хелидзе, 12 окт. 1903., Тифлис" 54 v.

835

კრებული. 1895

29 ფ.; 26,5 × 21; ქაღალდი; მუყაოს კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული, დასწყისი ასოები მთავრულად, სათაურები წითელ-მელნით; გადამწერი: პიმენ მონახონი (17 r); გადაწერის ადგილი: ათონი (17 v); 1895 წ. (7 r, 17 r, 24 v, 29 v); შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

1. „თვესა დეკემბერსა 25, ნეტარისა იოანე ხუცისა დამონა ზონისა დ[ა]მასკელისა საკითხავი, თქმული ყოვლად ქებულისა შობისათვის უფლისა ჩუენის იესო ქრისტესა, რომლისა სიტყუათა დასაწყისად წერილ-არს უწყებათაგან პირველთა, გ. მ! — რაჟამს ზაფხული მოწყოს, ყოვლისა სოფლისა ნივთნი კუალად განახლებად მოიქცევიან..." 1 r — 7 r.

2. „თქმული ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიმელ (!) მთავარეპისკოპოსისაჲ ცხოველს-მყოფელისა ჯუარისთვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელი-ესე იჯითხების დიდსა პარასკევსა. — მაღალსა და აღმატებულსა სახიერებასა აღიწია ქადაგებაჲ იგი სახარებისაჲ..." 8 r — 17 r.

3. „საკითხავი, თქმული წმიდის მამისა ჩუენისა ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოზისა საღთოთა ჯროცთა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა დაფლვისათვის, იოსებისთვის, არიმათელიისა დინიკოდიმოსისთვის, და ჯუჯოხეთს შთასლვისათვის უფლისა შემდგომად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი-, ესე იჯითხვის დიდსა შაბა-

თსა, გ. მ! — რაჲ არს ესე დღეს დუმილი მრავალი ქვეყანასა ზედა და მყუდროებაჲ მრავალი...“.

4. „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, აღშენებისათვის ეკკლესიისა, რომელ-იგი პირველ აღეშენა ლუდს (!) შინა ქალაქსა წმიდისა დედოფლისა ჩუმნისა ღთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისსა, გ. მ! — მეათცხრამეტესა წელსა მეფობასა ტიბერიის კეისრისა ჰრომთა მეფობისასა...“ 25 r — 29 r.

ანდერძები: 1. „ესე საღმრთო მოთხრობა შობისა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი გადმოვწერე უღირსმა ჴმონაზომა (!) (ან) ივერო-მონაზონ[ა]რის დედა წიგნისაგან, ოივანე ღ[ა]თისმეტყველის სავანეში, 1895 წელსა, თებერვლის 18 დღესა, და როგორც დედა წიგნში იყო ასომთავრული და წენტილნი, ეგრეთვე აქ არის დაწერილი და წენტილდასმული.

მთაწმიდა, ათონი, იოანე ღთისმეტყველის სავანე“ 7 r.

2. „დიდებაჲ ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისა, ამენ, და დიდებაჲ წ[ა] ღთისმშობელსა.

1895-სა აპრილის 13-სა დღესა, წმიდაჲ იოანე ღთისმეტყველის სავანე წმიდაჲ ათონს, მთაწმიდას, პიმენ მონაზონი.“ 17 r.

3. „წმიდანო მამანო და ძმანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან ესე წ[ა] საკითხავი ბერძულისაგან ვთარგმნე, რათა ლოცვითა თქუენითა ყოს ღმერთმან შენდობაჲ აღრაცხეთსა ცოდვათა ჩემთა. და წენტილსა ჩუმნსა ნუ შესცავლებთ და ჩემ გლახაკისა ხირაკლისთვისცა (!) ლოცვა ყავთ“ 24 v.

4, „მთა წმიდაჲ, ათონი, იოანე ღ[ა]თისმეტყველის სავანე, პიმენ მონაზონი, 1895-სა, ივნისის 13-დღესა“ 29 r.

„ესე საუფლონი მეტროპაპასიანი არს გადმოწერილი იერო-მონასტრის აღმაშენებელის, ღირსისა მამისა ჩუმნისა გიორგი მთაწმიდელის თარგნილი(!) დედა წიგნისაგან ბერი-მონაზონი პიმენასა, 1895-სა წელსა, მაისის ოცსა დღესა“ 29 v.

მინაწერი: „ეგე სახედ ეწერა დედა წიგნის ბოლოშიდ, ვითარცა აქ წერია. ხუცურად, და არა თუ მე დავსწერე, ნუ იყოფინ! და ეს გიორგი არის იერო-მონასტრის აღმაშენებელი, სახელწოდებული გიორგი მთაწმიდელი პ. მ[ა]ნი ი. ღ. მ. ს[ა]ნე, 1895 წლის მაისის ორსა დღესა“ 24 v.

836

გერმანე ხუცეს-მონაზონი. სწავლება მოწაფისა. XIX

43 ფ.; 17×11,5; მომწვანო ფერის ქაღალდი; დახიანებული, ნაკლული, მუყაოს ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XIX ს.]; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

1. [გერმანე ხუცეს-მონაზონი. სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა]. — „მოძ. საუკუნო მას ჰქვიან, რომ მუდამ ყოფილ იყოს და ნიადაგ იყოს...“ 1 r — 43 v.

წყდება: „აგრეთვე ჟამსა მას მირონის კურთხევისასა უნათლავი და ეშმაკეული ეველი იკადრებს ეკკლესიაში დგომასა და თვით უხილავნი ძალნი...“.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი გადმოწერილია ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი წიგნიდან: „გერმანე ხუცეს-მონაზონი — სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა,“ 1711, ტფ.

837

აკათისტო. XIX

48 გვ.; 21,5×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი სტაყვები და ასოები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 24—26 და 44—48 გვ.; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

1. „აკათისტო წა მთავარ-ანგელოზისა მიხაილისა, კონდაკი ა. — ზესთა აღრჩეულო ზეცისა ძალთა, ერის მთავრად და კაცთა ნათესავისა თანამდგომელად, აჰა ესერა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა გალობასა შევსწირავთ შენდა...“ 1—23 გვ.

2. „აკათისტო წისა დიდებულისა წწ ყლისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა უფლისა იოანნესი, კონდაკი ა. — ზესთა გამორჩეულო, ძველი წლიდგან წინამორბედად-და ნაოლის-მცემელად ქვეყნის მაცხოვრისა ქრს ღთსა ღთქებული იოანნე, ვადიდებთ მადიდებელსა შენსა უფალსა და ქებასა შევსწირავთ შენდა...“ 27—43 გვ.

838

კრებული. 1846

45 ფ.; 21×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადამწერი: დავით ციციანოვი (31 v); 1846 წ. (31 v); დაუწერელია: 31 r v, 42 v — 45 v; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

1. „თუმსა აგვისტოსა **იე**, მიცუალება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუნისა ვასილი კესარიელისა. — რამამს-იგი სულისაგან წმიდისა ეუწყა ღმრთისმშობელსა ჟამი განსულისა თჳსისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა საღმრთოთა და ღმობიერად აღიესო სიყუარულითა საუკუნოჲსა ცხოვრებისათა. რომელ-არს დაუსრულებელი დიდებაჲ ზესთა სუფევისა, რომლისაცა დამკვიდრებად იყო. და ვითარმცა არა ესრეთ იყო, რამეთუ ღმრთისა დედაჲ არს შესავედრებელი ქრისტეანობისა...“ 1 r — 31 r.

2. „ცხოვრება წმიდისა ქალწულ-მოწამისა ბარბარასი. — მეფობასა რომაელთა კეისრისა მაქსიმიანესასა იყო აღმოსავლეთსა კაცი ვინმე ახნაური, მიდარი (!) და ჩინებული, სახელით დიოსკორე...“ 33 r — 40 v:

3. „მოთხრობა ღირსისა თეოდორე სოლელისა. — სერბიის ქუეყანასა, რომელსაცა უწოდებენ დღეს ბულღარად. ქალაქსა მის სოფელსა იყო კაცი ერთი, რომლისა სახელი იყო თეოდორე. და იყო კაცი იგი ესეოდენ უმეცარ, რამეთუ არცაღა თუ ჟამსა ცხოურებისა თჳსისასა შესრულ-იყო ეკკლესიად...“ 41 r — 42 r.

ანდერძი: „აღწერილ არს წელითა თავადის დავით ევსტათისძის ციციანოვისათა წელსა 1846-სა იანუარის კდ, თავადი დავით ციციშვილი“ 31 v.

839

სწავლა ზოსიმესი. XIX

78 ფ.; 21,7×12,5; ქაღალდი; მუყაოს კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული; [XIX]; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

„სწავლა წმიდისა მამისა ჩვენისა ზოსიმესი. — ნეტარმან მამამან ზოსიმე გამოისახა სასწაული ჯვარისა პირსა თვისსა და იტყოდა ესრეთ: განკაცნა რა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დაუსაბამო იგი სიტყვა მამისა, ესოდენი მადლი მოსცა მორწმუნეთა მისთა...“

(1 v — ქვემო ყდის შიდა გვ.).

840

ექ. კერესელიძე. ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია. 1936

136 გვ., 20,3 × 14,5; ქაღალდი; მუყაოს კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული; ავტორი: ექვთიმე კერესელიძე; 1936 წ. 18-თებერვალი (113 გვ.); დაუწერელია: 122 — 135 გვ.; შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944 წ.

„ისტორია ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა. — 1882 წელს თბილისის ქალაქში სცხოვრობდა მაქსიმე როსტომისძე ზარაძე...“ 1 — 113 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს ერთვის ავტორის მიერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან 1941 წლის 22 მარტის თარიღით დადებული ხელშეკრულების პირი (ავტორისავე ხელით გადაწერილი).

2. ტექსტში, მე-5 გვ. ჩაკრულია: „წესდებანი საღმრთო წიგნთ საკითხავად დაარსებულის კაბინეთისა“. (წესდება მოიცავს 11 ნაბეჭდ გვერდს).

841

სამზარეულოსა და საღებავების წიგნი. XX

ხოლო სინტაკსი, რომელ არს შეთხზუთაბაჲ სიტყჳთა, რომლისა კიდე არარაჲმეთა იქმნების უღონოებითა წ(ა)რმოთქმაჲ ანუ წერა ბუნებითისაებრ სჯულისა, იგიცა მცირედ გუულისჴმა ყო საქებელმან მან კაცმან და ჩ(ე)ნჯს ტკივილთ-მოყუარემან ფილიპე. და რომელსაცა იგი ვიწყებდი ცნობაჲ, ადგილ ვჰპოებდი ქართულთა ლექსთა ძალთა შორის და ჩ(ე)ნსა ზედა ენასა შევაწყობდი და შევარაბამებდი ურთიერთარს, რაჲვეც საჭირო იყო, ანუ საჴმარ.

სიტყუა მეხუთე.

. . . . . .

ხოლო პირველ საუწყებელ არს, თუ ვითარ შემოვიყუანეთ ჩ(ე) შორის ნაწილნი სიტყჳსანი რუა სახელი, რ(ა)ც შთაგჳთრიტი რა და გარემონი გულისჴმაეყუნეს, რაჲვეც საჭიროჲ ვგანეთ ფილიპესჲს თანა მძიებელმან ეგოდენნი სხჳთა-გარდასლუთნი შემოვიყუანენით.

ხოლო თუ სადამე მიმღეობაჲ ემსგავსონ მათნი რომელნიმე, ადგილ განარჩეს ოდესმე დაჴელოვნდეს რა გონებაჲ ამას შინა.

ხოლო ბრუნჴაჲ სახელთა რუა დასჭირდა ჩ(ე)ნისა ენისა სახმარად და ბრუნჴუნაჲ სამი.

ეგ სახედვე კერძოობითნი და საკითხავნი სახელნი ვითა იბრუნეიდენ დაუტეობელად ვჰსთჴუნ.

მეორედ—ნაკლ-სახელი, რომელთა ნაწილი სიტყჳსა, ვითარ-იგი ეშჳსაბამებოდა, ეგეფერ ჩ(ე)ტუნებითნიცა და მოგებითნი და კუალა-მომღეობნი, შემოყუანითა კანონთა ჩ(ე)ტუშე დავსდებულნით.

მესამედ—ზმნანი და მდეყარნი მათნი, კანონის ჩ(ე)ტუშენი, ანუ გარეშე კანონისანი, საჴმარისაებრ და საჭიროებისა ენისა ჩ(ე)ნისა შემოვიყუანენ. ხოლო მოვაღეთა სადამე უძნდა პოვნანი ზმნათანი ჩ(ე)ნთა ზედა ენათა, მაგრა კადრითა ღ(ა)თ(ა)ნი მიერითა.., შეეხებაჲ ვჰქმენ ძიებისა ზმნათასა.

ხოლო ვინათგან წყალობანი უფლისანი მრავალ არიან, არა მომაკლო მე საწადისა მისგან ჩ(ე)ისა და „ხედამდგომელ მექმნა მე დავითისთჳს, მონისა თჳსისა. — “ (4 მფფ. 16, ვვ). (აქ წყდება) 2 ტ — 5 ჳ.

4. ტექსტის დართული აქვს:

„სხუა და სხუა შესახედავთათჳს ძ(ნ)ელთა შეთხზუობათასა, ზედდადებითა რომელთამე სიტყჳთათა, აღმოღებული წერილთაგან ქართ(ველთა) ენისათა ს(ა)დ ს ა ქ ა რ თ ჳ ლ ო ჲ ა ს ა რ ზ ი-ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა მ ი ე რ ა ნ ტ ო ნ ი ს ა და ჲ(ა)დ ბრძნისა მ ი ხ ი თ ა რ მ ო ძ ღ უ რ ი ს ა მ ი ე რ ს ო მ ე ხ თ ა ს ა სომეხთა ენისა წერილთაგან აღმოღებული, მაგალითად დადებული ყრმათათჳს. — პირველ ვიდრემე თუ სადამე დავსდებთამდეც მაგალითნი რომელნიმე ნათზზთაგან პირველთა მოძღუართასა . . . “ 180 ტ — 186 ტ.

ამ დანაწორში შედის, სხვათა შორის:

ა. „წ ე რ ი ლ თ ა გ ა ნ ი ო ს ი პ ო ს ი ს თ ა, მეათსამეტისა წიგნის დაწყებისგან.—რომლითა უკუე სახითა იუდელთა ნათესავმან, დამონებულმან ამან მაკედონთაგან, მიიღო თავისუფლებაჲ და რაოდენთა შინა და ვითართა ღ(ა)წულთა...“ 182 ჳ.

ბ. „წერილთაგან შთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაჲ მეფის თამარისა. — არა მოაკლდა შთაზიდუასა შინა სახლისასა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან, იყოვლისფერა გარემოდ, რა მოქცევი თჳსი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა, შეუყოფელად ენებათა. — ჰაჰა, ამას სიტყჳსა შინა სახელი ზჱნისა, რომელა თამარ არს ძალით და წინაუმორობითა ლექსთათა ძიება ზჱნისა ძალ საცნო სადმე არს.

ხოლო განმარტივსიტყუების ესთა:

„თამარ, უმეტეს დამდაბლებული, არა მოაკლდა შთაზიდუასა შინა სახლისასა გონიერისა გონებისაგან, არამედ იყოვლისფერა სათნოებაჲ გარემოდ, რა მარტიობით იხილვოს მოქცევი თჳსი გუარსა შინა ანაგისასა, შეუყოფელად ენებათა“ 182 v.

5. ანტონის მოტანილი აქვს ნიმუშები: ეფრემ მცირის, ქართუჱლისა „ქართუჱლთა მოქცევიდან“, „დიონოსის თავისაგან“, „იოანე ქრილოსტომოსისა თავისა განმარტებისაგან კაჳრისა“, „დავით მეფისა სინანულისა გალობათაგან“ და სხვ.

მინაწერები: 1. „მე, ცოდვილმან გაიოზ, დავსწერე ეს ღრამატიკაჲ“. 1 საცავი ფ. r-ზე.

2. მინაწერები ვინმე პეტრეს დაბადებისა ჩჩყდ წელს და პეტრეს ოჯახის სხვა წევრთა დაბადება-გარდაცვალების თარიღები 1794 — 1812 წ. წ. 1 r — v.

882

დედათა ცხოვრება. XIX

35 ფ.; 21.5 × 17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; XIX ს.; გადამწერი: მონაზონი ანტონი — 34 r.

1. „თხრობა სულიერი მიცვალებულისათჳს ქალწულისა პატიოსნისა. — იყო ეკლესია შჱნიერი ყოვლადწმიდისა ღუთისმშობელისა, და მას შინა დედაკაცი ვინმე პატიოსანი მოწესე, დაბერებული მოღვაწებითა, სახელი[თ] რედენტა, რომლისა თანა იყუნეს ორნი ქალწულნი, მოწესენი იგინიცა...“ 2 v — 3 v.

2. „თთუჱსა სეკმდებარსა[!] ია. ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩჳენისა თეოდორასი. გვაკურთხენ, მამაო! — იყო დღეთა ზენონ მეფისათა და გრიგორ ეპარხოზისათა, ალექსანდრიას ქალაქსა, ვინმე დედაკაცი, სახელით თეოდორა...“ 4 r — 11 r.

3. „ცხოვრება ევგენიოსისა და ასულისა მისისა მარიამისი, რომელმან გარდაცვალა სახელი მარიანედ. გვაკურთხენ, მამაო! — იყო ვინმე კაცი ერთი, რომელი სცხოვრებდა ბითჳნიას, სახელი მისი ევგენიოს. ამას ესვა ცოლი და შვა ასული და უწოდა სახელი მისი მარიამ...“ 11 v — 13 v.

4. „თუჱსა ოკდომბრისასა — ჱ. ცხოვრება ღირსისა დედისა ჩჳენისა მელაგიასი. გვაკურთხენ, მამაო! — დედობრივისა სათნოებისა, რომელი არარათა ნაკლულევან იყოს მამათასაგან, ყოველთავე მითხრობა სარგებელ არს და ყოვლად სათნოჲ...“ 14 r — 19 v.

5. „ამასვე დღესა ცხოვრება და სინანული ნეტარისა დედისა ჩჳენისა ტასიასი. — ძმანო ჩემნო საყვარელნო! მეგულების მოთხრობად თქჳენდა...“ 20 r — 21 r.

6. „თხრობა სულიერი ქალის ვისთჳსმე. — იყო ვინმე ქალი ჰაბუკი კეთილგონიერი...“ 21 v — 22 v.

7. „თთვესა ფებრვარალსა თუთხმეტსა. ცხოვრება წმიდისა დედისა ჩვენისა ევფროსიანესი და მამისა მისისა პაფნოტისი, გვაკურთხენ, მამაო! — იყო ვინმე ალექსანდრიას კაცი ახნაური და სახელი მისი პაფნოტიოს..." 23 r — 28 r.

8. „ცხოვრება ქალწულისა კანონიკესი, რომელი იყო ასული მთავრისა ვისიმე კოსტანტინუპოლელისა და იქმნა იგი მძოვარ. გვაკურთხენ, მამაო!—იყო ვინმე მამათაგანი, რომელსა ერქუა სილოანე, და სწადა იგი ქვაბსა შინა მონასტერსა ფარანს..." 28 v — 31 v.

9. „ცხოვრება სულიერი ქრისტესთვის სალოსისა. — იყო ვინმე ბერი წმიდა და ღმერთშემოსილი, დიდად სახელოვანი მოღვაწეობითა და ფრიად პატივცემული ყოველთა, სახელით დანიელ..." 31 v — 34 r.

შენიშვნა: „დედათა ცხოვრების" ტექსტის წინ, 1 v — 2 r-ზე და ტექსტის ბოლოს, 34 v — 35 r-ზე მოთავსებულია: „მეორედ მოსვლისათვის. — ძე იგი წარწყმედისა ანტე..."

გადამწერის ანდერძი: „ამა დედათა ცხოვრებას და სულის სარგებელსა უძღვნი კნეინა ალექსანდრას, ციციანოვისას. მღუდელ-მთანაზონი ანტონი." 34 r.

ყდის წარწერა: (ტექსტის ხელით):
„ეს დედათ ცხოვრება მიეთთვას კნეინა ალექსანდრას, ციციანოვისას, ხვედურეთს."

883

სახარება ოთხთავი. XII — XIII

I — III, 173 ფ.; 25×18,5; ეტრატი (I — III, 142 — 173 ფ. ფ. ქაღალდისაა); დახეულ-დახიანებული; ორგზის რესტავრირებული: XV — XVI ს. და XVIII ს. დასაწყისში; ეტრატის ფ. ფ. 18 (აშ) რვეულისაგან შედგება; აქედან ა რვეული აკლია 7 ფურცელი, მოხატული „კანონები"; ყდა XVIII ს., ფიცრული, ოქროთი დატვიფრული ტყავით შემოსილი; ფ.ფ. კიდეებიც მოოქროვილია; ყდის ორი შესაკრავი მოგლეჯილი და დაკარგულია; ნუსხური; ორ-ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისი ასოები მრგვლოვანი, სინგურით; XII — XIII ს.; გიორგი მთაწმიდელის თარგმანი (141 v); ძველი შემკულობიდან გადარჩენილია მხოლოდ ერთი პორტრეტი (მარკოზისა — 41 v) და თავკაზმულობანი: 1 r - v („კანონები") 3r, 42 r, 69 r, 112 r; მოგვიანებით ჩაკრულია მათგანი (2 v). ლუკასი (68 v) და იოანეს (111 v) პორტრეტები — ქაღალდზე (ფერადებით). შეძენილია 1946 — 1947 წწ.; გორკის ოლქიდან მოტანილი ხელნაწერების კომპლექტიდან.

„პირველი თავი სახარებაჲ მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისა..." 3 r — 141 r.

შენიშვნა: 1. სახარების ტექსტი დაუხიანებლად არის მოღწეული.

2. მარკოზის, ლუკასი და იოანეს თავებს წამძღვარებული აქვს თავების ნუსხა (40 r-v, 66 v - 67 v, 110 r-v).

3. მათეს თავის ნუსხა დაკარგულია.

4. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს:

ა. მოგვიანებით (XV — XVI ს.), I რესტავრაციის ჩატარების დროს გადაწერილი: „ხანდაკი საწელიწდო გამოკრებული სახარებისა." 142 r — 164 r.

ბ. „ქრონიკონი" (ნაკლული) 1421—1637 წწ.

5. ხელნაწერის ნაპირებზე შემჩნეულია სინგურით, XII — XIII ს. წერილი ნუსხურით მიწერილი პარალელური ტექსტები **ოთხთავის სხვა რედაქციიდან** (იხ. „მინაწერები", 1).

6. ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა გამოქვეყნებულია (იხ. თ. ჭყონია. გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი. „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947, გვ. 255—287).

ანდერძები:

1. (მთარგმნელის გიორგი მთაწმიდელისა): „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რ ესე წიგნად ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა, და ბერძულთა სახარებათაჲ შეჴჳწმებია, ფრიადითა გამოწუელებითა; და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აჳა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღ(ისა)თჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ! ვ(ა)ჳა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არარაჲმე გაშენდეს, ჩ(ე)ნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წინადად თარგმნილი არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და, ღ(მრ)თისათჳს, ერთმანერთს ნუ გაჰჴევთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე დიდითა ღ(მრ)ლითა ვთარგმნე, ლოცვა ყავთ.“ 141 v.

2. (XV — XVI ს. რესტავრატორის ანანია კალანდაძისა): „დიდებაჲ ღ(მერ)თსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა!

სრულ იქმნაჲ წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ოთხთავი. ახლად გაკეთდა და შეიმოსა, ბრძანებითა და ნებაჲ-წადილითა და გულსმოდგინებითა ჭ(ე)რემთ მთავარებისკოპოზისა ბატონისაჲ ა[ვლ]ესითა. ისყიდა ფრიადითაჲ გულსმოდგინებითა ესე და მრავალი სხ(ა) წიგნები და გაკეთებინაჲ და შეამკო პატიოსანი ჯუარი და ხატნი და ომფორები და შესამოსლები. რომელსა დაუც ყოველივე სასოებაჲ თჳსი უფლისა ჩ(ე)ნისა იესუს ქრისტესთჳს, მანვე დაიცვას ორსაე შინა ცხორებასა ნათლით შემოსილი იგი სული და ჯოკი მისი, ამინ. შორს არიან ცხორებისა მისისაგან სიტყ(ვ)ანი ბრალთა მისთანი. ვინცა ამა წიგნსა მიემთხ(ე)ვნ, შენდობაჲ ყავთ მისთჳს.

შეიკა[მ]აჲ ჭელითა ჩემ ფრიად ცოდვილისა ანანია კალანდაძისათა ღმერთმან შეუნდოს!

ვინცა შენდობით მომიჴსენოთ, ღმერთმან თქ(ე)ნცა მოგიჴსენოს სასუფეველსა მისსა. ამინ.“ 164 r-v.

მინაწერები: 1. ტექსტთან დაკავშირებული:

ტექსტში:	**მინაწერი:**
ა. და ვ(ა) განეშორნეს იგინი, აჰა, ანგელოზ...	და ვ(ა) წარვიდეს მოგუნი იგი, აჰა, ანგელოზი. 4 r.
ბ. მაშინ მოვიდა...	მას ჟამსა შინა მოვ.
გ. მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ...	მას ჟამსა შინა აღმოიყვანა იესუ [უ]დაბ... 5 r.
დ. და იქცეოდა რაჲ იესუ ხ(ე)ჳს კიდესა...	მას ჟამსა შინა იქცეოდა რაჲ იესუ ხ(ე)ჳს კიდესა. 5 v.
ე. და მისდევდა მას ერი მრავალი...	მას ჟამსა შინა მისდევდა იესუს ერი მრავალი. 6 r
ვ. ხოლო გეტყჳ თქ(ე)ნ, უკ(ა)თუ...	ჰკ(ა) უფალმან თჳსთა მოწაფეთა: უკუ(ე)... 6 v.
ზ. და ვ(ა) გამოვიდა იგი გზასა...	მას ჟამსა შინა გან-რაჲ-ვიდა იესუ გზასა...
ი. და შემდგომად დღეთა მათ მიუდგა ელისაბედ, ცოლი მისი, და იფარვიდა თავსა თჳსსა.	მათ დღეთა შინა მიუდგა ელისაბედ ცოლი ზაქარიაჲსი და იფარვიდა თავსა თჳსსა.

ლუკა, გვ. 69 v.

და სხვ. მრავალი, ყოველ გვერდზე.

2. „სახარების მკაზმავს ბადიძეს ლავრენტის შვილს ღონ“ (XIV — XV ს. ნუსხურით, ოქროსფერი მელნით 3 r-ზე, ქვემოკიდეზე, სახარების ტექსტის 1 გვერდზე. დანარჩენი ორი სტრიქონი გადასულია).

3. „ამა ოთხთავისა მადლით! შე ი ნ მ წ ე რ ა ლ ი და მეუღლე მისი თ უ მ ან ორთავე ცხორებათა შინა, ამენ!“ 40 r.,—ქვემო კიდეზე, ტექსტის ხელის მსგავსი (წერილი) ნუსხურით, მუქი მელნით (გადამწერის ხელით?).

4. არაბულ ენაზე, არაბული დამწერლობით:
„მოვიდა (= ეხლა იყო) ამ წმიდა ეკლესიაში, ქალაქ თ ბ ი ლ ი ს ი ს მამათმთავარი კირ მ ა კ ა რ ი ო ს, პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ღვთისა დიდისა ქალაქისა ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს და სხვათა აღმოსავლეთის [ქალაქთა]. და ეს [იყო] მე-17 დღეს აგვისტოს თვისა, წელსა ადამისთგან 7172-სა [1664], როდესაც მოვიდა მოსახილველად ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ამ ღმრთივ-დაცულ ქვეყნებში.“ 141 r. (წაკითხული და თარგმნილია აკად. ა. შანიძის მიერ).

№ 884

ვახტანგ VI-ის კრებული. XVIII

80 ფ.; 20,5 × 13,8; ქაღალდი; ტეიფრული ტყავის ყდა, უფიცროდ და უმუყაოდ; XVIII ს. დასაწყისი; მხედრული; ნაწილობრივ ვახტანგ VI-ის საკუთარი ხელით (63 r — 78 r); დაუწერელია: 25 v — 45 v, 49 r — 56 r, 58 r — 63 r, 78 v — 79 v; შეძენილია მოსკოვში, კონსტანტინე ნიკოლაზის ძის სტოგოვის ოჯახში, ხელნაწერთა მთელ კომპლექსთან ერთად, აკად. ს. ჯანაშვილის განკარგულებით. მოსკოვიდან ჩამოტანა მწერალმა შალვა დადიანმა 1947, 28 — III.

1. «ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა». „თ ა რ გ მ ა ნ ი და გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი ცისა და ქ ვ ე ყ ა ნ ი ს ა და ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ ი ს ა ნ ი, მოსწავლეთათვის შვენიერი. — ოდეს ენებოს კაცსა საქმე და მეტყუელობა ზეციერსა ანუ თუ ქვეყნიერთა, განა სხვისა რისამე ზედან, პირველად ჯერ-არს და უხმს, რათა იცოდეს რა [ა]რს კა ანუ ქვეყანა...“ 4 r — 25 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლე, ელემენტურ კურსს წარმოადგენს.

2. ასტრონომიის ამ კურსის გადმოცემას საფუძვლად ქვეყნის წარმოშობის. ქრისტიანულ-პატრისტული იდეოლოგია უდევს.

3. **შედგენილობა:** ა. შესავალი, რომელიც ღვთის მიერ ქვეყნის (სამყაროს) ექმნის დღეში „არაფერისაგან დაბადების“ ბიბლიურ ვერსიას შეიცავს — „ეითა გვიწერს მოსე პირეელ თავსა დაბადებისასა.“ 4 r — 8 v.

ბ. „კოზმოსის“, ლათინურად „ორბის“-ის ორ ნაწილად — ზეციერად და ნივთიერად (ვახტანგის შესწორებით—**კავშირავნად**) გაყოფის ზოგადი საფუძველი. 8 v—9 v.

გ. „ზეციერი ქვეყნის“ რაობისათვის („რა არის ზეციერი ქვეყანა?“) — ავტორის აზრით მნათობების, ანუ **ცათა**, მოძრაობა დაწესებულია „დროთა განყოფილებისათვის“ წლებად, თვეებად, დღეებად და ჟამებად — და, საერთოდ, ადამიანთა ცხოვრებაში გარკვეული წესრიგისა და კანონზომიერების შესატანად.

აღნიშნულია, რომ „ზეციერი ქვეყანა“ ათ ცად იყოფა; მოცემულია ყოველი მათგანის გ რ ა ფ ი კ უ ლ ი ნ ი შ ნ ი; განსაზღვრულია ყოველი **ცის** მოცულობა. 10 r — 19 v.

დ. ნივთიერი ანუ „კავშირთევანი ნაწილი სამყაროსი „ეთერი ცეცხლისა“, ჰაერის სამი „კავშირი“, წყლისა და მიწის „კავშირი.“ 19 v — 24 r.

ე. დედამიწის სიმრგვლისა ანუ სფეროსთვის. 21 r — 25 r.

ამ ნაწილში საუბარია: წყლისა და ხმელეთის შეფარდების და განაწილებისათვის დედამიწის ზურგზე და დედამიწის სფეროს მოცულობაზე. აქ ჩართულია ცრუმორწმუნებრივი კონცეფცია ჯოჯოხეთის, სალხინებელისა, ლიმპისი და აბრამის წიაღის „სფეროთა“ შესახებ — დედამიწის „უფსკრულიდან, ვიდრე პირამდე“; გრაფიკულად გამოსახულია ეს „ოთხი სფერო“, ოთხი ერთმანეთში მოთავსებული წრის სახით — 23 r.

ამ ნაწილშივე იძლევა ავტორი ელემენტურ ცნობებს დედამიწის სფეროს დაყოფისათვის **სარტყლის** ანუ ზონეს, **მერიდიანების, ტროპიკებისა** და **პარალელების** მეშვეობით; აქვე ცნობები **არქტიკისა** და **ანთარქტიკის**, დედამიწის **ღერძის**, **ზენიდისა** და **ნადირის** შესახებ (23 r — 25 r).

4. ასტრონომია ნასწორებია [ვახტანგ VI-ის ხელით].

5. ტექსტის წინ, ხელნაწერის დასწყისში (1 r — 2 r) დახატულია ზოდიაკოთა ნიშნები და შეიდი ცთომილის შეიდი ნიშანი, შესატყვისი წარწერებით.

2. შელოცვა — მისნობა. ა „ვინც ეს ყორმიზს ფერს დარაიაზე დასწეროს, ბ რუქათი ნამაზი ქნას, რაც სიზმარში ნახვა უნდოდეს, ჩაუთქვას... ნახავს“ 46 r.

შენიშვნა: ტექსტის ზემოთ არაბული ასოებით შესრულებული წარწერაა, რომელსაც კვეშ ქართული ასოებით მიწერილი აქვს: ა. „ია მუთაჯარის.“

„ეს ლოცვა ამიტომ არის, რასაც რჯულით[?] უნდა, ვითომ წმინდათ და ღმრთის შიშით დაწეს.“

ბ. „კაცს რომ ეძინოს, მოიტანე зарнашос твали[!]. გულზე დაადევ...“ 46 r-ზედ.

გ. „ვინც რომ გაიპაროს“ — გაპარულის მოძებნის საშუალება.

3. ქართული ასოებით შესრულებული ტაბულა, სათაურებით:

ა. „ამას მუსალასა მასრი ქვიან.“

ბ. „ამას ცხრა და ცხრა“.

გ. „ამას მუსალასა ინდი ქვიან.“

დ. „ამას — ხუთი და ხუთი.“

ე. „ამას — შვიდი და შვიდი.“

ვ. ამას ექვსი და ექვსი.“

ზ. „ამას რვა და რვა და რა...“ 47 r, 47 v, 48 r. 48 v,

4. „რაც სახელი რომ ერთმა კაცმა გულში გაიელოს, უთხარ: „პირველი ასო გაუშვი და სხვა ასო. ან ერთის ანგარიშით დასთვალოს, რამთონია, და თქვას რა ერთიცა აქვს...“ 56 v — 57 v.

შენიშვნა: ა. ეს ჩანაწერი და ქვემოთაც ორი სხვა, მეხსიერების და გონებამახვილობის სავარჯიშო გასართობს წარმოადგენს. ბ. „კაცმა რამთონიც სათვალავი რომ გულში აქვს, შენ უთხარ: „მაგის ნახევარი დაიდევ...“ 57 r.

გ. „რამთონიც კაცი გინდოდეს, დაადენე: ერთი, ორი სამი... ასე ჩაყევ...“ 57 r-v.

5. **ვახტანგ** VI. ქართლის ბაგრატიონთა გენეალოგია, ანუ „ნათესაობის წიგნი.“ — „ადამ-ევა — აბელ, კაენ...“ 63 v — 73 r (**თავდება** თვითონ ვახტანგის შვილების სახელებით: „ბაქარ, გიორგი, თამარ, ანუკა, თუთა, ვახუშტი“).

ანდერძი (ვახტანგისა):

„ქ. მრავლის ჭირითა და შრომით ეს ადამს აქათი ბაგრატოვნთ ნათესაობა მე, ბატონიშვილმა ვახტანგ, გამოვიღე და ასე აღვსწერე, ვიდრე ჩვენდამდე. ხო-

ლო იმერეთის მეფისა და კახის ბატონის ნათესაობა მრავალს ვეცადე შემეტყო, რომლის ტომისაგან იყო, და ვერვისგან შევიტყევე, თვარა, გასინჯეთ, და თუ მდაბალი ვინგინდა ბაგრატიონთ ნათესაობა დავსწერეთ, მათც უფრო დავსწერდით; და თუ თვითან იპოვნიან და რომლისაც ტომისაგან არიან და დაეწერებიან, მე დიდად მიამება." 78 r.

შენიშვნა: 1. ვახტანგის ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია, ბიბლიური პერსონაჟების სახელების შემცველი ნაწილის გამოკლებით. (იხ. თორნიკე ჭყონია, გორკის, ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი. „ლიტერატურული ძიებანი", IV 1947, გვ. 255 — 287).

2. ხელნაწერის 1 v-ზე წარწერილია: „ქ. ნათესაობის წიგნი".

3. ხელნაწერში ჩადებულია: **ა.** რომელიღაც ტაძრის ფოტო (6×8).

ბ. ქართული ასოებით (ციფრობრივი მნიშვნელობის) შესრულებული ტაბულა (9,5 × 7,5).

გ. კვადრატული ქაღალდის ნაჭერი — 11 × 11 — უმთავრესად ქართული ასოებით და ნაწილობრივ არაბული ციფრებით წარწერილი (ნანგარიშევი?).

მინაწერი ფანქრით:

„ქ. წიგნი ეს განვიხილე 1909 წელსა, ივნისის 4-სა დღესა, მღდელ-მონაზონმა გაბრიელმა (აბაშიძემ), დაბასა ლისკოვსა..

Читал эту книгу в сел. Лысково, 1909 г., июня 4 дня. Иеромонах Гавриил (Абашидзе)" 80 r.

885

[საეტლო — „კირომანცია"]. XIX

278 გვ.; 22×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა [მოშლილი]; მხედრული; სათაურები სინგურით; XIX ს.; გადამწერი: ტერ-ანტონ გოდებაძე ხუციანური. შეძენილია 1947 წ.

„პირველი დასაწყისი, ფილოსოფოსთაგან გამოღებული, რომ კაცი რომელს ეტლზედ დაიბადების. — წმიდა იობ ბრძანებს, რომ კაცის ხელზედ შეეტყობის თვითმყოფიერი საქმენი, რასაც რომ იქმს. ეს წ-ა იობისაგან თქმული და ფილასოფოსთაგან გამოცხადებულია ეს მცოდნარობა, რომელს ლატნურის ენით კირომანცია ეწოდების, და აწ ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველნი დაბადებულნი ცოცხალნი ერთს ეტლზედ დაიბადების და ამისთვის გვმართებს, რომ უნდა ვიცოდეთ პირველ ეტლების ქცევის აღრიცხვა და საქმე. პირველნი ფილასოფოსნი შეიცილებოდნენ ერთმანეთთანა, რომ ცაჲ ერთი არისო. მაგრამ....ცანი მრავალნი არიან [„ცანი ცათანი"...], როგორც იტყვიან მუნაჯიბნი და უზეშთაესად არიაგა [?] მუნაჯიბი, რომელი იყო გვარით არაბი... გვ. 1—2 — 278.

შენიშვნა: 1. **შედგენილობა:** 1. ქვეყანისა და „ცათათვის" 1—10 გვ.

2. „თავი მეორე. ეტლების პატრონობა დაბადებულთა ზედა. 10—19.

3. „თავი მესამე. თუ როგორ უნდა შევიტყოთ კაცის ქელზედ მისი ნაქმარი საქმენი". 19—28.

4. „თავი მეოთხე. თავისა, შუბლისა და თმის შეტყობა". 28—37.

5. „თავი მეექუსე [?] მკერდისა და წვივისა და ფერხის შეტყობისა". 37 — 41.

6. „თავი მეშვიდე. ავის დარისა და კარგის დარის შეტყობა". 41—46.

7. „თავი მერვე. მთვარის სიკეთე და სიმარცხე დაბადებულთა ზედა“. 47—49.

8. „თავი მეცხრე. მთვარის და ეტლების ერთმანეთთან შემოყრა რასაც დღესა“. 49—54.

9. „თავი მეათე. მთვარის სადგომების შესულა. სიმარცხე და სიკეთე.“ 54—61.

10. „თავი მეათერთმეტე. მთვარის პატიოსნობა (უნდა იყოს — პატრონობა. ქ. შ.) ყოველს დღეზედ“. 61—68.

11. „თავი მეათორმეტე. ძოდიაქოს შეტყობა, რომელ არს დამწყვარი სარტყელი“. 68—77.

12. „ თავი მეათსამეტე. დამყარებული ცისა და ვარსკვლავების შეტყობა“. 77.

13. „[თავი მეათოთხმეტე?] „აწ მოგახსენოთ ეტლებისა და ბურჯების სახენი, თუ მუნაჯიბნი როგორ ამსგავსებენ და დაუბატავსო, ესენი არიან: [კ]რონოს, დია, შამს ... ზოალ, მუშთარ, მზე... (ილუსტრირებულია)». 88—110.

14. „თავი მეათხუთმეტე. ბურჯების ცოდნა ვარსკულავებითა და ვარსკულავის სახელები. ორმოცდარვა ციბის[!] ამბავი.“ 111—114.

15. „თავი მეათექუსმეტე. მზე რაგვარათ შევა ბურჯებში“. 114—118.

16. „თავი მეათშვიდმეტე.თორმეტის სადგომის სიკეთე თუ როგორ ენიშნება პატიოსნობაზედ.“ 118—121.

17. „თავი მეათვრამეტე. უწინარეს მომავალი რამის შეტყობა ეტლით და ბურჯებით, რომ წელიწადზედ რომელი ეტლი იუფლებს...“ 122—155.

ქრონიკონი იწყება 1820 წლით.

18. „თავი მეათცხრამეტე. მთვარის შობა და დალევა თუ როგორ ენიშნების მოსავლის სიმრავლეზედ და ან მცირობაზედ.“ 155—158.

19. „თავი მეოცე. ეტლების ხასიათის შეტყობა, თუ როგორ ინიშნება თავის უფლობაზედ.“ 158—162.

ტექსტის ბოლოს, სინგურით მიწერილია: „ეს ხაზი უნდა შევიტყოთ საუკუნოს წლის ეტლი და ბურჯი. დავიწყოთ **ტჟვ** და **უკგ**-დისინ და მას უკან კიდევ თავიდან დაუბრუნდეთ და დავიწყოთ“. 161.

20. „თავი მეოცდაერთე. ყოველს თვისა და ყოველი დღისა საუკუნო, თუ რომელს“ თვეს ან რომელს დღეს რომელს ბურჯში შევა და ან რა ინიშნება. თავისი ხასიათი ყოველს დღეზედ.“ 162—176.

21. „თავი მეოცდაერთი[!]. (უნდა იყოს თავი ოცდამეორე). უწინარეს შეტყობა ეტლებისაგან დარების გამოცულა. 177—182.

22. „თავი მეოცდასამე. უწინარეს შეტყობა დარების გამოცულისა. — მარეხ როდესაც იქმნება სამხრეთის ბურჯში, დიდი სიცხე იქმნება...“ 182—185.

23. „თავი მეოცდაოთხე. ბურჯების ხასიათის შეტყობა.“ 186—198.

24. „თავი მეოცდახუთე. თუ ბურჯები რომელს ქვეყანაზედ იუფლებენ და ან რატომ თორმეტნი არიან. — ეფრძი მარიხის სადგომით იუფლებს ინგილოკრატიაზედ[!], კრაკოვაზე, ფადუვაზე....“ „თევზი მუშთარის სადგომით იუფლებს ალექსანდრიაზე, ბაბილონზე, ჭალაბზე, ანტიოქიაზე, დიარბეკირზე, ახორუმზე. ისპაჰანზე, სპანიაზე, კომპოსტოლოზე, ჩიჩილიაზე, სომხითზე, რომელი წა გრიგოლმან მოაქცია, და კიდევ სომხითზე, განჯაზე, შამახიაზე, კახეთზე, ქართლზე, იმერეთზე, ოდიშზე და სრულ საქართველოზედ...“ 198 — 201. (ჩამოთვლილია დასავლეთ ევროპისა, „ახლო აღმოსავლეთისა“, ამიერკავკასიისა, ისპაჰანის და სხვ. ქვეყნების ადგილები, გეოგრაფიული სახელების დამახინჯებით).

25. „თავი მეოცდაექუსე. თუ რაჟამს იუფლებენ ეტლნი ადამის ტომზედ“. 202—205. (ჩართულია „ეტლების“ ცხრილი. 205).

26. „თავი მეოცდაშვიდე. თუ ბურჯები რომლის რიგით და სახელით გარიგებულან. ღ~თისმეტყველნი და ფილასოფოსნი იტყვიან, რომ ღმერთმან დაჰბადა პირველად ცა და ეტლები და ქვეყანა ვერძის ბურჯითა...“ 206—210.

27. „თავი მეოცდარვე. მთვარის საუკუნოდ შეტყობა ბურჯისა და მისი ხასიათისა.“ 210—255. (იწყება **ჩლთ** [1709] წლით (211 გვ.), თავდება **ჩყგ** [1833] წლით).

28. „თავ[ე]ბი, ბურჯების ხასიათი, დღენი, ჟამნი და ნაწილნი, დარები, ბურჯები, მართაფები თუ ვითარ გვანიშნებენ.“ 256—278. (იწყება იმავე 1709 წლით, წყდება 1802 წ. თიბათვეზე).

II. 98 გვერდზე ვკითხულობთ: „რაც ამას ზემო დაგვიწერია, მართლად არ შეიტყობის; თუ რომელს ქ[უ]ყანასა ვართ, ამისი სიმაღლისა და სიმდაბლის ზომა უნდა შევიტყო[თ]. მაგრამ ეს წიგნი მარტო საქართველოსი და კახეთისა, იმერეთისა და ოდიშისას შეგვატყობინებს:

ქართლის სიმაღლე სამოცდათქვსმეტი მართაფა არის; სიგანე — ორმოცდაოთხი მართაფა არის და ორმოცი ნაწილი არის; და კახეთის სიმაღლე სამოცდაათი მართაფა არის; სიგანე მისი ორმოცდაცამეტი მართაფა არის და ოცდათორმეტი ნაწილი. იმერეთის სიმაღლე ორმოცდათვრამეტი მართაფა არის; სიგანე მისი ოცდარვა მართაფა და თორმეტი ნაწილი არის. და ოდიშის სიმაღლე სამოცდათორმეტი მართაფა და ოცდაათი ნაწილი;

სიგანე—ორმოცდაორი მართაფა არის და ორმოცდახუთი ნაწილი“.

III. 98—99 გვ. მოთავსებულია ტაბულა (რიცხვები ქართული ასოებით არის აღნიშნული): „ხანდღეი სადგომებისა, მართაფებისა და ზემოური ცის კამარისა, რომელსა მუნაჯიბურად ჰქჭან პოლო და ამას აქეს მართაფა ოცდაცხრამეტი. ვინც ამას სიბრძნით იანგარიშებს, მოიხმარების საქართველოში, კახეთს, იმერეთს, ოდიშს, ჯრუშს და ყიზილბაშისაკენ“ (შდრ. A 1212 — „კირომანცია“ და, განსაკუთრებით, Q 867).

ანდერძი: (გადამწერისა): „ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი მღუდელი ესე, ამ წიგნის დამწერელი ტერ-ანტონ გოდებაძე — ხუციანოვი.“ 184.

მინაწერი: „1866-სა, გიორგობის პირველსა, მთავარის რუასა, გამთიადის[!] დროს... ციდგან სცვიოდა ვასკუდავი, როგორც სეტყვა, ორს ს[ა]თს. გრიგორას ძე სტეფან გოგინოვი.“ 184.

886

წალკოტი. 1863

392 გვ.; 17×10.5; ქაღალდი, მეტად დაშლილი; მუყაოს ყდა, ტკივფრული, მოკრავილი ტყავით შემოსილი; ფურცლების ჩამონაჭერი — მოკრავილია; მხედრული (სათაურები სინგურით); 1863 წ. (თავფრ.); ჩაიგეშტოვის თაკახიდან, პროფ. ა. ფირცხალაიშვილის მიერ ტრ. რუხაძისათვის გადმოცემული; შემოვიდა მუზეუმში 1947 წ.

„წალკოტი ანუ ლოცვათა კრებული“. „ლოცვა ძილად დაწოლისა.—უფალო, მრავალმოწყალეო! მეოხებითა მით აურიცხველისა მოწყალებისა...“ გვ. 4—367.

შენიშვნა: 1. „წალკოტის“ ტექსტს წინ უძღვის:

ა. თავფურცელი: „წალკოტი, რომელსა შინა იპყრობიან სხვადასხვანი ლოცვანი, საკადგებლოდ ქრისტიანთა ყოველთა, უმეტეს კათოლიკეთათვის.

ესე წიგნი ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს ანტონ მიხეილისძეს მამულოვს.

შეკრებილ იქმნა ქ[ს] 1863-სა წელსა, ნოემბრის 25-სა დღესა, შრომითა უმცირესის მონისა იაკობ იეზოვისაგან.“ 1 r.

ბ. „წინასიტყვაობა („წალკოტის“ შემდგენელისა). — აწ, ძმანო ჩემნო, წიგნსა ამას სახელ ესდე „წალკოტი“. ამისთვის, რ' ვითარცა წალკოტსა შინა ხილვაჲ სხვადასხვა მშვენიერთ ყვავილთა ახარებენ თვალთა და დატკბობენ საყნოსელთა, ესრეთვე ამას წიგნსა შინა შეკრებულ ლოცვათა აღმოკითხვაჲ...“ 1—3 გვ.

2. „წალკოტს“ დართული აქვს: ა. „კალენდარი დღესასწაულთა“ 371—381 გვ. ბ. „საძიებელი ლოცვათა“. 387—391 გვ.

887

კომერცკოლეგიის ტექსტები. გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში: ROS — 350.

888

თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი მ. ბროსესადმი. გადატანილია საარქივო ფონდში.

889

ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. 1847

407 ფ.; 21×17; ქაღალდი; თანკალული; მუყაოს ყდა მოცილებული, ყუა შემოძარცული; ყდის I საცავი ფ. დაბეჭდილია, 119—120 ფ. ფ. შუა ამობეჭდილია 2 ფ.; 119, 172, 180.284 ფ. ფ. დახეულ-დაზიანებულია; 1—2 ფ. მოშლილია; 3 ფ. მოცილებული; დაუწერელია 379 r - v, 406—407. ფ.; მხედრული; 1847 წ. აგვისტოს 14-ს; შეძენილია მაგდა ამილახვრისაგან 1947. წ.

„ავშრიკი თოკის ავშარა ცუდი.
„ავხანს [!] სანეშტე, ლოგიკუმენი, აბრიზ.
„აზაელ ძალი მღუთისა...“ 1 r — 404 r.
ლექსიკონის ბოლო:
„ჶ ი:
„ჶი: არს ართრონი. სიტყუათა დამაშენებელი.
„ჶიმე: ჶისავე შეთქმა არს, გინა სასაკვირველო.
ჶორომი: ესე არს ცომის გუნდათა დასაწყობელი გამოცხობამდე.“

შენიშვნა: 1. საბას ლექსიკონის ეს ტექსტი ძირითადად მისდევს 1716 წელს კოსტანტინოპოლს საბას ხელით გადაწერილი ხელნაწერის ტექსტს.

2. დასაწყისში აკლია ს. ი ო რ დ ა ნ შ ვ ი ლ ი ს გამოცემის (თბ. 1949) 3—20 გვ.; ბოლოში: „ჶ“ ასოს განმარტება (გვ. 487 ნაბეჭდისა) და აგრეთვე დამატებანი.

3. „ჯუს“ განმარტების ტექსტი არ უდგება 1716 წ. ავტოგრაფისას; ასევე ჳ ასოთი დაწყებული სიტყვების განმარტებანი.

4. 405 r-ზე ამოშლილია გადამწერის ორსტრიქონიანი მინაწერი.

5. თარიღი: „წელსა ჩყმზ, აგვისტოს იდ-ს.“ 405 r-ს ქვემო კიდეზე.

ანდერძი (ავტორისა): „ამა წიგნისა მომღუაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიხსენებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისწულსა, სპქრთველოს ნასჯულის პატრონის ორბელიან ძესა. ამათ მეფეთ ბრძანებითა აღწერა წიგნი [ესე], ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა; რ ქართლის ქვეყანას ლექსიკონი აღარ იპოვებოდა და ოცდაათ წელიწადს ძველ შეაწყო განმარტებით. რ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო. მაშინ ქორანიკონი იყო ჩქე. ამას შემდგომად მონოზან იქმნა და გარესჯის მრავალმთის წმინდის ნათლისმცემელის მონასტერს დაადგრა, ქ'კნს ჩქყ. მარტ, იზ-სა მონოზან იქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ'ს **ჩლი**, დეკემბერს **ა**-სა ხ ვ ა რ ა ს ა ნ ს წ ა ვ ი დ ა, მ ე ფ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ე ვ ე თ ო და თებერვალ[ს] **კ**-ს გამოისტუმრა მრავალის ნიჭითა. ქ'ს **ჩლ ე ბ**-ს, აპრილის **კ ვ**-ს ისპასნს წ ა ვ ი დ ა, მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ს გ ა ჰ ყ ვ ა; **ბ**-ს ნოემბერსა გამოაბრუნეკა, დეკემბერს **კ**-ს ქართლს მოვიდა.

ჭ'ს **ჩლ ე გ**, აგვისტოს **ი ზ**-სა საფრანგეთს გაიპარა. ფრანც[ა], ჯენევ[ია], სიკილია რომი ნახა.

ფრანციას მეფე, რომ პაპი, კრანდუკა უცხოდ კარგად დახვდენ: ყოველი კაცი გაჰკვირდა. რაც იმ ქუყნებში უცხო და ძვირსნახავი იყო, ყველა ახვენეს. პაპამ წმინდის ჯუარის ნაწილი, წმიდა კლემენტოს მოწამის თავი და სხუა ბრავალი ნაწილ[ი] უბოძა. **ი**ს მარიამობისთვეს გამოისტუმრა. გზებზე წმინდა სახლი და ბრავალი წმინდა ადგილები მოილოცა. ოცს ღვინობისთ ვეს მაღთას მოვიდა. **ე** დეკემბერს ფრანცი-ცის მეფის ხომალდი მოუვიდა; წამოვიდა. ქ'ს **ჩლ ე ვ**-ს[!], იანვარს **ი თ**-ს კოსტანტინეპოლს მოვიდა; აქ დაეგვიანა. ის წულიწადი ფრანცისის დესპანისას იდგა, ჯელისშეწყობითა. იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოს **ი**-სა და ქ'ს **ჩლ ე ვ**-ს, იანვრის ოცს გაასრულა." 404 v — 405 r.

890

იოანე იტალის შრომები (იხ. ბერძნული კოლექ.).

891

ქორწინებისა თავისათვის (ნათესაობის სქემა). XIX

36 ფ.; 18×11; ქაღალდი; უყდო (ქაღალდის კანი — I, II) მბედრული; დასწყისი ასოები და სათაურები სინგურით, მთავოულით; XIX ს. I ნახევარი; გადამწერი: მ. ხ. გაგუნავი — 32 r.; ფერადებით ნაწერი თავკაშნელობა: 1 r; გაფერადებული, მთხატული სქემები: 19 r — 31 r; ზოგადი სქემა: 33 r.; დაუწერელია: 31 v, 32 r, 33 v, 34 r-v. შეძენილია ნინო გიორგის ასულის მარიამ შვილისაგან 1948 წ.

„სქემა. ქორწინებისა თავისათჳს. **სჯა** მატთესი. — ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რ˜ ვითარ-იგი კიბეთა ზედა ღუწულ ხარისხად და შთამოვლენ..." 1 r — 18 v.

შენიშვნა: დართული აქვს „ჯაჭ, მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დაჰსხნა უბრძნესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან (ესე იგი) წიგნთა მცეველმან წუმინდესისა კრისტეს დიდისა ეკკლესიისა კოსტანტინეპოლისამან, იეროდიაკონთა შორის, უფალმან მანუილ ქ ს ა ნ თ ი ნ ო ს. ა. ვერვინ შემძლებელ **ა**ს შრომად ცოლად დისა თჳსისა. პეტრე მამა არს..." 19 r — 31 r.

მინაწერი: (გადამწერისა). „წიგნი ესე ეკუთვნის კელის დაწერით მ. ხ. გ ა გ უ ნ ო ვ ს." 32 v.

892

იოანე ოქროპირი. ლოცვანი. 1836

8 გვ.; 14.5×9,5; ქაღალდი; უყდო (ქაღალდის კანი); დახიანებული: მოხეულია კანის დიდი ნაწილი; გახეული და ძაფით მიმაგრებულია 1—2 გვ.; მხედრული; დასწყისი ასოები ზოგან მთავრული; 1836 წ. ივლისის 20-ს; ადგილი: ს. პეტერბურღი; გადამწერი: „იმერეთის მარიამ დედოფლის მოძღუარი იონა [ხელაშვილი], მღუდელ-მონაზონი"; თარგმნილი რუსულიდან იონა ხელაშვილის მიერვე. 8 გვ. შეძენილია ნ. გ. მირიანაშვილისაგან. 1948.

„ლოცუა ზ წმიდისა იოანე ოქროპირისა. ლოცუანი სავედრებელნი, რიცხუთ ოცდა ოთხთა ჟამთა დღისა და ღამისათა. დღისანი. ა. უფალო, ნუ მომაკლებ მე ზეციერთა შენთა კეთილთა ..“ 1—8გვ.

ანდერძი (გადამწერისა): „იმერეთის მარიამ დედოფლის მოძღუარმან, იოანე ძღუდელ-მონახონმან გარდმოწერე რუსულისაგან ქართულად — იოანე, ოქროპირისაგან ლოცუანი და დარიგება ხუთნი და კ[უ]ვლად კანონი, ანგელოზისაგან მოცემული პახუმისა მიმართ. მომიხსენებდეთ ლოცუასა შინა თქუენსა. წელსა 1836, ივლისის 20-სა, ს. პეტერბურღსა შინა.“ 8 გვ.

მინაწერი: „აქ საყურადღებოა ბოლო“ (იგულისხმება იოანა ხელაშვილის ანდერძი).

893

ა

ჟამის წირვა (ფრაგმენტი). XIX

4 ფ.; 21.5×15; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული (რუსულ-ქართული ტექსტები, ქართული ტრანსკრიპციით); XIX ს.; შეძენილია ნ. გ. მირიანაშვილისაგან 1948 წ.

„...[ოსტა]ველნია ღრეხოვ იხ უ ხრისტა ბესმერტნაღო,
ცარ[ი]ა ი ბოღა ნაშეღო პროსიმ.
ღოსპოდუ პომოლიმსა..
უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ 1 r — 4 v.

შენიშვნა: 1. რუსულ-ქართული ტექსტი წყდება:

„ძლევისა გალობისა მგალობელნი — პობედნუიუ პესნ პოუშჩე, ვოპიუშჩე, ვზივაიუშჩე ი ღლაღოლიუშჩე.“

2. ქართული ტექსტი წყდება: „წ’ა ჰყო და განსტეხა და მისცა წა’თა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა, მ[ა]ყუსლმან: პრიიმ[იტე].“

3. „მეორე ფურცლის v-ზე, რუსულ ტექსტში იხსნება „უკეთილმსახურესის ღა უთჳთმჰყრობელესის იმპერატორუ ალექსანდრა პაულოვიჩა [!].“ და სხვ., რაც მოწმობს, რომ ტექსტი დაწერილია 1801—1815 წწ. შუა.

ბ

იოანე ბატონიშვილი. იამბიკონი. XIX

1 ფ.; 20.5×16; ქაღალდი; უყდო; მხედრული (დასაწყისი ასოები მთავრული); XIX ს. დასაწყისი.

იოანე ბატონიშვილი. იამბიკონი:

1. იქუხებ ჰსწავლას. ნათელ-ჰყოფ მსმენთ გულებსა“... 1 r.

2. „იმღუდელმოქმედებ ანგელოსთა წესისამებრ..“ 1 r.

3. „წამოვანისა [ჰჳ]რე[ტ]ით განაბრძნობ უმეცართა, ერთ მემამულეთ და სხუათაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. იამბიკოთა ტექსტის ბოლოს, ტექსტის ხელით, მიწერილია: „თქმული მეფის ძის იოანესაგან იამბიკონი ესე“ 1 r.

2. ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია მოწაფის ნავარჯიშევი: 1. „წყერი და ღამურა. — გალიაში ჩამწყვდეული მწყერი მარტო ღამღამით პუკპუკვდა. ღამურამ ჰკითხა: რატომ დღისით არ პუკპუკებოდე? — კიდეც დღისით პუკპუკმა ჩამაგდო ამ გალიაში.— უპასუხა მწყერმა. „ეგ ჯაჭვი წინათვე უნდა გეხმარაო...“ ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გაქმნილება...“

3. ქართული „მამაო ჩვენო“ რუსული ტრანსკრიპციით.

8

სამთავრიო და საეტლო (ფრაგმენტი). XIX

1 ფ.; 22×16; ქაღალდი; უყდო; მხედრული; XIX ს. I ნახევარისა.

„...ნი ადამ გარდაიცვალა და ეროდი ქრისტიანენი მოსრნა. ვაპრობა არაკეთილ. რომელი იშვას, გონიერი, ქმნილი და კეთილი იყოს... ...ოე მთავრისასა იობის წყევა... 1 r — v.

წ უ ყ დ ე ბ ა: „ით მთავარისასა დღე კრძალვისა; მგზავრობა, ნავთა სელა არაკეთილ. დაკარგული...“

894

წიგნი დარიგებისა ქრისტიანებრსა წესსა ზედან. XIX

I — II, 74 ფ.; 21×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; XIX ს. ჭვირნიშანი „1838“; თავკაზმულობა (ფერადი) 1 r-ზე; ფერადი ილუსტრაციები; 12 v, 17 v, 22 v.; დაუწერელია: 14 v, 16 v — 17 r, 19 v, 25 r — v, 28 v — 29 r, 32 r — v, 36 — 74 ფ. ფ. შეძენილია ნ. გ. მირიანაშვილისაგან 1948.

1. „წიგნი დარიგებისა ქრისტიანებრსა წესსა ზედან. — საყვარელნო ქრისტიანენო! ისწავეთ რომელნი აღესრულებიან საიდუმლონი ეკკლესიასა შინა სახარებითა და თანადგომითა ქრისტესითა: პირველი — ნათლისღება, მეორე — მირონის ცხება...“ 1 r — 11 v.

2. შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა. „ამპარტავნება — ეს არის, რომელსაც თავისი ნათქვამი და ნაქმარი დიდად მოსწონდეს, დიდების მოყვარე იყოს და სწავლების მოთაკილე. ამისგან გამოვლენ ესენი: 1 უსჯულოება...“ 13 r — 31 r.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ამის ყოველსა დამარღვეველი და აღმომფხურელი სიმხნე არის. კაცმა რომ იღოცოს, გამაგრდეს და ესენი აღარა ქმნას.“

შენიშვნა: ცოდვებთან ერთად, ყოველი ცოდვის აღწერისა და განმარტების შემდეგ, აღნუსხული და აწერილია აგრეთვე **მადლიც**, ცოდვებისათვის დაპირისპირებით. **ამპარტავნების** განმარტების შემდეგი მაგ. „შვიდთა მათ მადლთა **უპირველესი სიმდაბლე** არის...“ 15 r — 16 r.

იხ. აგრეთვე 2 r — 21 v. 26 r — 28 r, 33 r — 35 r.

895

ოთხთავი. 1821

166 ფ.; 18×11,2; ქაღალდი; ხის ყდა, სქელი, მოოქროვილი ვერცხლით შემკული, რუსული ხელობა, ორნამენტებით და II ყდაზე რელიეფური სურათით მდიდრულად ნაკეთები, ორი შესაკრავით (ვერცხლისავე); ვერცხლის ყდის ზემო ნაწილზე ქრისტეს და ოთხი მახარებლის მინანქრის მინიატიურა, მიჯრით მიწყობილი ალმასების ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული, ამათგან I მინიატურას (მარკოზისა) მომტკრეული აქვს დიდი ნაწილი, ქრისტეს მინიატურა ((ცენტრში) შუახე გაბზარულია; გაბზარულია აგრეთვე იოანე მახარებლის მინიატურაც; ნუსხური; სათაურები ოქრო-მელნით; გადაწერა: „გაენათოს არხიმანდრიტი ხაქარია“. 140 v; ადგილი: [გელათის მონასტერი]; 1821 წ.; დაუწერელია: 1 — 21, 57, 79 v — 80 r, 115 r — 116 r, 141 r — 166 v; ილუსტრაციები ფრანგული ნაბეჭდი სახარებიდან: 23 v (ფურცელი გახეულია), 58 v, 80 v, 116 v. პარიზიდან დაბრუნებული (ძველი № 798).

„სახარება მატთესი. თავი ა. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისი. — აბრაამ შუა ისაკ...“ 24 r — 140 v.

შენიშვნა: მათეს თავის სახარებას წინ უძღვის: „შესხმა წმიდისა მახარებელისა მატთესი [თ]ქ[ე]ული ს ო ფ რ ო ნ ი ს მიერ.“— მატთე, რომელსა ეწოდა ლევი...“ 22 r — v.

ანდერძი (გადამწერისა):„ღმერთო, მოიხსენე ამ წმიდის სახარების მწერალი გაენათის არხიმანდრიტი ხაქარია, რომელმან აღწერა პყრობილობაში ეს წმიდა სახარება.
წმიდანო მამანო და ძმანო! თქ[ნ]ცა მომიხსენეთ, [უ]ფლისათჳს! წელთა **ჩყკა**“.

მინაწერი:„წინდა ესე სახარება მომიძღვნა რუსეთის თავადმან **სერგეჲ ვიქტორიჩმა ქუჩუბეიმ**. ხოლო მე შევსწირე და დავასუფსე ჩემს სასახლეს, **ზუგდიდს** საყდარსა შინა. წელსა 1846-სა, სექტემბრის [!] 1.
[დავით დადიან].“ ჩართულად. 21 v.

896

ოთხთავი. XVIII

220 ფ.; 10,5×7,5; ხის ყდა, შიგნიდან აბრეშუმის ქსოვილით შემოსილი, გარედან— ოქროთი ტვიფრული ტყავით; ქაღალდი; 5,53, 86, 143 ფურცელს r-ზე გადაკრული აქვს სუფთად ნაქსოვი აბრეშუმი, v-ზე დახატულია მახარებელთა მინიატურული პორტრეტები, სლავიანური წარწერებით; ვერცხლის ორი შესაკრავიდან ერთი დახიანებულია; მოცილებული და დაკარგულია II ყდაზე მიმაგრებული შესაკრავის ნაწილი; ხელნაწერის ტვიფრული კიდეები მოოქროვილია; ნუსხური; სათაურები სინგურითა და ოქრომელნით; XVIII ს.; გადამწერი: მელქისედეკ; ხელნაწერში ჩადებულია სელის ძველბური კსოვილი (143 — 144 ფფ. შუა); ხელნაწერი მოთავსებულია რუსი ოქრომჭედლის ხელით ნაკეთებ ვერცხლის ბუდეში, წარწერით: Прикрашен сие святый евангелиа [!] Роман архификоп[!].. Буди...» დაბრუნებულია პარიზიდან, 1945 წ.

„სახარება მათესი, თავი პირველი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შუა ისაკ...“ 6 r — 185 r.

შენიშვნა: 1. მათეს სახარებას წინ უძღვის: „შესხმა... მათესი ს ო ფ რ ო ნ ი ს მიერ.“ 3 v.
2. მარკოზის სახარებასაც წინ უძღვის იმავე ს ო ფ რ ო ნ ი ს „შესხმა... მარკოზ მახარებელისა.“ 51 v.
20. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. II

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მარკოზისავე „შესხმა დრეთეს მიერ წმიდისა მოწამისა...“ 52 r.

4. ასეთივე „შესხმა“ წინ უძღვის იოანეს სახარებას: „სოფრონის მიერ თქმული“. 141 r - v-და „დორეთესი...“ 142 r.

5. სახარების ტექსტს დართული აქვს „საძიებელი“. 186 r — 216 v.

6. ხელნაწერის ძოძგებელი უნდა იყოს ცნობილი რომანოზ არქიეპისკოპოსი (ერისთავი), რასაც, სხვათა შორის, მოწმობს ვერცხლის ბუდის ზემო კარედზე ოქრომჭედლის მიერ აღბეჭდილი თარიღი — „1737“ წელიც (ამ წელს რომანოზი მოსკოვს იმყოფებოდა).

7. ხელნაწერის ძველი № 1186 (იროდიონ სონღულაშვილის ხელით).

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო! წარმარეთე საქმე ხელთა ჩემთა... ამინ.“

„იესო ქრისტე! ჴელი მომიმაგრეთე ცოდვილს მელქისედეკს.“ 3 r.

897

სახარება — აპრაკოსი. 1704

274 ფ.; 11×8,5; ქაღალდი; მწვანე საფერდით შემოსილი ხის ყდა. ტყავის შესაკრავებით; ნუსხური; სათაურები სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულით, 1704 (272 r), მომგებელი მიტროპოლიტი ნიკიფორე; 43 ფ. კიდე მიხეული აქვს; დაუწერელია (დედნის ნაკლულობის გამო) 34 r, 179 r; ხელნაწერი მოთავსებულია ვერცხლის მასიურ ბუდეში, თბილისელი ოქრომჭედლის მამაჯანას ქართული დამღით: 1814 წ.; დაბრუნებულია პარიზიდან 1945 წ.

„წმიდასა და დიდებულსა კჳსაჲ აღესებისასა, სამხრად: სახარებაჲ იანეს თავი, ა. — პირველითგან იყო სიტყჳ...“ 4 r — 218 v.

შენიშვნა: 1. რიგითი სახარება (აპრაკოსი) იწყება აღდგომის (აღესების) დღის „სამხრით“ და თავდება აღდგომისავე „საცისკრო ათერთმეტი“ სახარებით.

2. საკითხავების განლაგებითა და დედნისეული მინაწერებით ხელნაწერის ტექსტი მისდევს A კოლექციის 1100-სსა (XII — XIII სს.) და H 1239-ს (იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ H კოლექციისა III, თბ. 1948, გვ. 179—180 და „ხელნაწერთა აღწერილობა“ A კოლექც., IV, თბ., 1954, გვ. 65—66).

3. მომგებელის ანდერძი (იხ.) პირდაპირ მიგვითითებს, რომ ტექსტი საგანგებოდ მოპოვებული ძველი დედნიდან გადმოუწერიათ.

4. ვერცხლის ბუდე შემკულია მახარებელთა გამოსახულობებით და სახარების სუჭტების რელიეფური სურათებით (რიცხვით 10). ბუდის ყუაც მოჭედილია, ბუდის კიდეები კი მოსვადებული. ხელოსნის (მამაჯანას) დამღა შემჩნეულია ორ ადგილას.

5. ხელნაწერის ძველი № 1119.

ანდერძი (მომგებელისა):

„ქ: ჩ̃ნ, მუხრანის ბატონის შვილმან, მიტროპოლიტმა ნიკიფორემ დავაწერინეთ ჩ̃ნდ[ა] სასულიეროდ და სადღეგრძელოდ.

ვინცა და რაც კაცი ამას სახარებასა მიემთხუენეთ, შენდობაჲ ბრძანებდეთ და მოგჳსენებდით.

მერმე ჩ̃ნ წაგიდით მთაწმიდას და ამა წმიდისაჲ სახარების დედანი იქიდამ მოვიტანე და გარდავაწერინე.

დაიწერა და სრულიქმნა იულისს ოცს, ქ̃ჳს ტფ̃ს.“

მინაწერი: 1. „წელთა ჩ̃ყიდ. მიტროპოლიტი დავითი.“ ვერცხლის ბუდეზე.

ეს უნდა იყოს ზურაბ წერეთლის ვაჟი, დავით მიტროპოლიტი.

2. გიორგი ბატონიშვილის მინაწერი:

„ვისაც ეს სახარება გჳონდეს, ღ̃თის სიყვარულისათჳს, გიორგი ბატონიშვილს მოიხსენებდე — ხოლმე.“ 2 v.

898

პირველნაბეჭდი სახარება. 1709

[6], ა — ტბ. (1 — 302) + 2 გვ. და 264 დაუწერელი ფურცელი; 26,5 × 18,5; ქაღალდი სხვადასხვა ჰვირნიშნით; ნაბეჭდი ტექსტი მოქცეულია დაუწერელ ფურცლებს 127—128 შუა; ნუსხური; გრიგოლ ზურაბის ძის წერეთლისეული. XIX ს. ნაკეთები მოლეროვით, ვერცხლით შეკეთილი ხის ყდა, შიგნიდან შინდისფერი სახიანი აბრეშუმის ქსოვილით შემოსილი, გარედან ვერცხლის ყდას (I-ზედა ნაწილს) აკრავს 5 ვერცხლისავე მოოქროვილი მასიური რელიეფი: შუაში — იესო ქრისტეს გამოცხადება, კუთხეებში — მახარებელთა რელიეფები; II ყდის შუაგულში — ჯვარი, ორნამენტებულ მედალიონში, კუთხეებში — როზეტები; ყდის ყუაც ხუთი ფოთლოვან-ყვავილოვანი ამობურცული როზეტით არის შემკული; ყდის ორი [ვერცხლის?] შესაკრავიდან ერთი დაკარგულია. დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

წარწერები და მინაწერები:

1. „თა[ვად]ის გრიგოლ ზურაბის ძის წერეთლის არის“.
   მხედრული წარწერა, ამოკვეთილი ყდაზე (გარედან).
2. „თავადი გრიგოლ წერეთელი“. II-ე ყდის შიგნიდან, აბრეშუმის ნაჭერზე, შავი მელნით, მხედრულით.
3. „წელიწადსა ჩყკდ-სა, იანვრის იზ, ტფილისს, მიბოძა წმინდა ესე სახარება საქართველოს მეფის ძისიოანეს ძემან გრიგოლ. დისწულმან ჩემმან, სახსოვრად მისდა; მე, დედის მისის, კეთევანის ძმასა, იმერთ სალთხუცის ღენარალ-მაიორის და კავალერის, ზურაბ ქაიხოსროს ძის წერეთლის ძეს, პოდპოლკოვნიკს გრიგოლ წერეთელს, და დავწერე ხელითა ჩემითა სახსოვრად ჩემდა.

პოდპოლკოვნიკი თა“ი გრიგოლ წერეთელი.“ 127 v.

899

ვარძიის ოთხთავი. XII — XIII

289 ფ.; 23×18; სუფთად ნაკეთები ეტრატი; ნუსხური; ორ-ორ სვეტად; სათაურები სინგურით, მრგვლოვანით; ინიციალები, ტექსტის მცირეი ნაწილი და დასწყისი ასოები ოქრომელნით და ფერადებით; [XII — XIII ს.]; ხელნაწერის კიდეები მოჭედილია მოოქროვილია; ხელნაწერი ჩასმულია დიდი ზომის — 31 × 25 — მოჭედილ მასიურ ვერცხლის მოოქროვილ ყდაში, რომელსაც ორი ვერცხლისავე ზარნიშნიანი შესაკრავი აქვს; ყდის ზემო ნაწილზე (I ყდა), შუაში, ქრისტეს რელიეფური გამოსახულება არის (ტახტზე მჯდომი, ღრუბლებზე ფეხ-დაყრდნობილი); კუთხეებშია ოთხი მახარებლის გამოხატულება (მედალიონები, რელიეფური); ყდის მეორე ფრთას შუაში დაკრული აქვს ჯვარი, კუთხეებში ვერცხლის მრგვალი, მასიური ფეხები, ყუა, მეტად მასიური, მოოქროვილი ვერცხლისავე, შემკული ზარნიშით; როგორც დამღები მოჩუმბს, ყდა გაკეთებულია რუსეთში, 1871 წ., სახაკოვის მიერ; შიგნიდან ყდა და მისი საცავი ფურცელი შემოსილია მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილით; პირველი ყდის აბრეშუმის შემოსილობა დახიანებულია,—მოხუცია 4 სანტ. ნაჭერი (ყდისათვის იხ. ბოლოში, პიბლიოგრაფიული შენიშვნა); დახიანებულია მოყვითალო ზეთით ეტრატის 178—183 ფფ.; ხელნაწერი შესკლია ოქრომელნითა და ფერადებით ნაწერი თავკაზმულობითა და მინიატურებით: 2 r, 3 v, 4 r, 72 v, 73 r, 119 v; 120 r, 195 v, 196 r. დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

„სახარებაჲ პირველი, მათესი. თავი პირველი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 4 r — 256 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. სახარების ოთხსავე თავს წინ უძღვის თავების ნუსხა („ესე თავებ[ა]რა[ა] ჲსთჳს სახარებისაჲ“ და მისთ.) — 2 r — 3 v; 71 v — 72 v; 117 r — 119 v; 194 r — 195 r.

2. ოთხთავი გიორგი მთაწმიდელის თარგმანს წარმოადგენს და მის ტექსტს ყოველ გვერდზე დართული აქვს პარალელური ადგილების მითითება.

3. სახარების ტექსტს დართული აქვს აგრეთვე:

ა. სახარების საკითხავთა საწელიწადო სიძიებელი. 257 r — 270 r.

ბ. თვენი — სექტემბრიდან აგვისტომდის. 270 v — 285 r.

გ. „სახარებანი სატფურებისანი.“ 285 r — 286 r. (შდრ. აქვე, № 900-ის აღწერილობა, შენიშვ. 3).

4. ვარძიის ოთხთავს მეტად საყურადღებო თავგადასავალი აქვს. როგორც „პატრონი იესჳ“ მინაწერი მოწმობს, ვარძიის ოთხთავი ტყვედ ჩავარდნიათ „თათრებს“, „ოდეს ყეენმა ჯუვაზეთი აღაოხრა და ვარძიის საყდარი დალეწა.“

აქ მოხსენებული ყეენი იყო ცნობილი შაჰ-თამაზ, რომელმაც გაძარცვა ვარძიის მონასტერი“ 1551 წელს.

სწორედ ამ დროს მეფობდა კახეთში ლევან (1520—1574), რომლის ვაჟს, „პატრონს იესჳს“, დაუხსნია ოთხთავი და კვლავ ვარძიისათვის შეუწირავს.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ დ. ბაქრაძე უმართებულოდ თვლის „პატრონს იესჳს“ ვახტანგ VI-ის ძმად. იხ. Кондаков, Н. და Д. Бакрадзе. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПБ. 1890, გვ. 42—43.

5. ენდრაკოვის და დ. ბაქრაძის ხსენებული აღწერილობით ირკვევა აგრეთვე, რომ ვარძიის ოთხთავი XIX საუკუნეშიაც დიდად დაზიანებულა. იგი ველათის მონასტრიდან გაუტანია ჭუთაისის გუბერნატორს ლევაშოვს, რომელსაც შემოუძარცვავს ოთხთავის შეისანიშნავი ძეელი ვერცხლის ყდა, ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატით, და შეუცვლია იგი (ყდა) სახეობის 1871 წ. ნაკეთები ყდით.

მინაწერები: 1. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[ერ]თისათა, ჩ[ნ] ღ[ერ]თივ გურგჳნოსნის პატრონის მეფეთ-მეფის ლეონისძემან, პატრონმან იესე ვიყიდე ოთხთავი ესე თათაროჲან, ოდეს ყეენმა ჯუვაზეთი აღაოჴრა და ვარძიის საყდარი დალეწა და ესე ოთხთავი დატყუ[ვ]და, მას ჟამსა დავიჴსენით და შევიწირეთ ვარძიის ღ[ერ]თის მშობელსა, საოხად და სამლოცველოდ და ცოდვათა ჩ[ნ]თა შესანდობელად.

ღმერთო და ვარძიის ღ[ერ]თისმშობელო! პატრონი იესე დღეგრძელობით და გამარჯვებით ამყოფე უკუნისამდე, ამინ.“

შავი მელნით, ნუსხურით, „სატფურების სახარების“ ნუსხის ტექსტის ბოლოს, l და II სვეტში, 286 r-ზე.

2. „ათაბაგსა პატრონსა აღბუღასა შეუნდ[ო]სა ღმერთმან, და პატრონსა მ[ა]რიამსა წ[მ]ნ[დ]ა ღ[ვ]თ[ის]ა ღ[ვ]თ[ის]ა ღ[ვ]თ[ის

900

ოთხთავი. XII — XIII

267 ფ.; 32×19,5; ეტრატი; ხის ყდა მოცილებული და მეტად დაზიანებული, ჭიისაგან კიდეებ-შემოხრული და შემომცირებული, შიგნითაც შემოსილია ძველებური ქსოვილით გარედან შეჩვედილია ოდესღაც მოოქროვილი ვერცხლითა; მოჭედილობის ზემო ნაწილზე რელიეფურად ამობურცულია ქრისტეს ადგომა, წარწერით: „აღდგომაჲ“ (ასომთ.) და ქვემოთ ჯუჯუხეთი, წარწერით: „ქ: ჯუჯუხეთის ა[რ?]მორმ[ა]ნ“; მთელ ამ კომპოზიციას შემოვლებული აქვს ორმაგი გრეხილი და ფოთლოვანი ორნამენტი, რომლის დიდი ნაწილი, დაახლოებით 17 სანტიმეტრი, მოტეხილი და დაკარგულია; დაკარგულია აგრეთვე 7 ვერცხლის ლურსმანი; გადარჩენილია 41 სნტ. + 7 სანტიმეტრი, თითქმის მოცილებული ყდის დანარჩენი ნაწილისაგან და ორი უბრალო ლურსმინით არის დამაგრებული; ყდის ქვემო ნაწილზე რელიეფურად ამობურცული ჯვარცმა, მთლიანად დაუზიანებლად მოღწეული კომპოზიცია, წარწერით: „იესო ქ[რისტ]ე“; ამ კომპოზიციის გარშემოვლებული ორნამენტი, დაახლოებით ისეთივე, როგორიც I ყდისა, შემომტეხეული და დაკარგულია; გადარჩენილია მხოლოდ 24 1/2 სანტიმეტრი სიგრძისა; აქ ამომძერალი და დაკარგულია აგრეთვე 5-ზე მეტი ვერცხლის ლურსმანი; ყდის ეს ქვედა ნაწილი — ხის ნაწილიც, შემომტეხეულია; შედარებით კარგად არის შენახული ყდის ყუაზე სამკეცად ძიქვედილი, ერთშანეთთან დაკავშირებული ვერცხლის ხოლები, საერთო ხომით 25 ×10,5 სნტ., წარწერით: „ქ: ღმერთო! შე[ი]წყა[ლე] სული ქ[ა]ი-ხოსრო ყოფილ[ი]სა მხეციძეს ქრისთეფორეს შეუნდოს ღ[მერ]თ-მა[ნ]. მეცხედრეს მისსა ანა ყოფილსა ანანს[?] შეუნდნეს ღ[ნ]. ძენი მათნი აღ[ა]შენოს და აღზარდნეს ღ[ნ]“; კლასიკური პეროიდის ნუსხური, ორ-ორ სვეტად; სათაურები და აბზაცების დასწყისი სინგურით; XII — XIII ს; დაზიანება: ჩინებულად | ნაცვები ეტრატის ფ.ფ. დაღეჭნებული სანთლის თუ სხვა მიზეზების გამო დალეკილებული და ჭუჭყიანება; ხელნაწერი დაწერილია; ამოვარდნილია: 5,46 — 53, 54 — 61 ფ. ფ; 241 ფ-სგან დარჩენილია ნაბეჭდზე ნაცვები ნაწილი (ტექსტის 1 სვეტი) — დანარჩენი ჩამოკეცვილი და, ნაწილობრივ, მოხეულია; დაზიანებულია აგრეთვე 192 ფ. (ძველი დახიანება); მოხატულობა: ფერადებით შესრულებული პორტრეტები: მათე მახარებელისა — 5 ν (სახე წაშლილი აქვს); მარკოზისა — 69 ν (სახე წაშლილული აქვს); ლუკასი — 114 ν (სახე წაშლილი აქვს); იოანესი — 188 ν (იოანეს სახე წაშლილია); თავსასმულობანი: 6 r (აქვე წ.-ს მხატერული გაფორმება), 70 r (აქვე დ-ს მხატვრული გაფორმება); 115 r (ვ-ს მხატ. გაფორმება), 188 ν, 189 r — (ჰ-ს მხატ. გაფორმება); მახარებლების პორტრეტები ძველიდანვე დაცული ყოფილა საგანგებოდ დაწებებული რბილი წითელი ქსოვილებთ, რომელთაგან დღეს მხოლოდ ერთია შემორჩენილი 69 ν-ზე. დაბრუნებულია პარიზიდან 1945 წელს.

„სახარება. თავი მათეს. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 6 r — 241 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „ევსები კართაგენის, საყრელსა ძმასა, უფლისა მიერ ჯაკობსვ! — ამმონიოს ალექსანდრიელმან დიდი შრომაჲ და გულსმოდგინებაჲ შუეს შემოიღო..“ 2 r — ν.

ბ. „ესე თავები არს მათეს სახარებისაჲ...“ 3 r — 4 ν.

თავების ნუსხა წინ უძღვის აგრეთვე მარკოზის (67 ν — 68 ν), ლუკას (110 ν — 113 r) და იოანეს სახარების (186 r — 187 r) თავებსაც.

2. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს: ა. „ჳნაწებაჲ სახარებათა საძიებელისაჲ წელი-წდისა დღესასწაულთაჲ, ვითა მივალს სჴნაქსარი წესსა ზედა ბერძულსა სრულ[ო]ბით (აღსებების დღიდან შემდგომი აღდგომის ცისკრამდე — „სახარებანი საცისკრონი აღ-დგომისანი..“) 242 r — 251 ν.

ბ. თვეთა მეტყველება: „თვესა სეკდენბერსა ა...“ (სექტემბრის 1-დან აგვისტოს 31-დის). 252 r — 265 r.

გ. „ქალესიისა სატფურებისა სახარებანი“. 265 r — 266 ν.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სახარებათა საწელიწდო განგებაში ჩართულია გიორგი მთაწმიდელის შენიშვნები:

ა. „აქა დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთანი და აწ კრლად შაბათ-კვრიაკეთა იწყებს. უკეთ კუალა ვინ მოყიბებულს მიზეზსა, არცაღა დარჩომილ არს ოთხთავსა შინა დაუწერელი სახარებაჲ, რომელი ამათ სამ[არ]ცისა[ო]თა სახარებათა შინა არა გამოკრებულ არს ანუ შაბათ-კვრიაკეთა ანუ მარხვათა ანუ თუმთა.

ლვაცვა ყოველ გლახაკისა გ[იორგ]ისთჳს, რომელმან წ[ა] ესე სახარებაჲ ეთარგმნე." 249 r, I სვ., სინგურით.

ბ. „შეისწავე, ეითარმედ ესე წმიდათა მარხვათა პირველისა შუდეულისა სახარებანი ოთხთავისა საძიებელთს შინა არა გუჴრნეს. ხოლო ჩუენ ამისი დატევებაჲ არა ვინებებეთ, არამედ ვითა განთჳსულსა სახარებასა ვპოეთ, ეგრეთვე აქაცა დავწერეთ. უკეთ ვის ჯერ-უჩნდეს, იჴმარნეს, თუ არა, აქა დაწერაჲ არას დააკლებს." 249 v, მარცხენა ნაპირზე, სინგურით.

გ. „ს'ზნი სახარებანი პირველისა შუდეულისა მარხვათაჲსანი, რომელნი იკითხვებიან პირველსა შუდეულსა მარხვათასა, ბწუხრისსა ზედა, არა დაპატიჟებით, არამედ უკ'თ ვისმე ბაჰვით*) სწადოდის. ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რ' ბერძულისაგან დაგჳწერიან და წ'თა მამათა განწესებულნი არიან." 249 v, II სვეტში.

დ. „წ'ნო მამანო! ესე ენების კჳრიაკესა საცისკრონი სახარებანი ბერძულად არიან და ბერძულისაგან დაგჳწერიან. სხუაჲ კუალა განგებაჲ არაჲ გჳპოვნია, არცა დაგჳწერიაა. თქ'ენ კუალა ვითაცა აშენდებოდით, ეგრეცა ქმენით: თუ გინდა, სადაჲად ღირს ყოფად და სმენად ჩ'ნდა ბრძანეთ და თუ გინდა, ქართულითა განგებითა წაიკითხეთ; იგიცა კეთილ არს და პატიოსან." 250 r-v.

ე. „დიდსა პარასკჳესა სახარებანი ჭამთანი დიდსა სჴაპქსარსა სხუებრ სწერიან და იგიცა კეთილ არს და შუენიერ.

გარნა ჩ'ნ, გლახაკნი ესე, ვინაჲთგან წი'ა კათოლიკე ეკლესიისა სამჴაულსა წ'სა ამას სახარებასა შეეკიდენით და წყალობამან ღ'თისამან აქამომდე მოგუფწინა, არა ჯერ-ეიჩინეთ ს'დ მეოხებასა მიეცემაჲ თავთა ჩ'ნთა. ამისთ[ჳ]სცა ესერა მამისა ეფთ ჳმის სახარებისაგან ესე წ'ნი სახარებანი დავწუსხენით, ვ[ითარ]ც ღ'ს ძალი მოგუცა." 251 r, II სვ. სინგურითვე.

შდრ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა", (А коллекция), IV, № 1100, გვ. 65 — 66, თბ. 1954.

მინაწერები: (გვიანდელი):

1. „..ლო მელანო! ავად ედები."
1 v, ზემო კიდეზე, ძველი მელნით.
ვ-ს არკაული დამწერლობით.

2. „ღმერთო! შეიწყალე შ'ო მ ა ხ ე ც [ი] ძ ე."
1 v-ზედვე, შუა ადგილას. მუქი მელნით, XV—XVI ს. ნუსხურით.

3. „ს ვ ი მ ო ნ ფ ხ ე [ი]ძ ე მ დე[ი?]სწავლა.
მათე, მარკო[ზ], ლუკა, ი[ო]ვ[ა]ნე! ა[დღეჲ]ძელე სვიმონ ფ[ხ]ეიძე, ბერი, აცხოვნე. ვინც შე[ნ]დობა . . . . . "
4 r-ზე, ქვემო ნაპირზე, ჭიაფერა მელნით,
გაუმართავი, დიდი მრგვალი ნუსხურით.

4. „ღმერთო, მოიცხენე ფრიად ცოდვილი ი'ე პ ა ტ ა რ ი ძ ე, არ. კ'სნ. ვინც მომიკსენოთ . . . . . "
73 v; ქვემო ნაპირზე, სწორი, ლამაზი
ნუსხურით (XV—XVI), ყავიისფრ. მელნით.

5. „[ეზაქარი] ა რ ს ე ნ [ი] ძ ე ს ახრ (?)"
232 r, მე-3 მინაწერის ხელითა და მელნით.

*) ამ სიტყვის დასაწყისი ორი ასო ამოფშეკილ ადგილზე არის დაწერილი ტექსტის ხელით,

6. „ღმერთო, შეიწყალე და ლაქრინისა ღთისმშობელო, სული ამის მწერლის, ამინ.“. უკანასკნელი — 267-ფ. r-ზე, ზემო კიდეზე, XVI — XVII ს ნუსხურით.

7. ღმერთო! შეიწყალე და ლაქრინისა ღთის მშობელო, სული ბრილას. 267 r-ზევე, XVI—XVII ს. სწორი ნუსხურით, მუქი მელნით.

8. ქვემოთ—მოსახსენებელი ვინმე იოსებისა და მისი ძის შიოსი.

8. „წ. ოთხნო თავო სახარებანო შეიწყალე სული გ'რის არსენაძის შვილს“(!) მშობელსა მისსა მარიამს შე'ს ღ'ნ.“ 267 v-ზე, გაუმართავი ნუსხურით.

9. „წ. ოთხნის[!] მადლო! კაი წერა ასწავლე იოსებს! ვინცა შენდობა . . .“ 267 v-ს მარჯვენა, ქვემო კუთხეში, წვრილი, საკმაოდ გამართული ნუსხურით, მკრთალად.

901

ოთხთავი. XVII—XVIII

170 ფ.; 12,2×8,5; ქაღალდი; ქსოვილ-გადაკრული ხის ყდა შიგნიდანაც ოქრომკედ ნარევი საღებავით აბრეშუმით შემოსილი, მოთავსებულია ვერცხლის მოოქროვილ კუბოში. ორი ვერცხლისავე შესაკრაეით; ამთვრთ ერთი დაზიანებულია, 12 რელიეფური გამოხატულებით, წარწერებით; წვრილი, სწორი ნუსხურით, ორ-ორ სვეტად ნაწერი ტექსტი ორმაგი, შეღა ორი ხოლით გაყოფილი ჩარჩოებით არის შემოფარგლული; სათაურები დაწერილია სინგურით, მრგვლოვანი ასომთავრულით, ზოგან ჩართულად; XVII — XVIII ს.; შემკულია მახარებელთა პორტრეტებით — 6 v, 46 v, 74 v —(იოანეს პორტრეტი ამოხეულია — 116 — 117 ფ. შუა) და თავკაზმულობით: 7 r, 47 r, 75 r, 117 r (თავკაზმულობანი დაწებებულების შთაბეჭდილებას ტოვებენ); ოქროთი ნახაზი ჩარჩოები შეფუსფსლად დატოვებულია: 5 r, 6 r, 45 v, 46 r, 74 r; დაუწერელია: 2, 3, 4, 116, 168 — 170 ფფ.; მოშლილია 82 — 104 ფ.; დაზიანებული და მოცილებულია 94 ფ. დიდი ნაწილი. დაცულობის ადრინდელი ადგილი 'გელათი; სოლომონ პირველისეული. დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

„სახარება მათესი. თავი პირველი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 7 r — 145 r.

შენიშვნა: 1. ოთხთავი სახარების ტექსტის გარდა აქ არის:

ა. „შესხმა წ'სა მახარებლისა მათესი, აღწერილი სოფრონის მიერ“. 5 v.

ბ. „შესხმა სოფრონის მიერ წ'სა მარკოზ მახარებლისა“. 44 v — 45 r.

გ. „შესხმა წმიდისა მახარებლისა ლუკასი, რომელი დაწერა დორეთეოს მოწვამემან, ეპისკოპოსმან ტარონ-სინოპსელმან“. 73 v.

დ. „შესხმა წმიდისა მახარებლისა, თქმული სოფ[რ]ონის მიერ.—იოანე მახარებელი, ძე ზებედესი...“ 114 v — 115 r.

ე. „შესხმა კ[ვალ]დ მახარებლისა იოანესი, თქმული დორეთეოს მოწამისა, სინოპსელისა ეპისკოპოსისა მიერ.“ 115 v.

ვ. „სახიებელი წ'სა სახარებისა“. 146 r—157 v (აღდგომის „ვეირიაკისგან“ — დიდმარხვის ბოლომდის).

ზ. „თვეთა მეტყველებანი“ 157 v — 165 v.

თ. „სახარებანი წ'თა მამათა ჩ'ნთა, ქართველთა მნათობთა ათორმეტთა, ასურეთით ღ'თისაჲ მიერ მოვლინებულთანი.“ 165 v — 167 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ვერცხლის „ყუბაზე“ ამოკვეთილი წარწერა:

„ჭ: ჩვენ, ღ̃თივ დიდებულმან მეფე მან მეფეთ მან ს ო ლ ომ ონ, შევამკეთ წმიდა ესე სახარება საოხად სულთა ჩვენთა. ნოემბერს ბ. წელთა 1776.“

ამ წარწერის ზემოთ და ქვემოთ, სხვა ხელით მომატებულია: ა. სადაც სოლომონის სახელი იხსენიება: „დ ე დ ო ფ ა ლ მან მ ა რ ი ა მ“ (ზემოთ).

ბ. „ვი[ნ]ც ამ წ̃ის მარინეს ეკ[ვ]დ[ე]ს ეს გამოსწოროს ჯ̃ კრების, იბ მოციქულისაგან შეჩვენებული იყოს.“

902

მოქვის ოთხთავი. 1300

1 — III, 329 ფ.; 30×23,5; ეტრატი; სინყისტისაგან დახიანებული, დაშლილი (რვეულებად და ფურცლებად); უხეშად ნაკეთები ხის ყდა, ხავერდითა და მოთუქროვილი ვერცხლის მოჭედილობით, რომლის გარდა ხელნაწერს მუყაოზე გადაკერული მიხაკისფერი ყდაც ჰქონია, ცალკე დაცული; ჭიებისაგან და სინესტისაგან ნახიოებზე შემობმული ყდის ფიცრები, ზემოდან წითელი ხავერდითა და სჭელი ვერცხლის მოჭედილობით, შიგნით — ორფენა მუყაოზე დაკრული ტყავით, მოწმობს, რომ იგი (ყდა) გამხდარა ხელნაწერის დახიანების მიზეზი; მოჭედილობა, ამჟამად დაშლილი, შედგება: ა. ოთხი დიდი ნაჭრისაგან, 1 მოჭედილობის ყუა 31×9 სმ. — ვერცხლის სადა ფირფიტაზე დაკრული მოთუქროვილი ვერცხლის ორნამენტი (ფოთლოვან-ყვავილოვანი), გამომბურცული; II — მოჭედილობის წინა ნაწილი; იგი შედგება ერთი მთლიანი მოთუქროვილი ვერცხლის ოდნავ მორკალული ფირფიტისაგან, ზომით 32×10 სმ.; ამ ფირფიტაზე დაკრულია სამი ორნამენტირებული მოთუქროვილი ვერცხლის ნაჭერი, სიგრძეზე და აქეთ-იქით გრძელი ქინძისთავებით დამაგრებული ორი ვერცხლისავე მოთქრილი კოჭკური ბსაკუს სადა, არა ვერცხლის ქინძისთავებით; III — ვერცხლისავე ფირფიტა, ზომით 24 × 8, ნაკეთები ისევე, როგორც ორი დიდი ფირფიტა, ისეთივე მცენარეული ორნამენტით (მოთქრილი), მიმაგრებული ყდის ზემო ნაწილზე; IV — ბრორედ ამავე ზომისა და ამავე წესით ნაკეთები (თავსა და ბოლოში ფირფიტას აცილიები აქვს ორნამენტიანი ნაჭრის ნაწილი); ბ.— ყდის ზემო ნაწილის მოჭედილობა: ცენტრში ჯვარცმა, ოვალური, ზომით 15,5×11; ჯუთხეებში ოთხი ანგელოზის გამოხატულება (თითოეულის ზომით 12×8), ჯვარცმის ზემოთ—ამაღლების გამოხატულება 5,5 × 4; ქვემოთ — უცნობი მღვდელმთავარი— 6,5×4; ჯვარცმის მარჯვნივ და მარცხნივ ანგელოზები (რიცხვით ორი, ამათგან ერთი, მარჯვენა მხრისა, მოცილებულია), ზომით 7 × 4; გ. ყდის II ფიცარზე (ბავერდზე) დაკრულია 9 ნაჭერი; ცენტრში — კრისტეს ჯვოკოხეთში ჩასვლის გამოხატულება, ოვალური მოყვანილობისა: 16×11,5; კუთხეებში — ოთხი მახარებელი, თითოეულის ზომა 11×8; ზემოთ და ქვემოთ წმინდანების გამოხატულება: 4 × 3; მარჯვნივ და მარცხნივ — ანგელოზები, ზომით 7×4; მთელი მოჭედილობა შემოსულებულია უხეშად (XIX ს.); მახარებლებს ქართული (მთავრული) წარწერები აქვს; ხელნაწერის ტექსტი დაწერილია ორ-ორ სვეტად, ღია ყავისფერი მელნით, კლასიკური ნუსხურით; 1300 წ. (325 ს—326 რ.). გადამწერი: ეფრემ (326 რ); მომგებელი [დანიელ მოქვით მთავარეპისკოპოსი]; ხელნაწერი უხვად არის შემკული — მახარებელთა პორტრეტებით: 12 ს. 105 ს, 161 ს, 254 ს; კანონების ორნამენტაციით, რიცხვით 10; 3 რ, 3 ს, 4 რ, 4 ს. 5 რ, 5 ს, 6 რ, 6 ს, 7 რ, 7 ს (ყოველი ამთანაბრ ცოტად თუ ბევრად დახიანებულია), ოთხი თავკაზეულობით სახარების თვითოეული თავის დასაწყისში: 13 რ (შესამჩნევად დახიანებული), 106 რ (დაფხიანებული); 162 რ; 255 რ (ოდნავ დახიანებული); ქრისტეს „წინა-პართა“ 42 მინიატურული პორტრეტით ერთ მთლიან გვერდზე — 14 რ (მეტად დახიანებული); სახარების მინიატურული ილუსტრაციებით: მათეს სახარებისა, კონდაკოვის მიხედვით 97 ილუსტრაცია: 15 ს (1, მეტად დაზ.); 16 რ (1 დაზ.); 16 ს, 17 რ 17 ს, 18 რ, 18 ს, 19 რ (2); 19 ს 20 ს (2), 21 რ (2) და სხვ. მრავალი 102 ს-დე (ჩათვლით); ამათგან საგრძნობი ნაწილი დაზიანებულია; მარკოზის სახარებაა ექვსი ილუსტრაცია აქვს: 107 რ (დაზიან.); 108 რ (მეტად დაზიან.): 108 ს (დაზ.), 113 ს (ნაწილ. დაზიან.); 129 ს(დაზიან.); 138 ს (დაზ.); ლუკას სახარებას — 26 ილუსტრ.: 163 რ (ნაწ. დაზ.); 163 ს (ოდნავ დაზ.); 164 რ (ოდნავ დაზ.); 165 რ (თითქმის დაუზ.); 166 რ (თითქმის დაუზ.); 168 რ (დაზიან.); 168 ს

დაუზიანებელი); 169 v (ნაწ. დაზ.); 170 v (ნაწ. დაზ.): 174 r (ნაწ. დაზ.); 174 v (ნაწილ. დაზ.); 175 v (ნაკლ. დაზ., მაგრამ ეტრატი გახეულია ამ ადგილას); 176 r (ნაკლები დაზ.); 186 r (მეტად დაზ.); 189 v (ნაწ. დაზ.); 202 v (ნაწ. დაზ.); 213 r (ნაწ. დაზ.), 215 v, 225 v (ნაწ. დაზ.); 230 v (ნაწ. დაზ.); 236 v (ნაწ. დაზ.); 249 v (ნაწ. დაზ.); 250 v (შედარებით კარგად დაცული); 251 r (ნაწ. დაზ.); 251 v (2 მინიატ. — აქედან I დაზიან. II-კარგად შენახული); 252 v (შედარებით კარგად შენახული); იოანეს სახარებისა 25, 256 r (ნაკლებ დაზ.); 256 v (კარგად შენახული); 257 v (ნაწ. დაზ.); 259 v (დაზიან.); 260 v (კარგად შენახული); 267 v (ნაწ. დაზ.); 268 r (დაზ.); 276 r (დაზიან.. ნაწილ.); 281 r (ნაწ. დაზ.); 285 r (ნაწ. დაზ.); 285 v (ოდნავ დაზ.); 288 r (ნაწილ. დაზ.); 294 r (ნაწ. დაზ.); 300 r (ოდნავ დაზიან.); 301 v (შესამჩნევად დაზიან.); 312 v (ნაწ დაზ.); 317 v (დაზიან.); 321 r, 322 r—v (დაზ.); 322 v (ნაწ. დაზ.); 323 v (მეტად დაზ.); 324 r (დაზიან.); 327 r-ს ორი მინიატ. — სულიწმიდის მოფენა და ლეონიშმობლის მიძინება, ორივე დაზიანებული; ზომა ამ ორი, ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული მინიატურისა 20 × 14; უკანასკნელი მინიატ., ზომით 20.5×12 (328 r) წარმოადგენს მდგომარე ღვთისმშობლის გამოხატულებას; მარიამს მარცხენა ხელში უჭირავს ჩვილადი მაცხოვარი, მარჯვენა ხელით კი თითქოს მიუთითებს ყრმას მათ წინაშე დაჩოქილი მაცდურებით მამაკაცისაკენ, რომელიც, წარწერის მიხედვით, არის დანიელ მოქვეკ მთავარებისკოპოზი. ეს მხატვრობაც შესამჩნევად დაზიანებულია; გადარჩენილია მხოლოდ თქროთი ნაწერი ფონი, ღვთისმშობლის ტანთსაცმელის ნაწილი და დანიელის მავედრებელი ხელები; სამი ფიგურისა და სახეებისაგან მხოლოდ კონტურებია მოღწეული. ამ მხატვრობის დაზიანება მით უფრო სამწუხაროა, რომ, როგორც საფიქრებელია, ამის მიხედვით დაასკვენა ნ. კონდაკოვმა გადამწერი ეფრემისა და მოხატულობის ავტორის იგივეობა (იხ. შენიშვნა 4. ქვემოთ); ხელნაწერი შემკულია აგრეთვე მრავალი ინიციალებით (კონდაკოვისა და ბაქრაძის ანგარიშით — 531); ინიციალები, ცოტაოდენი გამონაკლისით, კარგად არის შენახული; შესრულებულია ფერადებით და თქრომელნით; გარდა მხატვრობისა დაზიანებულია ტექსტიც: იგი მრავალ ადგილას გადასულა. მაგ.: 126 v, 146 v, 187 r, 192 v და სხვ. დაუწერელია: I — III, 329 ფ. ფ; დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

„სახარებაჲ მათეს თავი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 13 r — 325 v.

შენიშვნა: 1. ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის: „ევსები კარპიანეს, საყ[რელსა ძმასა, უფლისა მიერ გაცოთხაე! — აწმინიოს ალექსანდრიელმანცა დიდი შრომაჲ და გულსმოდგინებაჲ შუეა შემოიღო...“ 1 r — 2 v.

2. ყოველ თავს წამძღვარებული აქვს თავების ნუსხები: 9 r — 11 r; 103 v — 104 v; 158 r — 161 r; 253 r — 254 r.

3. ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის ორმაგი პაგინაცია. პირველი შესრულებული უნდა იყოს XIX ს 80—90 წლებში, როდესაც ხელნაწერმა ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ხელში გაიარა (მარტვილში); იგი გაკეთებულია მოყვითალო ფერის მელნით, ყოველი ფურცლის ზემო. მარჯვენა კუთხეში და შეუდგომლად არის ჩატარებული: 1 — 328 — XIX — XX სს. ინდურ-არაბული ციფრებით.

მეორე პაგინაცია გაკეთებულია ხელნაწერის ყოველი რვეულის წყვილი ფურცლების პირველ ოთხ ან სამ ფურცელზე (ზოგი რვეული 6 ფურცლიანია) და აღრიცხავს ოთხ ფურცელს რვა ფურცლიან რვეულში, სამ ფურცელს — ექვსფურცლიანში. ეს (ძველი) პაგინაცია გაკეთებული პაგინირებული ფურცლების ქვემო კიდეებზე, შეჭი ყავისფერი მელნით, კალმის მსუქანი მოსმით, არაბული ციფრებითვე. იგი იწყება (მერმინდელი პაგინაციით) 1 ფურცლიდან, მაგრამ არა 1-ით, არამედ 3-ით არის აღნიშნული, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავის დროზე პაგინაციის გამკეთებელს 2 წყვილი ფ. უნდა ჰქონოდა აღნიშნული მერმინდელი პაგინაციის პირველი ფ. წინ.

ხსენებული (ძველი) პაგინაცია შეცდომებით არის ჩატარებული: 89-ს მისდევს არა 90, არამედ 810 და ასე 100-მდის, სადაც ეს შეცდომა გამოსწორებულია. მაგრამ ქვემოთ 120-ის ნაცვლად აღნიშნულია 200 და ეს შეცდომა ბოლომდის (238) გამოუსწორებელი რჩება.

ეს (ძველი) პაგინაცია თავისი არაბული ციფრების არქაული მოყვანილობით წაადგას ს.-ს. ორბელიანის ხელით XVII — XVIII ს. მიყრნახე პაგინირებული ხელნაწერების ციფრებს (შდრ. მაგ. ხელნაწერების A 51 და S 247 პაგინაციას).

4. „მოქვის სახარება“ ფართოდ არის ცნობილი 1890 წლიდან.

იხ. Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Опись памятников древности в некоторых. храмах и монастырях Грузии. С. Петербург. 1890. Мартвильский монастырь § 20, გვ. 76 — 79.

შდრ. თ. ჟორდანია. ქრონიკები. II, ტფ. 1897. გვ. 172 — 174.

ანდერძები: (გადამწერისა):

1. „ქრისტე, ძეო და სიტყ[უ]აო ღ[თისაო]! მილხინე ფრიად ცოდვილსა ე ფ რ ე მ ს.“
103 r, I სვეტის ბოლოს, მათეს სახარების ტექსტის ქვეშ.

2. „დიდებაჲ ღმერთს, სრულმყოფელსა ყოველისა კეთილისასა.

დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა: ხშჲ: — ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად ხყჱ, ქრონიკონსა ფკ; ზედნადებსა მთოვარისასა ვ; მცხრასა ზ; ინდიკტიონსა ია; ხუთეულსა ლ; ექუსეულსა ლვ; ზ[ხისა მოქცევსა დ; მთოვარისა მოქცევსა ვ.

ჴელითა ჩემ, ფრიად ცოდვილისა ე ფ რ ე მ ი ს ი თ ა.“
325 v, II სვ. ბოლოს, 326 r, I სვ.

3. **ანდერძი** (გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა):

„ესე საცნაურო იყავნ ყ[ლა, რ[ესე წ[ა ოთხთავი არათუ ახლად გჳთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია, ფრიადითა გამოწუღილითა.

და ვინცა დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიხრდეს დაწერაჲ, ღ[ათჳს, სიტყ[ათა ნუ სცვალეთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არარაჲმე გაშუნდეს, ჩ[ნი ყ[ნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად: ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა; მუნით დაწერეთ. და, ღ[ათისათჳს, ერთმანერთსა ნუ გაჰჭრეთ. და გლახაკსა გ [ი ო რ გ] ი ს თ ჳ ს ლოცვა ყავთ.“

326 r, I და II სვეტში,
გადამწერის ანდერძის ქვემოთ, ტექსტის მელნითა და ხელით, მომცრო ასოებით (ტექსტის ხელთან შედარებით).

წარწერა (ღვთისმშობლის გამოხატულებისა, რომლის წინაშე დაჩოქილია [ხელნაწერის მომგებელი] დანიელ მოქვილი):

„დ[ა]ნ[ი]ლ მოქ[უე]ლ. მ თ ა ვ ა რ ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი.“
328 r-ზე, მხატვრობის ოქროს ფონზე, შავი მელნით, მსხვილი მთავრულით, დაჩოქილი ფიგურის ზემოთ.

მინაწერები:

1. „მოქვისაჲ ღ[თისმშობელო! შეიწყალე სული თ[ჳნ წინ მდეგისაჲ მოქველ მ თ ა ვ ა რ ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა ჲ ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ჲ, ა[მ[.“
მარკოზ მახარებელის პორტრეტის უკანასტარზე, მომწვანო მელნით, წვრილი, კალიგრაფ. ნუსხურით.

2. „ყ[დ წ[ოჲ დედოფალოჲ, ღ[თისმშობელოჲ, დაიცევ და შეიწყალე ორთავე ცხორებათა შიგან მოქვისაჲ მ ე ტ რ ა პ ე ზ ე გ [ი ო რ გ] ი დ ე კ ა ნ ო ზ ა ჲ, ა[მ[.“
იქვე, 1-ლი მინაწერის ქვემორე, იმავე მელნითა და ხელით.

3. „მთავარ ებისკოზსა [!] მოქცეულსა ამბრა[ს] წნს ღნ, ან.“
161 r, ლუკას პორტრეტის უკანასკნარზე,
1—2 მინაწერისებური მელნითა და მსგავსი ხელით (ნაკლებად გამართულით).

4. „სულსა მო[ქ]ც[ე]ლ მთავარ ებიკოპოსსა [!] ჩხეტიძესა ფილიპესსა წნეს ღნ, ან.“
იქვე, 3-ე მინაწერის ქვეშ: მღვრიე ყავისფერი მელნით, ნაკლებად გამართული ხელით (XV ს.?)

903

პროკოპოვიჩი თეოფანე. პირველი სასწავლო ყრმათა. XVIII

79 ფ.; 16 × 10; ქაღალდი (დახიანებული 1, 8, 9. 78 ფ.); ტეიფრული ტყავის ყდა: მზედრული; სათაურები და დასწყისი ასოები სინგურით; XVIII ს.; მოსკოვს 1739 წ. დაბეჭდილი გამოცემიდან გადმოწერილი; 35 v — 36 r — დაუწერელია.

„პირველ თქმული ყრმათათჳს. — კეთილ არს აღზრდაჲ მშობელთაგან შვილთა თჳისა,..“ 2 v — 78 v.

შენიშვნა: 1. „პირველ სასწავლოს“ ამ ხელნაწერ ტექსტს, ისე როგორც მოსკოვის ქართული სტამბაში 1739 წ. დაბეჭდილ სახელმძღვანელოს, წინ უძღვის:

სადიდებელად წ[ა]ს სამებისა, ჭამსა დიდად ამაღლებულისა სრულიად რუსეთის და [?] თჳთმპყრობელისა კეთილმორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანნესა ბრძანებითა მეფის ბაქარის, ვახტანგის ძისათა, შენდობითა და კუ, რთხევითა წ[ა]თა მართებელთა სინოდთა, სადასეთა და წ[ა]რსაგებელითა არქიეპისკოპოსისა იოსებისათა გაკეთდა სახეცდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი [ესე] პირველი სასწავლო ყრმათა, რ[ო]ლსა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთაჲგრითჳ მოკლედ თარგმანი შჯულისა, ათთა მცნებათა, ვედრება უფლისა, აღსარება, სარწმუნოებისა და ცხრანი ნატარებანი, დიდსა სამეფოსა ქალაქსა მო[სკოვს]ი, დასაბამითჳან ვიდრე აქამომდე ჳნ[ებ]ს, ქრისტეს [აქეთ] ჩ[ლ]ო, ქ[რ]ს უკ, თვესა ოქტომბერსა ი[ზ].“ 1 v.

2. დართული აქვს **ანდერძი:**

„პირველი ესე სასწავლო ყრმათათჳს რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანის მოლარეთ ხუცის ჩხეიძის გაბერიელისაგან და ქართულის ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან. და დაიბეჭდა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, მის დიდებულის ბატონიშვილის დარეჯანას სასახლეში, მის და მის ყრმათა პალატის შეწევნითა და ჴელის მომართვითა.

სტამბისა და ბეჭედის ზედამდგომი მდაბალი თქვენი მოსამსახურე მღვდელმონაზონი ქრისტეფორე ყოველთა გევედრები, კეთილად მკითხველნო და მჩხრეკელნო, თუ რამე ჩემი დაშვებული რამე ჰპოოთ ამ წიგნში, შეცოდებისათჳს შენდობას ვითხოვ. რომელი ძალ-მედეა, სიმართლეს ეცდილობდი.

და თუ რაჲ ირგებდეს ვინმე რასამე ამით, ზრომისათჳს სასყიდლად თქვენ მიერ ლოცვით მოჴსენებასა ვითხოვ.“ 78 v — 79 r.

3. ანტონ I-ის მიერ შემოღებული გ ნიშნის ხმარება მოწმობს, რომ წიგნი გადმოწერილია არა უადრეს XVIII ს. II ნახევრის პირველი ათეული წლებისა.

4. გადამწერის ხელი მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლისაა წაადგას.

5. შდრ. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. I.“ თბ. 1941, გვ. 37 — 39, § 28.

6. ხელნაწერი ლადო ნახუცრიშვილისეულია (იხ. 1 r, 2 r, 55 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

904

მარგალიტი. XVIII

169 ფ.; 15,3 × 10,5; ქაღალდი, სხვადასხვა — ცისფერი და თეთრი; ცისფერის ჰვირნიშანი 1787 (128, 126 ფ.); ტიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდის II ფრთის შიგნით გარეთ ჩაკრული 1743 წ. მოსკოვის ქარხ. ბიბლიის ნაჭერი; მხედრული; სათაურები სინგურით, ზოგან ასომთავრულითა და ნუსხურით; XVIII ს.; დაუწერელია 112, 113 ფ.ფ., 133 v—134 r.; შემოწირულია ნაქალაქეზე მცხოვრებ შალამბერიძეთა მიერ კ. გრიგოლიას მეშვეობით 1948 წ.

„ამას წიგნსა ეწოდების მარგალიტი, რომელ არს შეკრებული მძიფთა-გან, თქმულთა ოქროპირისათა. თავი პირველი. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა მოთმინებისათვის. — დიდ არს, საყვარელნო, მოთმინებისა მადლი და სულგრძელებისა და რა-ა არა სულმოკლე და მოწყინე ვიქნებოდით მოწევნადთა შინა ჩნ ზედა განსაცდელთა...“ 1 r — 169 v.

შენიშვნა:

1. **შედგენილობა:** იოანე ოქროპირის თქმული „მოთმინებისათვის“, „მკუდართა აღდგომის“, „თარგმანებისაგან კორინთელთა ეპისტოლისა“, „მდიდრისათვის და გლახაკის“, „სინანულისათვის და სათნოებათა მოგებისათვის და მავნებელთა განდგევის,“ „თარგმანებისაგან მათეს სახარებისა“, „მეორისა თავთაგან თეოდორეს მიმართ მიწერილისა“, „თარგმანებისაგან დაბადებისა“, „სიყვარულისათვის,“ „თარგმანებისათვის ჰრომაელთა ეპისტოლისა“, „ი[ა]ნე ვიღცნობდით ცოდოვისაგან,“ „სამთა ყრმათა დანიელის თქმულისაგან,“ „თარგმანებისაგან იოანეს თავისა,“ „ანდრატელთათვის,“ „ეფტროპეოსისთვის თქმულისაგან,“ „მღვიძარებისათვის“, „სოფლისა სასჯელისათჳს,“ „სიტყვისა მისთვის, ვითარმედ ყოველნი წარდგომად ვართ კრისტესა,“ „მწჳრობისა და სიწმინდისათვის“, „თქმულისა მისგან წყედარსთა აღდგომისა,“ „სათნოებისათვის და უკეთურებისა“, „თეოდორ[ე]ს მიმართ მიწერილისაგან,“ „ბუნებით სასჯელისათვის,“ „თარგმანებისაგან ფილიპელთა ეპისტოლისა“, „სიკუდილისათვის და რათა არა ზომისა მეტად ვიგლოვდეთ მიცვალებულთა,“ „თარგმანებისა[გ]ან ებ ფსალმუნისა“, „უსვენებულთათვის“. თარგმანებისაგან თესალონიკელთა და ფილიპელთა ეპისტოლისა.“ „უმანკოებისა და ძვირფასენებლობისა“, „თარგმანებისაგან იგავისა მისთვის, რომელსა თანა-ედვა ბერი დრაკანი“, „ლიცეისათვის ანდრიატელთა თქმულისაგან“, „ქანანელისათვის თქმულისა“, „მესამისა თავისა ანნაჲსთვის თქმულისაგან“, „თარგმანებისაგან დაბადებისა“ და „თესალონიკელთა ეპისტოლისა“, „ანდრიატელთათჳს“, „მარხჳსათჳს და სიწმინდისა, თარგმანებისაგან დაბადებისა“, „ლაზარესთჳს და მდიდრისა თქმულისაგან“, „რჩულისათჳს ბუნებითისა,“ „თარგმანებისაგან ტიმოთეს ეპისტოლისა“ და „სიტყჳსა მის, ვითარმედ „მწყდ ვარ და მდაბალ გულითა“, „სტაგერეოსის მიმართ მიწერილი პაჲლუ,“ „სულისათვის დაბადებისა“, „მათეს თავისა,“ „ზაქიასთვის თქმულისაგან,“ „დაბადებისა[გან]“, „ტიმოთეს ეპისტოლისაგან,“ „მდიდრისათვის და ლაზარესთვის“, „რათა არა მიეუახლებოდით ღირსად ქრისტეს“ საიდუმლოთა“ „ებრაელთა“ და „კორინთელთა ეპისტოლისაგან,“ „მატთეს თავისა[გან],“ „ზიარებისათვის.“ „განჯებულებისაგან თქმულისა,“ „თარგმანებისაგან ასოცდა მესამისა ფსალმუნისა“, „მდიდრისათვის და ლაზარესათვის თქმულისაგან,“ „დაბადებისაგან,“ „კორინთელთა ეპისტოლისა“, „შურისათვის და მტერობისა,“ “თესალონიკელთა.“ „დაბადებისა.“ „თარგმანებისაგან მამაო ჩვენისა“, „თარგმანებისაგან სახარებისა“, „მწუხარებისათვის ეპისტოლისაგან,“ „მართალ,“ „კუალად ფსალმუნისა“, „სწავლანი მოწყალებისათვის და ანგარებისათვის და სიმდიდრისათვის“, „ებრაელთა ეპისტოლისა,“ „მათეს თავისა“, „პროთაჲლთა ეპისტოლისა,“ „იოანეს თავისაგან“, „თარგმანებისაგან: მათეს თავისა, კო-

რინთელთა ეპისტოლესა, სახარებისა,“ „ევტროპიოსისთვის თქმულისაგან,“ „სიყვარულისათვის და მოწყალებისა თარგმნებისაგან იოანეს სახარებისა,“ „სინანულისათვის თქმულისაგან და განკითხვისათვის თავისა თვისისა“.

2. ხელნაწერში ჩადებულია ფსალმუნის“ ერთი ფ.: „კანონი ფსალმუნი დავითისა (სრულად) და „ბ“-ს ნაწილი, ნუსხურით დაწერილი.

მინაწერი: „წიგნსა ამას შინა მწერალიერ შეწყობილთა სიტყუათა ქუოდბის **მარგალიტი**, გარნა უმეცრობეს არს იგი ყოველთა თვალთა და ანთრაკთა პატიოსანთა. 1 მაისს, 1873 წელსა, ბომბორს. გრიგოლ მთავრის დადიანის ძე.“ 1 v-ზე, მარცხენა და ქვემო კიდეზე. მხედრულით.

905

კარაბადინი. 1822

152 გვ. (76 ფ.); 21 × 17; ქაღალდი, უცდო, აკინძული, 1 — 9 ფ. მოცილებულია, 5 ფ. გახეულია, 20—26 ფ. ამოცვენილია; მხედრული; სათაურები სინგურით; თარგმნილია ლათინურისა და რუსული ენიდან დაცით ბატონიშვილის მიერ; 1822 წ.; გადაწერი „დიაკვანი პაველ პაპიოვი“; ადგილი: გორგის ნაქალაქევი.

„სამკურნალო კრებული“. ე. ანტონის ცეცხლისათვის. — ქინაქინის წვენი, თმიანა (ვარდ-კანაფასი), პიტნისა, აბზინდისა, მელის კუდისა, ღვალოსი— ამათი ყველა კარგია; რომელიც გინდოდეს მოხარშე და იმისი წყლით მჩვარი გაეკეთებული ადევ. ამათ წვენში თანასწორად ძმარიც უნდა აურიო ანუ ოტკა, ცოტას ნიშადურით.

სხვა წმალი პისთ[ვის]ვე: მუხის ქერქი...“ 1—151 გვ.

შენიშვნა: 1: კარაბადინი თავიდან ბოლომდის ასეთი წესით არის დაწერილი: I ავადმყოფობის დასახელება, II სამკურნალო საშუალებანი და წესები (წამლების მომზადება და ხმარება).

2. თარგმანში შეიმჩნევა რუსიციზმები: „არაყის“ გვერდით იხმარება „ოტკა“, „საცებების“ გვერდით „მაზი“ და სხვ.

3. ტექსტს წინ უძღვის:

„გარდამოღებული ლათინურისა და რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედან ფრიად საჭირო და სამკურნალო რეცეპტები, რომელიცა ანბანზედ არის გამოკრებული, მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის გიორგის პირმშოს ძისა და საქართველოს მემკვიდრის ღენარალ-ლეიტენტის[!] დავითისაგან. სამეფოსა ქალაქსა სანკთ პიტრე ბურხს[!], წელთა 1811, თვესა იანვარსა, კ დღესა.“ 1 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ეს კარაბადინი[!], საქართველოს მეფის გიორგის ძის და საქართველოს მემკვიდრის ღენარალ-ლეიტენტის დავითისაგან ქართულსა ენაზედა და ენასა ზედა ლათინურისა და რუსულისაგან გარდმოღებული, გარდმოვიღე ქარისაგან გულაღმა მდებარემან დიაკვანმ[ა] პაველ პაპიოვმა გორგის ნაქალაქევსა შინა, წელთა 1822 ჩყვბ, თიბათვის კდ დღესა. პაველ (ჩართულად).“ 149 გვ.

906

ბერთის სახარება. XII

342 ფ.; 22,5 × 17; ეტრატი, სინესტისაგან დაზიანებული: 1,10, 336 ფფ. მოცილებულია; 2,6—9, 11, 12, 15, 25—29, 32—34, 39—40, 339—დახეულია; 1—7, 332 — 342

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფფ. და ფიცრული ყდის ორივე ფრთა ჭიისაგან დაცხრილულია; ტყავგადაკრული ყდის ყუა ძველებური ქსოვილით არის შემოსილი; ძველებური აბრეშუმის ქსოვილითვე ყოფილა შემოსილი ყდის შიგნითა არეც; ამჟამად ყდის II ფრთას შერჩენილი აქვს ჭიისაგან დაცხრილული ერთი სფარი—მჭიდროდ ნაქსოვი აბრეშუმი, მოცილებული; ყდის ორივე ფრთა მოჭედილია ბეშქენ ოპიზარის ხელით, მოოქროვილი ვერცხლით; ყდის ზემო ნაწილზე რელიეფურად გამოხატულია ჯვარ-ცხებაში — ჯვარზე გაკრული იესო, რომელსაც თავი და მარჯვენა ხელის იდაყვის ნაწილი აღარა აქვს (მოტეხილია), აგრეთვე ქრისტეს მარცხენა ფეხის მუხლ-ქვემო ნაწილი; ჯვარზე მიკრულ მოოქროვილ ვერცხლის ფირფიტაზე კლასიკური ასომთავრულით წარწერილია: „იესუ ქრისტე, მეფე ოჳრიათაი.“ ამ ფირფიტის ორივე მხარეს რელიეფურად ამობურთულია ანგელოზები; ამათგან მარცხენა მხრის ანგელოზს თავი გაკუმკილი აქვს უხეშად შესრულებული რესტავრაციის შედეგად (ჩაუდგილი აქვს ლურსმანი); ჯვარის მარცხენა მხარეს, ხელაპყრობით მდგომ ღვთისმშობლის რელიეფურ გამოსახულობას დახიანებული აქვს თავი, თვალებიდან თხემამდისს; წარწერილი აქვს (ვერტიკალურად): „დედაი ღთ˜ისაი“; ჯვარცმის მეორე (მარჯვენა) მხარეს მწუხარედ მდგომი ჰაბუკის რელიეფური ფიგურის მარცხნივ, ვერტიკალურად წარწერილია: ი˜ე მახარ˜ებელი:“ მოჭედილობის ეს ცენტრალური ნაწილი გარშემოვლებულია წვრილი, გრეხილი ორნამენტის ჩარჩოთი, რომლის ზემო, მარცხენა ნაწილის (აწვლილზის) დახიანება აღინიშნულია; ხსენებული კომპოზიციის გარშემო, ყდის სამ კუთხეში კარგად არის შენახული ფოთლოვან-ყვავილოვანი შემკულობა (რელიეფური), მოჩარჩოებული ორმაგი წვრილი გრეხილით (ჭედფრით); მეოთხე კუთხე, დახიანებული და დაკარგული, უხეშად არის აღდგენილი (13×5 — მარცხენა მხარე): ყდის ეს ნაწილი შემკულია რვა ძვირფასი თვლითა და სამი მარგალიტის მძივით (37 ასეთივე მძივი დაკარგულა, რასაც მოწმობს მათი დასამაგრებელი ლურსმნების ნაკვალევი); მთელი ამ მოჭედილობის წარწერა (დახიანებული) იხ. „შენიშვნების“ ბოლოს; მეორე ყდის მოჭედილობა უკეთ არის შენახული; აქ რელიეფურად გამოხატულ ქრისტეს (დეისუსს) უხელი და მუხლი დახიანებული აქვს. მას ახლავს წარწერა: „ჲჳ ქ˜ჲ“; მის მარჯვენით ღვთისმშობლის ფიგურაა, სათანადო წარწერით; მარცხნივ — იოანე ნათლისმცემელი, ოდნავ მიჭყლეტილი სახით (წარწერით), კომპოზიცია შემოვლებულია ვედრები გრეხილის ჩარჩოთი; ყდის ოთხ კუთხეს ამშვენებს ისეთივე მცენარეული რელიეფები, როგორიც ყდის I ფრთის სამ კუთხეს; ყდის ხსენებული ნაწილი დახიანებულია მოჭედილობის მკიდეებზე: მოჭედილობის ზოლის 10 სანტიმეტრი ნაწილობრივ მოტეხილია და შეკეთებას საჭიროებს; ქრისტეს რელიეფის ქვემოთ ამოტვიფრულია: „მოიჭედა ჴელითა ბეშქენ ოპიზრისაითა“ (დანარჩენი წარწერები იხ. აღწერილობის ბოლოს); ყდის ოთხი შესაკრავიდან სამი დახიანებულია: მოწყვეტილი და დაკარგულია ბალთები, დარჩენილია შესაკრავების მხლთად ერთი (ვერცხლის) ნაწილი; დაწერილია კლასიკური ნუსხურით ორ-ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისი ასოები—სინგურით, მთავრული; XII ს.; მოჭედილია „ოქროპირის ნივთით“ (ყდის წარწერები); შეჰკრულია მახარებელთა პორტრეტებით: 1 v, 97 v, 160 v, 265 v. დაბრუნებულია პარიზიდან 1945 წ.

„პირველი თავი სახარებაჲ მათეს თავი. წიგნი ობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 2 r — 338 v.

წყდება იოანეს თავის 21-ე თავის 23 მუხლზე:

„და განჴვა სიტყ˜ა ესე ძმათა შორის, ვითარმედ მოწაფჱ იგი არა მოკუდეს. და არა ჰქ˜ა მას იესუ, ვითარმედ არა მოკუდეს, არამედ: უკ˜თუ მინდეს მაგისი ყოფაჲ, ვიღრე მოსლვად ჩემ[დამდე, შენდა რა?].“

შენიშვნა: 1, 342 r-v-ზე მოთავსებულია ტექსტის ხელით ნაწერი: „ევსები კარპიანეს, საჳრელსა ძმასა, უფლისა მიერ გიცითხვ. — ამმონიოს ალექსანდრიელმანცა დიდი შრომაჲ და გულსმოდგინებაჲ შუჳა შემოიღო...“

2. ხელნაწერის ძველი № 41.

3. იხ. Кондаков, Н. П., Бакрадзе Дм. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПБ, 1890, გვ. 44—47, § 40.

შ. ამირანაშვილი. ბექა ოპიზარი. ტფ. 1937. გვ. 6 და სხვ.

წარწერება: (ყდის მოჭედილ ჩარჩოზე, I-ლ ყდაზე):

1. . . . . ობასა ი^ნე მთა[ვ]არი ძისსა: მ^ გ^ისსა, დეკანოზობასა მ[ი]ქელ კჯრკაიძისასა: ვიცა რაი შეგჯარა წმჯდისა[!] ამის სახარებისა მოჭედას, ყო[ვ]ელთა შჯდენ ღმრთამან: სადღსა უბიწოი თსა შეუნდეგ ღმრთამან.“

კლასიკური მრგვლოვანით.

2. (II ყდის თავში, მოზრდილი მთავრულით):

„ჭ: ოქროპი[რი]სა

ნივთითა მოი —

ჭედა სახარება ესე.“

3. (იესოს ტახტის კვეშოთ; 6 სანტ. სიმაღლის ასოებით:

„მოიჭედა ჭელთა ბეჭქნ ოპიზრისაითა.“

4. (იესოს ტახტის კვეშორე, იმავე ზომისა და გაფორმების ასომთავრულით, როგორც მე-2-ე წარწერა):

. ოქროპ[ი]რსა და

ძესა მათსა დ[მ]ტრ[ე]ს

შეუნდეგენ ღმერთმან.“

მინაწერები: (**შეწირულობის წიგნები**):

1. სახელითა ღ^თისა, სამებით ცნობილისა და ერთარსებით თაყ[უ]ანისცემულისათა, ესე დაწერილი მე, ი^ე ოპიზისა მოძღუარმან დავწერე, გაზრდილმან და დისწულმან ბერისა ი^ე მთავარაბძისამან, უნარჩევესმან ყოველთა მონაზონთამან და უცოდველესმან ყ^თა კაცთამან, ვინაცთგან დამაბრმობელსა ჩემსა დ[ემ]ტრე: მ^წ: სასოებაჲ და სიყ^რული უმეტეს ყოველთა მონასტერთასა ბერითისა მიმართ დაედგა და ჩ[ე]ნანცა მისნი ნაჭმარნი.

მეცა მოვხედენ მისთა ნაჭმართა და დავდევ სასოებაჲ წმიდათა უზესთესისა ყოველად წმიდისა ბერთისა ღ^ისმშობლისა მიმართ და მუნ შინა დამკჯრებულთა ღმერთშემოსილთა წ^თა მამათა: სულკურთხეულსა ბერსა მთავარაბძესა სახარებაჲ ებოძა ძმისა ჩემისა სიმონისდა და მან მე დამიტევა. მე ვიშუენ ხატნი წ^ა მახარებელთანი და ჩაუსუმენ ოთხთავე თავთა შინა.

მოვაკსენე პირველად ესე სახარებაჲ დედასა ღ^თისასა და ბერთასა. და მასვე ბერსა ებოძა ჯუარი თქროსანაჲ ჭეშმარიტითა ნაწილითა. — მოვაკსენე იგიცა. ვენაჯი მეყიდა ბერთისაგანვე სამეოცდაათ ბოტინატად და დიდი ჭირი მენახა ვენაჯისა აშენებასა და ზედა სახლისა აგებასა—მოვაკსენე იგი ვენაჯიცა. და კ^ულად მოვიგონე რომელ უმიწოჲ საჯ^უნოჲ აღაპი არა დამტკიცდებოდა. მოვაკსენე თორმეტი ბოტინატი და მათ მიბოძეს **წისკ^ულის-ჯევსა აგარაჲ**, კარსა ზედა, ნაფუზრითა და სამსთუსა ყაჯებითა. მსგავსი ჩემისა გულსმოდგინებისაჲ და სასოების: და სიყუარულისათჳს გამიკუმთეს აღაპი: დღესასწაული დიდებული—მიგებებაჲ უფლისა ჩ^ნისა იესუ ქ^რისტესი, რომელ არს ღ^მპრობაჲ.

ჭ, ყოველად წმიდაო დედოფალო, ღ^თისმშობელო! შეიწირე მცირედი ესე შესწირავი, გარნა მდიდარი სარწმუნოებითა წიგნი ძისა შენისაჲ ქუშყანასა ზედა ქცევისაჲ!

და ჯუარი, რომელსა ზედა განიჯ^ყრნა ჴელნი ჳსნისათჳს ჩ^ნისა და მიწყანი ესე, რომელნი მომეგნეს მე, მიწასა და ნაცარსა. და გუთხენ წინაშე ძისა შენისა და ღ^თისა ჩ^ნ ყოველთათჳს დღეს მას საშინელსა განკითჳისასა, მე, ცოდვილი ესე, და ძმანი ჩემნი ს[ჯ]მონ, ბასილი და ნიკოლოზ და ნუ მოიკ^ლენებ ცოდვათა ჩ^ნთა, არამედ გუსმინე კმაჲ იგი სანატრელი.

და თ^ნ, ღმერთშემოსილნო წმიდანო მამანო, მკჯრნო ბერთისანო, აწ მყოფნო და კ^ულად მომავალნო, ნემცა დავიწყებულ ვიქნებით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა! და ევედრნეთ ჩ^ნთჳს ღმერთსა:

— მოძღუარსა ი^ეს, ს^მონს, ბასილსა და ნიკოლოზს შეუნდეგნეს ღმერთმან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომელმან წინამძღუარმან ანუ საქმისმოქმედმან კაცმან რამანაც გუარმან ბერთათს შინა მყოფმან ჩნი საქმე უდგებ ქნას, ანუ ლოცვასა დაგუკლებდეს, ანუ აღაპსა არა გარდაიქცდიდეს, ყოელთაურთ უნაკლულოსა, კეთილითა უბუსბითა, ხუცესთა საწირავისა მიცემითა ჩნ, ოთხთავე ძმათათჳს, ღმერთმან გასცეს პასუხი, ამის-თჳს უფროო, რომელ, ძალითა ღთისაჲთა, ყოველივე მეტნეულად იქმნების.

და რომელმან ამის ჩემისა შეწირულისა გამოხუმპაჲ ინებოს, რამანცა გუარმან ქრისტჱნჱმან კაცმან სახარებისა, ჯუარისა, ვენაჳსა, აგარაბსაჲ და ყანთაჲ და ესე თჳსას, თუ: „ცალესიისაჲთა გარდაიქდებოდის და ესე ჩნ ვიქმაროთ!“ და აღაპ-სა მობეგრჳით გარდაიქდიდეს, ანუ ს[რულია]დ გარდააგდებდეს, კრული იყოს კაცი იგი ცათა შინა და ქუყანასა ზედა. პირველად დაუსაბამოსაჲ ღ̃თისა პირითა, ჳ̃დ წმიდისა ღთისმშობელისა მადლითამცა კრული არს; წმიდათა ზეცისა ძალთა, მთავრანგელოზთა და ანგელოზთა მადლითამცა კრულია, წმიდისა ძელისა ცხო-ველსმყოფელისა ძალითამცა კრულია, წმიდისა ი̃ე ნათლისმცემელისა მადლითამცა კრულია, წ̃თა და ყოველად ქებულთა მოციქულთა მადლითამცა კრულია; წ̃თა წინასწარმეტყუელთა, წ̃თა მღდელთმთძღუართა, ახოანთა მოწამეთა და ნეტართა მამათა მადლითამცა კრულია და ყ̃ლთა წ̃თა ზეცისა და ქუყანისათჳსთა, რო-მელნი სუეკუნოთგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩნსა იესუ ქრისტესა. ამათ ყოველთა წ̃თა მადლითამცა კრულია.

და და-მცა-ისჯების ნისტორს და ოროგინეს თანა̃დ მგმობართათანა წი̃ა ღ̃თის მშობლისათა. და დაეცემის მის ზედა ცეცხლი მეგჳატური და მიმ-ცა-უღებიეს ეფორი-გეეზიანი, შიშფილი იუდაჲი, განღებაჲ ქუყანისაჲ დათან და ახბირონისი; და და-ცა-ისჯების ყოველთა ღ̃თისა მგმობართა და უარიმყნელთა თანა.

და რომელმან ესე საქმე კეთილად იღუაწოს და გულსმოდგინედ, მივედ[ი]ნ კურ-თხევაჲ უფლისაჲ მის ზედა.

ხოლო თქ̃ნ, წ̃ნო მამანო ბერთელნო, აწ მყოფნო და კუალად მომავალნო! მო-მადლებისათჳს ღ̃თისა, გულსმოდგინეთ მოისმინეთ ესე ჩემი მოწყინებული და იღუაწუთ სული ჩემი და ჩემთა ძმათაჲ! და ამისცა გეყდრები, რათა დიდებულსაჲ დღესასწაულსა ჯუარისა ამაღლებასა, ამას, ჩემეულსა ჯუარსა აღამაღლებდეთ, რომელ ესე ჯუარი ამას უდაბნოსა არა გამოეუას და ჩ̃ნცა დაგულუცებდეთ.

კუალდაც გეყდრები, რომელ ჳნებისაჲ კ̃რ[ი]ს[ტ]ჱსა ესე ჩემეული სახარებაჲ წაიკითხუოდის და რაჲ საკითხავი გასრულდებოდის, ჩ̃ნ დავილოცებოდით.

და მოწმე არს ამას, ჩემსა დაწერილსა, თავად ღმერთი, წმიდაჲ ი-ისმშობელი წ̃ჲ ი̃ნე ნათლისმცემელი და ყოველნი წმიდანი ზეცისა და ქუყანისნი, წ ი ნ ა-მ ძ ღ უ ა რ ი მ ი ქ ა ე ლ, მ ო ძ ღ უ ა რ ი ო ქ რ ო მ ი რ ი, დ ე ჳ ა ნ ჱ ზ ი ს ტ ე-ფ ა ნ ე დ ა ყ ო ველ ი ერ ი ბ ე რ თ ი ს ა ჲ, დიდი და მცირე.

დეკანოზო! გეყდრები, რომელ ესე სახარებაჲ დიაკ̃ნთა სათრეველად არა შეჭ-ქნა და უეკლესიოდ ღამესა არასაჲ გაარებდე, და უ̃ურუ ვინმე სენაკსა შინა და-იდვას, ესეცა წ̃ნი მახარებელნი მრისხანენი არიან მისნი. დიდებაჲ ღმერთსა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“ 340 r — 341 r.

2. „სახელითა ღ̃თისათა: მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, ესე წიგნი მო-გაუსენეთ ჩ̃ნ, კ ო პ ა ძ ე თ ა: ა მ ბ რ ი. შ უ ბ ა მ ან და ზ ა ვ რ ა და ყო-ველთა მომავალთა სახლისა ჩნისათა, თქ̃ნ, ყ̃დწმიდასა ღ̃თისმშობელსა ბერთისასა და სრულად ბერთასა, და შემოვსწერით წულიწადსა შიგან სამ-სამი ლიტრა სან-თელი საკუთნოდ, ამად, რომე მ[ყუ]ი[დ]რად მამული მჭონდა მ ა ს ი უ რ ი და პაპეური და თქ̃ნცა გამითავეთ, ამა პირსა ზედა, რომე სანთელი ხატსა არა მოეშა-ლოს და მანეთი ჩ̃ნ, მისითა სამართლიანითა ყლ̃ათა. და ვინცა [ესე] სანთელი საყდარს არა დაწუას, იგიმცა რისხვას.“

1 r-ზე, მთე მახარებლის პორტრეტის უკანასკნარზე.
შავი მელნით, XIV—XV ს. მკაფიო ნუსხური.

3. „ქ. სახელითა ღმრთისათა ესე წიგნი დავდევით და დაგიწერეთ ჩუენ, ერთო-ბილთა უდაბნოსა ბერთელთა: წინამძღ(უა)რმან და მოძღ[უ]რმან. ვინცა ამა საყ-დრისა დეკანოზი იყოს, ორი გრივი ჰური და ნახევარი დათოქლური გიგოლეთე-

ლი დათოქლური, მისითა* ბარითა, წყლითა, წისქუილითა ყ[ოვე]ლთა [ახალსა ხუთშაფათსა] პურს აქმევდეს უდაბნოსა ბეცის[!თა/ვი]დაღმან მქედლიფრიდაღმან.“

იქვე, ქვემორე, XV ს. მხედრულით.

4. „ჭ. სახელითა ღმრთისათა: მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოლაწმიდისათა ღმთისმშობელისათა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა ყოველთა ნაშობთა უმეტესისა და ჭეშკრიტის მღვდებელისა და ბენედისა ნათლად მწოდებელისა ორანე ნათლისმცემლისათა, მეოხებითა წმიდისა იორანე მახარებელისათა ღთისმეტყველისათა, რომელი საუფლოსა მკერდსა მიყრდნა, მეოხებითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისითა, წმიდათა ყოლად [!] ჭეშტულთა მოციქულთა პეტრესი და პაველესითა; მეოხებითა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ჭეშყანისათა . . . . . , რომელნი სათნო ეყნესეს უფალსა ღმრთისა ჩუენსა იესოს ქრისტესა და კუალად სათნო ყოფადს[ა] არიან, ამა ყოველთა წმიდათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა.

დაგიწერე და მოგახსენე დ[წე]რილი ესე მტკიცე და უქცეველი და ყოვ[ლგა]რ მიზეზ-მოუღებელი, მე, ოპიზისა წმ[წინამძღუარმან] ...ესიძემან დავით: ვენაკი და ყანა მქონდა თქუენგნითვე მოსყიდული, უცილებელი ყო[ვ]ლისა კაცისაგან — ათანასეულ ვენაკი და მარანი, ყანა, მისითა მზღვრითა და წყლითა, ორშაფ[ა]თ დილით შევსწერე და მოვპასენე ყოლაწ[მი]დასა ღმ[მ]შობელსა ბერთასსა, საწყალობელ ჩემ ცოდვილისა სულისათის[!]. მეოხ მექნეს დღეს მას განკითხვისსა და სრულად ღა... რასა ბერთისსა მოძღართა [!] . . და სიმრავლესა წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათასა და გავიჩინე საუკუნო ლაპა დღე ხარება. ვერ შემეცავლოს ვერასა ჯამსა შინა, ვერასა მიზეზისა მოღებითა, ვიდრე ბერთისა საყდარი ეგოს.

ვინც რამანც გუარმან კაცმან მომიშალოს, რასაც მიზეზისა მოღებითა, ჩემთამც ცოდვათა მზღველ დღესა მას განკითხვისსა, რაჟამს ყოველნი შიშუელნი და ჭედრეცილნი წარედგეთ.

მე, დოლისყანისა დეკანოზსა მიქელსა დამიწერია და მოწამეც ვარ... ღმერთმან.“

158 v — 159 v, XV ს. მხედრულით.

5. „ჭ. ესე სიგელი დაგიწერე და მოგახსენე ბერთისა ღმრთისმშობელსა მე, ათაბ[აგ]მან იმირზაფაშა — შევსწერე ბერთული [პ]უ[რი]ს ბეგარი[ე]? იყო, ანუ მისი და ან სხ[ვი]ს[ი]?, ჩემი იყო. მო[ვ]ახსენეთ. რომელმან მოუშალოს, კრულმცა და შე[ჩვ]ენებული, ესე წერილი ჭელ-ყოს და შ[ა]ლოს, რისხვაჲ თავათ [ღმე]რთი და მამა, ძე და სული წმიდა. ვერამან ჩემმან გუარის კ[აც]მან] მოუშ[ა]ლოს, დღეგრძელობ[ა]?, ცოდვანი და ბრალი იმისნი . . . . დოს ღმერთმან.

ამისა დამწერე[ლ]ს მ . . . . . “.

160 r. ლუკა მახარებელის პორტრეტის უკანასტარზე, გაუმართავი მხედრულით (XVI ს.), შავი მელნით.

6. „წ. სახელითა ღ[თისათა, მეოხებითა წ]ა ღ[თისა მშობელისათა ბერთისთა სა[სის]ხარი საქმე იყო გ[უ]ბ ე ლ ი ს ძ ი ს ა და ბ ე რ ნ ს ძ ი ს ა. და შ[ე]ჭ[ყ]ნ[ე]თა გ[უ]ბელ[ი]ს ძემან სატრაპეზოდ ორმოცი კოკა ღ[უი]ნო, ტრაპეზის კოკითა. გაუჩნდა საყურნოდ თევდორობა დღე, რომე ბნ[რს] ძე ინანი ბერთელთ[ა]გან[ე] ილოცვებოდეს. ამას, ვ[ინ]ცა მეტრაპეზე იყოს, იგი მოიკლებდეს, გარდასწყდა მათ შუა სამდურავი და მოყრობის მეტი აღარა დარჩა რა“.

264 v., მკრთალი შავი მელნით,
XV — XVI ს. ნუსხურით.

7. „ჭ. სახელითა ღ[თისათა, არსებადაუბადებელისა ... ისა: მამისა, ძისა, სულის]წმიდისათა, თავსდებობითა თვით თავადისა სასწაულთაგან საშინელისა ანჩისხა-

*) აქ წაშლილია „მთითა“.

21. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

ტისათა, თავსდებობითა და შუამდგომლობითა ყრდ წმიდისა ღ-თისმშობლისათა ბერთისა და პარეხთა ღ-თისმშობლისათა.

ესე წიგნი მოვაწესენე მე, მთავარეპისკოპოზმან ანჩელმან ქერაბინ და ბერთისა წინამძღუ[რ]მან[!] და პარეხთამან მოძღურმან[!], თქუენ, ბერთისა და პარეხთა ღ-თისმშობელსა მირითისა მამაფლისა[!] საქმისათჳს, როგორაცა პატ[რ]ონთა ათაბაგთა დაემტკიცა, აგრეთვე ჩუენ დათმტკიცეთ, რ ორისაჳე უდანშოსათჳს სრულად ლაგრამან ბერთისა და პარეხთამან ერთმანე[რ]თისა კითხულობითა და ბრძანებითა, როგორაცა სანახევროდ დადებულ იყო, აგრეცე დათმტკიცეთ. რომელმანცა შალოს და ანუ ჩაქერელს მისცეს, ანუ ჭრთამისათის ანუ რასაცა მიზეზისათჳს, რისხჳსმცა მამა, ძე და სული წა დ. შემცაიცვლების[!] რჯულისა ქრისტე[ა]ნობი[თ]ჳან. იყავნ კაცი იგი კრულ, წყეულ, შეჩუენებულ დაუსაბამოს ღ-თისა პირითა და ყ-ლთა წმიდათა მისთაგან, მადლითა ყ-ა პატრიაქით[!], მადლითა ყ-თა ე[პ]ს[კ]ოპოთა, მადლითა მჳდარ . . დაცხალი[!] ცათა შინა და ქ-ყანასა ზედა. ვინცა [დაამტკი]ცოს, ღმერთმან აჳრთხნეს."

„მთავარებისკოპოზი [ქერაბინ]"

264 v—265 r, მკრთალი მომწვანო მელნით, XVI ს. ნუსხურით.

მთავარეპისკოპოსის ხელრთვა მედრული ასოებით, ჩართულად, გაურკვევლად.

8. „ქ. თქუენე[!], მოძღურასა ქულიანთელისა ბალახოელსა დემეტრეს მოგახსენეთ ჩუენ, ბერთამან, ერთსულობით კრებულმან — დაბელთა ფალხიური შავგიორგულის აგარაჲ ლულაური. ესე შენისა სიცოცხლეს შნი რა ჭამი მიეცარო, მას უკანით სხუამან ქულიანთელმან ვეღარაჲენ ჰამოს. ბერთისაჲ არს, ბერთას მართებს".

დაბეჭდილ 339 ფურცლის v-ზე, გაუმართავი ნუსხურით, შავი მელნით, ი-მეტი ტექსტი.

9. „დავითს და ძმასა მისსა ბატის შრს ღ-ნ.

97 v-ზე, მარკოზ მახარებელის პორტრეტის ქვეშ, XV — XVI ს. ხელით, ნუსხურით.

10. „ქ. ღმერთმან უშჳოდეს, ამ ოთხთავის ბარზედა ოცდახუთი მარჩილი [წ]ა-[გა]ბაო[?]მივიდა. თემმა იცის.

ყოველად-წმიდაო ღმ[თის] მ[შ]ობელო! ჩემის სული[ს] [სალოცა]ვი იყოს.

160 v. ლუკა მახარებელის პორტრეტის ქვეშ, გადადის 161 r-ს ქვემო ნაპირზე, XV—XVI ს. მხედრულით.

11. „სულსა სულკურთხეულისა კავკასი ძისა გ[იორგ]ისა შრს ღ-ნ."

263 v-ზე ლუკას სახარების ტექსტის ბოლოს, XV—XVI ს. ნუსხურით.

12. „ქ. სულსა ლასურისძისა ბეჭანს და მისსა მეუღლესა საიჯაბათუნს შრს ღ-ნ. და მისსა შვილსა ბედიას შრს ღ-ნ. — სულსა ლასურისძესა მ[ა]თურს და მისსა მეუღლესა შამ[ა]ნდუხს შრ ღ-ნ. და მათსა შვილსა ფარშეანს და ფარეხ[ს]ს [შრ ღ-ნ]."

339 v-ზევე, ზემო მინაწერი საბუთის ტექსტის ქვემორე, XV—XVI ს. ნუსხურით, მკრთალი მელნით.

13. „დიასამიძესა ვარამასა, მის[ა] მეუღლესა ფერიხანსა შუენდს ღმერთმან."

339 v-ზევე, ზემო მოსახსენებლების ქვეშ, შავი მელნით, XV — XVI ს. მხედრულით.

14. „ბერთის მონასტრისა." 2 r, ფანქრით, კალიგრაფიულად.

907

წყაროსთავის სახარება 1195

277 ფ.; 25 × 18; ეტრატი; 1 — 25 ფფ. დაწელილია რვეულებად და ფურცლებად; თავის დროზე ცალკე ჩაწებებული მახარებელთა ოთხი პორტრეტი ამოცვენილია

(6,72,115, 182 ფფ.): უკანასკნელი ფურცლისგან დარჩენილია ეტრატის პატარა ნაჭერი (277 ფ.); მცირედ დაზიანებულია თავგისაგან 213 — 276 ფფ.; ხის ყდა თითქმის მთლად მოცილებულია; ყდის ყუა ტყავისაა; იგი შემკული ყოფილა ვერცხლის მრგვალი, კაბშული ღილებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია; შერჩენილია 84 ცალი; ამთავან დიდ ნაწილს შემომტკრეული აქვს კიდეები და მხოლოდ შუაგული — ამობეურთფული ნაწილია დარჩენილი; ყდას შიგნითა ნაწილები შემოსილია ძველებური მჭიდროდ ნაქსოვი ოქრომკედით ლურჯი ტილოს ფონზე; ნ. კონდაკოვის დასკვნით ქსოვილი XI—XII ს. არის (იხ. აღწერილობის ბოლოს); ყდის ორივე ფრთა მოჭედილია მოოქროვილი ვერცხლით ბეჭა ოსპიზრის ხელით; თავის დროზე ყდას ექვსი შესაკრავი ჰქონია, რომელთაგან დარჩენილია 5 ბალთა (ასეთი ექვსი წყვილი — 12 — უნდა ყოფილიყო) და მათი დასამაგრებელი სამი თიკი (მეოთხე მომტკრეულია); ყდის პირველი (ხემოთა) ფრთის მოჭედილობის ცენტრალური ადგილი ჯვარცმის კომპოზიციას უჭირავს, რელიეფურად გამოსატული ჯვარით და მასზე გაკრული ქრისტეს ფიგურით (თავი მომტკრეული აქვს), ზემოთ ამოტეიფრული (საგანგებო ფირფიტაზე) კლასიკური მთავრული წარწერით; აქვე, ჯვრის ორივე მხარე, გამოქანდაკებული ორი ანგელოზი; ჯვარცმის მარჯვენა მხარეს, ღვთისმშობლის ფიგურაა (წარწერითვე), მარცხენა მხარეს — „იოვანე მახარებელი“ (წარწერით); ეს (ცენტრალური ნაწილი) გარშემოვლებულია ვერცხლისავე გრებილი ჩარჩოთი; გრებილისავე ორმაგი ჩარჩო ახლავს მოჭედილობის დანარჩენ ნაწილსაც; ყდის ამ (ზემო) ნაწილზე, ოთხივე მხრის ცენტრალურ ადგილას ჩასმულია ოთხი ძვირფასი თვალი; ამთაგან ზემოთ და ქვემოთ ჩასმულ მუქ ლურჯ თვლებს დაკარგული აქვს ელვარება და გაბზარული არიან; მარცხენა და მარჯვენა მხარეს მოთავსებული ლალისფერი ორი დიდი თვალი დაუზიანებლად არის მოღწეული; ყდის ამ ნაწილის დანარჩენი კიდეები უჭირავს ოთხ ნაჭრად შემკიდილ ფოთლოვან, ამოტეიფრულ შემკულობას; ორნამენტის ხოლით შემკულია სქელი ყდის ნაირბიც (ქვემო ძგიდეზე მოტეხილი და დაკარგული მხოლოდ 8 სანტიმეტრი ამ მოჭედილობისა); ყდის II, ქვედა ფრთის მოჭედილობა თითქმის იმეორებს ზემოთ აღწერილი 1 ფრთის მოჭედილობას, შემდეგი განსხვავებით: ცენტრალური ადგილი აქ ტახტზე დიდებით მჯდომარე ქრისტეს უჭირავს; მისი თავი, შებოლის ზემო ნაწილისა და თმის (ნაწილობრივ) გამოკლებით, მშვენივრად არის შენახული; დახიანებულია ქრისტეს მუხლები — მოოქროვილი ვერცხლი გადაცვლილა და მოხანს ხის ნაწილები; ქრისტეს ქანდაკების წარწერები მარჯვენა და მარცხენა მხარეს, თავთან: „ᲫᲣ ᲭᲔ; ქრისტეს მარჯვენა მხრისგან დგას ღვთისმშობელი, ლოცვით აჰყრობილი ელენთით; მის ხურაკ უკან, ვერტიკალურად ამოტეიფრულია: „დედაი ღ“თისაი;“ ქრისტეს მარცხენა მბარეს უდგას იოანე ნათლისმცემელი, ვერტიკალური წარწერით: „ი“ნათლისმცემელი;“ იოანესაც და ღვთისმშობელსაც ოდნავ დაზიანებული აქვს თავი; ყდის ამ ფრთას ზემო და ქვემო ზოლების ცენტრალურ ადგილებს ჩასმული აქვს ორი თვალი; ამთაგან ზემო თვალს დაკარგული აქვს ელვარება; ქვემო (მწვანე) თვალი უკეთ არის შენახული (ყდის ამ ნაწილის წარწერები იხ. ქვემოთ, აღწერილობის ბოლოს); სახარება დაწერილია ორი გადამწერის—იოვანე ფუკარალის ძის, მნათისა, და გიორგი სეთაველის ხელით, კლასიკური ნუსხურით, ორ-ორ სვეტად (შემდეგში ის ოსტატურად გაცხოველებული ჩანს, რის გამო ძნელი გამოსაცნობი ხდება ორი გადამწერის ხელის სხვადასხვაობა); [1195] წ. (იხ 272 r-ზე, გადამწერის ი“ე ფუკარალის“ძის ანდერძი); ხელნაწერის ძველი № 40 (გელათში ყოფილა დაცული). დაბრუნებულია პარიზიდან 1945 წ.

„ — პირველი თავი სახარებაჲ მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 7 v — 229 v.

შენიშვნა: 1. წყაროსთავის სახარება დიდი ხანია ცნობილია ქართული ხელოვნების ისტორიაში.

იხ. Кондаков, К. П., Бакрадзе Дм. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПБ. 1890, გვ. 43—44, § 39. — კონდაკოვის დასკვნით წყაროსთავისა და ბერთის ხელნაწერების (NN Q: 906 — 907) მხატვრული გაფორმება „дают важнейшее свидетельство высокого самобытного грузинского

ეროვნული ბიბლიოთეკა

мастерства в эпоху XI—XII вв.“ იხ. აგრეთვე. შ. ამირანაშვილი. ბეჭა ოპიზარი. ტფ. 1937. გვ. 4, 6, 8—9.]

2. ოთხთავის ყოველ ნაწილს წამძღვარებული აქვს:

ა. მათეს თავს: 1 — „ევსები[ოს კარპანოს]ი, [სა]ყურელსა ძმასა, უფლისა მიერ გაკითხვასა! — ამმონიოს ალექსანდრიელმან დიდი ზრომაჲ და გულსმოდგინებაჲ შუა შემოიღო...“ 3 r — 4 r.

ll. „ესე თავები არს მათეს სახარებისაჲ.“ 4 r — 5 v.

ბ. მარკოზისა: „ესე თავები არს მარკოზის სახარებისაჲ.“ 70 r — 71 r.

გ. ლუკასა: „ესე თავები ლუკაჲს სახარებისაჲ არს.“ 112 r—114 r.

დ. „ესე თავები არს იოვანეს სახარებისაჲ.“ 180 v — 181 r.

3. ოთხთავს დართული აქვს: ა. ვრცელი ნუსხები სახარების საკითხავებისა — აღდგომიდან შემდეგი აღდგომის საცისკრო ათერთმეტ სახარების საკითხავებამდე. 230 r — 242 v.

ბ. სახარების საკითხავები, თვეთა მიხედვით: „თ[ვ]ს სკდემბერსა ა, დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ და ჴსენებაჲ წ[ი]ს სუმონ ჭაღებელისაჲ...“ 242 v — 256 r.

გ. „სახარებანი სატფურებისნი.“, „ზეთის ზედა სნეულისასა, ოდეს შჯნი ხუცესნი ჰყვენ..“ 256 r — 258 r.

დ. გამოკრებილი სახარება (ტექსტები). 258 r — 272 r.

4. „ქრონიკონი“ (1185 — 1212 წწ.) 274 r — 275 v.

(ეს არის პასჭალიის კინკლოსი).

ანდერძი (მომგებელისა):

„სახელითა ღ[მრ]თისაჲთა, სამებით ცნობილისა და ერთარსად თაყ[ვ]ნისცემულ[ი]საჲთა, მეოზებითა წ[ი]ს ღ[მრ]სმშობლისაჲთა, ძალთაჲთა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნის ჯუარისაჲთა, ფარვითა წ[ი]თა ზეცისა ძალთაჲთა, მადლითა და შეწ[ე]ვნითა წ[ი]ს ივანე ნათლისმცემელ[ი]საჲთა, შეწ[ე]ვნითა და მეოხებითა წმიდათა და ყოველ ჭებულთა მოციქულთაჲთა, მადლითა და მეოხებითა სასოჭისა და შესავედრებელისა ჩ[ე]ნისა მამისა-მამაჲთაჲსა წ[ი]ს[ა] სჳბაჲსითა და ყოველთა წ[ი]თა ღ[მრ]თისა ნების[ყ]ოფელ-თა, ღირს ვიქმენ მე, არაღირსი და სულით[ა] საწყალობელი ი[ოვან]ე საფარელ-მ[თ]ბ[ე]ვარი და წმიდაჲ ესე ოთხთავი დავწერიე და მოვაკ[ე]ე[ი] ყოველად, სრულებით: თვალითა და მარგალიტითა, ხატითა და ზანდ[ა]ჯითა, კანონითა და ქრონიკონითა სრულითა და დაჲდევ წ[ი]ყაროჲსთავს ხატსა ღ[მრ]თ[ე]ებისსა წინა[შ]ე, სადიდებელად და სალოცველად ღ[მრ]თ[ი]ს[ა]ჲ[ს]ნისანია მ[ე]ფ[ო]თა ჩ[ე]ნ[თ]ა—თამარ[ი]ს და დავით[ი]სჳს, საჴსრად და სალოცველად საწყალობლისა სულისა ჩემისა, მოსაჴსენებლად მშობელთა და ძმათა ჩემთათჳს, ცოცხალთა და გარდაცვალებულთა: და ოთხთავსაჲ თანა მოვაჴსენე ერთი ხატი ყ[ოველ]ად წ[ი]საჲ, თეთრთანად დახატული. ზარზედ მოჭედილი. აწ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა გამოაკუნებს მონასტერსა წ[ი]ყაროჲს თაჲსა, გამო-მცა-ჴ[უ]ებულ არს წესისაგან კრისტეანეთათჳს და ყოველთათცა ღ[მრ]თისა უარისმქნელთა და იუდა ისკარიოტელსა თანა არს ნაწილი და მკ[ვ]დრობაჲ მისი და კრულმცა არს ღ[მრ]ისა დაუსაბამოჲს სიტყჳსა პირითა გაუჴსნელად, მკუდარი და ცოცხალი. და ყ[ოველ]-თა წმიდათა მადლითა აჭა და საუკუნესა და ბრალთა ჩემთა თჳს ღმერთს მან გასცეს პასუხი.

და თქ[ნ], წ[ნო] და ღმერთშემოსილნო მამანო წყაროჲსთაველნო, შესაწირავი ესე ჩემი სასოებით მიითუალეთ, შეინახეთ და კრძალულებით იჴმარებდით, მენებისთჳს უფლისა, და მე წმიდათა შინა ლოცვათა თ[ქ]ნთა ნუ დამივიწყებთ, რ[ათა]. ღმერთმან თ[ქ]ნცა სასყიდელი მოგანიჭოს.

ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროჲ, თ[გ]ლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა ქელთფასი ქ[ვ]. და ვინცა ცუარი ანუ ღილოკილთა დააკლოს და შეუცვალოს რაჲ ამას ნაჴედსა, კრულმცა არს მკუდარი და-ცოცხალი გაუჴსნელად.“ 273 r.

ანდრეძი (გადამწერთა):

1. „ქ[რისტე], ადიდე წმიდაჲ მღდელთ მთავარი ჩ~ნი ი[ოვან]ე მტ[ბევარ]ი. ამინ“.

114 r.. II სვეტში, ლუკას სახარების თავების ნუსხის ტექსტის ბოლოს, სინგურით, ტექსტის ხელით.

2. „უფალო ღმერთო! შეიწყალე სული გლაზ ი[ოვან]ე ფუკარალის ძისაჲ. და ვინცა ა-ღმოიკითხვიდეთ ამას ლუკაჲს თავსა, ნუ დამწყვეთ, ღ~თისათჳს. დღითა მოზუცებულ ვიყავ, ღმეს ესე დავწერე და თ[უ]ლთა სინათლეცა მომკლებია. ღმერთმან გარშემნოს, სულისა ჩემისათჳს ლოცვა ყავთ. სასყიდლით წერაჲ დასტურა არა მიშლის ლოცვასა.“

იქვე, ცარიელად დატოვებული ექვსი სტრიქონის ქვემოთ, წერილი, მკაფიო ნუსხურით ტექსტის ხელით.

3. „დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო! გასრულდა თავი მესამე ლუკაჲსი ჴელითა ი~ე ფუკარალისძისა მნათისაჲთა. ვინცა აღმოიკითხვიდეთ, ნუ დამწყვეთ, ღ~თისა მცნებისათჳს! არამედ თქუთ: „უფალო, შეუნდვენ ცოდვანი მწერალსა ამისსა, ამინ!“

180 r-ზე, II სვეტში, ლუკას სახარების ტექსტის ბოლოს, წვრილად, მკრთალი მელნით.

„ქრისტე ღმერთო! შეიწყალე სული ჩემი!“

206 r-ს ქვემო ნაპირის კიდეზე, მეტად წვრილად და მკრთალად, ტექსტის ხელით.

4. „ქრისტე, მფლობელო ყოველთა სუფევათაო! ადიდე ორთავე შინა სუფევათა წმიდაჲ მღ~დელთმთავარი ი[ოვან]ე მტბევარი, რომელმან ჴელყო აღწერად წმიდაჲ ესე ოთხთაი სჯსრად და მოსავსენებელად სულისა და მშობელთაჲ მათთა. ღმერთმან აღუსრულენ ნებაჲ გულისა მათისაჲ. ამინ, იყავნ. ამინ.“

272 r, სახარების ზანდუკის ტექსტის ბოლოს, II სვეტში, ტექსტის ხელით, უფრო წვრილად.

5. „დაიწერა და გასრულდა ჴელითა ორთა მწერალთაჲთა: ი[ოვან]ს ფ~კრალის ძისა, მნათისაჲთა და გ[იორგი]ი სეთაჲს ძისაჲთა. აწ, ვინცა იმსახურებდეთ, ნუ დაგუწყევთ, ღ~თისათჳს, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქუთ: „უფალო! შეუნდეენ ცო-
დვანი მათნი, ამინ!“
ქრონიკონი იყო: ჳი[ე]“.

272 r-ზე, წინა ანდერძის ქვემოთ.

მელნის დაწვეთების გამო თარიღის აღმნიშ-
ვნელი მესამე ასო თითქმის არ იკითხება.

აკადემ. კ. კეკელიძის წაკითხვით: **უიე-415+780-1195 წ.**

მოჰედილობის წარწერები:

1. „ჯ: რომელმან შეიწირენ მწ[უ]ლილნი ქრისტესნი,
შეიწირე წმიდაიცა ესე სახარებაი, წერით და მოჰედით
სრული, ქმნილი გლახაკისა ი[ოვან]ე მტ[ბევარი]-
სგან, ღმერთო, მსაჯულო სიმართლისაო, ნუ მარ-
ცხუენ დღესა განკითხვისასა“.

II ყდაზე, იესო ქრისტეს თავის ზემოთ,
გრებილი ორნამენტით შემოვლე-
ბულ, ოთხკუთხედ, მოოქროვილ
არეზე, კლასიკური მრგვლოვანით.

2. „ქრისტ[ე]!
შ[ეიწყალ]ე ო ქ-
რომჳ-
[ე]დ ი
ბ ე ქ ა ჲ
ო პ ი ზ-
ა რ ი.“

იქვე, ქრისტეს ტახტის მარცხენა მხარეს, ვერტიკალუ-
რად, ოდნავ მოცრო ასოებით.

3. „ჯ: შენდა მომართ შევსწირავ, მეჯუეო
და ღმერთო ყო[ველ]თა არსთ[ა]ო, ონდოი
ი[ოვან]ე მტ[ბევარ]ი.“

იქვე, ქრისტეს ფეხთ ქვეშ, ზემო (1) წარწერის
არეზე, 1-ლი წარწერის ასოებზე დიდი ასოებით.

მინაწერები [სხვადასხვა ხელით, გვიანდელი]:

1. „სულსა ლაბა კიძესა პაპას და მეუ[ღ]ლესა მისსა გაიანეს
შ̃ს ღ̃ნ.
და ძეთა მათთა ელიაზარს შ̃ს ღ̃ნ: და მახარებელსა და მეუღლესა
მისსა [მ̃ა̃რ̃ი̃ნ̃ე̃] შ̃ს ღ̃ნ.“

2 r-ს დაუწერელ არეზე, ამ გვ. თავში, XV—XVI ს. ნუსხურით.

2. „სულსა ოპიზის და წყაროსთავის მორა წ̃ლ̃ა̃ [?] წუიმიდიძეს იო-
სებ ყოფილსა იოვაკიმს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა წოიმედი[ძ]ეს ბჳრზისს შ̃ნ ღ̃ნ.“

6 r-ზე, მათე მახარებლის პორტრეტის უკანა-
სტარზე, გაუმართავი ნუსხურით, XV—XVI ს.
ხელით, ამ გვერდის თავში.

3. „სულსა ბატონის თინათინის
გაზრდილს მოსიძეს დარაჯას შ̃ნ.“

7 r-ს II სვეტში, შავი მელნით, წინა მინაწე-
რის უკანასკნელსა და მომდევნო სტრიქონზე,
№ 2-ე მინაწერის ხელითა და მელნით.

5. „სულსა ამორ[გ]ჯიბისა შანშესსა შს ღნ. მისა მეუღლესა მეფის ასულსა ელენეს შს ღნ. მრთსა შვილსა დავითს მს ღნ. მისა მეუღლესა ანატასა შს ღნ. და გაბელეთ მიცე[ა]ლებ[უ]ლთა ყ[ლთაე შს ღნ, ა[მ].“

229 v-ზე, II სვეტში, იოანეს სახარების ტექსტის ბოლოს, XVI ს. ნუსხურით, წვრილად.

6. „სულსა ჯმუხს [გ]იორ[გ]ის, მის მ[ე]უღ[ლე]ს გულშარს შეუნდნეს ღ[მ]ნ.“

დაუწერელი 276 ფ-ლის v-ზე, XV — XVI ს. მხედრულით, მკრთალი.

908

გელათის სახარება. XII

III, 293 ფ.; 26×18,8; ეტრატი; მოგვიანებით ნაკეთები სქელი, ფიცრული, ტყავგადაკრული ყდა ვერცხლით არის მოჭედილი (ზომა 27×19,5); ძვირფასი თვლებით შემკული მოჭედილობის ზემო ნაწილი და მახარებელთა გამოხატულებით შემკული ყუა (სიმაღლით 8,5 სანტ.) გატეხილია ზემოდან ბოლომდის; 9 ძვირფას თვალთან ერთად მოტეხილია და აღარ მაგრდება; მოჭედილობისა და ყდის მასიური, ვერცხლის ორი შესაკრავი, ბალთებზე გამოხატული მთავარ-ანგელოზებითურთ ოთხ დასამაგრებელთან ერთად (დასამაგრებლებზე ფრთოსან არსებათა გამოხატულებაა რიცხვით ოთხი), კარგად არის დაცული; ყდის ზემო ფიცრის მოჭედილობაზე გამოკვეთილია ჯვარცმის კომპოზიცია; ჯვრის ორივე მხარეს, ზემოთ—მზისა და მთვარის გამოხატულებაა; ყდის ქვემო ფიცრის მოჭედილობაზე აღდგომის კომპოზიციაა; უფრო ზედ ნაკეთები მოჭედილობის ზემო ნაწილს შემოვლებული აქვს აჟურული ორნამენტი; ეს (ზემო) ნაწილი შემკულია აგრეთვე ორმოცდასამი (43) ვერცხლის ბუდეში ჩასმული თვლით (ორი ვერცხლის ბუდე ცარიელია — თავდაპირველად თვალი ორმოცდა ხუთი ყოფილა); თვლებში ჭარბობს სხვადასხვა მოყვანილობის და მოცულობის ლალი (24 ცალი); არის აგრეთვე ზურმუხტის შვიდი (7) თვალი; ჯვარცმის თავზე დამაგრებული დიდი, გახვრტილი მარგალიტი (ვერცხლის ბუდეში), პატარა მარგალიტი ამკობს ღვთისმშობლის შარავანდედს; ამას გარდა არის ათი (10) სხვადასხვა თვალი; ტექსტი, დაწერილია იშვიათი სილამაზის კლასიკური ნუსხურით, მთლიან სტრიქონებად (გარდა ბოლოში დართული „ავგაროზის“ ტექსტისა — 287—292), უხუნარი ყავისფერი მელნით; დასაწყისი ასოებისა და ზოგიერთი გამოსაყოფი სტრიქონებისათვის უხვად არის ნახმარი ფერუცქელი ოქრომელანი (სინგურ-ნარევიც) და ზოგან (უფრო იშვიათად) სინგური; XII ს.; გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა; ეტრატის ფფ. ზემო ნაწილი ადრინდელი დანესტიანების შედეგად დაზიანებული (იქ, სადაც ფფ. ჩაკინძულია); 21 ფ. მოცილებულია; 32, 39, 40 ფფ. — მოცილებულია ნაწილობრივ, 145 ფ. შემდეგში არის ჩაკინძული დაკარგული ფ. ნაცვლად და ტექსტიც დაკვეთილია XVIII ს. ხელით; 1 r — III r, 30 r — v, 90 r — v. — დაუწერელია; ბევრ ადგილას იმთავიდანვე ამოჭრილია ფფ. და დატოვებულია ფფ.-ის ქვემო ნაპირის ზოლი: 22—23, 24—25, 30—31, 32—33, 64—65, 70—71, 78—79, 88—89, 90—91, 98—99, 114—115, 116—117, 122—123, 129—130, 141—142, 183—184, 193—194, 193—194, 222—223, 237—238, 245—246, 248—249, 252—253 ფურცლებს შუა; ტექსტს არ აკლია; ფურცლების რაოდენობა რვეულებში არათანაბარია (რვეულების სათვალავი იწყება მეორე (2) ფურცლიდან: 1 — III — 1 ფ. ფ. სათვალავს გარეშე არის დატოვებული): ა-ის 9., ბ- 4 ფ., გ-დან მოყოლებული კი ბოლომდის 8 — 8 ფ. შეიცავენ ბოლო უკანასკნელი — ლთ რვეული შვიდ-ფურცლიანია; ხელნაწერის ძველი № 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი შემკულია მრავალი ფერადებით მოხატული ასოებით (აბზაცების დასაწყისში) და ოქროს ფონზე ფერადებით შესრულებული 347 მოთოულობით:

თავკაზმულობით:—1r, 12 r, 16 r, 88 r, 92 r, 141 r, 221 r, 224 r, 280 r, 283 r, 287 r; **კანონებით**"—3 r—v, 4 r — v, 5 v, 6 r—v, 7 r —v, 8 r—v, 9 r—v, 10 r—ამთავან 3 r—v, 4 r — v, ფფ. დაზიანებული და უხეიროდ რესტავრირებულია; **მინიატიურებით** — 15 v, 16 r, 17 r — v, 18 r (2), 18 v, 19 r — v, 204 r — v, 21 v (2), 22 r — v, 23 r, 23 v (2), 24 r, 31 r — v, 32 r v, 33 r — v, 34 r — v, 35 r — v, 36 r — v (4), 37 v, 40 r, 41 v, 42 v, 44 v, 45 r, 49 r, 50 r — v, 51 r, 52 v, 53 r — v, 54 v, 55 v, 56 v, 57 v, 60 r, 61r; 63 r — v, 64 v, 65 r — v, 71 v, 75 v, 77 r — v, 78 r, 79 r, 80 r — v, 81 v, 83 r (2), 83 v, 84 r, 85 r — v, 86 r — v, 87 r (მათეს სახარების ტექსტში).

91 v, 92 v, 93 r (2), 93 v, 94 r — v, 95 r (2) 95 v, 96 r, 97 r (2), 98 r — v, 99 r — v, 100 r — v, 102 v, 103 v, 104 v, 105 r, 106 r — v, 108 r, 109 r—v, 110 r, 112 r v, -113 r, 114 r, 115 r — v, 117 r, 118 r, 119 v, 120 r, 121 r, 122 r, 123 r, 123 v (2), 126 v, 127 v, 128 r, 130 r, 131 r, 132 v, 133 r — v, 134 v, 135 r — v, 136 r, 136 v (2), 138 r — v, 140 r (მარკოზის სახარების ტექსტში).

144 v, 146 r — v, 148 v, 150 r, 151 v, 152 v, 153 r, 154 r — v, 155 v, 156 r, 156 v (2), 157 r, 158 r — v, 159 r — v, 160 r, 161 r — v, 162 r — v, 163 v (2), 164 r, 167 r. 168 r, 169 r, 170 r, 171 r — v, 172 r. 173 r — v, 174 r, 175 v, 176 v, 177 v, 179 r. 180 v, 181 v, 182 v, 183 v, 174 v, 189 v, 191 v, 198 v, 201 r, 202 r — v, 204 r, 207 v, 210 r, 211 v, 212 v (2), 213 r — v, 214 r, 215 r — v, 217 r — v, 218 r, 219 r — v, 220 r — v (ლუკას სახარების ტექსტში).

224 r, 225 r — v, 226 v, 227 r — v, 228 r, 229 r, 230 v, 231 v, 234 r, 235 r, 238 r, 239 r — v, 243 r, 245 r, 248 v, 252 r, 255 r, 256 r, 257 v, 259 r — v, 260 v, 268 r — v, 269 r — v, 270 r — v, 272 r (2), 273 v, 274 r — v, 275 r — v, 276 r — v, 277 r — v (იოანეს სახარების ტექსტში).

287 r — v, 288 v, 289 r — v, 290 r — v, 291 r, 292 r (2) — „ავგაროზის" ტექსტში.

ოდესღაც ყოველ მინიატურას სათვითაოდ დაფარებული ჰქონია თეთრი დარაიის ქსოვილი; ზოგი მათგანი ჩვენამდის შერჩენია (45 r-ზე, 54 v და სხვანაც). მრავალ ადგილას დარჩენილია ქსოვილის დაწებების კვალი (1 r, 12 r, 16 r, 17 r, 100 r და სხვა მრავალი). დაბრუნებულია პარიზიდან 1945 (ძველი № 39).

„სახარებაჲ მატთესთავი. წიგნი შობისა იესუ ქრისტჱსი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შვა ისაკ..." 16 r—173 v.

შენიშვნა: 1. „გელათის სახარება", როგორც ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი, დიდი ხანია იპყრობს ხელოვნების მცოდნეთა ყურადღებას.

იხ. Кондаков, Н. П. История византийского исскуства и иконографии по миниатюрам греческих рукописей. Одесса, 1877. გვ. 280.

არის ფრანგული თარგმანიც ამ შრომისა, გამოცემული პარიზში, 1886.

Кондаков Н. и Д. Какрадзе. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Спб., 1890, გვ.50 — 51, § 43.

Покровский Н. В. „Миниатюры евангелия гелатского монастыря XII века". Спб. 1887.

Покровский Н. В. „Описание миниатюр гелатского евангелия" (Записки отдела русской и славянской археологии имп. русского археологического общества, IV, стр. 255 — 311).

შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი. ტფ. 1937. გვ. 14. („ავგაროზის" გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანისათვის).

„გელათის სახარების" ბოლოს დართული ბერძნული ტექსტებისათვის იხ. თ. ყა-

უხჩიშვილი. ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები. საქართველოს სსრ მეცნიერების აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის **მომხსენებელი**, ტ. II, 1951, გვ. 471. § 7 *.)

2. ოთხთავის ტექსტს წამძღვარებული აქვს:

ა. „**გეორგი**“ [მთაწმიდელის] „სტიხორონი“ (III ს. ტექსტი იხილე ქვემოთ შენიშვ. 5).

ბ. „ევსები კარპიანეს, საყოჯარესა ძმასა, უფლისა მიერ გიკითხავ! — ამმონიოს ალექსანდრიელმანცა დიდი შრომაჲ და გულსმოდგინებაჲ უფუა შემოიღო და ოთხთაჲ მათ დაგჳწერა ჩ~ნ სახარებაჲ...“ 1 r — 2 v. (დაწერილია ორ-ორ სვეტად).

გ. „კანონების მოხატული ტაბულები, სვეტოვანი კამარებით, მცენარეებისა და ადამიანების გამოხატულებით შემკული. 3 r — 10 r.

3. ოთხთავის ცალკე ნაწილებს წინ უძღვის თავების ნუსხა, დაწერილი ორ-ორ სვეტად: 12 r — 14 r; 88 r,-89 r. 141 r — 143 v, 221 r — 222 r.

4. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს: ა. „ნიშაննი და ავაჯჯნი სახარებისაննი და სამოციქულოჲსაննი ბერძოჳლსა გოჯარსა ზედა.“ — ბერძნული ტექსტი ათ სტრიქონად 279 r, რომელსაც მისდევს:

„ჭ. იგივე, ქარ~თულითაცა ასოჲთა. ✝
ოქსია პროს ოქიან ვარიე ვარიე
კათისტე კათისტე სჳრმატიკი კეტელია ✝
პარაკლიტიკი კეტელია + პარაკლიტიკი
კე ტელია ჯპოკრისის ჯპოკრისის. ჯუპო—
კრისის კრემმასტე კრემმასტე აბესო
ეჭსო. ოქსია კეტელია + აპოსტროფოს
აპოსტროფოს აპოსტროფოს სჳნემბა
კეტელია + კენტიმატა კენტიმატა ოქსია
კეტელია + ოქსიე დიპლე დიპლე ვარიე
კენტიმატა კე აპოსტროფჳ.“ 279 v.

ტექსტის ბოლოს, ოქრომელნით:

„ამათ ნიშანთა ზედა იკითხვენ ბერძენნი სახარებასა და სამოციქულოსა: —“

როგორც ბერძნულს, აგრეთვე ქართულ ტექსტს

ახლავს „კითხვის ნიშნები“:

შდრ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I, 1941 წ., გვ. 553.

ბ. „ზანდუკი სახარებისა საძიებელისაჲ საწელიწდოჲ. წმიდასა კ[ჳრიაკესა აღსვებისასა,ჲ სამრად: სახარებაჲ იოვანესი ა — პირველითგან იყო სიტყჳ:“ 280 — 282 v.

თავდები: „სახარებანი საცისკრონი აღდგომისნი-თ“.

გ. სახარების საწელიწდო საკითხავების ნუსხა (თვეთა მიხედვით):

„ა. სეკდენბერსა დღე ლ. თავი ინდიკტიონისაჲ, დაწყებაჲ წელიწდისაჲ“. 283 r — 286 r.

თავდები: „მსგფსისა სახარებანი. — ორშაბათსა...“

დ. „ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ ქალაქისა ედესისაჲ, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩ~ნსა იესუ ქრისტესა და წარსცა ანანიაჲს მიერ,

*) აქ გამოთქმულია აზრი, თითქოს ხელნაწერი იერუსალიმში იყოს გადაწერილი. ეს არ არის სწორი. მათეს სახარების ტექსტის ბოლოს ოქრომელნით მიწერილი: „აღიწერა იერ~ლმს“ გულისხმობს არა გელათის ხელნაწერის, არამედ **სახარების პირველადი ტექსტის აღწერას** იერუსალიმში მათეს მიერ.

მოციქულისა, იწრუსალიმს — ავგაროს, მთავარი ქალაქისა ედესიისაჲ, იესუს, მაცხოვარსა სახიერსა, მეუფესა გამოჩინებულსა ქალაქსა იწრუსალიმსა, გახარებ. — მესმა შენთჳს და კურნებათა შენთათჳს...“ 287 r — 292 r.

ტექსტში, 287 v დან: „პასუხი მიწერილი იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ. — ნეტარ ხარ შენ ავგაროს“ ...„და წმიდისა მანდილისათჳს.“.

„ავგაროზი“ გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა არის. (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ., 1941, გვ. 197—198).

5. გიორგი [მთაწმიდელის] „სტეფანწინა“.

„განსაკრთომელთა ღ[მ]თისა საქმეთა წიგნი: —

ემბაზით მადლთაჲთ აღმომშობელი ჩ[ნ]ი: —

ოჳტკივარად გაკუს, ოფლით ნამუშაკევი: —

რომელთა გწყურის, სუმბდით წყალსა ცხოველსა: —

გარნა ჩემდადაც ილოცდით, რომლისასა

ოტყჳნ თავი სტიხოსთანი სახელსა: —“

III v-ზე (r- დაუწერელია, ისე როგორც v-ს დანარჩენი არე); ტექსტის ხელითა და მელნით; დასაწყისი ასო გ მოხატულია სინგურით, აჟურულ ფოთლებად (ზომით 3×2) და ამ ასოს (ქ) წინ სინგურითვე დახატულია პატარა ზომის ჯვარი (7×4 მმ.).

აკროსტიხის სტრიქონები დაწერილია ლექსის ფორმის დაცვით და ყოველივე სტრიქონის დასაწყისი ასო სინგურით (დიდი ასოთი) იწყება (ზომა: 1, 5 სმ. — სიმაღლე).

სტრიქონები მთლიანად არ არის გამართული; გარდა უკანასკნელისა, თითო-ოროლა სიტყვა გადატანილია შემდეგ სტრიქონზე, შეწევით. კიდურწერილობა იკითხება: „გეორგი.“

შდრ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია.

I, თბ. 1941, გვ. 206 — 207.

ანდერძი (გიორგი მთაწმიდელისა):

„ესე საცნაურ იყავნ ყ[ველა], რ[ა] ესე წ[ა] ოთხთაჳი ახლად გჳთარგმნია, ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა, და ბერძულთა სასარებათადა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღ[მ]თისათჳს, სატყჳთა ნუ სცვალებთ, არამედ ჯ[ა]აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რაჲმე გაშუქდეს, ჩ[ნ]ნი ყ[ნ]ი სახარებანი პირველითგან წ[მი]დად თარგმნილნია და ეკითლად, ხანმეტნიცა და საბაწმიდფურნიცა; მუნით დაწერეთ და ღ[მ]თისათ[ჳ]ს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ[1] და გლახაკისა გ[ი]ორგ[ი]სთჳს, რ[ომელ]მან ესე ვთარგმნე, ლოცა ყავთ.“ 278 v (ძე. პაგინაციით — 277 v).

მინაწერები (ტექსტის ხელით):

1. ... [მეზოვერე] და აწ მახარებელი მატთე
მაღალთა ნიჰთა მომთხრობელობს ჩვენდა,
ესე იგი არს ღ[მ]თისა [უთესლო]
ქრისტეს შობაჲ ქალწულისაგან უქორწინებელისა,
აღზრდაჲ ჩჩკლებრივ, ნიშთ მოქმედებაჲ,
ღთებრ ენებაჲ კაცთათჳს: ბასრობაჲ,
ყოჳრიმლის ცემაჲ, ჯოარცოფმაჲ, დაფლვაჲ
და ღთივბრწყინვალე აღდგომაჲ,
ზეცად მამისა აღსლვაჲ და დიდებული
ზეცით ჭ[ა]ნად მოსლვაჲ საშინელებით,
კაცად-ყაცადსა მიგებად საქმეთაებრ
და მუნ განგღოს წიგნი საქმეთა ჩ[ნ]თაჲ.“

15 v-ზე, მათე მახარებელის პორტრეტისა და ამ პორტრეტის ორნამენტიანი ჩარჩოს ოთხ კუთხეში დახატულ მცენარეთა გარე-შემოვლებული სამი მხრით: ზემოთ (1), მარცხენა მხარეს (2). და ქვემოთ. (2).

სინგურ-ნარევი ოქრომელნით, მრგვლოვანი ასოებით (მარცხენა მხარეს ვერტიკალურად ჩამოშვებული წყვილი ასოთი).

2. „[ქრისტ]ეს ქადაგთა მოციქულთა თხემისა — პეტრეს — მოწაფე მარკოზ მახარებელი მეორედ წიგნად წერს გამოუთქმელისა [სიტყვა]თა და კა

. . . . . .

‘ჳ ‘დ ‘ი ‘ა ‘ლ ‘ბ ‘ჱ “ “ ეიდრე

სიკუდიდმდე ენებათა მითოჳალვასა
ოქოჳდაევებისა ჩ~ნდა მომატყ -
ოებელთა და თჳთ მწყემსთმთავრებრ
ჰმოძღურის ალქსანდრელთა დიდი ქადაგი
ყ~ლის ეგჳპტ ი ს ა: ქ:„

91 v-ზე, მარკოზ მახარებელის პორტრეტის ირგვლივ, იმავე წესით, როგორც 15 v-ზე (იხ.).

სინგურნარევი ოქრომელნით, მრგვლოვანი ასოებით:

მარცხენა მხარის ვერტიკალურად ჩამოწერილი ასოების უდიდესი ნაწილი ჩამოპრილია და ალარ იკითხება.

3. „ქ. პირველ სიბრძნესა ღ~ალინო, დიმოსთენი და ი პ პ ო კ რ ა ტ ო, ა ს კ ლ ი პ ო, ე რ მ ი ო ნ ს ა და [ყორნებისჲ] . . . . [თჳმ დასა-] ვლოჳლი, აწ ორკერძოჲ[ვე] მკოფრნალ სულთა და ჯორკთა გამოჩნები ლუკა, რ~ მოძღოჳრად აქოჳნდა ღმრთივწოდებული პავლე. ჰურ რჩეული და უერცელსად წერს წიგნსა შობისასა, ნათესავთ რიცხოჳსა რიტორებრ აღმო- ერჳველი: და ყოველსავე თჳს-თჳსად წარმოიტყოჳს, ვიდრე სულისა საღ~თოჲსა მოპერჳადმდე და თჳთ საკუთრად ჰმოძღოჳრის იტალიელთა.“

144 v-ზე, ლუკა მახარებლის პორტრეტის ირგვლივ, იმავე წესით, როგორითაც მათე და მარკოზ მახარებლების პორტრეტების გარშემო, ისეთივე ოქრომელნითა და ასომთავრული ასოებით.

4. „ქ. ქუხილთა ძემან, ჴალწულ-მახარებელმან,

ძიდ ჭალწულისა ჳსძლოჲსა წოდებულმან,
ბრწყინვალებამან დიდთა მოციქულთამან და ოჳ-
ფროჲს მათსა ქრისტეს შეყოჳარებულმან
და მკერდსა მისსა საღ~თოსა მიყრდნობილმან,
უმაღლეს სხოჳათა იქოჳხა სახარებაჲ,
დაუსაბამოდ ღმრთადრე იღმრთისმეტყოჳელა,
იგიეე კაცად ჴორციშესხმულად ასწავ-
ა ღმერთმოქმედებაჲ და ენებათა თავსდებაჲ
საცხორებელი პატმოს შ[ინ]ა აღწერა და მიერ
მზეებრ ზოგად ყ~თა ზედა სწავლით მიჰფინა
ღმერთყოფისა მიმთხ~ვე. ქ.“

223 v-ზე. ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს პორტრეტის გარშემო, იმავე წესით, როგორც მათე, მარკოზ, ლუკას პორტრეტების გარშემო; ისეთივე ოქრომელნითა და ასომთავრულით.

5. (მერმინდელი): ჴელათის მონასტრის არჭიმანდრიტის სე რ ა პ ი ო ნ ი ს მინაწერი II ყდის შიგნით.

შენიშვნა: „ამა სახარებასა შინა არის რიცხვით ორასოთხმოცდათორმეტი *) დაწერილი ეტრატზედ ფურცელი, რომელზედაც თჳთოეულს სიტყუაობაზედ არის ოქროს ვარაყით მხატვრობანი თჳთოეულთა სახარების მოთხრობითა სასწაულთანი. ხოლო დაუწერელნი პატივად ხუთი ფურცელი ეტრატი. ხოლო ესრეთი [!] სახარება გარედგან არის მოჭედილი ვეცხლით, ხატებით. ერთის მხრით ჯუარცმა და მეორე მხრით აღდგომა და უკანა მხარეზედ ოთხი მახარებელი და ერთის მხრით **ორმოცდაოთხის** (**) სხვადასხვაჯვარის ძველის ქვებით შემკობილი და ამ რიცხჳს გარდა აკლია ერთი ქვა დიდი ზნიდგან.

გაენათის მონასტრის არხიმანდრიტი სეროპიონ.

24 ს აპრილს,
1886 წელსა .
მ. გაენათი.“

909

ქორწინებისა და სხვ. დავთრები

გადატანილია დოკუმენტების Q კოლექციაში.

910

ჟამნი. 1833

147 ფ.; 17,5 × 11; ქაღალდი; ჯუყიანი; ტყავით შემოსილი ხის ყდა ჯაცქეთილი და ნახევრად მორღვეულია; ყდა და ზოგიერთი ფ. ჭიისაგან დახიანებულია; მოცილებულია 1—5 ფფ.; სწორი, გარკვეული მხედრულით; 1833 წ. (იხ. 11 ყდის შიგნით მინაწერი).

«ჟამნი» „ცისკრისა. — . . . . . შენი. აწ გულისხმა ყავ, რამეთუ აცხოვნა უფალმან ცხებული თჳისი...“ 1 r — 147 v.

წყდება: „ჰე, დედოფალო ჩემო, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! არა არს ჩემ ზედა სხვა უმაღლეს ქვეყანასა ზედა და ცათა შინა, ვითარცა შენ შემდ...“

შენიშვნა: ა. თავბოლო ნაკლული ტექსტის შედგენილობა:

1. „[ჟამნი] ცისკრისა“. 1 r — 43 v.

2. „ჟამნი მწუხრისა.“ 44 r — 59 v.

3. „დაუჯდომელი ღვთისმშობლისა (თავნაკლული)“. 60 r — 67 v, 103 r — 110 v, 127 r — 147 v.

4. „გალობა უფლისა... მიმართ.“ 111 r — 126 v.

ბ. 1 ყდის შიგნითა არე და ზოგიერთი გვერდის კიდეები დაფარულია დაბადება-გარდაცვალების თარიღებით:

„ბათლომე ჯაფარიძე დაიბადა თვესა აპრილსა თოთხმეტსა, დღესა ხუჩაფათსა, ქორონიკონს **ჩყი**“.“

11. ყდის შიგნით: „განსრულდა. დიდება ღმერთსა. **ჩყლგ**-სა წელსა, თვესა აგვისტოსა.“

*) 227 ფურცლის შემდეგ აღნიშნულია (შეცდომით) 227 — რასაც ვასწორებთ ფანქრით 228 — 293-დის. ქ. შ.

**) ამჟამად ორმოცდასამი (ორი ცარიელი ბუდეა).

911

ოთხთავი. 1687

228 ფ.; 14,2 × 10,5; ქაღალდი; ტყავით შემოსილი ხის ყდის შიგნითა მხარეზე გაკრულია ძველებური ქსოვილი; ხელნაწერი მჭიდროდ არის ჩასმული მოკვრივილი ვერცხლის მოჭედილ კუბოში, რომლის ზემო ნაწილზე მთთავსებულია ჯვარცმის გამოხატულება, ქვემოზე — ქრისტე, ეშმაკის დამთურგნელი; ივგაროზ მთავარი, ღვთისმშობელი და სხვ.; ამ ნაწილის მარჯვენა კიდეზე ამობურცულია ოთხი ქანდაკება; კუბოს ყუაზე — წარწერა, რომელიც იხსენიებს ზურაბ წერეთელსა და სხვ. (იხ. აღწერილობის ბოლოს); ნუსხური (მდარე ხელი); გადაწერილი კოზმა (226 v): 1687 წ. (226 v); თავსართშეულობა: 79 r, 117 v, 174 v); [მოგვიანებით ჩაკრული ჩანს] მახარებელთა ფერადი პორტრეტები: 1 v, 78 v, 116 v, 173 v.; დაბრუნებულია პარიზიდან 1945 წ.

სახარება მათესი, თავი პირველი. სახარებაჲ მათესი[!]. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ..." 2 r — 210 r.

შენიშვნა: 1. მარკოზისა და ლუკას სახარებას წამძღვარებული აქვს „თავების" ნუსხა (75 v — 76 v; 114 v — 115 v).

2. სახარების (ოთხთავის) ტექსტს დართული აქვს ზანდუკი:

„ბრწყინვალესა კურიაკესა აღსებისასა სამხრად სახარებაჲ იო[ვან]ესი.—პირველითგან იყო.." 210 v—226 v.

ანდერძი: (გადამწერისა):

1. „ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი". 76 v.
2. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი კოზმან ბერი..."
3. „ციდებაჲ ღმრთსა, სრულ მყოფელსა ჩვენსა!
ვი შენ, ჩემო ჴელო, თუ მიწამ შ[ე]გჭამოს!"
117 r, ლუკას სახარების „თავების" ნუსხის ბოლოს.
4. „ღმერთო, მამაო, ძეო და წ[ი]დაო სულო!
შეიწყალე ფრიად ცოდვილი კოზმან!"
210 r, იოანეს სახარების ტექსტის ბოლოს,
II სვეტში.
5. „დაიწერა*) წ-ჲ ესე სახარებაჲ
ჴელითა ფრიად ცოდვილის კოზმანი-
სითა; ღმერთმან იცის, რაჲცა ძალ-
მედვა სიმართლეს ვე-
ცადე. ნუვინ დამწ-
ყვეთ, ღ´თის გულისათჳს.
ვინც შენდობა ბძანოთ, ღმერთმან
თქვენცა შეგინდვნეს. სრულ-
იქმნა წმიდაჲ ესე ოთხთავი
მარტს იზ, ხუთშაბათს კგ,
ჩ´კს ტოე, მეფობასა
გიორგისსა.." 226 v, „ზანდუკის ბოლოს, სინგურით.

წარწერა (მოჭედილობის ყუაზე):

„მოიხსენე, უფალო, სალთხუცესი წერეთელი ზურაბ და მეუღლე მისი დადიანის ასული თამარ და ძე მათი გრიგოლ, მეუღლით, ძითა და ასულითა." მხედრულით, გაკრული ხელით.

---

*) ტექსტში „დაიწერე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: (სხვა ხელით):

1. „უფალო იესო ქრისტე! მოიხსენე მონაშა [!] შენისა რევაზისა,
ანანასა და პეტრეს და იოვანეს დ ელისაბეთ და ანასტასია.“
1 r, გაუმართავი მხედრულით, 4 სტრიქონად 1 r-ზე.
2. „თავდის გრიგოლ წერ-
ეთლის არის წა სახარ-
ება . . . . . .
. . . . . .
თ[ა] გრიგოლ წერეთელი.“
1 r-ზევე, მხედრულად; დიდი ნაწილი გადასული თუ ამოფხეკილია და ალარ იკითხება.
3. „უფალო იესო ქრისტე! მოიხსენე მონაშა [!] შენისა რევაზისა და ანანასა და პეტრეს, იოვანეს და ელისავეთ და ანასტასიე. ს[ა] საათაბაგოს მიტროპოლიტის ეგნატიოს.“
77 v, № 1 მინაწერის ხელით.
4. ბერძნული მინაწერი 116 r.
5. მინაწერი არაბული დამწერლობით — 174.

912

პირველნაბეჭდი სახარება. 1709

158 ფ.; (ნაბეჭდი ტექსტი პაგინირებულია: ა — ტბ გვ. + თავფურცელი და ორი აუნუმსხვი ფ.); 26×18; ღრმად შემოჭრილი ფფ. კიდეები ოდესღაც ოქროს ვარაყით ყოფილა დაფარული; ნაწილობრივ დაფურცლული და კიდეებ-შემოცვეთილია, ზოგან გახეული — 107, 115, 143, 153 —; დაიბებული; ნაბეჭდ ტექსტს აკლია ბოლოში ვახტანგის პოტრეტი; ტექსტის წინ და ბოლოში ჩაკინძულია რამდენიმე დაუწერელი ფ. (1,2; 156 — 158); მაგარი ფიცრული ყდა მოჭედილია მასიური, ალაგ-ალაგ მოთხრობილი ვერცხლით (27,5 × 20); ყდას სადა ვერცხლის ყუა აქვს, ოთხ ადგილას ორმაგი მოთკრეფილი ნახევარწრიული ორნამენტის ხლართ შემკული; ყდის ზემოთა ფრთას ოთხკუთხედ მოვლებული აქვს ორმაგი ორნამენტის ვიწრო ზოლი; ამ სამკუთხის შიგნით ოთხკუთხ ჩარჩოდ მოვლებულია $2^1/_2$ სმ. სიგანის ყვავილოვან-ფოთლოვანი ნაჭედობა, მარცხნივ და მარჯვნივ მოთკრეფილი გვირგვინით შემკული; ჩარჩოს შიგნითა კუთხეებში ოთხი ანგელოზის ბიუსტია დაკრული; ანგელოზების გამობატულობას ერთი მხრიდან შემოვლებული აქვს ფირუზიანი ოქროს ღილები (34 ცალი); ყდის ცენტრალურ ადგილს შემოხაზულ ჯვარის გამოხატულობაზე დაკრულია დიდრონი ფირუზები, რიცხვით ათი; ჯვარის თავსა და ბოლოს ამობურცულია თითო გვირგვინი; ჯვარის კუთხეებში—ოვალური ფოთლოვან-ყვავილოვანი სახეებია (4); ყდის II ფრთა იმეორებს პირველის მოჭედილობას, იმ განსხვავებით, რომ აქ ცენტრში ჩაკრულია ქრისტეს (მოთკრილი ვერცხლი) ხატი, რომლის ზემოთ ორი მომსწო და სამი პატარა ფირუზის ღილის დაკვირით გამოსახულია ჯვარი; ყდის ამ მეორე ნაწილზედაც გამოჭედილია ხუთი მოთკრილი ვერცხლის გვირგვინი; ყდას აქვს ვერცხლის ორი დაუხიანებელი მასიური შესაკრავი დაბრუნებული პარიზიდან 1945 წ.

შენიშვნა: 156 r-ზე, ხელით (ნუსხურით) ჩამოწერილია „სახარებანი მიცვალებულთანი“.

წარწერა შვიდ მუხლად II ყდაზე, მხედრულით (ოქროჭედლისა), საკმარისად გაუმართავად შესრულებული:

„მთაურინა ეკატერინა. ჩყოგ წელსა.“

მინაწერები (მხედრულით):

1. „ჩყაბ წელთა. ოდიშის დედუფლის, წერეთლის ასულის მართას მხითჳს არის ეს სახარება“.
2. „ღმერთო, შეიწყალე და[დ]იანი ლეო[ნ]. Леон Дадиани.“ (ლევან დადიანის ავტოგრაფი).
3. „ეს წმინდა სახარება მოვაპედინეთ და შევამკეთ თვლებით მე და ძმისმან ჩემმან კნიაზმა მეგრელიისამან ნიკოლაოზმან. და დავსვენეთ ჩვენს საზაფხულო სასახელეს, ეკლესიასა შინა, გორდს. 1872 წელს, 9 მაისს. მთავრინა ეკატერინა.“ (ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ავტოგრაფი).
4. „ჵ: ოდეს ჟამთა ვითარებისაგან მეფე ვახტანგ მიბრძანდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოს [!], თან ვაახელ ნიკოლოზ აბაშიველი; ვეკურთხე არქიმანდრიტად, დიდის ჯელმწიფის ბრძანებითა და წმინდის სინოდის შუნდობით და კურთხევითა ქრს ჩლ̃ლვ, თვესა სეკდემბერს: კ..“ ბოლოში დამატებით ჩაკნძული, აწ ამოვარდნილი 157 ფ. r-ზე, ლამაზი მხედრული ხელით.

913

ა

ალექსი ბაქრაძის წიგნების სია. 1891

5 ფ.; 18 × 11; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, დაფურცლული; მხედრული; 1891 წლის, 13, IX (5 v); ალექსი ბაქრაძის ხელით; შემოწირულია მარიამ ფოფხაძისაგან, 1947, X.

„კათალოგია[!] მღვდლის ალექსი ბაქრაძისა.

1. ავგაროსი.
2. აკათისტო იესო ტკბილისა.
3. აკათისტონი: მიძინებისა ღვთისმშობლისა... დანინა ქართველთ განმანათლებელისა, ჩემ მიერ გადმოთარგმნილი რუსულიდამ ქართულად.
4. ათორნის მუარველობა. ჩემ მიერ თარგმნილი..“ 1 r — 5 v.

შენიშვნა: 1. სულ 157 სახელწოდება, ანბანურად დალაგებული, შემდგენელის შენიშვნებით ზოგიერთი წიგნის შესახებ.

მინაწერები:

1. „ეს ბიბლიოთეკა არის ჩემ მიერ შეწირული ჩვენი ეზოს ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიის წიგნთსაცავში. მღვდელი ალექსი ბაქრაძე. 1891 წ., სეკდენბრის 13.“ ტექსტის ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შემომწირველის მ. ფოფხაძის ცნობა: „კალიგრაფ ალექსი ბაქრაძის წიგნების კატალოგი აღმოჩნდა მამაჩემის ვლადიმერ გაბრიელის ძე ფოფხაძის არქივში. მამაჩემი ალ. ბაქრაძის შესახებ ერთ-ერთ ხელნაწერში წერს: . . . . რომ ტომ ერისთვის მდიდარი წიგნთსაცავი ბოლო დროს რაჭაში კარგად ცნობილის მწიგნობარ-კალიგრაფ-ბიბლიოფილის ს. სვეის მღვდლის ალექსი ბაქრაძის საკუთრებას შეადგენდა. ამ მღვდელმა მცირამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში, ღრმა მოხუცებულობის დროს სამსახურს თავი დაანება და საბერძნეთში, დიდ ათონზე წავიდა ივერიის მონასტერში საცხოვრებლად და იქ გარდაიცვალა. ხოლო მის წიგნთსაცავს რა ბედი ეწვია: თან წაიღო თუ აქ ვინმეს დაუტოვა, დანამდვილებით ვერ გავიგებთ. საფიქრებელია თან წაიღო, რადგან მეტისმეტად უფრთხილდებოდა ხელნაწერ წიგნებს...“

მ. ვ. ფოფხაძე.

1947 წლის
ოქტომბერი.
ქ. თბილისი.“

შენიშვნა: 2. ალექსი ბაქრაძის წიგნების სიის მინაწერი ეჭვს არ ტოვებს, რომ ის 157 წიგნი, რომლებიც წინამდებარე ხელნაწერშია აღნუსხული, პატრონს მიძინების ეკლესიის წიგნთსაცავისთვის შეუწირავს და თან არ წაუღია.

ბ

რჯულის კანონიდან ამონაწერი. 1870

7 ფ.; 17,5 × 11; ქაღალდი; უყდო; ლაქებიანი; მხედრული; 1870 წ. (6 r); [გიორგი ფოფხაძის ხელით. იხ. მ. ვ. ფოფხაძის შენიშვნა; 7 ფ.].

„ჴელით დაცემის კანონი ესრეთ მიეცი, მოძღუარო! და მიეცი: ორმოც დღეს უზიარებლობა...“ 1 r — 6 r.

შენიშვნა: 1. რჯულის კანონის ტექსტი ხელნაწერში გადაკეთებული (ენობრივად) სახით არის წარმოდგენილი.

2. **შენიშვნა** (გადამწერისა): „ნამდვილსა ზედა თანასწორ გარდმოღებულ არს. გარნა უკეთუ რაიმე იხილოდ [!] მცირედი შეცთომილებანი, სულიერნო მამანო, შენდობას ვითხოვთ, მონა ღთისა. განსრულდა. დიდება ღმერთსა.

ჩყო-სა წელსა, მაისის ა დღესა. ამინ.“ 6 v.

გ

ვინმე ყარამანის ლექსი. XIX

1 ფ.; 35 × 22; ქაღალდი; უყდო, ჰუმყიანი, ოთხად გაკეცილი; ნაკეცებზე გაცვეთილი; მხედრული; XIX ს. მ. ფოფხაძის მიერ შემოწირული 1947.

„ყოველთა მიზეზმან ცხოველობისა, ღვთისა სიბრძნემან განაგო:
სული ცხოველი და მცენარენი ყოველნი ქვეყნად დააგო...“ 1 r—v.

თავდება: „და ხელმწიფე გვფარავს მტერთაგან . . . . . .
. . . . . .
დააცხო მტერთა ქადილი მხედრობის გამარჯუებითა,
ვიშუებდეთ მხიარულებით, მღთის ქების ღაღადებითა.
და მან მოგვანიჭა ხელმწიფე, დამცველი ძლიერებითა.“

მინაწერი:

ტექსტის ბოლოს, ასწრივივ:

„ესე რა ლექსთა თხზულება ერთდროებითა დავსწერე,
ნუვინ მიზრახავ უსწავლელს, სიმართლით ვიტყვი მას მერე.
მე, ყარამანმა, აღმოვსთქვი; დამბეჭდველს ესე მივსწერე.
და თუ ცუ[დათ] ნახოთ, ნუ ჯავრობთ. სადილი კარგათ იყრე.“ 1 v.

დ

„ქრონიკონი ბაგრატოვანების მიცვალებებს.“ XIX

1 ფ.; 35 × 22; ქაღალდი; უყდო; ორად შეკეცილი მბედრული; XIX ს.; შემოწირულია მ. ფოფხაძის მიერ, 1947.

1751. „მეფე ალექსანდრე მი[ი]ცვალა **ჩღმიაᲐ**.“
1775. „გიორგი ბატონიშვილი მიიცვალა **ჩღჲიე**, ნოემბერში.“
1776. „იოსებ კათალიკოზი მი[ი]ცვალა **ჩღჲივ**, მაისის **იგ**.
1777. „დიდი მეფე-სოლომონის მეუღლე დედოფალი მარიამ მი[ი]ცვალა **ჩღჲიზ** ფებერვალში.“
1780. „ალექსანდრე ბატონიშვილი მი[ი]ცვალა **ჩღპ**, ნოემბერს **კგ**“.
1785. „დიდი მეფე სოლომონი მი[ი]ცვალა **ჩღპე**, აპრილის **კგ**.
1795. „ერეფე დავით მიიცვალა **ჩღპიე**, იანვრის **იდ**.“
1798. „საქართველოს მეფე ირაკლი მიიცვალა **ჩღყᲫ**.“
1800. „მისი ძე გიორგი მიიცვალა **ჩყ**.“
1815. „მეორე მეფე სოლომონი მიიცვალა **ჩყიე**.“
1728. „ჩიხორის ომი იყო **ჩღკᲫ**.“
1756. „ხრესილის ომი იყო **ჩღნვ**.“
1758. „ბაზალეთის ომი იყო **ჩღნᲫ**.“
1760. „დაღამება იყო ერთ სა[ა]თს **ჩღ**.“
1769. „ქუთაისი აიღო მეფე სოლომონმა **ჩღჲთ**.“
1766. „სვერი აიღო ოსმალმა **ჩღვგ**.“
1773. „ჩხარის ომი იყო **ჩღჲიგ**.“
1779. „რუხვის ომი იყო მეფის სოლომანისაგან **ჩღოთ**.“
1787. „ვახანის ციხე აიღო [კუნიახოს-ხან მალებმან] **ჩყპზ**.“
1789. „მეფე დავითის ძე კოსტანტინე იშვა **ჩღპთ**, ივლისის **დ**.“
1791. „სხვაეის ომი იყო **ჩღყა**.“
1794. [!] „ტფილისის ქალაქი ა[ა]ოხრა ხოჯა-ხანმა **ჩღყდ**.“
1800. „რაჰას ჟამი იყო **ჩყ**.“
1812. „მეორეთ გაჩდა ჟამი **ჩყიბ**.“
1820. „ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ წაიყვანეს და მი[ი]ცვალა რუსეთის გზაზედ. **ჩყკ**.“
1821. „იღუმენი ანტონი მიიცვალა **ჩყკა**.“
1822. „გენათელი მიტრაპოლიტი ევთიმე [მიიცვალა] რუსეთს, **ჩყკბ**.“
1822. „მთავარეპისკოპოზი ანტონი მიიცვალა **ჩყკბ**.“
1803 [!] სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი [მიიცვალა] **ჩყგ**, იანვარს.“
1828. „ქაიხოსრო წერეთელი მიიცვალა **ჩყკᲫ**.“
1828. „ახალციხე აიღო რუსმა **ჩყკᲫ**.“

„საქართველოს მოქცევა ჯვარის სარწმუნოებისამან წმინდისა მოციქულისა ნინოს მიერ დასაბამითგან წელთა **ჩყკ** [?!] ქრისტეს აქეთ [?]“.

„რუსეთის მოქცევა იქმნა მათი მფლობელობის მიერ ნეტარებით სახსენებელისა ვლადიმერისა, დასაბამითგან **ვჟუჳ**, ქრისტეს აქეთ **ՈՄ.**“

1829. „მზეხათუნ ბატონიშვილი მიიცვალა **ჩყკთ**, ფებერვლის **ზ**-სა.“

შენიშვნა: „ქორონიკონთან“ ერთად დაცულია მ. ვ. ფოფხაძის ხელით დაწერილი ცნობა, ზომით 13,5×20 — ქაღალდზე: „ბაგრატიონთა გვარის მიცვალების ქრონიკონი (1 ფურცელზე) და ხელნაწერი ლექსი (1 ფ.) ეიპოვე მამაჩემის **ვლადიმერ გაბრიელის ძის ფოფხაძის** არქივში, განმარტებანი მათ არავითარი არ ახლდა.

მ. ვ. ფოფხაძე.

1947 წლის
ოქტომბერი.
ქ. თბილისი.“

914

საქმო წიგნებიდან გამორჩეული და გამოკრებილი. 1862

260 გვ.; 36×22,5; ქაღალდი (1 ფ.) ნახევრად მოცილებულია, მუყაოს ყდა (ყდა გაცვეთილი); მხედრული; სათაურები წითლით; თავფურცელზე მრგვალოვანი ჩართული ასოები. დაუწერელია 250 — 260 გვ.

„დასაბამითგან ქ**ტ**ა, ქრისტეს აქეთ **ჩყჲბ**-სა წელსა, იანვრის **კბ**-სა.

ამ წიგნს სახელად მუნათობაი შჱთა ჰქვიან, ვითა სრული საქმო წიგნებიდამ გამორჩეული და გამოკრებული არის ესე..... პ ი რ ვ ე ლ ი წ ი ლ ი და კ ა რ ი საქმოთა საჴმეებს გამცნებს და გიანბობს. — ეს არის პირველი, რომ— რასაც კაცი საჴმეოს სჯამს, ყველა კაცის მუცელში და სტომაქსა შიგან დადნების...“ 1,4 — 249 გვ.

შენიშვნა: 1 **შედგენილობა:** 1. შესავალი: „ეჰა, დიდება დაუსაბამოსა და დაუსრულებელსა...“ (იხ. ქვემოთ) 1—4 გვ.

2. „პირველი წილი და კარი საქმოთა საჴმეებს გვამცნებს და გიამბობს,“. 4—10 გვ.

3. „თავი მერე[!] მთოვარის სიკეთე და სიმარცხე“... 10—13 გვ.

4. „თავი მეათე. მთოვარისა სადგომებისა...“ 13—16 გვ.

5. „თავი მეორე. ეტლების პატრონობა დაბადებულთა ზედა.“ 16 — 20 გვ.

6. მთვარის დღეების ტაბულა, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების აღნიშვნით. 21 გვ.

7. ოფლისა და ბურანისათვის. 22 — 25 გვ.

8. „ღმერთმან შეადგინა კაცი ოთხის ნივთისაგან.“ 25 გვ.

9. „მაჯის ნახვა გამცნებს...“ 25 — 27 გვ.

10. „კარი მეოთხე. შეტყობა სნეულისა — მორჩების თუ მოკვდების.“ 27—28 გვ.

11. სხვადასხვა ავათმყოფობის ნიშნები და მკურნალობა. 28 — 80 გვ.

12. წამლების დახასიათება, უმეტეს ნაწილად ჯულაბები, მჟაო, ამპაონი., ქაფური, ნუშლა., ლაქვარდი, მაღნიტის ქვა, სანთელი, თაბაშირი, ჯაგუზი, მიზაკი, ბოსტნეული სხვადასხვა (ნიორი, კოჩიკარდა, ზაფრანა, შინაური ია, სტაფილო, თალგამი, ბოლოკი, მარწყვი და სხვ. მრავალი). მათი, „ხასიათი“ და რა ავათმყოფობის სამკურნალოდ შეიძლება გამოყენოს კაცმა. 80—87 გვ.

13. სხვადასხვა ცხოველის ხორცის, რძისა და სხვ. გამოყენება სამკურნალოდ. 87—92 გვ.

14. ერბოსი, ზეთების, რძის, მაწვნის, ყველის გამოყენება სამკურნალოდ. 92 — 94 გვ.

15. სხვადასხვა ავადმყოფობა და მათი მკურნალობა-წამლობა. 95 — 100 გვ.
16. „აწ ვიწყოთ თხრობად, თუ ყმარწყვილი რომლის სახით შეიქმნების.“ — 101 გვ.
17. „კარი წვრილის წამლების გასახსნელისა.“ 103 — 109.
18. მათბუნებისათვის. 110 — 115.
19 „კარი 18, ლოკოცათა, რომელნი არიან სალოკველნი თითთა“. 115 — 117.
20. „კარი აბისა“. 117—122.
21. „კარი კ, ყურსებისა ნიშანი.“ 122—126.
22. „კარი 21, ტლეებისა.“ 126—127.
23. „კარი ოცდაორი, მაჯუნებისა, და ჯაჭვირებისა და თრიაქებისა.“ 128—147.
24. „წყლის ხასიათებს და თათბირებს გამცნებს და გიამბობს.“ („მიწიდან გამოსული თბილი აბანოსი“ და სხვ.). 147—148.
25. „ძვრის და სიარულის თათბირები.“ 148—149.
26. „ძილისა და სიმღერისა თათბირები.“ 149—150.
27. „ოთხის ფასლის თათბირი.“ 150—152. (წელიწადის ოთხი დროის).
28. ნაავადმყოფარი კაცისათვის. 152—154.
29. „კარი 24, შარბათებისა.“ 154—164.
30. „კარი 25, სკანჯაბინისა.“ 164—165.
31. „კარი 15 [!], ნიშანი წვრილის წამლებისა გასახსნელისა.“ 165—166.
32. „ყურძნის რუბის შექნა“. 166—167.
33. „შარბათი ჯულაბისა“ და სხვა გასახსნელი წამლები და სხვა შარბათები 167—177.
34. „სკანჯამი“ და „სიქანჯაბინი.“ 177—182.
35. „კარი 26, მრავალგვართა ცხროთა.“ 25 გვარი „ციების“ ნუსხით. 182—183.
36. მალამოების, მაჯუნებისა და ჰაბებისათვის. 184—202.
37. „სიყვითლის წამალი.“ 202—203.
38. თავის ტკივილის წამლები. 204.
39. კბილის ტკივილის წამლები. 205—207.
40. „ცხვირის სისხლის დენისა.“ 208.
41. სხვადასხვა სატკივრისა და სენის წამალი და წამლების მომზადების წესები. 209—249.

II. ტექსტს წინ უძღვის.

წინასიტყვაობა: 1. „ეჰა, დიდება დაუსაბამოსა და დაუსრულებელსა ამა მაღალსა ქრისტესსა ღმრთისა, რომელმან არაარსითგან არსებითა თჳსითა ცაჲ და ჭტჳანა შექმნა და რომელმან არსითგან არსებითა თჳსითა მიწა მიწათაგან აღგებღო და ერთითა პეშჳთა მიწისაგან ადამ კაცად შექმნა და სახე პირისა თჳსისა მას ზედან. გამოსახა; ბრწყინველი სული თჳსი შთაბერა და ადამის თანა წინასწარმეტყველი გამოგვიჩინა, და სამოთხე სამყოფად გაგვიჩინა და ყოველი სული [და] იძერისი მისისა პატივისა და წყალობისათჳს დაბადა და ყოველი სული [და] იძერისი მასვე დაამორჩილა, და ჩვენცა ერთისა წჳეთისა წყლისაგან [!] არაკაცნა კაცად შეუქმნა და ჭკუა და ჰსწავლაცა მანვე გვიბოძა. ცოლმითა და ყოველი სული ჩვენითა გავიწყრომეთ ტკბილი და მოწყალე ღ~თა. კიდეც მეორედ შეგვიწყალა და წყრომისა და შეცოდებისა მუქჳად გარდამოხდა ზეცით და ძმან ღთისამან ხორცნი შეისხნა სულისა მიერ წმიდისა ქალწულებრივისა მუცელსა შინა. ჩვენ, ცოდვილთათჳს ბილწთა ჰერიათა ხელისაგან ჯვარს ეცვა; ჩვენის გულისათჳს სიკვდილის გემო იხილა და დასთხია ჩვენთჳს უფასო სისხლი თჳსი, ძალითა ჟლეველითა და სძლო მტერთა და მებრძოლთა ჩუენთა და წარმოჴყვენა ეშმაკითა სავსე ჯოჯოხეთ და გამოიხსნა ჴყვენი იგი ძნელისა პყრობილებისაგან, რომელნი ქადაგებდეს და იტყოდეს მოსულსა ჟთესლოდ განსრაცებულებასა ძისა ღ~თისასა.

აწ ყოველმან სულმან და იძერისმან ესე უნდა იცოდეს: იგი [ღმერთი, ქრისტე] არს ყოველისა შეჯერებულისა და ჟღონოს ღონე და იგი არს ყოველის დაცემულისა და საბრალოს ხელის აღმპყრობელი და აღმომყვანებელი; იგი არს ყოველისა სენისა და ჭირის წამალი და მკურნალი, თორემ სხვა საქმე და წამალი ყველა მორთული და მოგონებული არის. ბოლოს, ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა.

2. „ჯალინოზ აქიმი და ლოღმან აქიმი. ისეთი აქიმნი და მეცნიერნი დაფილოსოფოსნი კაცნი ვინმე იყვნენ და გამოსჩნდნენ, რომე ღ'თის ბრძანებით, საცა გაიარიან, ან რაც ხე და ბალახნი დახეიან, ყოველმან ხმამ და ბალახმან ენა ამოიდგის და მათ აქიმთა ხმა გასცის და უამბიან, თუ — ბრძანებითა ღ'თისათა მე ესე და ესე მრჩეიანო, ამ სენისა და ჭირის მკურნალი წამალი ვარო. დასწყისითი ვიდრე აქამომდე რაოდენნიცა აქიმნი და მკურნალნი გამოჩენილან, მისისა კარაბადინისაგან სწუელებულან. მისსა დროებასა შინა გამოსჩნდა აქიმობა და მას უკან იწყების.

აწ მე, უღირსმან, გამთავრებით დაწერას ვერ გამოვეკიდე, მით, რომელ კარაბადინი დიდი იყო და ცოტა დენი მურადათი, ეთამც წერილი და დაცდილი ის ესე ებოო, უ დავსწერე, ამად რომე ნიადაგ კაცი აქიმთან ვერ მიეა. აქიმთან მისლვა მრავალფერი არს: ეგების ასეთსა დროსა მივიდეს, რომე გუნებაზედან არ იყოს და კაცის ნათქუამსა და ფერის ჭირისა და ხილთისა და სენის თავი ვერ შეიტყოს და გონება ვერ მიაპყრას, და ეგების ასეთს დროს იყოს, რომე ავადმყოფისა პატრონმან, როგორც კარგად სწორედ უამბოს, ის აქიმმან ვერ შეიტყოს და რაგინდარა წამალი მისცეს და არა არგოს რა, და ამაზედა ან კაცი მწუედ დაბიანდების. და თუ აქიმმან ავადმყოფი და მაჯა არ ნახოს და კარგად აქიმობისა საქმესა გული არ მიაპყროს, ისეც სჯობს, რომე კაცი თავის ნებაზედ იყოს. ამიტომ რომ, თუ აქიმი გულსა და გონებას არ დააპყრობს, ისეე ღ'თის ნებაზედ იყოს, ისი სჯობს ამიტომ რომ სნეულს არ ეყოფს. ზოგი ასეთი სენი არის, რომე სხვა წამალი მიბედეს, და თუ არ აწყენს, არც არგებს და ამისთვის მოუმატებს სენს.

ამისთვის აქიმობასა მრავალი საქმე და გასინჯვა უნდა. ეგების ჭირსა ასეთი წამალი მიბედეს, რომ რარიგადაც ცეცხლზედ ადუღებულსა ჭვალსა ცივი წყალი დაასხა და იგი დააწყნაროს, და მოხთების ჭირი ასეთი და აქიმობისა ბედი, რომე რარიგაცა სიცხით გაფიცხებულსა სახლსა ცეცხლი მოეკიდოს, ზენა ჭარი უქრედეს და კაცმან მრავალი წყალი ასხას და მერმე ქვენანან ქარმან შემობეროს და მისი სახლისა დამავსებელისა ვეღარა შეიტყოს, ჩამოსტუტს და ვეღარ მიუდგეს. ეგრეთვე აქიმობის საქმე არის: აქიმობასა დიდი ცდა და გონების მიპყრობა უნდა, რომე არცა სენისა პატრონსა დაზიანდეს და არცა აქიმი შერცხვენდეს.

3. ბოლოს, შეწევნითა ღ'თისათა, ჯალინოზ აქიმი და ლოღმან აქიმი . . . .

. . . . . *)

ყოველსა ფერსა სენსა და სატკივარსა მიხედნენ და შეიტყეს, თუ რად რომელი სენი და ჭირი რომლის ჭირის არის; მიჭირვებისაგან დაეძერის და დაიბადების, ან რისა და რომლისა ბგერისა ხილთისაგან შეეძნების, ან კაცი ავად რის მიზეზისაგან გახდების, კაცი რისაგან მოკვდების, კაცს ან რომელი ხილთი რის მიზეზისაგან აფუთფუთდების, ანუ რომელი ძარღვედაღმენ შეიქნების ის სენისა და ხილთების ნიშნები და ალამთები, რომელი არის. აგრეეე მრავალი წიგნები დასწერეს, საკმითა და სამეცნიერო გამართეს.

აწ სრული იმა წიგნებიდამ ამორჩეული და ამოკრეფული წამლები აქიმთა და ფილოსოფოსთაგან ბეცრჯელ ნაქმარი და გამოცდილი არის; ყველა ამ წიგნში დაწერილია და ამა წიგნის სახელი მუნათბაი შაჰჯა არის: ეითამც სრულის საქიმო წიგნებიდაღმან გამორჩეული და გამოკრებული არის.

აწე შეიტყეე: კაცმან რომ ავადმყოფი კაცი, ძალითა და შეწევნითა ღთისათა, ჭირსა და სიკეთილსა მოარჩინოს, დიდი მადლი არის. ამას უნდა მიხდომა და შეტყობა, თუ ამა სენების წამლები და ხელის შეწყობა როგორ უნდა. ბის ყოველსაფერის ჭირისა და სატკივრისა მიზეზები, ნიშნები, ალამთები, მათ-მათი შესაფერი წამლები ყველა მართლად შეიტყოს და ხელ-ჰყოს.

თუ კაცი ასეთს ადგილს ავით გახდეს, რომ აქ აქიმი და შემტყობი არავინ იყოს, ეს წიგნი წინ დაიდვას და ამ წიგნითა უაქიმოს. რარიგადაც ამ წიგნშიდ ეწეროს ან მრავალგვარისა სენებისა თავ-თავის შესაფერი წამლები, ხელის შეწყობა ანუ მაჯუნებისა და შარბათებისა გაკეთება, ან ტლეებისა, ან მაჯის და ელფერისა შეტყობა, ან სისხლისა და ან ზაფრისა, ან შარდისა, ან ყარ(უ)რუსა შეტყობა, ან ბალღმისა და ან სხედისა სენისა ნიშნები და მათი შესაფერი წამლები და შეტყობა ესრე, რო-

*) აქ გამეორებულია ამ გვ.-ის დასაწყისის პირველი 5 სტრიქონი.

მელი სწერია, ყველა ისრე ქნან. და ვინც ამ წიგნს მიყვეს და გაუგონოს, უსათოდ კაცს გულის ნება აღესრულდების.

ავადმყოფსა თუ სიკვდილისა დღე არ მოს[ვ]ლოდეს, უგანგებოდ წამალმა ავადმყოფი მოარჩინოს, ბევრი და ბევრი არ გასაჯოს, საგრილო და სამხურვალო მოთავდილი წამლები ამისთვის არის.

აწ ესე წიგნი სამწილად არის გაყოფილი და გაჩენილი. და პირველი კარი ორი ბაბი არის. ეს პირველი კარი საკმიმო საქმეების გამცნების და გიამბობს..

მეორე კარი და წილი ყოველისფერისა სენებისა და სატკივრისა მიზეზებსა და ნიშნებს და წამლებს გამცნებს და გიანბობს.“ 1—4 გვ.

915

ორბელაანი ხულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. 1840

290 ფ.; 33×20,5; ქაღალდი; ტკივრული ტყავით შემოსილი მაგარი მუყაოს ყდა, თხნავ გაცვეთილი: მხედრული: „1840 წ., ოკტომბრის 10“— 273 r; დაუწერელია: 1—6, 46 r—v, 274 r — 277 v, 283 v — 290 v.; თავაზმყოფლება და ხოკან საგანგებოდ შემკული ასოები ზოგიერთი განმარტების დასწყისში (და ნაპირებზე); საგანგებოდ გაფორმებულია (ფერადებით) „ნათესავისა“ და „ქარის“ ტაბულა 154 r, 219 v.

„სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი.

ანი არს პირველი ასო და ხმიანი და ართრონი; მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავსა დაგეწერია. — ა, ა; კავშირი....“ 7 r — 272 v.

შენიშვნა: 1. ლექსიკონს არ უძღვის წინ „ანბანი“ და სხვა სასწავლო მასალა, არც პირობითი ნიშნების ახსნა; იგი (ლექსიკონი) პირდაპირ სიტყვათა განმარტებით იწყება.

2. სალექსიკონო მასალა თავდება ѱ ასოთი დაწყებული სიტყვების ბოლოს მოთავსებული შენიშვნით: „ეხე ѱ ჩვენს ენაში ეგოდენ სახმარ არ არის...“ (შდრ. „ლექსიკონის“ 1928 წ. გამოცემა, გვ. 475).

3. ხელნაწერის დედანი დეფექტიანი ყოფილა, რის გამო ტექსტს აკლია მასალა **ანწლსა** და **არეახ** შუა (16 v — 18 r), რაც მოგვიანებით შეუსიათ (სხვა ხელით).

4. **ქილრტულის** განმარტების შემდეგ მიწერილია (გადაწერის ჩინებული ხელით) საბას ცნობილი შენიშვნა: „ამ წიგნთა შინა როდესნია ადგილთა ბერძული სიტყვა სწერია, რომელიც წიგნით შვიტყვე. სწორედ დავსწერე. ერთი მღვდელ-მონაზონი იყო, ბერძულს ჩემობდა. რომელიმე მისის სიტყვით დავსწერე და მასუკან ვსცანე, არა იცოდა რა, ვინც საზომს მისწუდეთ, გასინჯეთ! ცუდ მომიხდა. მე სხტა ენა არ ვიცოდი ქართულის მეტი.“ 170 v.

ანდერძები: 1. (ავტორისა): „ამ წიგნის მოღვაწეს [!] სულხან-საბა ორბელიანს ლღვევი მოიხსენებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლევანის დედის ძმისწულსა, საქართველოს მსაჯულის ბატონის ორბელის ძსა. ამა მეფეთ ბრძანებითა აღიწერა ესე წიგნი, ფრიად შრომითა და ღვდუნებითა. რ[ა] ქართლისა ქვეყანასა ლექსიკონი აღარ იპოებოდა და ოცდათს წელს ძველ შეაწყო განმარტებით, რ[ა] ერისკაცი იყო და წარჩინებული და სიფლის საქმისაგან უცალო იყო.

მაშინ ქორანიკონი იყო ჩჭპე. ამის შემდგომად მონაზონ იქმნა და გარეჯის მრავალმთის წ[ა] ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა, ქორანიკონს ჩჭყ[ს], მარტს ი[ა] მონაზონ იქმნა; ქორონიკონს ჩლი, დეკემბერს [!] ა ხვარასანს წვადდა, მეფეს ქაიხოსროს ებმო და ფეზერვალს კ გამოისტუმრა, მრავლის ნიჭითა. მაისს ია ქართლს მოვიდა. ქ[ა]კონს ჩლვჰ, აპრილს ოკტომბს ისპანს წვადდა, მეფე ვახტანგს გაყვა. ბ ნოემბერს გამოაბრუნეა, დეკემბერს კ ქართლს მოვიდა. ქ[ა]კონს ჩლეჲ, აგისტოს იზ საფრანგეთს გაიპარა: ჯრანცა, ჯუნეევა, სიკილია, ჰრომი ნახა. ჯრანციის მეფე, რომ[ა]პი, კრანდუკა უცხოე დახვდენ. ყოველი კაცი გაკვირდა. რაც იმ ქვეყნებში უცხო და ძვირად სანაზვი იყო, ყველა ახვეწნეს. წმინდა პაპმა წმიდის ჯვარის ნაწილი,

წმიდა კლემატოს მოწამის თავი და სხვა მრავალი ნაწილი უბოძა. იზ მარიობის თვესა გამოისტუმრა. ჯუბაზე წმიდა სახლი და მრავალი წ[ა] ადგილი მოილოცა. კ ღვინობისთვეს მალთას მოვიდა; ზ დეკემბერს ფრანკეთის მეფის ხომალდი მოუჯდა, წამოვიდა. კკ[ონს] ჩ[ეი], იანვარს ით კოსტანტინეპოლის მიეიდა. იქ დაეგვიანა ის წელიწადი. ჯრანციას დესპანისას იდგა, მრავალ კეთილჭელშეწყობითა!. კოსტან.ª (272 v—273 r.) შდრ. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ. 1949 გვ. 571—572.

2. (გადამწერისა):

„ჩყმ წელსა, ოკტომბრის იზ.

ამა წიგნისა ფრიად მოზადის, უფლის სპირიდონ სუმონის ძის მაჭაკარიანისა[ა] მსურველობითა აღიწერა ჯარჩინებული ლექსიკონი ესე ჭელითა ფრიად გამოუცდელისა გლახუა გიორგის ძის ქუთათელაძისათა.

აწ ვითხოვ, უფალნო წამკითხველნო, ტ[ი](!) სადამე შეცდომა იხილოთ, ნუ მწყევით, არამედ მიუტევეთ გამოუცდელობასა ჩემსა. (273 r, სახას ანდერძის ქვემოთ).

916

კარაბადინი. XVII — XVIII

1—XVIII, 1148 გვ.; 27,3×18,5; ქაღალდი: ფურცლების დიდი რაოდენობა შეკეცილია და დიდი სივანისა არის, მაგ. 19—20,63, 127—128, 171 — 172, 213 — 214, 241—242, 329—330, 463—464, 543—5, 571 — 2, 689 — 690, 829 — 30, 841 — 2, 849—856 861—62, 865—66, 871—74, 877—78, 887—924, 961—62, 1003 — 4, 1013—14, 1017—1020, 1023—24, 1049—50, 1053—56, 1063—64, 1087—88, 1103—06, 1109—10, 1129—30, 1135 — 38, 1147 — 48 (ამ ფურ. საშუალო ზომა: 27,3 × 21,3); I — XVIII, 535, 542, 575—581, 595—596, 617—18, 695—96, 717—772—სხვა ქაღალდია; სქელი მუყაოს ყდა: მედრო[ვ]ანული; XVII — XVIII ს. (ვეირნინაში: სამი ნაბეჭდომთვარე — მრავალ ფ — ზე). ხელნაწერის ტექსტი თავნაკლულია.

„. . . . . მათის.. მეცნიერობა, ცოდ[ნა]... რომე დღე ყოველ ამ-[ი]ს კითხულობაში იყოს. რომე გონებასა და ე[რთ] დროს რომე როდესმე კურნელობდეს და ხელ[ო]ვნობდეს სნეულთა, მაშინღა მოაგონდეს, აჭა რა[ცა] გვიხსენებია: გინა თუ მაჯა, გინა თუ რუსუბი და გინათუ ბურანი, გინა თუ ძილი, გინა თუ სნეულობის მიზეზი, გინათუ წელი, გინა თუ დარი, გინა თუ კაცის აგებულება, გინა თუ წამლის ხასიათი, გინა თუ ოთხი ნივთი, გინა სიცხე რომელიმე, მხურვა[ლება], გინა სიცივე რომელიმე, გრილი, გინა სიხამე რომელიმე, მხურვალი—ხმელი, მხურვალი — ნედლი, გრილი ნედლი, რომელ[ია] ნოტიო ანუ გრილი და ხმელი, რომელია სიხმე — შეიძლოსთ ამათი ცოდნა, რომე იცნას [მრთელსა] მართალსა[?] ზედან ან თუ სნეულება, ან თუ გაპობა, ანუ დაყოდა, ანუ ხსნილობა, ანუ ნასკობა — ესენი უნდა რომ იცნას; ანუ საჭმელის ძალი — სუბუქია თუ მძიმე, გრილია თუ მხურვალე, ნედლია თუ ხმელი — ესენი უნდა იცნას.

მერმე წამალი: ზოგი ხმელია, ზოგი ნედლი, ზოგი გრილი, ზოგი მხურვალი. ისიც [ესენ]იც იცანით, რომელი მიხსენებია ამას ქვეით, ამით იცოდეთ: მხურვალს — გრილი, გრილსა — მხურვალი. — ; [ხმელსა] — ნედლი.. გ[ინდ]ეთ, შეიძლოთ, შეკვრიდეთ. . . . . დეთ, გა[ა]გრილებდეთ. [ი]ცოდეთ, რომე, თუ გრილს გუნებას ვერ გა[ა]ხურვებ[თ], [ვერ]ც გრილს სენს უკურნებთ, თუ მხურვალს ვერ გ[აგრი]ლებ, ვერცა უკურნებ.

უყურეთ წიგნსა. მერმე მკურნალის წესი ის არის, რომე ერთი ხელი სნეულის მაჯაზე ჰქონდეს, მეორე ხელი ამ წიგნზედან, რომე არ დასცხრეს საქმესა. ისეცა ერთი თვალი წიგნზედა იყოს, მეორე [!]]სნეულს უყუროს, დაბედოს ფერსა უნახოს მაჯა, უნახოს რუსუბ[ო], ანუ განავალიცა ჰკითხოს სნეულსა, წურილათ გამოიკითხოს. ათხოვეთ ყური, ისმინე მისი სიტყ[ვ]ა, დაჰყავით გულისყური, თუ მისი სიტყვა რა არის, რომლის მიზეზისგან არის სნეული, და გაჰკვ[ი]რდი მაჯასა და იმ სნეულის ფერსა. გამოაყოფინე ენა, ნახეთ რუსუბო და განავალი; ესენი ერთათ თუ შეჰფარდდეს, იცოდი, რომე ის სენი დასტურია. თუ არა და, ჯერ იცან, თუ რომელი იქნება, რომ ზაფრასთან სისხლი შერეოდეს, სევდასთან სიგრილე შერეოდეს, ანუ ქარი შერეოდეს, ანუ სიცხე მეტი იყოს, ანუ სიგრილე მეტი იყოს, ანუ ბალღამი მეტი იყოს, ანუ ზაფრა, ანუ სევდა, გინა სისხლი. რომელიმე იყოს, უნდა იცნათ და ანუ სუსტათ იყოს სნეული. [...] იცნათ: მოკუდება თუ დარჩება; ის უნდა [იცნათ], გრძლათ ავანდყოფობა არის, თუ მოკლეა?

ის უნდა იცოდეთ, სუსტსა სუბუქი საჭმელი უნდა, ძალიანს—მძიმე. ისე წამალს რომ აძლევდეთ, დახედეთ სნეულის ძალსა: თუ სუსტი იყოს, სუბუკ[!] წამლებით შე[ე]ქეცით; ამისებრ, ძალიანსა — ძალისაებრ მიეცით, რომე არ შეგრცხვესთ. ამასა ზედან გამოჩნდების, რომე მართალსა ზედან იცნათ. რათ გინდათ სხვა რაგად სახელისა გათქმა! არის მადლი დიდი, სჯობს ტყვის დახსნასა. არის დიდი ცოდნა. ექნება ორსავე სოფელსა პატივი: აქ კაცთაგან, იქი—ღ~თის[აგა]ნ. რომელი იცნას მართალსა ზედან და დარქვას: ამას ეს ჰქვიანო, ამას ადვილად ეწამლებაო ანუ ემას არ ეწამლებაო, ეს მოკუდებაო, ანუ დარჩებაო, ანუ მორჩება და გვიან მორჩებაო; ანუ მოკუდება და გვიან მოკუდებაო. უნდა იცნას, შეიტყოს კაცის აგებულება, წლის ხასიათი: წლევანდელი წელი როგორია, ანუ სნეულება როგორია, კაცის აგებულება, ქვეყანის აგებულება, ეტლისა, დარისა—იცოდეს, ანუ თვარისა. ესენი უნდა მუდამ იცოდეს. ამას ქვეითა თავის თმისგან მოკიდებული, ვირემ ფერხის ფრჩხილამდე, კაცსა რა სენი, გამოაჩნდეს, გინა შიგნითი, გინა გარეთი, ყველა ცალკე-ცალკე დაგვიწერია, თუ რომელს რა ჰქვიან, გინა სნეულება, გინა გაწყვეტა, გინა გაკვეთა, გინა მედგარი, გინა მღიერი, გინა სიმსივნე, გინა ბნედა, გინა ფილენჯი, გინა სხვა რამ, საჭმელი, გინა სასმელი, გინა წამალი, გინა ბალახი, გინა ხილნარი, გინა ტანსაცმელი, გინა წამოსასხმელი, გინა შესახედავი ფერისა, გინა ძილი, გინა ღვიძილი. ქვეყანაზედ რა არის საწამლე კაცთათვის სახმარი, რომე ამასა შინა არ ეწეროს: სენთაგან ურვებისა, სალმობისაგან, ყოველივე თავთავის კვალად გვითხრობია, რომე რაც რომე სნებასა ნახვიდეთ, ამასა შინა ეძებდეთ. არ არის ქვეყანაზედა აგეთი სენი, რომე ამ კარში არ ეწეროს. [რ]ოდესაც რომე კაცი გულისყურს მიატანს, ასე ანიშნოს, ვითამცა რომე სნეულსა ეთხრობინოსთ, აქ დაეწეროს ამ ნიშნობის მიზეზიც. აწე მე გითხრობ: რადგან ადამითგან დაწყობილი კაცი ბევრს გასძლებდა, ამად რომე ახალი კაცი იყო, ახალი ქვეყანა, ახალი ცა, ახალი ჰაერი და დიდხანს იცოცხლებდენ. რადგან დიდხანს იცოცხლეს, სნების ხასიათი და მიწისა, ჰაერისა, წყლისა, ცეცხლისა, ქარისა ხასიათი აიღეს. ამა ოთხისა ნივთისაგან შეიქმნა ევა, ადამ; ამა ოთხის ნივთისგან იზრდებიან, რაც სულდგმური არის ან ქვემავალი, ანუ მწყემსი, ანუ ნადირი, გინა ხე, გინა ბალახი, როსცა ბევრს გასძლებდენ, მაშინ აიღეს ეს ხასიათები.

ესე წიგნი აჩენს ძველნი მკურნენნი ახლანდელი კურნელისა ოდენ(!) მაშინ ერთი ცრუ მავნე კაცმაც იცოდა. რადგან ბევრს გასძლებდენ, მაშინ მეტად დიდი პატივი ედვათ ფილასოფოსთა და მცოდნეთა და მკურნელთა.

ასე იტყვიან, ძველთ მამათა და უხუცესთა, რომე, საცა, რომე არ იყოს კარგი მცოდნე მოსამართლე და მკურნენნი, არ არის მართებული დადგომა იმა ქვეყანას. რა ხელი ეყრება იმ ქვეყანას დადგომას და ანუ რა სარგებელია, რომე კაცმა შვილი მამიკლას და სამართალი არ მეღირსოს, და ანუ რამე სნეულება მჭონდეს და არვინ არ მკურნოს. უთქვამს არისტოტელ-ს: სჯობს ორი და სამი კარგი მცოდნე კაცი, ვირემ უცოდინარი სამჯერ ოცი ათასი კაციო. სამი კაცი — ერთი რომე ფილოსოფოსი, ეტლის მცოდნე, მეორე — მეფე ვინმე, კარგი გამგე, სამართლის მიმცემი; მესამე მკურნელობა რომე დიდის ფიქრითა და დიდის ჯაჭით მიმხდომი სნეულობისა. რომე მართალზე იცნას, ისე ჰკურნოს.

იყვნენ მკურნენნი, ზოგნი არიან ამას შინა და მრავალნი სხვანი ოთხნი თავნი არიან, რომე იმათ უწინ მკურნენნი არ ყოფილან, ვერმე და ვერმე სხვანიც გამოჩნდნენ. **რომელნი** იყვნენ, ესენი არიან თავნი, რომელი სახელით თქვენ დაგიწერო: გალინოზ, მეორე ორობომ[!], მესამე ბოეტი, მეოთხე მასარჯომ, მეხუთე ასკიპილე, მეექვსე არონ, მეშვიდე ფარხიშონ, მერვე ი[ფ]ორიტე სკაროტელი, მეცხრე იონ, მეათე დემოკრიტე. მეთერთმეტე ბახტიშუჰან. ეს ბარმაქ მეფის შვილსა ერთი ქალი სჭირდა; მას ჰექიმები შაეყარა და ვერავინ იმ სენისგან ვერ მოეხმარეს. მერმე ეს ბახტიშუჰან მოჰგვარეს და მას თავისთავათ უწამლა. თავისგან მრავალი წამლები შეყარა. და ბარმაქ მეფის შვილს იბ[ლ]ზ ერქვა, უწამლა, მორჩა. მას მოღმა ჰექიმებმან შეიტყვეს და თანასწორათ მი[ი]ჩნივეს.

მეთორმეტ[ე] კირონე. ესენი სულ კერპნი იყვნენ. მას მოღმა მოწონდა თემი, ქვეყანა. მწიგნობარი, მცოდინარი ამათ უწინაც იყვნენ, მაგრამ არა დიად ცოდნა ჰქონდათ. კერპთა ბრიყვობა ძველად დაჰყვა. ვერმე და მერმე დაწვენეს[!!]. იმატა სიბრძნე, იკლო სიყმე კაცისა, ამად რომე, როგორც მუცელშიერი, ფიქრიანი და ნაღვლიანი იყოს, ისე დარჩეს, შეწუხდეს და მალე ძალი მოაკლდეს. როსცა ძალი მოაკლდეს, ისე მალე მოკუდეს. ცა დაძველდა, ქვეყანა დაძველდა, მიწა დაძველდა. როსცა რომე ეს ოთხი ნივთი დაძველდება,კაციც ამ ოთხი ნივთისაგან არის. ამ ნივთსა არაბნი ნასრი არბას ანბობენ.

აწ გითხრობ თქვენ, ახალნო მ[ო]სწ[ა]ვლენო მკურნენო! იცოდეთ რომე, ვირემდის მარტვილი ოთხი წელი არ გამოიაროს, ვირემ წამალი არ მიეცემა. ამად რომე თვარის ანგარიშჩი არის და ჯერ დედის ძუძუს წოვს, ძაძის ანბავშია; მთვარისა დაემართება...“ გვ. გვ. XVII —XVIII, 1—5—1148.

შენიშვნა: 1. განიერ ფურცლებზე, რომელთა მარჯვენა ზღარე გადაკეცილია, მოთავსებულია ტექსტის შემავსებელი ცნობები და შენიშვნები; მაგ.

ა. „ესე დარეჯი სამკურნალოს სახლიდან ითქმის. ორითა დარეჯიდ გრილიანს ანუ სამით, ან თუ ხეურეალი. მათ სახლიდით ერთი დარეჯი სამი მხარი არის — ესე ლექსიკონში ვნახე და აქ დავწერეთ.“ 829 გვ. მარჯვენა კიდეზე,

ბ. „ეს გოგრა სამი რიგი[ა]; ერთიც აჯირა, ისიც იქმება. ერთიც ხაპი არის, რომე წურილია, კოტოშის მაგიერ იხმარებენ და ამისი, რომელიც ჯრძელი ყელი აქვს. ძმარს, არაყს შეინახვენ. ამას კვაბად უწოდენ. რომელიც წულილია, კოშში ჰქვიან“. 841 გვ. (მარჯვენა კიდეზე).

შდრ. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის **აყაროს** განმარტება.

„**აყარო** ესეცა სამგუარი არიან: აყარო, გოგრა და ხაპი.“

გვ. 44. ს. იორდანიშვილის გამოცემა.

გ. „ამ უიე ზროხას სხვადასხვა სახელი ჰქვიან: მამალს — ხარი ჰქვიან, დედალსა— ფური; შვილსა მათსა ხბო, ნასუქსაც ხბოს ზვრაკი ჰქვიან; ნახევარ წლისა ბარკეული ჰქვიან; თუ ერთი წლისა არის, სახარე, იმასა ბიჭოლა ჰქვიან, და თუ საფურვა, იმას მოგუცვდი [!]. ჰქვიან.

თუ წელიწადზე მეტი იყოს, სახარეს მოზვერი ჰქვიან; საფურეს—დეკეული ჰქვიან. ორი წლისა ხარსა ბოკე [!?] ჰქვიან. ამისი საკლავად მსუქანსა უსხი ჰქვიან. საქედარ ხარს ახავერი ჰქვიან; გამოუყვერავს ხარს კურო ჰქვიან; უმცროსს მისგან — კურაკი ჰქვიან.“ გვ. (923 — 24).

შდრ. სპას. ლექსიკონში: „**ზრახა**“ — სიტყვის განმარტება.

2. კარაბადინში ჩართულია სნეულებათა ტაბულა, სათაურით: „თავითგან დასაწყისი სნებისა, თუ თითო სენი რამდენით განიყოფების.“ გვ. 10 — 14.

3. ხელნაწერი მდიდარია სამკურნალო მცენარეთა სახელებით ქართულსა და უცხო ენებზე.

917

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი და XIV ს. ხატის ქართული წარწერის პირი, გადაღებული ბუღგარეთში (გატანილია მიკროფირების კოლექციაში).

918

ეხოპეს ცხოვრება და იგავნი. XIX

68 ფ. (ძველი პაგინაციით 15 — 152 გვ.); 17×10,5; ქაღალდი; ხაერდით შემოსილი ხის ყდა; მხედრული; XIX ს. [1857 წ.]; ხელნაწერს აკლია 14 გვ. (იხ. პაგინაციის დასაწყისი); შეძენილია სტ. გადილიასაგან, 1949 წ.

„. . . . არცა მომიყოდიეს. ხოლო ვაჭარსა მას ესხნეს ორნი შვილნი და იხილეს რა მათ ესოპე, შეეშინათ ფრიად, და იკივლეს, ფრიად, ხმითა დიდითა და ივლტოდეს მისგან...“ 1 r — 67 v.

შენიშვნა: 1. ეხოპეს ცხოვრება თავდება 52 v-ზე, სადაც, ტექსტის ბოლოს ვკითხულობთ: „დასრულდა ცხოვრება ესოპესი, გონება-მახვილისა“.

2. „იგავნი ესოპესნი“ იწყება 53 r-ზე (იხ.).

3. იგავთა ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ამბავნი და იგავნი ესოპესნი“

მინაწერები:

„1. Конец 18 $\frac{3}{57}$ го года

Иеромонах Никифор.“

ტექსტის მელნით, 67 v-ზე.

2. „**ჩღნ**ს დადიანი ოტია მიიცვალა და დაღმებაც ამ წელს იყო.

ჩღა ქუთაისი აუღია რუსს და მეფე სოლომონს.

ჩღბ დიდი მეფე სოლომონ გარდაიცვალა გიორგობა დღეს.

ჩღბ კაცია დადიანი გარდაიცვალა.

ჩყდ გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა

ჩყი მეფე სოლომონ გაიყვანეს იმერეთ[ით]ჯან.

ჩყია გაჩნდა იმერეთს ჭამი.

ჩყიგ დავით დადიანი დაიბადა იანვარს კე.

ჩყიდ გრიგოლ ბატონიშვილი დაიბადა.

ჩყიე ანტონ მიტროპოლიტი პირველი მიიცვალა.

ჩულთ გარდაიცვალა დედოფალი მართა.
ჩყმგ დ'დიანი ლეონ მიიცვალა იკლისის ლ.
ჩყყმ ბესარიონ ჭყონდიდელი მიიცვალა.
ჩყმბ გიორგი ჭყონდიდელი მიიცვალა.
ჩყმგ ანტონ ჭყონდიდელი აკუთხეს.
ჩყნგ გარდაიცვალა ანტონ მეორე ჭყონდიდელი კრისტეშობისთვეს.
ჩყნგ გარდაიცვალა კუთათელ მიტროპოლიტი დავით.
ჩყკ შეიპყრეს კუთათელი დოსითეოს და გაეხათელი ევთიმე რუსებმა და წაიყვანეს.
ჩულდ დიდი ნიკო გარდაიცვალა.
ჩყმზ მეორე ნიკო გიორგის ძე გარდაიცვალა იანვრის 20 ს.“

ქრონიკები დაწერილია ტექსტის ხელითა და მელნით 68 r — v-ზე.

3. „დაბნელება იყო 1851 წ. 13 ივლისს.“

სხვა ხელით, იქვე (ლურჯი ფანქრით).

4. „Заметние [!?] было 13 го Июля, 1851 г.

II ყდის შიგნიდან, წინა მინაწერის ფანქრითა და ხელით.

919

ოთხთავი. 1705

270 ფ.; 6×4; ქაღალდი (მეტად თხელი); წითელი აბრეშუმით შემოსილი თხელი ხის ყდა, — 6.8×5, შეკეთებილია ვერცხლით; ყდის ზემო ნაწილი შემკულია იესო ქრისტეს ამობურცული გამოხატულებით, რუსული წარწერით: (ვერცხლისა); ყდის ქვემო ნაწილზე (ცენტრში) ღვთისმშობლის რელიეფური გამოხატულებაა, წარწერით; მეტად წვრილი ნუსხურით; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ხელით; 1705 წ. (278 r.); თავკახმულობანი: 3 r, 6 r, ყოველი გვერდი ფარადებით შემოსაზღვრულია ორმაგი კარედიანი ჩარჩოთი და ტექსტი ჩაწერილია ამ ჩარჩოებში ორ-ორ სვეტად. გარდა „ზანდუკისა“ (255 r — 278 r), რომელიც ერთ მთლიან ჩარჩოშია ჩაწერილი; ოდნავ დაზიანებულია კიისგან (1—8, 275—278 ფ. ფ.); შეძენილია 1949 წ., ელისაბედ დავითის ასულ ერისთვისაგან.

„თავი პირველი. სახარებაჲ მათესი. წიგნი ობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შვა ისაკ...“ 6 r — 264 v.

შენიშვნა: 1. ოთხთავის ყოველ ცალკე ნაწილს წამძღვარებული აქვს: „ესე თავები არს მათეს“... „მარკოზ“,... „ლუკას“..., იოანეს“ ... თავიც სახარებათა“ (3 r — 5 r; 81 v — 82 v; 134 v — 136 v; 212 v — 213 r).

2. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს: „ზანდუკი სახარებისა საძიებლისა საწყალობლოთ. წიგნისა კჳრიაკეს აღესებისასა სამრხად, სახარებაჲ იესი ა: „პირველითგან იყო...“ 265 r — 278 r.

ანდერძები (გადამწერისა):

1. „ეშუცრები [!] ცოდეილი ბერი, უღირსი მდაბალი მწირი დიაკონი ნიკოლაოზ. ამისთჳს ვხარი, რომ აღვძრა პირი ვედრებად ყოველთა: „ოდეს იკითხვიდეთ, ნუ მწყინეთ!“ 134 r, II სვ. ბოლოს.

2. „უფალო! გეევდრები ცოდეილი მწრომელი ნიკოლოზ დიაკონი, ჩერქეზის ძე, მომიჴსენეთ, უფალონო.“ 212 r, II სვ. ბოლოს.

3. „წმიდაო და სათნოდ მეფისა ცხოვრებულო, დიდებულისა მეფისა ასულო ელენე, დიდისა მის ელენეს მსგავსად მორწმუნეო, ქალწულო, სიძისა მის უფალისა დაწინდებულო!

ახა ესერა სრულ ვყავ ბრძანებული შენი და აღგიწერე შენმან ბერმან და შვილმან სულისსამან მოძღვნებითა ამისითა!

აწ გაჴმარენ უფალმან ს.წმინდე-უმანკოებაში და სათნოდ ღ-თისაჲ ცხოვრებაში უკუნითი უკუნისამდე.

და მე, შვილი შენი, ცოდვილი ნ ი კ ო ლ ა ო ზ, ვსწერებულ მყავ.“ 213 r, II სვეტში.

4. „სრულო ყოველთაჲვე სრულებით! სრული ესე ნათელი ქრისტიანობისა წ-დ-ჲ სახარებაჲ მითთვალე, მზგავსად ძღვენისა მის ქ-ჲსი, ბერისა შენისაგან, რომელმან სრულ ყოვე ყოველი ბრძანებული შენი. აწ ეცეცა განჴაჴრული ბრძანებული შენ, ყოველად ბრძენ და ყ-დ ღ-ისა საყვარელო, ღ[ი]ჳნელისა [?] ყოველთასა ერთგულო, ა ს უ ლ ო მ ე ფ ი ს ო ა ო ე ლ ე ნ ე, დაიუნჯე წიგნი ესე, საუნჯე ყოველისა კეთილისა, საუნჯეო სიწმინდისაო!

გაჴმარენ ღმერთმან ყოველადე კეთილ ცხოვრებაში. ამინ.“ 264v, II სვეტში.

5. „დ ა ი წ ე რ ა უ დ ა ბ ნ ო ს გ ა რ ე ს ჯ ი ს ა ს ა, მ რ ა ვ ა ლ მ თ ა ს. ქ ე ს ა ტ ყ ჳ.“ „ჟღირსნ-ო მცხოვრებსა და ყ-დ დაჴსნილსა ცოდვათა შინა წუნებებულსა, უდებს ნ ი კ ო ლ ა ო ზ ს ჩ ე რ ქ ე ზ ი ს ძ ე ს მომანიჭა მან, ძჳრუჴსენებელმან უფალმან აღწერა წმიდისაო, ამისა სახარებისა, რომელისა აღწერასა სრულნიცა ვერ კმაყოფილებენ.

ჯარნა ამისთჳს რომელი ცოდვათა მოვიდა [!], წარდებად, ეგრეთვე ამისა პრისთჳს მეცა ღირს მყო აღწერასა ამისსა.

უფალნო! რაოდენნი პოვენით მრუდნი, ნუ მწყებენ, გეეცდრებით ყოველთა!“ 278 r.

ანალოგიური ანდერძები იხ.: 5 r, 134 r, 264 v.

920

ოთხთავი. 1504

264 ფ.; 15,2 × 10,5; ეტრატი (4,262 — 264 ფფ. დაუწერელია; 133 — 150 ფფ.— ოვ—ზ^ რეცეული მოშლილია); ხის ყდა, წითელი აბრეშმის ქსოვილით შემოსილი (შიგნიდან აბრეშუმი მოთავრებულია), საგანგებო ორი ნაკეთები; ყდის ზემო ფრთის ფიცარში ამოკვეთილია 21 პაწაწინა ჯუჯები, რომლებშიც დაცული უნდა ყოფილიყო „წმიდა ნაწილები“; ყდის ამ ნაწილს ფარავს მოძრავი ფირფიტა (ფიცრული), რომლის მოჭრილი ზედაპირზე გამოხატული არიან — ღვთისმშობელი, წითელი სამოსით, ქვემოთ: წმ. კუპრიანე; ყდის ქვემო ფრთაც ამგვარადვე გაფორმებული, იმ განსხვავებით, რომ ჯუჯედების რიცხვი აქ 24-ს უდრის და „ნაწილებს“ დაფარებული ფირფიტის მოჭრილ ზედაპირზე ორი სხვა წმიდანია გამოხატული; ყდის ზომა: 15,3 × 11; ხელნაწერს აქვს მასიური ვერცხლის კუთნ, ექვსი ვერცხლისავე შესაკრავით, რომელთაგან ერთის ნაწილი მოტეხილია და აქეს დაცული, ხოლო მეორისა — დაკარგულია (დარჩენილია 4 მთელი შესაკრავი); გარედან კუთნ შეჴვედილია დიდი ხელნაწერებით აჟურულად ნაკეთები მორთულობით, რომლის ცალკე ნაწილების ცენტრალურ ადგილებს ამშვენებს ე. წ. „სოლომონის ბეჭედი“—ექვსქიმიანი ვარსკვლავის სახით (სულ 5); ჩინებულად არის ნაკეთები კუთნს მოძრავი ყუა, იმავგვარადვე მოჭედილი, როგორც ყდის დანარჩენი ნაწილები: კუთნს აქვს ვერცხლის ქინძისთავი: 11,8 სმ. ზომისა; კუთნს ზომა: 16,2 × 12; სიმაღლე 4,5 სმ.; ყდის ზემო ნაწილის მარცხენა მხარე ორ ადგილას დაზიანებულია, სწორედ იმ ადგილს, სადაც მოტეხილია შესაკრავები; ნუსხური: სათაურები და დასაწყისი ასოები სინჯურით (ალაგ-ალაგ მოთხრეული); გადაწერილ: ა ა კ ა ი (253 v); დამკვეთი: დ ე დ ო ფ ა ლ თ-დ ე დ ო ფ ა ლ ი თ ა მ ა რ, ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე დ ი დ ი ს ა დ ა დ ე დ ი ს მ ე დ ი ს ა ს ლ ი (251 v); თარიღი 1504 წ. (251 r, II სვ.); შემკულობანი: ოქროთი და ფერადებით შესრულებული მახარებელთა მინიატურები (11 v, 80 v, 124 v, 194 v); ოქროთი და ფერადებით შესრულებული თავკაზმულობანი და მოხატული ასოები (12 r, 81 r, 125 r, 195 r). ძველი №№ 43 და 1183. დაბრწინებულია პარიზიდან 1945 წ.

„სახარებ[ა]: თავი მათესი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ...“ 12 r — 251 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. სახარების ტექსტს წინ უძღვის: „ესე კიბისაგან გამოკრებული სივლტოლაჲ არს, ძმაო!

ა. პირველი კიბე: სათნოებაჲ სიჭეტოლა სოფლისა..." სულ 30 (ლ) მუხლია. 2 r — 3 v.

ბ. „ესენი კარპიანეს, საყრელსა ძმასა უფლისაჲ მიერ გიკითხვე! — ამ-მონიოს ალექსანდრიელმანცა დიდი შრომა და გულსმოდგინებაჲ შეჲ შემოიღო და ოთხთა მათ დაგჳწერა ჩ-ნ სახარებაჲ..." 5 r — v.

გ. „კანონნი." 6 v — 9 r.

„კანონთა" კამარები მოსახატავად ყოფილა გამზადებული; მაგრამ მოხატული არ არის.

2. ოთხთავის ყოველ ცალკე ნაწილს ახლავს (დასაწყისში) თავების ნუსხა (9 v — 10 r.; 79 r — 80 r.; 122 v — 124 r.; 193 r — v.).

3. სახარების ტექსტს დართული აქვს:

ა. „სახარებანი ია აღდგომისნი." 252 r — 253 v.

ბ. „ზანდუკი სახარებისა საწესიჭოჲთა. წ-სა კ-ქსა აღესებისასა სახარებაჲ. სამხრად — იოვანესი „პირველითგან იყო სიტ-ჳ..." 254 r—261 v.

4. ხელნაწერის ანდერძები გამოქვეყნებულია. იხ. კრ. შარაშიძე. „საქართველოს ისტორიის მასალები". კრბ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის." 30. თბ. 1953.

იხ. Н. П. Кондаков и Дм. Бакрадзе. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПБ, 1890, გვ. 54, § 47.

ანდერძები: 1. (მთარგმნელის გიორგი მთაწმიდელისა): „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რ- ესე წ-ჲ ოთხთავი ახლად გჳთარგნია, ფრიადითა იძულებითა ძმათა ეიეთება სულიერთა, და ბერძულთა სახარებათადჳ შეგჳწამებია, ფრიადითა გა-მოწულილებითა. და ვინცა ვინ დასწერებეთ, ეითა აჭა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერა, ღ-თისათჳს, სიტ-ჳთა ნუ სცვალებთ: ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ.

და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩ-ნნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წ-ჲ თაო-ბამგჳნიერა არიან და კეთილად: ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა. მუნით დაწერეთ. და, ღ-თისათჳს, ერთმანერთსა ნუ გარეეთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე დიდითა ღ[ჳ]ლწოთა ეთარგმნე, ლოცა ყავთ." 251 r. I და II სვ.

2. (გადამწერისა): „კურთხეულ არს ღმერთი! სრულ იქმნა წ-ჲ ესე ოთხთავი ქ-ნსა მეათოთხმე[ტ]ე მოქცეულსა: რიხ, მარტს: ი: ჴელითა ცოდეელისა აკაკისთა.

თუცა ნაწერი უუნდობობს, არამედ შემოქმედისა არიან ბრძანებანი, რომელნი ესე კაცთა ცხორებისათჳს აღმოთქუნა შინე, კაცთათჳსე კაცქმნულმან. ამას იწურთიდი: უფროსღა სჳმით ჰყოფი და ჩემითჳს, მწარედ ცოდეილისა, ლოც-ა ჰყოფდი, მოსო ღ-თისო სარწმუნოო!"

„რომელისა ბრძანებითა აღიწერა წ-ჲ ესე წიგნი — დიდისა, ღ-თის მო-ყრისა და მოწყალისა პატრონისა დედოფალთა დედოფლისა თამარისნი მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მათისნი.

ნებაჲ წადილთა ზედა აღსრულებითა დიდისა და ქრისტეს მოყ-რისა პატრონისა ძისა მათისა მხეჭაბუკის მორჯმთა და ამოდ ყოფნითა და ეგრეთვე შეენიერთა ძეთა და ძისწულთა მათთა ბედნიერობითა და დღეგეთილობითა. საუკუნო იყავნ საჴსენებელი და კურთხევაჲ მათი.

ეგრეთვე დიდებულთა მ-შობელთა მისთა: პატრონისა ყუარყუარესი და პატრონისა დედისიმედისა საუკუნო იყავნ ჴსენებაჲ მათი.

ეგრეთვე ქრისტესმოყუარეთა ძმათა მისთა: პატრონისა კაიხოსროსი და პატრონისა ბაადურისა საუკუნო იყავნ საჴსენებელი და კურთხევაჲ მათი.

„პირველად პატრონი ბაადურ მიიცვალა:
ქ-ნსა რაჲ, ოჳ დ. ი დღ. ა.
პატრონი დედისიმედი ქ-ნსა რაჲზ, დ-კ, ი თ დღ. ვ.
პატრონი ყუარყუარე: ქ-ნსა რაჲზ, ივლ. ა, დღ. ა.

პატრონი ქაიხოსრო: ქ'ცნა რაჲ, მაისის ვ, დღ. დ"
251 r — v, 1 — 11 სვ.

„ამისს მწერალსა აკაკის შ'ნს ღ'ნ.
253 v, ბოლო სტრიქონში.

მინაწერები: 1. „ეს სახარება გადაწერილი არის
1504 წელს." 1 r, წითელი
მელნით, მხედრულით.

2. „ეს სახარება დაწერილ არს, როგორც შეამოწმა უფალმა დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე მ ამა 1889 წელს, აგვისტოს 7-ს, მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისშიდ, ესე იგი 1504 წელსა." 1 v-ზე. (წინა მინაწერის ხელით).

921

ოთხთავი. XVI

218 ფ.; 21,5×17 (ეს არის ხელნაწერის ფ.ფ. ზომა მუზეუმში ჩატარებული რესტავრაციის შემდეგ; რესტავრაციამდე ნაკლებად დახიანებული ფ. ფ.: 19,5 × 13,5); ქაღალდი; მეტად ნაკლული და დახიანებული ფ. ფ. სათითაოდ რესტავრირებულია; შეუმთხვევი ხის ორი ყდა მოთუჭოვილი მოჭედილობით არის დაფარული; მოჭედილობა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან.

I აღდგომისა და ჯოჯოხეთს შთასვლის კომპოზიცია (ყდის ზევითა ნაწილი — 21 × 15 —), მეტად დახიანებული, უხეშად რესტავრირებული კიდეებით, ძველი ასომთავრული წარწერით: „ა ღ დ გ მ ა ქ რ ი ს ტ ე ს ი"; კომპოზიციას მოტეხილი აქვს მთელი ქვემო ნაწილი; აქედან ქრისტეს ფეხქვეშ — კლიტე, და ფიცრის ნაჭერი (ზომით 2,5 × 2,5 დამაგრებული ერთი ლურსმნით, ხოლო ჯოჯოხეთიდან გამოსაყვანი ადრამის მარცხენა ფეხის ჩამოტეხილი ნაწილი ცალკე დართული აქვს მოჭედილობას (სქელ ქაღალდში); თავდაპირველად მოჭედილობის ეს ნაწილი გარშემოვლებული ყოფილა ფოთლოვანი ორნამენტის ოთხკუთხედი ჩარჩოთი, რომლის დიდი ნაწილი ამჟამად დაკარგულია. ძველი ორნამენტიდან შემორჩენილია მარცხენა მხარეს 4+4 სმ. და ცალკე, ლურსმნით მიმაგრებული პატარა ნაწილი; ზომით — 3,5 + 4,5 სმ. დანარჩენი უხეშად რესტავრირებულია ე ვ ხ ი ბ ი ს ხელით.

მოჭედილობის II ნაწილის მარჯვენა მხარე უშუალოდ უკავშირდება პირველ ნაწილს; ეს II ნაწილიც დახიანებულია (მოცულობით: 20×6,5). იგი ოთხი მახარებლის რელიეფურ გამოხატულებას წარმოადგენს; ამათგან მთლიანი სახით მოღწეულია მხოლოდ მათეს და მარკოზის გამოხატულება; შედარებით ნაკლებ დახიანებულია ლუკას გამოხატულება, რომელსაც მოტეხილი აქვს 3×2,5 სმ. შემცველი ნაწილი; ხოლო იოანეს (შეცდომით მას „მათე" აწერია ასომთავრულად) პორტრეტიდან დარჩენილია მხოლოდ მარჯვენა მხარი და შარავანდედის მარცხენა ნაწილი; მთლიანად დაკარგულია სახე, მარცხენა მხარი და ხელი; შემორჩენილი ნაწილები 4 ცალკე ნაჭრის სახით მიმაგრებულია ერთ ვერცხლის ფირფიტაზე — ეს ნაწილები გრეხილის ოთხკუთხ ჩარჩოებში არიან მომწყვდეულნი.

მოჭედილობის III ნაწილი, ყდის ქვემო ფიცარზე უბრალო ლურსმნებით დაჭედილი, შედარებით ნაკლებად დახიანებულია; ჯვარცმის გამოხატულების სამიე ფიგურა დაუხიანებლად არის მოღწეული; ყოველ მათგანს აქვს ასომთავრული წარწერა: I „ი'ჳ, ქ'ე, მეფუე ჳრეათა"; II „დედა ღ'ა", „ი'ე მ'ოწრებელი", — მთელ კომპოზიციას: „ჯ ვ რ ც მ ა"; დახიანებულია, ფოთლოვანი ორნამენტის ქვემო ნაწილი მთლიანად — 1,3 სმ. სიგრძეზე — და ზემოთა ორნამენტის 7 სმ.; მოჭედილობის ამ III ნაწილთან დაკავშირებულია წარწერიანი ფირფიტა, IV ნაწილი მოჭედილობისა, რომელის კოჭყურის ორი ნაჭერი მომტკრეული და დაკარგული (ამ ფირფიტის ასომთავრული წარწერა იხ. აღწერილობის ბოლოს). მოჭედილობის V ნაწილი: მისი ყდა შედი (7) მოძრავი ხელისაგან შედგება, აქედან 4 სრულიად დაუხიანებლად არის მოღწეული; მეხუთე გატეხილია და ამომტკრეული აქვს პატარა ნაჭერი (2,2 სმ. × 2 სმ.); მეექვსე ხოლსაც მომტკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეული აქვს ნაწილი (5 სმ.), მეშვიდე, მოგვიანებით აღდგენილი ზოლი, დაუზიანებლად არის მოღწეული; იგი „აღმდგენელის“, ოქრომქედელი ბუნუ ეგჯიბაის სახელს გვაცნობს (იხ. წარწერის ტექსტი აღწერილობის ბოლოს); მოქმედობის VI ნაწილი (17×7 სმ.) მთლად მოცილებულია; მას კოკუურებით უკავშირდება ჯვარცმის მომტერეული ორნამენტი — 7,3 სმ. ამ VI ნაწილის ფირფიტაზე არის წარწერა „ქყონდიდელნი ეფილ-ცაგარელისა“ (სახელი არ იხსენიება. იხ. წარწერა აღწერილობის ბოლოს); ეს ფირფიტა და ყელი მეშვიდე ზოლი დანარჩენ ნაწილებში გამოირჩევა და გვიანდელად (XIX ს. I ნახევ.) უნდა ჩავთვალოთ; ბუნე ეგჯიბაის მხრლოდ ამ ორი ნაწილის მოქმედება უნდა მივაწეროთ; დანარჩენი, ძირითადი ნაწილების მოქმედობა შეიძლება ხელნაწერის დაწერის (XVI ს. I ათეული წ. წ.) დროინდელი იყოს; წერილი ნუსხური; XVI ს. I ათეული წლებისა; გადამწერი: ზოსიმე (30 v, II სვ.): მომგებელი: პატრონი თამარ (28 r, 97 r); ადგილი: [სამხრეთი სჰკართველოს]; მახარებლების დახიანებული პორტრეტები, შესრულებული ოქრომელნით და ფერადებით: 31 r, 102 r: ოქრომელნითა და ფერადებით მოხატული თავკაზხმულობანი: 32 r, 103 r.; დაბრუნებულია პარიზიდან 1945

„ . . . ნი თ[ნი. და განვიდეს მიგებებად სიძისა...“ მათე. 15—1. წყდება: „და აღეიღა იგი სასმა და დასდევდეს მწიგნობარნი...“

შენიშვნა: 1. სახარების ტექსტს აკლია თავსა და ბოლოში, იგი ნაკლულია აგრეთვე შიგნითაც. მოღწეული ფ. ფ. დიდი უმეტესობა ნაფლეთებს წარმოადგენს (36 ფ. და სხვ. მრავალი). დღეს ფ. ფ. გამთელებულია რესტავრატორის ხელით, მაგრამ ტექსტი დახიანებული და ნაკლული რჩება.

2. ოთხთავის ცალკე თავებს ჰქონია თავების ნუსხა. აქედან შემორჩენილია: მარკოზის — 29 r — 30 r, ლუკასი — 97 v — 101 v.

3. ხელნაწერის ხელი ძალიან წააგავს ცნობილი მესხი გადამწერის ზოსიმე ვალელის ხელს (XVI ს.).

მესხეთის არისტოკრატიას უნდა ეკუთვნოდეს მომგებელი „პატრონი თამარ“, რომლის მოსახსენებელი შემორჩენილია 28 r და 97 r-ზე (იხ. **მინაწერებში**. — ხომ არ არის ეს „პატრონი თამარ, ქოიარ-ყოფილი ქერაბინის მეუღლე, რომლის დაკეთითაც გადაწერილია ცნობილი S: 1246 ხელნაწერი?).

ანდერძი: (გადამწერისა): „ღმერთო! შეიწყალე ამისი მწერალი ცოდვილი ზოსიმე .“ 30 v, II სვეტის დაუწერელ არეზე.

მინაწერი: (ტექსტის ხელით):

„პატრონსა თამარს
და მისთა მიცვ[ალებულთა]
სასუფეველი ცათა დაუმკვდრე ღმერთო! ამინ“.

28 r. მათეს სახარების ტექსტის ბოლოს, II სვეტში.

97 r.-ზე, მარკოზის სახარების ტექსტის ბოლოს, ქვემო ნაპირზე, ორ სტრიქონად, მეორდება იგივე მოსახსენებელი, დაუზიანებელი სახით.

მოქმედობის წარწერები:

„ქ: შეწევნითა ღ[მ]თისათა, ჩვენ, მამა ჰყონდიდელმან ევდემონ აფ[ა]ქ-ი ძ ე მან მოვაქედინეთ წ[ა] სახარება ესე და შემოვწირეთ მ ა რ ტ ვ ე ლ [ი] ს ყოველად წ[ა] ღ[ისშობელსა, სათად ჩვენთვინ და ცოდვათა შეს[ნ]დობლად.“

ყდის მოქედილობის ჯვარცმის კომპოზიციაზე მიმაგრებულ ფირფიტაზე, რელიეფური სწორი მრგვალოვანით (1 სანტ. სიმაღლის ასოებით).

11. „ჭ: თქვენ, დიდო და საზნეულო მარტვილისა ღ[ვთის მ-შობელო! ჩვენ. ჯ უ ო ნ დ ი დ ე ლ-გ უ ლ ა ე ლ-ც ა გ ე რ ე ლ-მ ა ნ მოგიტყდინეთ ოთხთავნი ესე. ასრე როგორ ძველად დამტკრეულ და მოშლილ იყო და მე ხელახლა მოვაჭედინე ჩემად სადღეგრძელო(!) და შესანდობლად.“ აღდგენილ, მოცილებულ ფირფიტაზე ამოფხეკნილი წარწერა, [XIX ს.] მხედრულით.

111. „ჭ: ღ[ვთო! მოიხსენე ამისი ო ჯ რ ო მ ჭ ე დ ე ლ ი ხ უ ხ უ ე ჯ ი ბ ი ა!“. ყდის მოჭედილობის ყურის მე-7-ე, აღდგენილ ნაჭერზე ამოტრილი მხედრული წარწერა, წინა წარწერის ხელით.

922

ოთხთავის ყდა და მოჭედილობა. 1729

8,5×7; სიმაღლე 3,3; მოოქროვილი ვერცხლი, სულ 6 ნაჭრისაგან შემდგარი. ზემო და ქვემო ნაწილები შემკულია რელიეფებით: ზემო — ქრისტეს ჩასვლა ჯოჯოხეთში; ქვემოთ: ჯვარცმის გამოხატულება; მოჭედილობის წინა მხარე შემკულია ოთხი მახარებელის გამოხატულებით (ბრინჯაოსი? დაკრულიაქ); ეს ნაწილი თითქმის მოცილებულია და მოხლოდ გვიანდელი ოთი ლურსმნის მეშვეობით არის დამაგრებული; მოჭედილობის შიგნით ჩაკრულია ხელნაწერის ფიცრული ყდა, შემოსილი ყავისფერი ტყავით.

მოჭედილობის ყველაზე საყურადღებო ნაწილია ყუა, რომელიც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული მოძრავი ნაჭრისაგან შედგება. აქ მოთავსებულია ხელნაწერის პატრონის მხედრული წ ა რ წ ე რ ა, ამოჭრილი ოქრომჭედლის მიერ:

„ჩვენ, მ ე ფ ი ს ი ე ს ე ნ ა ზ ი რ მან, ა დ ა მ მოვაჭედინეთ წმიდა ესე ოთხთავი ჩვენად და შეილთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და შმობელთა ჩემთა სულის საოხად ჭ[ყ]ს [ფიზ].“

სამ სტრიქონად. თითო ნაჭერზე თითო სტრიქონი.

ძველი № 1118.
ჩამოტანილია პარიზიდან, 1945.
ხელნაწერი, რომელიც 1945 — 46 წ. წ. მთლად გახრწნილი ყოფილა, ამოღებულია.

№ 923/928

ოთხთავის ვერცხლის მოჭედილობა. XVIII

8,5 × 5,5; მოოქროვილი ვერცხლის რვა (8) ნაჭრისაგან შემდგარი (სიმაღლე 2,5 სმ.) კუბოს ორი უდიდესი ნაწილი შემკულია ამობურცული კომპოზიციებით: ზემო—ჯვარცმის გამოხატულებით; ქვემო—ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლის სურათით; მოჭედილობის დანარჩენი ნაწილები შემკულია ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტებით; მოჭედილობის ყუა სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოძრავი ნაწილისაგან შედგება; მოჭედილობას აკლია სამი ქინძისთავი, რომელითაც დამაგრებული უნდა ყოფილიყო მისი ნაწილები; დაცულია 6 დანარჩენი ქინძისთავი; ვერცხლის კუბოს შიგნით მოთავსებულია ოთხთავი სახარების ტყავგადაკრული ფიცრული ყდა. ხელნაწერის გახრწნილი ფ.ფ. თავის დროზე ამოღებულია მოჭედილობიდან და ყდიდან.

ხელნაწერის ძველი № 1121 (ხელნაწერი მარტვილიდან იყო წაღებული პარიზში). დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

ერთი და იგივე სამუზეუმო ერთეული აღნიშნულია ორი ნომრით: 923 და 928. (იხ. საინვენტარო დავთარი).

№ 924

ოთხთავის მოკიდლი ყდა.

15,5×9,6; ოთხთავის მოკიდული ყდის ნაწილები, სამ ნაჭრად:

I. მოკიდულია ხავერდდაკრული (ამჟამად გატეხილი) ფიცრის ცენტრი და კიდეები; ცენტრში — ქრისტეს აღდგომის რელიეფური, მოოქროვილი გამოხატულება, რუსული წარწერით: „Воскресение"; ფიცრის კუთხეებში მახარებელთა რელიეფური გამოხატულებანი; მარჯვენა და მარცხენა კიდე შემკულია მინანქარით ნაკეთები ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით.

II. ნაწილი, ოდნავ ნაკლებად დაზიანებული ფიცრისა, ცენტრში ჯვარცმის გამოხატულებით არის შემკული (სპავური წარწერებით); ფიცრის ზემო კუთხეებს ამკობს ორი ანგელოზის რელიეფური გამოხატულება; ქვემოთ, მარცხენა მხარეს, გამოხატულია ანგელოზი, კიბით ხელში, მეორე მხარეს — ანგელოზი კანდლით ხელში; ყდის ამ ნაწილის ოთხივე კიდეს ამკობს ისეთივე მინანქრიანი ორნამენტი, როგორც I ნაწილს.

III. ამ ნაწილს შემონახული აქვს აგრეთვე ერთი შესაკრავი (5×1,2 სმ.).

IIII. ამავე ყდის მოკიდლობას უნდა ეკუთვნოდეს 8,5×3,5 [ვერცხლის?] შესაკრავი, წმინდანის რელიეფური გამოხატულებით.

925

ოთხთავის საწელიწდო საკითხავები. XVIII

249 ფ.; 15,8×11,5; (მუხეულში ჩატარებული რესტავრაციის შემდეგ, ხოლო რესტავრაციამდე დაუნაბეჭდელი ფ. ფ. ზომა 14,5×9,5). ქაღალდი; მეტად დაზიანებული; ფ. ფ. ნაწილისაგან დარჩენილია მცირედი ნაშთები; წითელი ხავერდით შემოსილი მუყაოს ყდა; ხელნაწერი მოთავსებულია აწ ნაწილობრივ დაშლილი, 7 თოქი და 1 დაზიანებული ნაწილისაგან შემდგარი მოოქროვილი ვერცხლის ბუდეში: 16.8×11,5, სიმაღლე: 5 სმ.; ვერცხლის ბუდის ზემო ნაწილზე, ცენტრალურ ადგილას, ამობურცული ქრისტეს ჯვრჯოხეთში ჩასვლის გამოხატულება, რომელსაც ოთხკუთხივ შემოსეულები აქვს ფოთლოვანი ორნამენტის ზოლი; მოკიდლობის ეს ნაწილი შემკულია აგრეთვე ძვირფასი თვლებით: ორი დიდი მოლალისფერო თვალი (ზემოთა და ქვემოთ), ჩასმული მცირერ ბუდეებში, ორი ფირუზის მოზრდილი თვალი (მარჯვენითა და მარცხნით); გარდა ამისა ამ დიდ თვლებს გარს აქვთ 25 წვრილი თვალი, ფირუზისა, ზურმუხტისა და ლალისა; ზემო კუთხეში მოთავსებულია თითო (მარჯვნის?) თვალი; ქრისტეს ფეხებთან ერთი წყლისფერი თვალი და ორიც ქვემო კუთხეებში (ეს ორი უკანასკნელი მთლად გადაღეღილი და ფერდაკარგულია); მარცხენა მოზრდილ ფირუზთან ერთი ბუდე ცარიელია; ვერცხლის კუბოს მეორე მხარეს ამკობს ჯვარცმის გამოხატულება, ასომთავრული წარწერებით; ამ კომპოზიციას ოთხივე მხრივ შემოეღებული აქვს ფოთლოვანი ორნამენტი; იგი შემკულია აგრეთვე ძვირფასი თვლებით: ზემოთ — დიდი ზომის ფირუზი, ქვემოთ — დიდი ზომისავე ლალი, მარჯვენივ — მოზრდილი მომწვანო გამჭვირვალი თვალი; მარცხნივ — წყლის ფერი გამჭვირვალი (მოზრდილი) თვალი; ზეკითა (ფირუზის) დიდ თვალს გარს აქვია ქვეცი ზურმუხტის თვალი; იმათგან ერთი მეტად გადაღეღილი და ფერდაკარგულია; ამ ზეკითა ნაწილს, კუთხეებში დატანებული აქვს კიდევ თითო ზურმუხტი (წვრილი); იოანე მახარებლის მარცხენა ხელთან მდებარე დიდ თვალს ოთხი პატარა ბუდე აქვია გარს; ქვემოთა ბუდეების თვლებს შერჩენილი აქვთ ოქროვი ელვარება; ზემოთა ორი თვალი მთლად ამოღეღილი და ჩამცხრალია; ღვთისმშობელთან მდებარე დიდ თვალს შემოეღებული აქვს ოთხი მცირედი ლალისა და ერთი მცირედი ზურმუხტის ბუდეების ნახევარწრე; თვლებით უხვად არის შემკული ჯვარცმის კვარცხლბეკი — აქ პატარა ბუდეებში ჩასმულია 15 თვალი: — სულ ვერცხლის კუბოს ამკობს 70 თვალი; ხელნაწერის ყელისათვის განზადებული ნაწილი ვერცხლის კუბოსი სამი მოძრავი, სადა ზოლისაგან შედგება; ისინი ერთმანეთს ულაგმრდებან ვერცხლისავე კოჭაკურებით, რომლებშიც გაყრილია ქინძისთავები (მთელ სიგრძეზე); ერთი ქინძისთავი, რომელიც

თავის დროზე აკავშირებდა კუბოს ყუას მის ზემოთა ნაწილთან, ალარ არის; კუბოს მეორე, გრძლიფური ნაპირი შემკულია ოთხივე მახარებელის მრგვალ ჩარჩოში მოთავსებული რელიეფური ბიუსტებით, ასომთავრული წარწერებით: „წჲ მათე...“ „მარკოზ“... „ლუკა“, „ი᲼ნ:“ კუბოს ზემოთა, მესამე, კიდე შემკულია სამი ჯვრის გამოსახულებით; ხოლო მეოთხე კიდე (კუბოს მერვე ნაწილი) შემკულია სადა ორნამენტების სამი ზოლით: ეს ნაწილი ვატეხილია; მას აკლია ერთი პაწაწინა ნაჭერი; ხელნაწერი დაწერილია წერილი ნუსხურით; ორ-ორ სეტად; XVIII ს. დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

«სახარების საწელიწდო საკითხავები»... „[და ვითარცა გემო იხილა ჰე]რისა უფალმან, წყალი იგი, რომელი [ღ]ნო იქმნა, და არა უწყოდა, ვინა იქ[ოდა?], გარნა მსახურთა [მათ] უწყოდეს, რომელთა აღავსეს წყლითა...“ იოანე, 2,9.

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ სამარიტელთა მათ სიტყჳთა მის დედაკაცისათა, რ᲼ სწამებდა, ვითარმედ ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვჰქმენ. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი.“ იოანე, 4, 39 — 40.

926

ოთხთავის მოქედილობა. XIX

8,5×5,5; მოოქროვილი ვერცხლი, სულ შეიდი (7) ნაპრისაგან შედგება (სიმაღლე 2,5 სმ): ზემო დიდ ნაჭერზე ამობურცულად გამოხატულია ქრისტეს ჩასვლა ჯოჯოხეთში; ქვემოთ, იმავე ზომის მეორე ნაწილზე, ამობურცულია ჯვარცმის გამოხატულობა (ჯვრის ზემო კუთხეებში — მზე და მთვარე); კუბოს დანარჩენი ნაწილები შემკულია ფითლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით; კუბოს ყუა ორი ერთმანეთთან მოძრავად დაკავშირებული ნაპრისაგან შედგება და სამყურიანი ფოთლოვანი ორნამენტის ხოლებით არის შემკული; კუბოს შერჩენილი აქვს ექვსი ქინძისთავი, რომლებითაც მჭიდროდ არის დამაგრებული მისი ნაწილები; დაკაოკულია 3 ქინძისთავი, რის გამო კუბო ამჟამად გახსნილია.

ხელნაწერის ძველი № 1122.

ვერცხლის მოქედილობის შიგნით მოთავსებული ოთხთავი, სრულებით გახრწნილი, თავის დროზე ამოღებულია.

ნიგთი ამ სახით არის ჩამოტანილი პარიზიდან 1945 წ.: ის მარტვილიდან ყოფილა გატანილი.

927

ილორის ხატის წარწერიანი ფიცარი 1651 წ.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში.

928

იხ. 923.

929

ტბეთის ოთხთავი. XII

I — III, 321 ფ.; 27 × 19,5; ეტრატი; მეტად დახიანებული: I — 107, 183 — 318 ფ. ფ. — რესტავრირებულია ეტრატისაგე ნაკრებით XVIII ს., ტყეობიდან დახსნის შემდეგ, 23. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იხ. სოლომონ I-ის მეუღლის—მარიამ დედოფლის მინაწერი 80 v.); მე-7-დე ფ. უმეტესი ნაწილი მოცილებულია; ხელნაწერს აკლია „კანონების“ შემცველი ფურ.; მომგებელის ანდერძი (ბოლოში) ხაკლულია; მაგარი ფიცრული ყდა (28×20,8) ტყიფარული მოთკრთვილი ყურით XVIII ს. არის გაკეთებული; იგი დახიანებულია შიგნიდან — ჰიის ნაკვალევით (ტერატის 1—3 ფურცლებითურთ); ყდას უბრალო წვრილი ლურსმნებით უხეშად დაკრული აქვს ქარ-თული ხელოვნების ისტორიაში ცნობილი მოოქროვილი ვერცხლის მოქედილობა, მეტად დახიანებული; ყდის ზემო ნაწილზე გამოქანდაკებულ ჯვარცმის გამოსახულებას აკლია ქრისტეს სხეე და სხეულის დიდი ნაწილი; შედარებით კარგად არის მოღწეული ღვთის-მშობლის ფიგურა, რომელსაც ამომტრეულად აქვს შეხლის მარჯვენა მხარის პატარა ნაწი-ლი; იოანე მახარებელს დაჰკლებული აქვს სახისა და თმის დიდი ნაწილი; კარგად არის მოღწეული ანგელოზების გამოხატულება ჯვრის ორივე მკლავთან; დახიანებულია ფო-თლოვანი ორნამენტი, რომელიც გარს ეკეთება მთელი კომპოზიციის ოთხივე მხარეს; მას შემომტრეული აქვს მთლიანად ქვემო ნაწილი (დაახლოებით 20 სმ. სიგრძე, 2,5 სმ. სიგანე), დახიაჳებულია ორნამენტის სხვა ნაწილებიც (მარჯვენა და მარცხენა მხრის ქვემო ნაწილები); დახიანებულია ყდის ქვემო ნაწილის მოჰედილობაც; პეტრე მოცი-ქულს თავი აღარ გააჩნია—დარჩენილია მხოლოდ მარჯვენა ყური და ხუჭუჭი თმის ნა-წილი; პავლე მოციქულის ფიგურისაგან დარჩენილია მხოლოდ ფეხები (მუხლებს ქვემოთ), ტანსაცმლის ნაწილები და ხელების მტევნები, აგრეთვე ნიმბი; ქრისტეს ფიგურა მთლია-ნად არის მოღწეული (სახე დაკნეტილი აქვს), ბერძნული წარწერით; წარწერების მსგე-ლი ასომთავრულით ახლავს ჯვარცმას და პეტრეს და პავლეს ფიგურებსაც; მომჭედილობის ორნამენტს შემოკლილი აქვს ვერცხლისავე გრეხილისა და ვერცხლის ლურსმნების ხოლი: მარჯვენა მხარეზე — მთლიანად (27 სმ.), ქვემოთ — 6,3 სმ; დახიანებული აქვს კუთხეე-ბიც; ყდის ორი შესაკრავის ვერცხლის ძირები შემორჩნილია; ამ ძირების ქვემო ნაწი-ლებზე გამობმული ავეანდებზე დამაგრებულია მწვანე ზორები ვერცხლის აბზინდებით; ხელნაწერის ფურ. ჩაწყობილი მოოქროვილია (XVIII ს.); კლასიკური ნუსხურით (უდი-დესი ნაწილი ხუჭუჭად გაცხოველებულია; მუქი ყავისფერით ნაწერი ტექსტი შემოკლე-ბული შავი მელნით); XII ს.: გადამწერი: იოვანე ფუკარალისძე; მომგებელი: პაველ მტბევარი, ჯუარის მყუანი; დაწერილია 4 r — 5 r. 80 r.; მახარებელთა ფერადებით ნაწერი პორტრეტები (ალაგ-ალაგ გადასული) — 5 v, 81 v. 132 v, 217 v. ხელნაწერის ძველი № 812; დაბრუნებულია პარიზიდან 1945.

„პირველი თავი სახარებაჲ მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუს ქრის-ტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. — აბრაჰამ შვა ისაკ..“ 6r — 278 r.

შენიშვნა: 1. ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის: „ევსებიოს კარპიანეს, სა-ყუთარელსა ძმასა]“ 1 r — 2 r.

2. ყოველ ცალკე თავს წინ უძღვის თავების ნუსხა (2 r — 3 v; 77 v — 78 v; 129 r — 131 v; 216 r — v.).

3. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს ვრცელი საძიებლები: ა „წ'დასა და დიდე-ბულსა კჳრიაკესა აღსვებისასა, სახ'ობად — სახარებაჲ იოვანესი თავი; „პირველით-გან იყო სიტყუა...“ 279 r — 288 r.

ბ. „...სახარებ'ნი... შაბათ-კჳრიაკეთა...“ 288 r -- 290 v.

გ. „თუმცა სჯ დ ე ბ ე რ ს ა ...“ 290 v —303 v.

დ. „სახარებანი ს ა ტ ფ უ რ ე ბ ი ს ა ნ ი“. 303 v — 305 r.

ე. სახარებანი, რომელთაჲ ს'დ ჴამს დაწერაჲ, მარტკლ[ი]საჲ და ყ'თა წ'თჲ ..“ 305 r — 318 r, 1 სვ.

4. ტბეთის ოთხთავის დაწერილებითი აღწერილობა და მისი მოჰედილობის რე-პროდუქციები იხ. ე. თაყაიშვილის პრეპოლოგ. მოგზ. 1902 წ., Материалы по археол. Кавказа, т. XII, Москва, 1909 г. გვ. 151 — 162.

ანდერძები: (გადამწერისა):

1. „წმიდაჲთა ყო[ვ]ელნო, რომელნი აღწერილ ზართ ხანდუკსა ამას შინა ჴელითა ჩემ ცოდვილისა იოვანე ფუკარალისძისაჲ თ,

მეოხ ეყვნით წინაშე ქრისტესა[ჲ] წ̃ა მამადმთავარსა
პ[ავ]ლე მტ[ბ ე ვ ა რ]სა. ამინ იყავნ; ამინ.“

305 წ. 1 სვ. ბოლოს, სინგურით.

2. „ჭ̃ე, შეიწყალე ი ო ვ ა ნ ე.“ 316 წ, სინგურით. ნაწერი სათაურის ბოლოსტრი-
ქონში.

3. (მომგებლის, პ ა ვ ლ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს ა, ჯ̃ ი ს მ ყ ვ ნ ი ს ა):

ხა[ხეითა] · . . . . . .
. . . . . · . . . . . .
თ . . . . . .
თა . . . . . .
თა . . . . . .
უფლისა . . . . . .
თა წ̃თა ზეცისა . . . . . .
მადლითა წ̃ა[ჲ]ნათლი-
სმცემელისა̃თა, შეწევნი-
თა და წ̃არმართებითა
წ̃თა და ყ̃დ ქებულთა თაეთა
მოციქულთა პე[ტრ]ეს და პავლე-
სითა და ყ̃თა წ̃თა ღ̃ისა
ნებისმყოფელთაჲთა — ღირ-
ს ვიქმენ არაღიოსი, სული-
თა საწყაღობელი პ[ა]ვლე ჯ̃ ს
მ ყ̃ვ ნ ი, ღ̃ისა მ[ო]წყ[ა]ლებითა
და სახ[ე]ი[ე]ბათა მიერ ს ა ყ̃ დ რ ს ა ტ ბ-
ე თ ი ს ა ს ა დაპყრობ[ა]დ, გამხ-
რდელისა ჩ[ემ]ისა ღ̃თივ გუ-
რგუნისისა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ა
დ ი [მ ი]ტ [რ ი]ს მიერ, რ[ომელი]ი. მკჳდრმცა არს
მ[ა]რჯუ̃ენითა [ქრისტეს] დასაყდრებ-
ული და მიანიჭა ღ[მერთმან] ძ ე ს ა
მათსა გ [ი ო რ გ] ი ს მ ე ფ ო ბ ა ჲ, ლომთა
უმჯნესსა და არწივთა
უმალესსა და მისცა ღ̃ნ
ურიცხჳ ძლევაჲ და გამარჯუ̃ებაჲ
ყ̃თა წინაალმდგომთა მისთა
ზედა. მეხუთესა წელსა აი
. . . . . ვ
. . . . . .
. . . . . თგ[ა]ნ
. . . . . ·ტყთ[ა]
. . . . . ა ნ ი ს ი ა ს ა
. . . . . [ა]თასითა[სწ]
. . . . . და ეზომ-
. . . . . თა იყო მის
. . . . . [რ̃ლ], მსგავსად
. . . . . ისა და გ ე დ ე ო ნ ი ს ა
მცირითა ერითა სძლო უ-
რიცხჳსა მას სიმრავლესა ბა-
რბაროზთასა და მოკლეით
და ტ[ყუ̃ო]ბით მოსწყჳდეს
ოცდაათეჴუსმეტი ჩ
ქაცი. დატტევეს საჭურჭ-
ლე: ურიცხჳ კარვები,
ცხენი, აბჯარი და ყ[ოველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[ს]ჯონები*) მათი; დაიპყრე-
ს თავადი ამირაები; სუ-
ქმ[ა]ნ ის ძე ძლივ წარვედე-
ს, დაკოდილ - ჩამოგდებული.
ღმერთმან უმეტესი ძლევაჲ და წა-
რმართებაჲ მისცეს მეფობ[ა]სა
მათსა და კურთხევაჲ საუკუნოჲ და
დ[ი]დ[ე]ბ[ი]სა ...ბისა თჳსისა იხ-
ი[რ]ებს, ა[მი]ნ. საყდარ[ს]ა. ტ-
ბ ე თ [ი] ს ა ს ა ... ი ჳ ... ნი
წიგნნი მრავალნი და .. წ ...
ნი .. თა ამა მ . [გ] ...
ანისა კურთხევაჲ საჭირო იყო
და დიდადჲ იქირვოდეს. და-
ვაწერიე ესე ოთხთავი
სრული და უნაკლულოჲ
კარგითა და მართლითა
ზანდჳკითა და კანონითა,
სალოცველად ღ ̇თ ̇ივ გჳრ-
გჳროს[ა]ნთა მ ე ფ ე თ ა: დ [ი მ ი] ტ [რ] ი,
გამზრდელისა ჩემისა [დ ა] გ [ი ო რ გ] ი,
ძ ი ს მ ა თ ი ს ა, და საჴსრად
საწყალობელისა სულისა ჩემისა
და [საცხოვნებელად?] სულთა
ჩემ[თა დედა-მამათა] და
ძმათა ჩემთა: გ [ი ო რ გ] ი, თ [ე ვ დ ო რ] ე. ქ[ჯრიკ]ი
ს ა, დათა ჩემთა: ც ხ .. რ ბ ი,
გ უ ა რ [ა] ნ დ უ ხ ტ და ნ ო ნ ა ძ ს ი;
დისწულთა ჩემთა [ნიკოლოზ]
ქ უ თ ა თ ე ლ მ ̇ე ̇ ... და
ა რ ს ე ნ ი, ქ უ თ ა თ ე ლ
მ ̇ე ̇: ი ე ა ნ ჩ ე ლ მ ̇ე ̇,
ა ნ ტ ო ნ ი, ო პ ი ზ ი ა წ ი ნ ა მ-
ძ ღ უ რ ი ს ა, ა რ ს ე ნ ი, დ [ი მ ი ტ] რ [ი ს
მ ე ფ ი ს ა მ წ ი რ ვ ე [ლ] ი ს ა და
ყ ̇თ ̇ა თ[ჳ]სთა და ნათესავთა
ჩემთათჳს. დავდევ საყდ-
არსა ტბეთისასა წ ̇თ ̇ა მ[ათ] [ყოვ-]
ელთა წ[ინა]შე ესე ოთხთა-
ვი, ზატიკნი, იბაკონი...
ნი და სტიქარონი [და დავა]-
სუმნე ხატი დია შ[ინ]ა ...“**)

შენიშვნები ტექსტის ხელით,

ოთხთავის ზანდუკში ჩართული:

I „წმიდანო მამანო! ესე ვნებისა კჳრიაკი-
სა სცისკრონი სახარებანი ბერძ-
ულად არიან და ბერძულისაგან
დაგჳწერიან. [სხ ̇ა კულა განგებაჲ
არაჲ გჳპოვნია, არცა დაგჳწერია.] *** თქ ̇ნ, ეთა-

*) ნაქონები

*•) აქ წყდება.

***). ეს გამორჩენილი ტექსტი მიწერილია კიდეზე, მარჯვენა, სინგურით

ცა აშენდებოდით, ეგრეცა
ქმენით: თუ გინდა სადგად
ღირსყოფად და სმენად ჩ̃ნდა, ბ-
რძანეთ; თუ გინდა ქარ-
თ უ ლ ი თ ა გ ა ნ გ ე ბ ი თ ა იკი-
თხეთ.

289 r, სინგურით, II სვეტში.

11. „დიდ[ი]სა პარასკევისა სახარებანი ქამთანი დი-
დსა სუნაქსარსა სუშბარ
სწერიან: იჯიცა კეთილ და შუშ-
ნიერ. გარნა ჩ̃ნ, გლახაკნი ესე,
ვინაჲთგან წი̃სა კათოლიე
ეკლესიისა სამკაულსა წ̃ა
ამას სახარებასა შევეკიდენით,
და წყალობამან ღ̃თისამან აქამომ-
დე მოგუაწინა, არა ჯერ-
ვიჩინეთ ს̃დ მცონარებასა
მიცემაჲ თავთა ჩ̃ნთაჲ. ამის-
თჳსცა ესერა მამის̃ ე უ თ ჯ-
მ ი ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ესე წ̃ნი სახა-
რებანი დავწუსხენით,
ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცა.“

230 r, სინგურით, II სტ.

ყდის მოჭედილობის წარწერა:

...ქ: რომელთაჲ
ბრძ[ა]-
ნა მოძ-
ღ[უ]არმ[ა]ნ თ-
ქ[უე]ნ[ა]ნ
დასხდო-
მ[ა]ი საყდ[ა]-
რთა
ზედა დღ[ე]-
სა განკ[ი]თ-
ხვ[ი]სასა, მაშინ
მეფ̃ მეკმენით სოლ[ი]-
თა საწყალობელსა
ი[ო ვ ა ნ] ე მ ტ ბ ე ვ ა რ ს ა
ს ა ფ ა რ ე ლ ს ა, ამინ.“

წარწერა მოთავსებულია ყდის II ფრთის მოჭედილობის შუა ადგილას („მიწახუ“), 7 სანტიმეტრიანი ჩართული ასომთავრული, მრგლოვანი, გამობურცული ასოებით მოჭრილი ვერცხლით).

წარწერა გვაფიქრებინებს, რომ **მოჭედილობა** ტექსტის დროინდელი არ უნდა იყოს.

მერმინდელი მინაწერები:

1. „Сие Евангелие писанно в 1040-м году [!!]
от рождества Христова.“ I r. XIX ს. პირველი ნახევარის ხელით.
2. „პირო ღთისაო, სახარებაო! მომიხს-
ენე დ ე დ ო ფ ა ლ თ - დ ე დ ო ფ ა ლ ი
დ ა დ ი ა ნ ი ს ა ს უ ლ ი მ ა რ ი ა მ!

ამ სოფელს მადლგრძ-
ელე, მეორედ მოსლვას გა-
მომიხსენ, რ' აგარიანთ ჴელ-
იდამ გამოგიხსენ წამკდარ-
ი და ნაწერწამლილი და აზ-
ლა[დ] დავწერინე. ვინც მი-
იემთხვიოთ, მომიხსენებდით."
80 v, დაუწერელ არეზე, სინ-
გურით, ჩართულად,
მსხვილი მრგვლოვანით.

შოთა ბურჯანაძის დასკვნით წარწერაში მოხსენებული დედოფალთ-დე-
დოფალი, დადიანის ასული მარიამ უნდა იყოს. ოტია დადიანის ასული, სო-
ლომონ I მეუღლე, რომლის ზეობის წლებია 1754 — 1778.

3. „კ. ღმერთო, ტკბილო, მოწყალეო! ფარუდ-ბეგს
და მის მეუღლესა ხვარამზეს შეუნდევ მისი ცოდვანი და აცხოვნე."
შავი მელნით, XVI ს. მხედრულით, 118 r-ს კვემო კიდეზე.

4. სულსა [თენძის შვრს?] შეუნდეს ღმერთმა.
მაიანიძესა მახარებელსა და მისას
მეუღლეს, მზეკალსა"...
128 v, II სვეტ., გაუმართავი ხელით (მხედრ.)

930

რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. XVII

65 ფ. (შეწებებული ფუ. ჩაუთვლელად); 25,3×17,5; ქაღალდი; მეტად დახიანებული, გახრწნილი ფუ. დიდი ნაწილი შეწებებულია (იხ. 1,14—15, 16—17, 18—19,[20—21 ფუ.); უყურა; საგანგებოდ ნაკეთებ ძვირფას ყუთში მოთავსებული (32×26, სიმაღლე: 9,5 სმ.); ყუთი შიგნიდან შემოსილია ლურჯი ხავერდითა და აბრეშუმით (ყვითლით, თეთრითა, და ლურჯით); ყუთს ზემოდან ამშვენებს ვერცხლის ფირფიტა, რუსთაველის პორტრეტით; ცალკე ლურჯ ქაღალდში ჩადებულია ხელნაწერის მცირედი ნაფლეთები: დაფლეთილი ფუ. რესტავრირებულია; მხედრული; სათაურები და სტროფების პირველი სიტყვა სინგურით; XVII ს.; რუსთაველის პორტრეტის კვეშ წარწერა (ოქრის ვარაყით): „От трудящихся советской Армении братскому грузинскому народу." მოძღვნილია საბჭოთა სომხეთის მიერ საბჭოთა საქართველოს 25 წლის თავზე, 1946 წ.

. . . . . .

„ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად.
რა მიჯნური ელად რბოდეს, [მარტო უნდა გასაჭრელად].
მარგალიტი არვის მიხუდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად].
და კაცი ცრუ და მოღალატე ჭამს ლახვრითა დასაჭრელად]"... 1 r—37 r.

ბოლო: „სამთა ელეს. ღმერთმან მათებრი სხუა ნურა ნუ დაბადოსა.
მოეგებიან. მტეროობა ვერაკინ დაიქადოსა.
მინდორთა შიგან სადილად გარდავლეს უდილადოსა.
და ვითა მართებდათ, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა."

შენიშვნა: 1. 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით აქ გვაქვს 162 — 1578 სტროფი.

2. ხსენებულ სტროფებს უშუალოდ მისდევს „დამატებანი:" ა. „ტარიელისაგან ინდოთ მეფის ასკუდილის ცნობა:

„ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი...“ 37 v — 40 r.

ბ. „ტარიელისაგან ინდოეთს მიხვალა და ხატაველთ დამორჩილება.
— ინდოეთს ზედა წადგა მუნ მათა[?] და დიდი ქედია..“
40 r — 44 v,

გ. ქორწილი ტარიელის და ნესტან დარეჯანის ინდოეთს.
— დედოფალმა მათ, ცოლ-ქმართა თვითო ჭელი დაუჭირა...“
44 v — 48 r.

დ. „ტარიელ დასნეულდა და ზვარაზმელთ უმტერეს.
— ვაი, საწუთროვ, უბანოვო, სიმუხთლისა სენი გჯირსს...“
48 v — 52 r.

ე „ტარიელ კაცი გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან.
— რად არ გასინჯავთ სოფელსა, სჯირს გარე შიგან კრულობა..“
47 r'— 58 r.

ვ. „ომი ზვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა.
— რას ვაგრძელებდე, დაესხნეს ცისკრისა ჟამსა ომითა...“
58 r — 65 r.

ზ. „მოვიდა ტარიელი ტარიელ, ავთანდილ ცოლი მათი იტარა[!].
— [მოვიდა] ფრიდონ ტარიელით, ზახილით თავსა მცემელი..“ 65 v.

წყდება: „...[სრ]ული გაგლეჯრილყო ოდენ თმითა და წვერითა —
. . . კარგი სიტყუანი ფილოსოფოსთა ბძნობისა,
. . . [მ]სგავსად დავითის ძმობისა....
. . . ისა ცხებოსნობისა . . . . . .
. . . . . სა მშვილდოსნობისა...“*

931

ხელნაწერის ბუდე.

14,3×11,3; მოყვრივილი ვერცხლისა; სრულიად დაუზიანებელი, ორი მაგარი შესაკრავით (შესაკრავების და ბუდის სიმაღლის ზომა 4,5 სმ.); ბუდის ყუა, შესაკრავები და დანარჩენი სამი „კედარო“ მოყვავდებულია სხვადასხვა სახეებით და ყვავილებით; დანარჩენი მხარეები — ცხრა მოციქულის გამოხატულებით, სლავიანური წარწერებით.

ბუდის (ზემო და ქვემო) ვერცხლის მასსიური მოყვრივილი ფიცარი მოჭედილია რუხი ფერის მეტალით, ფოთლოვან-მცენარეული ხაზებით; ზემო ფიცარზე დაკრულია: ცენტრში — ჯვარცმა, კუთხეებში—მახარებელთა გამოხატულება; ქვემო ფიცარს ამკობს ოვალური მოყვანილობის მეტალზე დახატული აღდგომის გამოხატულება (ცენტრში), კუთხეებში კი ბასილი დიდისა, გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისა და ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის პორტრეტები, სლავური წარწერებით.

932

სამი წერილი: გრიგოლ ორბელიანისა (2) და იროდიონ ევდოშვილისა
(1) — გადატანილია საარქივო ფონდში.

933

ილ. ხახანაშვილის მიმოწერა და სტატიები.
გადატანილია საარქივო ფონდში.

---

*) ტექსტში: „მშვილდნოსნობისა.“

934—952

თბილისის, თელავისა და სღნაღის მაზრის ეკლესიების დაბადება-ქორწინების და გარდაცვალების წიგნები.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში

953

ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. 1728.

282 ფ. (ძველი, რვეულებრივი, პაგინაციით ლე რვეული); 30×20; ქაღალდი; ყავისფერი ტყავით შემოსილი ყდა. სრულიად დაშლილი, მას შერჩენილი აქვს, ერთი შესაკრავის ნაწილი; ფურცლების ჩამონაჭერი კიდეები ტენიურული და მოთხოვილია: 278—282 ფფ. ამოხეულია და მცირედ ნაშთებს წარმოადგენენ (ნიკოლოზ ორბელიანის მოგლოვანი, ჩართული ასოების ნიმუშებითურთ); 1 ფ. მოცილებულია. 4-ე ფურცელს ჩამოჭრილი აქვს კვეთო კიდე ტექსტითურთ; მხედრული; სათაურები, დასაწყისი ასოები და ტექსტის გამოსაყოფი ადგილები — სინგურით; ა, ბ, გ, დ, ე ასოზე დაწყებული ალეკსიკონო მასალის თავში დაწერილი ყოველი ასო საგანგებოდ არის გაფორმებული; 1728 წ. (272 v); გადამწერი: ზოსიმე ორბელიანი (საბას ძმა); მომგებელი: სახლთუხუცესი დიმიტრი ორბელიანი (საბას ძმა); ადგილი: მოსკოვი; დაფწერილია: 273 v — 277 v; შეძენილია ტროფიმე დამბაშიძისაგან Q კოლექციის № 954 ხელნაწერთან ერთად (ვახუშტის ისტორია-გეოგრაფია) 1949 წ.

„ა. სიტყჳს კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. — ანი არს პირველი ასო და ჴმიანი და ართრონი...“ 5 r — 269 r.

შენიშვნა: 1. ლექსიკონის ტექსტს წინ უძღვის:

ა. „ანბანი, პირველად სასწავლო ყრმათათჳს,“ სამ ნაწილად გაყოფილი: 1. ქართული ანბანი ა — ჰ, ორ სტრიქონად.

ამ ნაწილს დართული აქვს საბას განმარტება ზოგიერთი ასოსათვის.

„მეორე სწავლება ანბანის რიგისა, სადა ჴმიანი ასო სავმარ არს რიგითა... ბა, ბე. ბი. ბო, ბუ...“ ამგვარად არის გაწყობილი ყველა ასო.

„მესამედ სწავლა ანბანთაჲ, გენჳის გარჩევით პირველი ამოღებისა:

მა მაო ჩეე ნო...“ ბოლომდის.

ბ. „ანბანთა რიცხუთა სწავლანი, თუ რომელნი რაოდენთა რიცხუთა იტყჳნ:—ა. ერთი.

ბ. ორი..“ 2 r.

გ. „ნულა და ქართული რიცხჳს სწავლა: —

1 ა

2 ბ..“ ტაბულები 1 v — 2v-დე.

თავდება: „ესე ნული ყოფილთა რიცხუთა და ანგარიშთა უმჯობესი...“ 2 v.

დ. „საქცევნი ხუთთა ჴმიანთა ასოთანი და სწავლა სხუათა ასოთა და თავბოლოთანი. — ქართულთა ენათა ანბანთა ასონი არიან 40 და ებრაელთა 22...“ 2 v—3 r.

ე. „ნდერძანაგი ამის მუშაკისა ფრიად დამაშრომელისა, მოსწავლეთათჳს; გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოკიცხარ ექმნებიან შრომისათჳს და არა სარწუველად მისცემენ ლოცჳას. — მე. სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობის ჟამს და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცა ამა წიგნსა ზედა, რ' ქართულთა ენათა ლექსიკონი არა იპოებოდა. რ' ჟამთა ვითარებითა ურინო ქმნილიყო, რომელსა [!!] მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყჳს კონა ჰწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თჳსთა ნებაზედ გაეყრყუნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ მეფემ გიორგიმ მიბრძანა ამისი კეთყოფა, და ერთი სომხური მომეკო ლექსიკონი ენახე, რომელსა მათისაქე ენითა ბარგირჳი ეწოდების და მეც მათის ბაძით ესენი მიეჭაკე და რაოდენ ძალმეფა, აღვსწერე...“ 3 v — 4 r.

შენ. ს. ს. ორბელიანი. **ქართული ლექსიკონი** ტუ. 1928. გვ. 01 — 04.

ვ. „არიან ქარაგმანიცა ათნი...“ 4 r — v.

თავდება: „სადა ესე ჯდეს: |40. 30 ‖ 5.20| ქვეყნის ზომათა რიცხჳ: პირველი — ხარისხია სიმაღლისა და მეორე — წამის რიცხჳ“

2. დართული აქვს:

ა. „იესო ქრისტეს... სამეოცდა ათორმეტ მოწაფეთ სახელები...“ 270 r — v.

ბ. „[მ]ოველენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე არღარა უწოდენ...“ 271 r — v.

გ. „საკმარი სახელები, ესეც გარდაცულილი...“ 271 v.

დ. „განჯაჯფისა და მისის თამშობის სახელები.“ 271 v.

ე. **„გეომეტრა** ქველაანის მზომელი.

„სანაკაში წყლის სასწორი...“ 272 r — სულ 15 სიტყვის განმარტება.

ვ. „თქმული ქართველთ მეფისა მესამე[!] ვახტანგ ლევანის ძისა. „ჭ. რადგან დაშურა ასოე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა...“ 272 r.

ზ. თქმული სახლთუხუცესი დიმიტრი ორბელიანისა.

— ჭ: სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ რასა სწერს სულხან-საბანი...“ 272 r — v.

ლექსში ჩართულია ბიოგრაფიული ცნობები ს. ს. ორბელიანის შესახებ.

თ. „დასაბამითგან ქრისტეს მოსლვამდე ქართულის რიცხჳთა გარდაჴდა წელიწადი ხუთიათას ას ოთხმოცდაათურამეტი 5198...“ 272 v.

ი. „ვინც იმიზეზა მიზეზი...“ 272 v.

3. ქართული სიტყვების პარალელურად ლექსიკონში მოცემულია სომხური და თათრული შესატყვისები.

ანდერძი (გადმწერისა): „სრულ იქმნა სიტყჳ კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი, ჴელ აქათ ათას შჳდას ოცდარვასა. 1728: ივლის ჩჳდმეტსა: 17: დიდსა და ყოვლად დიდებულსა და ყოვლითურთ ღ'მისაგან კურთხეულსა თეთრს რუსეთს. სამეფოსა ქალაქს მოსკოვს, მეფობასა ცარი[!] პატრე ალექსანდრე ვილისა. მრავლმეა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისისანი; დაუშორილნეს ფუალ-ნი ყოელნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა და აღმაღლოს და აკურთხოს ყოელი ერთგულნი მისნი და განამტკიცოს და განაგროს და ყოელის კეთილით აღავსოს ყოველი საბრძანებელი და მორჩილნი მისნი და უფალსძან იესო ფუძეველ ყოს ყოელნი მეედრობანი მისნი. ამინ, ამინ, ამინ.

ველითა ჩემ ცოდვილის ზოსიმე ორბელიანისათ. ვინცა ჴელთ იპყროთ, გარდამოცჳნებულის ნაბიჭვისაგან თჳთოს შენდობის წყალობას ვიაჴ.

დაუწერა ძმასა თჳსსა სახლთუხუცესსა და ქართველის დედოფლის დის მეულესსა და მეფის ვახტანგის ბებიის ძმისწულს, ორბელიანს დიმიტრის. და მწერალი და ძმა მისჳ სახლთუხუცესისა ზოსიმე ასე უწერს: „თუ გასცეო, ჩემის ცოდვის პასუხიც შენ მიეცი, ძმა ჩემო, უფალო დიმიტრი! თჳთ შენ უწყი, როგორის სურვილით დამაწერინე და მეც მალ გათავებას ვეცადე და ამას გეევედრები: ეს ერთი წიგნი ჩემს მოსაგონად იყოს შენს სახლშია. ნურას გზით ნუ გასცემ. ამისი მიზეზი არ იქნება.“ 272 v. I, II სვ.

954

ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. XIX

1—IV, 492 გვ.; 36 × 22; ქაღალდი: დაზიანებულ ყდას ფიცრული ნაწილები გამოკლილი აქვს; დაორჩენილია დაზიანებული ტყიფრული ყდა ტყავისა, ჩვილედი ლეიბისმშობლის გამობატულებით (ცენტრში, ზემოდ და ქვემო ნაწილებზე); 1 — 120 გვ. დაშლილ-დაფურცვლილი, რესტავრირებულია ხელნაწერთა განყოფილებაში; მხედრული; XIX ს. დასწყისი; მოუკეთებელი: დავით ზახაძე თარხანმოუოვი (I r): შეძენილია საბას ლექსიკონთან ერთად 1949 წ.

„ტომობა და შთამომავლობა ქართ[უ]ლთა, ნოეს ძისა იაფეტის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთა[მდე] და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. — აწ ზნეთათჳს ვიწყოთ ძუელიდამ ახლადმდე საქართუ[ა]ლოჲსათა ზნეთა და ჩუ[ჳ]ულებათა..“ გვ. 1 — 448.

შენიშვნა: 1. ყურადღებას იპყრობს ამ ნუსხის დაბოლოება, რომელიც ემთხვევა ვახუშტის „ყგრისის ისტორიის“ ჩვეულებრივ დაბოლოებას: „და წარვიდა ქართლს ჳურაბ მამისა თჳსისა-თანა **და იყოფოდნენ ნუნიასს**“ (იხ. ჰიპინძის გამოცემა 1913 წლისა. გვ. 359).

ხელნაწერის ამ ნუსხაში ვკითხულობთ: „და იყოფოდნენ ნუნისს **რაოდენსამე ჟამსა, და შემდგომად**“ — აქ ამ დაბოლოებას არავითარი ნიშანი არ უზის.

2. სავარაუდებოა აგრეთვე, რომ აქ დატოვებულია დაუწერელი ადგილი და დაუწერელია კიდევ 4 გვერდი ხელნაწერისა. 449 — 452.

3. ნაპირებზე მრავალ ადგილას სინგურით, ტექსტის ხელით მიწერილია ვახუშტისეული შენიშვნები (შდრ. A: 1106, 1111).

4. წინამდებარე ხელნაწერში, თამარ მეფის ისტორიაში, იმ ადგილას, სადაც სწერია „ხოლო წარგზავნეს დრომშჲ ჴთაბაგისა ხახულისა ღ'თისმშობლისა წინაშე, ვითარცა ჰაპამან მისმან მანიაკი ყიასის ძისა“ — ჩართულია იამბიკონი „თამარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯვა...“. რომლის სინგურით ნაწერ სათაურს სინგურითვე. ტექსტის: ხელით მიწერილი აქვს:

„ეს იამბიკონი ვახუშტისაში

ქიარა სწერია“ (გვ. 88).

შდრ. A: 1106 ხელნაწერი („ხელნაწერთა აღწერილობა IV. A კოლექცია. თბ. 1954, გვ. 90).

5. ვახუშტის ნაშრომის ამ ნუსხას დართული აქვს:

ა. „ქორონიკონები, ჩ'ნ მიერ პოვნილნი...“ — 453 — 468 — თავდება: „1753 — **უმა**. მეფე სოლომონ განაძყს მთავართა იმერეთისათა. მან ფაშა ჩამოიყუანა და დაიპყრა ამერეთი“.

(აკლია ანტონ I-ლის **გ**აძევების ცნობა 1755 წ. თარიღით).

ბ. სინქრონული ტაბულები. გვ. 469—478.

გ. სომხითისა და სხვ. სოფლების სიები, 4—4 სვეტად თითო გვერდზე. 479 — 489.

მინაწერები:

1. „ესე ისტორია ქართ'ლთ ცხოვრება ეკუთვნის თ'ს თარხან-მოურავოვს დავით ზაზაძეს.“ I r-ზე, მხედრულით.

2. „**ე**სე ქართლის ცხოვრება დავაწერინე მე, დავით თარხანოვმა, რომლისა დასაწერათ მივეც ოთხი თ[უმანი] ქაღალდისა და შეკვრისა.“ III r. იმავე ხელით.

3. „ესე ქართლის ცხოვრობა [!] ეკუთვნის თავადს ილია დავითის ძე თარხან-მოურავოს. ვინც წაიკითხოთ, შენდობა უბრძანეთ“ 492 გვ. სხვა ხელით.

955

მარგალიტი. XVIII

242 ფ.; 11,5 × 85; ქაღალდი; ტეხიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; ტყავის სამი შესაკრავიდან მთლად მოღწეულია ერთი; ნუსხური; სათაურები; სინგურით; XVIII ს. შეძენილია კ. ჩოლოყაშვილისაგან 1950.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კ[ესა **კა** ბ დღისასა, დეკემბერსა **კე** შობა ქრისტესი; დღესა საძღ[ბათსა **კვ ზ** დღისასა, იანვარსა **ვ** ნათლისღება იყო. დღესა კ[ესა **კა**, შვალ[ამისასა მარტსა **კე** და[ი]ბადა ადამ, მოსე, რ[ა ხელი კაცისა იხილა. ღ[თისა განკაცება იყო.

სამი არის ნათლისღება: წყლითა, სისხლითა და ცრემლითა.

კითხვა: „წმიდაო ღმერთო, წ[მიდა]ო ძლიერო, წ[რო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩნ. **მიგება**: ოდეს ღ[ნ სამოელ და სახანა [!],ზეცით ქვეყანად გარდმოყარნა...“ 1 r — 241 r.

შენიშვნა: 1. ეს არის „აპოკრითების საგანგებო კრებული, რომელსაც „მარგალიტი“ ეწოდება.“.

2. შდრ. H:1296 ხელნაწერის გვ. 26—28 და სხვ. იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“. H კოლექც., III. გვ. 244 — 245. თბ. 1948.

3. იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. გვ. 413—417.

956

ლომთათიძე, გ. ქართული ხალხური სატირა და იუმორი. 1930

I—II, 60 ფ.; 36×22,5; ჭალადი; უყდო, რვეულად შეკრული; მხედრული; 1930 წ. ახლოს; დაუწერელია ფფ. მეორე მხარე და 52 v — 60 ფფ.; მუზეუმში შემოსულია აკაკი შანიძის მეშვეობით 1950.

ა. „პირუტყვები“.

I. „გ უ რ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი“.

1. „სურებელი ცხენი.
— სურებელი ცხენი ჩივა:
„ვაი, დედა, წელი მტკივა...“ 1.
2. „შემწუვარი ყურდგელი:
— გევიხედე მინდორში —
ერთი ყურდგელი მორბოდა...“ 1.
3. „თაგვი. — ახალ ამბავს მოგახსენებ...“ 1—2.
4. „ხფოი.
— პარასკევს სიზმარი ვნახე...“ 2.
5. „მამლების ბაასი.
— ყი-ყი-ყი-ყიიი!... 2—3.
6. „შაშვის სიმღერა.
— ღმერთო, შენ გაღამარჩინე...“ 3.

II „ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი“.

1. „თაგვი და კატა.
—თაგვი ავად გამხდარიყო...“ 3.
2. „დათვი და ბიჭი.
—დაღამდა და დადგა ბინდი...“ 3.

III. „ქართლის ლექსები“.

1. მგელი.
— გელმა თქვა: „გუშინ გორ ვიყავ...“ 3 — 4“.
2. „თაგვისა და კატის ომი.
— შევიკრათ სუნელობრივა...“ 4.

IV. 1. „ყარანაი“ (სვანური ვარიანტი).

— ყარანაი ყანაშიო
მეტად გასუქებულაო...“ 10.
2. „ყარანაი (გურული ვარიანტი).
— ყარანაი ყანაშიო
მეტათ ჩასუქებულაო...“ 10.

V. „იმერული ლექსები“.

1. „ბინაძის ცხენი.
— მეჩხეთურში მცხოვრებელი
ჯიბო იყო ბინაძე...“ 11.
2. „დათვის სიზმარი (ორი ვარიანტი).
— დათვმა თქვა: „სიზმარი ნავხე..“ 11 — 12.
3. „დიმიტრის ცხენი.
— დიმიტრის ცხენმა ბძანა:
„ასლა დამადგა ძალა...“ 12.
4. „მამუკას ცხენი.
— მამუკამ ცხენი გოუშვა...“ 12.
5. „არსენას ხარი.
— არსენამ ხარი იყიდა...“ 12.

VI. „ფშაური ლექსი.“

ბაყაყი.
— ჩამოტიროდა ბაყაყი...“ 17.

ბ. „ჭალეჭი.“

I. „გურული ლექსები“.

1. „გასათხოვარი.
— არ გამათხოვ, რა ჯანი გაქ...“ 17.
2. „წავყობი — არ წავყობი.
— არ წავყობი გუდავაძეს...“ 17 — 18.
3. „თებზი წყალში მიცურავდა...“ 18.
4. „პაწა გოგო, კვანწია...“ 18.
5. „ქვრივი ქალი.
— თუ გინდოდეს თავის პირი...“ 18.

6. „ამ ჩვენ გჲორგი ობოხასო
რა ლამაზი გოგო ხავსო...“ 18.

შენიშვნა: ბოლოში: „ქობულეთური ლექსია.“

7. „ოდელია · ოდელა.
გოგჲამ თხაჲ მოდენა...“ 18 — 19.

8. „მაღაჩემო, გამათხუე,
რას უყურეფ, რასა?..“ 19.

II. „ქართლის ლექსი“.

„ახლანდელი ქალი.
— იესო-ქრისტემ დასწყევლოს
ეხლანდელი ქალის რჯული...“ 20 — 21.

III. „იმერული ლექსი“.
გოგომა სთქვა, პელომა...“ 21.

გ. „ოჯახი“.

I. „გურული ლექსები“.

1. „ — ერთი ქალი მევიყვანე...“ 21 — 22.
2. „პატარა ქალი ვიყავი,
მიმათხოვენ გორასა...“ 22.
3. „ჯინჭარაძის ქალი.
— ჯინჭარაძისა ქალი ვარ..“ 22 — 23.
4. „ელისაო, მელისაო,
სახლი დავდგი ძელისაო...“ 23.
5. „ზარალი ცოლი.
— პატარა ბიჭი ვიყავი...“ 23 — 24.

II. „[ქობულეთური ლექსი]“.

„კუდურაი.
(ლექსი გაგონილია ბათუმში, ქობულეთელი მუსლიმანი **ლლონტისაგან**).
— ამ ბათომში ჩამოსულა
კუდურაი ქართველიო...“ 23.

III. „იმერული ლექსები“.

— „მე, გოგია კვანტრეშვილსა
გული მჭონდა კდესავითა...“ 24.

შენიშვნა: ეს ლექსი და მომდევნო: „ბლიაძის ოჯახი,“ ისე როგორც სხვა მრავალი, გადმოწერილია 1908 წ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული კრებულიდან „ხალხური სიტყვიერება“, წ. I (ს. გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილი. „ძველი საქართველო“, ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1909, გვ. 73, § 10 და სხვ.)

IV. „ქართლის ლექსები“.

1. „მაჩაბელი და ანდუყაფარ.
— ჩამომეხსენ, მაჩაბელო...“ 25.

2. „ოჯახის ქალიც ასეთი უნდა.
— გამარჯობა, ნათლიდედა!..“ 25.

V. „კახური ლექსები“.

1. „ახალი პატარძალი ვარ,
ახლად წვედი წყალზედა...“ 26.
2. „ეი, ნენია, ნენია!
ბრიყვი და გაუ[ზ]რდელია...“ 26 — 27.

დ. „მხარეები“.

I. „გურული ლექსები“.

1. აჭარა და ქობულეთი,
ციხისძირი, ჩაქვიანა..“ 27 — 28.
2. „ჯუმათლები.
ამფერ, ბიჭო, ჯუმათლებო...“ 28.

II. „იმერული ლექსები“.

1. „დასწყველოს ღმერთმა, დასწყველოს,
რაც კაცმა თქვას კაცის ძვირი...“ 28.
2. „დიღმელები.
— ორშაფათ-დილა გათენდა,
დიღმელები დგებიან...“ 28.
„ლექსი გაგონილია ტფილისში, იმერელი კაცისაგან. გ. ლ.“

III. „ქართლის ლექსები“.

1. „ეშმაკათა კახეთ წაველ,
ლეკ დაეგო ჩემთვის მაბე...“ 29.
2. „შე დალოცვილო კახეთო,
ნიადაგ ღვინის ალაგო..“ 30.

IV. „ხევსურული ლექსი“.

„მტერნიმც ნუ გაიგონებენ
ბოდახევაზე ამბავსა...“ 31.

ე. „ქორწილი“.

I. „გურული ლექსები“.

1. „ვასოიას ქალი მოხავს...“ 31.

შენიშვნა: დართული აქვს „მეგრული ვარიანტი:“

„მიქელაძემ ქორწილი ქნა...“ 31.

2. „ჩემს მახლობლად ქორწილში
იყო ორი ლაქია...“ 31—32.

II. „ქართლის ლექსები“.

1. „აკოლაანთ ქორწილი ქნეს,
დაკლეს კუდა თხაო...“ 32.

2. „მაყარი“.
— „ჩემი პირველი მაყრობა
იმ სატიელო სნეკვშია...“ 32.
3. „მაყარი“.
— „გავბრიყვდი და მაყრად წავჭყე
ახლო მეზობლის ქალსაო...“ 32.

4. „**მეჯრუხევ** მაყრად გიახელ...“ 32.

III. „კახური ლექსი“.
— მახუკაანთ ქორწილი ქნეს...“ 33.

3. „ნათესაობა“

I. „გურული ლექსები“.
— ჩემო ნათლის დედაო...“ 33.

შენიშვნა: დართული აქვს „ვარიანტი“ [?!]

—„რა მენათლისდედებაო,
გულზე ცეცხლი მედებაო...“ 33.

ზ. „მამასახლისი.“

I. „ქართლის ლექსები“.

— „ამ ჩვენსა მამასახლისსა
ძაღლი დავარქვათ, ტურია...“ 34.

II. „კახური“.
— „მამასახლისი გასუქდა,
სოფლები წველა, წველაო...“ 34.

III. „ხევსური ლექსები“.
ეს ლექსი გაიოუთქვამს დარბეულს, ჯაბანს.
— მოზდიარ, მამასახლისო!
კაცო! მოგიდის ბეგარა...“ 34 — 35.

შენიშვნა: დართული აქვს:
„ახლა მამასახლისის
ძმისწულს გამოუთქვამს ლექსი ჯაბანზე:
„შავაქებ კაში შავარდენ
ჯაბანაა, ჩემსა ძმობილსა...“ 35.

თ. „რძლები და პატარძლები“.

I. „კახური ლექსები“.
— „ალექსანდრე პომპოლიკო!
შენი საქმე როგორ იყო?..“ 35 — 36.

II. „იმერული ლექსი“.
— ამირანს ხარი დაუკლამს...“ 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III „ქართლის ლექსები“.

1. „ახლანდელი გოგოები
— ხვთიშობელო, შიეწყიე[!]
ახლანდელ გოგუებსაო...“ 35.
2. ,,მთიული ქალი.
—მამაჩემმა ეს რა მიყო...“ 36.
3. „ზოგიერთა პატარძალი
წამოწვება ძილივითა...“ 36.
4. „ახალი პატარძალი.
— ახალი პატარძალი ვარ...“ 37.
5. „ქ ა რ ე ლ შ ი ქალი შევირთე,
წაპოვიყვანე ტივითა...“ 37.
6. „მთიულის ქალი ვითხოვე
ბრიყვი და გაუზდელია...“ 37.
7. „თამამი პატარძალი.
— მანავიდამ გამოვთხოვდი
მანავ-ქალი მეო...“ 37 — 38.

IV. „ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი ლ ე ქ ს ი“.

„რაღა სჯკვირელს[!] შევესწარ,
ზალ-დედამთილს ბრძოლასა...“ 38.

თ. „სხვადასხვა“.

I „გ უ რ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი“.

1. „ბარიშნების ეშხი-მეშხი
გიტარა და ლექსი ხელში..“ 38.
2. „მიხეილ ლომთათიძე.
— ამ ბათომში ჩამოსულა
გასაყიდი ბრეკლი ხილი...“ 38 — 39.
3. „ქარიშხალი გურიაში.
— ათას რვაას სამოზდა-თექვსმეტში
მოხდა დიდი რღვნაი, ქროლა...“ 39 — 40.
4. „შომაულო.
— ვინ არ იცნოფს მატყუარა,
გაიძვერა შომავალსა...“ 40.

II. „ქ ა რ თ ლ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი“.

1. „ლექსი გითხრა რისაო,
გოგო და ბიჭისაო..“ 41.
2. „საკურველი საქმე.
— „ღვინის საყიდლად წავედი,
ღმერთო, მიმართე ხელია..“ 42.

III. „კახური ლექსები“

1. „ქალები შაქუჩთებიან
სუ ერთ ალაგზეო...“ 42.
2. „აქციზები.
— დადიოდნენ სტრაჯნიკები,
აქუჩებდენ ფოჩჩი ფულსა...“ 43.
3. „გლები მიკიტნებთან.
— ერთი საწყალი გლები ვარ,
შორ სოფელ მივალ დასთანა...“ 43—44.

ი. „მღვდლები.“

I. „გურული ლექსები“

1. „აკვარისკენ მიდიოდა
ხუცესი და ერთი ქალი...“ 44—45.
2. „ხუცესმა უთხრა ხუცესსა...“ 45.
3. „გურულმა ბერმა მისწერა სატრფოს:
— ეუჯის წყალი აღმა მიდის...“ 45.
4. „წადი, იმ ხუცესს უთხარი,
ჩემსას ნუ დეიარებაო!..“ 45.

II. „იმერული ლექსები“

1. „ვაი, რა გლახა დრო შეხვთათ...“ 45.
2. „დიაკონი და ხუცები —
ლერწამს მუუგამთ მუცლები...“ 45.
3. ,,ხაშურელების ღვდელია
ნიშა თხას უგაყს წვერია...“ 45—46.
4. ,,დაიბარეს ჩვენი ღვდელი...“ 46.
5. ,,ღვდელი იმას არ დეეძებს,
რაც ქალაღდში სწერია...“ 46.
6. ,,ოსიაურის ღვდელიო
ჰკუაზედ არი თხელიო...“ 46.
7. ,,დიაკონმა უთხრა ღვდელსა...“ 46.

III. ,,კახური ლექსი“

,, დიდ საყდარში დიდი ღვდელი
დიდად დაიღრიალებდა...“ 46.

IV. „ქართლის ლექსი“

,,ღვდელს დიაკვნად მივებარე,
ვერ მასწავლა ანა-ბანა...“ 47.

ია. „მესტვირული“

I ,,გურული ლექსი“

,, — ყმაწვილო! შენსა ქებასა
ოზდაოთხი ქება უნდა...“ 47—48.

II. „ქახური ლექსი“

„ახლანდელმა პატარძლებმა,
დახე, რა მიყვესო...“ 48—49.

იბ. „შაირები.“

I. „გურული ლექსები“

1. „დედამ კაბა შემიკერა...“ 49.
2. „ბიჭო, ჩოხა შეგიკერავს...“ 49.
3. „ბებურ ბებურიშვილო!
მეტად მოხუცებულხარ...“ 49.
4. „ღმერთმა ნოცეს ბატის ჭკუა...“ 49.
5. „ბზისუბიერა ამოსულა,
ალვისხესა ეფარება...“ 49.
6. „ბიჭო, წყარი მოგიპარავს...“ 49.
7. „სურებს ქალი გავათხუე...“. 49.
8. „ბახმაროზე ქალი ვნახე...“ 49.
9. „ყველიერში ყველი ვჭამე...“ 50.
10. „გუდავაძემ მეიგონა
მაღლა, გორზე წისფილია...“ 50.
11. „დელი-დელი-დელიას!
ქმარი უნდა ბებიას...“ 50.
12. „არც ვიცოდი, არც მეგონა
მეხი თუ დამეცემოდა...“ 50.
13. „ასკანისა პარტია...“ 50.
14. „ცალფეხი კატა ტიროდა...“ 50.

II. „იმერული ლექსები“

1. „ზემოთში ქალი ვითხოვე,
სახელათ ქვია დაროო...“ 50.
2. „ეი, რა კარჩი ყოფილა
წითელი პურის ყუაო...“ 50.
3. „ანგური და ქვაო,
არ მინდა, რომ ვთქვაო...“ 50.
4. „ბოსტანშია გადვიხედე,
ქინძი ყვავა ქინძარაო...“ 50—51.
5. „ბიჭი მიდის ცოლოურსა,
მოითლიდა ატამსაო...“ 51.

III. „ქართლის ლექსები“

1. „ტურფად უკრამდა ჩანგურსა
ზემოქართლელი ქალია...“ 51.
2. „ქაჩალმა უთხრა ქაჩალსა...“ 51.
3. „ქაჩალო! ქეცი, ქეციო...“ 51.
4. „ქართლის მეფემ ააშენა
ეკლესია ქვაზედაო;
საქართველო სხვას დაუთმო,
თითონ დარჩა მშრალზედაო.“ 51.

5. „ე რ უ ს ა ლ ი მ ს მიმავალი
ეუბნება გზაზედ ბერსა...“ 52.

IV. „კ ა ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი“.

1. „აფსუს, ბიჭო ახალგაზდავ,
რომ შენ დაადეგდე ღორებსა...“ 52.

2. „ქალსა ქმარი მოჰკვდომია...“ 52.

შენიშვნა: 1. გ. ლომთათიძის მიერ შეკრებილ ლექსებს გარდა ხელნაწერში შეტანილია: სევასტი გაბერჭილაძის, ხ. ბილანიშვილის, თ. რახიკაშვილის და ვინმე-მესხის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსების ნიმუშები, ამოკრეფილი ეკ. ცქვითინი თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული კრებულიდან: „ხალხური სიტყვიერება“, I.

2. ხალხური ლექსების ნიმუშებს წინ უძღვის:

ა. „სარჩევი“, რომელიც საგანმარიგოდ დაყოფილი ფოლკლორული მასალის გვერდებს მიუთითებს. I v.

ბ. ავტორის „წინასიტყვა“, გვ. II.

3. ხელნაწერში ჩადებულია პროფესორ. ა. შანიძის ხელით დაწერილი ბარათი გ. ლომთათიძისადმი, საიდანაც ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს 1930 წ. გადაუცია ა. შანიძისათვის თავისი ხელნაწერი „ქართული ხალხური სატირა და იუმორი.“

957

ჟამნის ფრაგმენტი. XVIII

12 ფ.; 15,5×11; უყდო; თეთრი აბრეშუმის ძაფით დამაგრებული (1 ფ. მოცილებულია); ნუსხური; სათაურები სინგურით. XVII ს. შემქნილია მეფე სტურუასაგან 1650.

1. „... ასა~თს გჳქმან მოწაფენი. აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი რა~ ვნებმცა თქ~ნ. მიუგეს და თქუეს: „თანამდებ არს სიკუდილისა.“ მაშინ ჰნერწყჳდეს პირსა მისსა...“ 1 r — v.

2. წ[ი ნა ს]წ[არ მე ტ უ უ შ] ლ ე ბ აჲ ჟ ა მ თ ა და თ ჳ ე თ ა და შ ნ ა თ ო ბ თ ა დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ი ს ა, მ თ ა ვ ა რ ი ს ბ ჳ კ ი ს ა, ელვისა და ცისარტყელისა, ძოწსა და ქუხილისა.—იანვარსა თუ მთვარე დაბნელდეს, მეფე ვინმე ალმოსავლით გამოვიდეს და ქმნას სისხლთა დათხევა და სძლიოს მრავალთა ძალითა. თოვლი და ყინვა [!!] იყოს, სიფშილი იყოს და აღდგეს დიდნი დიდთა ზედა და ბრძოლანი იყვნენ. თუ ბაკი იყოს, წყალთა იკლონ ყინულისაგან. თუ მზე დაბნელდეს, მეფემან დასავლეთისამან მახლი ხადოს კაცთა ზედა და რისჳით იყოს წელიწადი იგი სრულიად. თუ ბაკი იყოს, განძრაველდენ ქურდნი და ავაზაკნი და მეფე ვინ[მე] მეტ იქნას...“ 1 v — 6 v.

„უკ~თ უ ყ ო ს ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი ა, მას წელსა ზამთარი თოვლიანი იყოს, თივა ძვრად, მთანი მარჯუედ იყვნენ, ბარნი — ზომად კეთილი, ჩრდილოთრე—თაფლი ნაზრომი მცირედ. ზამთრის ყინულმან ავნოს ენაჴსა, ღუნო—ძვრად, ნაყოფი ნაზრომთა—კეთილი, ხილი—მცირედ...“ 7 r — 10 r.

„წინასწარმეტყველება“ თავდება ლ (30) ზედნადების ტექსტით: „...ზამთარი ტფილი, გაზაფხული წჳმიანი, სთჳსლი გრძელი და შეზავებული. თრთჳლმან აგჳსტოსა ზეგანთა ნაზრომს ავნოს.“

შდრ. A 1110 — ხელნაწერი „ჯორთხეევანის“ მასალას. იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ (A კოლექცია), ტ. IV, თბ. 1954. № 1110, § 15.

3. „საქმე წ-ია ბოცეჭულთა საკითხავი.“ „დიდსა შაბათსა ცისკრად,“ „წ-სა და ნათლით შემოსილსა აღდგომასა“ — და „აღსავალნი“. 10 r — 12 r.

958

სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი კასპიის ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების რუკა. 1723

73 × 53; ქაღალდი; ნაბეჭდი; წარწერები ფრანგულ ენაზე. შეძენილია 1950 წ. დეკემბერში სეიმონ არჩილისძე ციციშვილისაგან.

რუკის წარწერა: „Carte des Pays voisins de la Mer Caspiene dressée pour l'usage de Roy sur la Carte de cette Mer, faite par l'ordre du Czar, sur les Memoires manuscrits de Soskam-Sabbasa, Prince de Géorgie, sur ceux de M-rs Grusius, Zurabek el Fabritius Ambassadeurs a la Cour de Perse, et sur les èclaircissemens tirez d'un grand nombre de personnes intelligentes du païs. Assujetie aux Observations Astronomiques par Gullaume Delisle Premier Geographe du Roy, de l'Academie Royale des Sciences. 15 Aout, 1723“.

შენიშვნა: 1. ეს რუკა შეადგინა და 1723 წელს პარიზში დაბეჭდა ფრანგმა ასტრონომმა გ. დელილმა; ეს იყო ამ რუკის პირველი გამოცემა.

2. წინამდებარე რუკა წარმოადგენს გ. დელილის რუკის მეორე გამოცემას; იგი ხელმეორედ დაბეჭდილია გ. დელილის სიძის, გეოგრაფი ფ. ბუაშის მიერ. (ცნობა ამის შესახებ რუკის ქვემო კიდეზეა).

3. ლიტერატურა: M. Brosse, О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве Императорского географического общества“, გ. ზარდალიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის რუკა, „დროშა“, 1951. № 1; К. И. Шафрановский, Е. А. Княжецкая, А. И. Судаков, О карте Кавказа и Каспийского моря 1723 г. — Известия Всесоюзного Географического Общества. 1953, том 85. вып. 4. стр. 468; ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B.

959

საქართველოსა და შავსა და კასპიის ზღვებს შუა მდებარე ქვეყნების რუკა. 1775

70,5 × 51,1; ნაბეჭდი; წარწერები ფრანგულ ენაზე; დაბეჭდილია ვენეციაში 1775 წ. შეძენილია 1950 წ. დეკემბერში სეიმონ არჩილის ძე ციციშვილისაგან.

რუკის წარწერა: „Carte de la Géorgie et des pays situés entre la mer Noire et la Mer Caspienne, dessinée à Petersbourg en 1738 d'après les cartes Mémoire Mesures, et observations des gens du Pays, Traduit du Géorgien en Francois par le Secretaire du Roy de Géorgie. Publiée en 1766 par M. Joseph Nicolas de L' Isle, Doyen des Proffesseurs Royaux et de l' Académie Royale des Sciences, Premier Astronome Géographe de la Marine ect. Sous les auspices de M. Le Duc de Choiseul, Ministre et Secretaire d' Etat ect. ect.

A Venise par P. Santini, 1775“.

960

დავითნი (ფრაგმენტი). XIX

12 ფ.; 15×9,5; ქაღალდი (ცისფერი); ტექსტური ტყავით შემოსილი ხის ყდის ყუა მოკლეული და დაკარგულია; შიგნიდან ყდა შემოსილია XVII ს. ხელნაწერი სახარების ფურცლებით (ნუსხა-ხუცური — მათე: 13,33—39; მათე: 12—48 — 50; 13 — 1 — 10); მხედრული; XIX ს. (მხედრული ფრაგმენტებით — 1 — 7; 8 — 12 — აღდგენილია XVIII ს. ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი **დავითნი**, რომლის **მგ — ულ** ფ.ფ. ჩაკინძულია ერთ ყდაში, ხელნაწერ ფუ.-თან ერთად).

1. „ფსალმუნი **დ**ავითისი. კანონი **ა**. — ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღთოთასა და გზასა ცოდვილთასსა არა დადგა.·.“ 1 r—7 v.

წყდება: ბ კანონის თ. ფსალმუნზე: „და განიკითხნეს ერნი. სიწრფოებით ეყო უფალი შესაევედრებელი დავრდომილსა მწე კეთილ.“

2. „. . . . . [მომეწიფნეს მე დღეს ჰირისა ჩემისასა და მეყო მე უფალი განმაძლეველებელ] ჩემდა და გამომიყვანა მე ფართოდ..·.“ 8 r — 12 v.

წყდება: „ . . და ნეშტთა შენთა შორის განმზადო პირი მისი. ამაღლდი, უფალო, ძალითა შენითა“.

შენიშვნა: ფრაგმენტი შეიცავს „ფსალმუნის“ **ა — ბ** კანონის მუხლებს: **ბ.** კანონისა თ. ფსალუნამდის და **გ.** კანონისა **ით** ფსალმუნიდან კ-მდის.

961

სხვადასხვა მოთხრობა (ბიბლიური). XIX

728 გვ.; 20×16,5; ქაღალდი, დახიანებული, ზოგი ფუ. დახეულია: 231, 313, 443, 444, 475, 508, 519, 551, 651, 665; მთლიანად ამოხეულია ფუ. 515 — 519 გვ. შუა; მდარე ხარისხის ქაღალდის ფუ. შეკეთებულია ლამაზად მოტყვიფურთ-მოთეხილი ტყავით შემოსილი მაგარი მუყაოს ყდით; მხედრული; ალავ.-ალაგ ჩართულია სომხური ტექსტები: 41, 59, 69, 100, 213, 444, 657, 679, 682, 686, 687, 697 — 699 გვ.; 1859 წ. მაისის 21; გადამწერი: დავით მირონიჩ მორადოვი; შეძენილია პრასკოვია რობინაშვილისაგან, 1950.

1. „ქადაგებად თარგმანი დაბადებისა, თუ როგორ გამოვიდა კაცი სამოთხიდგან. თავი 1. — დასაბამისაგან გა[ა]ჩინა ღმერთმან დასი ანგელოზებისა და ანგელოზების უფროსებისა; ცხრა თაბახათ და[ა]ყენა ისინი . . .“ 1—248 გვ.

შენიშვნა: 1. თავდება ქრისტეს ამაღლებით, რომელსაც დართული აქვს:

„ქრისტე ღმერთო! აცხონე ამ წიგნის დამწერის სული. დავით მურადოვ, ამენ.“ 248 გვ. II სვ. ბოლოს.

2. ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გარეშე: „დერისცვალება იესოს ქრისტესი.“ 250—252 გვ.

3. „მიცვალება დედა მღვთისა მარიამისა. თავი 38.“ 254 — 267.

2. „დღე არის დღესასწაული საწყალი ანდამალუბისა, რომელმანაც გაკუთნა ქრისტემ [!]...“ 268 — 279.

3. „ლაპარაკი სოდომ-გომორის კისრის. თავი 40. — სადიდებლად თანაარსისა მამისა, ძისა და სულის-წმინდისა. ამენ. ესე წიგნი აღიწერა ლესარითს ღუბერნიაში, ვენეტის უდაბნოსა შინა...“ 280 — 297.

4. „მოთხრობა უწერლო ეფრემისა, რომ გაუჩნდა წმინდა ალექსი. — ერთი კაცი იყო სტანბოლის ქალაქში...“ 298 — 316.

5. „მოთხრობა წმინდის იოვანე ნებიერი... ხისა. — ამის მამას ერქვა იეფსტროპიოს...“ 317 — 334.

6. „მოთხრობა წვიდის ყრმისა იეფესოსისა. — იეფესოს ქალაქი ახლა იასუქ ითქმის ვეშტასი ნათქვამი აღაგია, რომელ ახლა იზმირსა.

— ესენი წვიდნი ყრმანი ეფესოს ქალაქსა შინა უმეფროსების წვილები იყვნენ...“ 335 — 351.

7. „ქრისტე მთაზედ თვისი ქადაგებას დაიწყებს და ჴუჭნებს, რომელნი არიან სანატრელნი. — როდესაც მრევლი ნახა, ავიდა მთაზედა...“ 352 — 361.

8. „ჴრიგი და მოთხრობა წმინდათა. — წმინდა ადრიანე და ანატოლა. ადრიანე კერპის წვილი იყო და ცოლი მისი ანატოლა ქრისტიანი იყო...“ 362 — 383.

9. „მოთხრობა წმინდა ანტონისი, აბბა ანუ ანაპატისა, ჰიქნაურისა. — ესა იყო ეგვიპტელი...“ 384 — 398.

10. „მოთხრობა წმინდა ვონომფრიესი, ბერისა ჰიქნურისა.—ეგვიპტელი იყო თითონა. პატარობისას...“ 399 — 406.

11. „მოთხრობა აბბა მარკოზისა ბერისა. — ერთ დღეს, როდესაც წმინდა სჴ[რა]პიონი იოვანე ბერი იყო...“ 407 — 422.

12. „მოთხრობა იეგვენე კუსისა. — ეს ქალი იყო ჰრომა ქალაქში, ფილიპპეს ქალი...“ 423 — 444.

13. „მოთხრობა წმინდა გიორგისა. — ღაისერის მხარეს დაიბადა, ბარზამის ქალაქში გაიზარდა...“ 445 — 460.

14. „მოთხრობა წმინდა სიმეონ სვეტელისა. — ანტიოქა ქალაქში იყო დაბადებული...“ 461 — 474.

15. „მოთხრობა წმინდა გრიგოლ განმანათლებლისა. — ამის მამას ერქვა ანაკ და დედას ვოფოვე. მამა პართველების როჲლისა იყო...“ 475 — 491.

16. „მოთხრობა წმინდა ქანწული იეკატერინესი. — ესა დაიბადა ცტამბოლის ქალაქშია, წელსა 380...“ 492 — 507.

17. „საკჳრველი სანახაჲი რომ ნახა კირკოს [მო]ნაზონმა.

— ჴოი, შვილნო და ძმანო! აბა, ვინც ჰეშმარიტად სინანეულს მოვა, ასრე ეშველება.. ძმა ვინმე მონაზონი იყო ალექსანდრიის ქალაქისაგან...“ 508 — 516.

18. „ღ[ა]თ სწავლა ტურფა და კეთილი ეტრფა სასმენელი, ნათქვამი, წმინდათა მამათა ჩვენთა ღ[მრ]თისთა. ძმამ ვინმე ჰკითხა მამა ანტონს: „რა შევიქნა, როდ მოსაცი გაეხდე ღვთისაო...“ 521 — 556.

19. „ათანასი ალექსანდრ[!] პატრიარხის ნათქვამი. — რომელსა ჟნდეს ცხოვრებად პირველ ყოვლისა თანა ამს მას...“ 556 — 558.

20. „ღვთივ შვენიერი თხრობანი სულისა ყოველად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გ ე რ გ ე ნ ი.“ 559 — 654 — სულ 40 თხრობა.

21. „საკითხო წიგნი სოლომან ბრძნისაგან აღწერილი და ჰეშმარიტი. 1 მარტისა ვერძსა ზედა რომელი იშვას, შიქნას ტანად და პირად მშვენიერი...“ 655—668.

22. სომხურ-ქართული ღოცების პარალელური, ტექსტები.

— [გ]ვასწავლენ უსჯულოთა გზანი შენნი...“ 683 — 697.

შენიშვნა: თავფურცელზე:

„ღვითი ესე წიგნი აღწერილი სღ[ა]დასღვა[!] მოთხრობა ძველი და ახალი აღთქმა. 1859 წელსა, მაისის 21-ი, დ ა ვ ი თ მ ი რ ო ნ ი ჩ მ უ რ ა დ ო...“

962

ი. დ. რატიევის მოგონობები

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში Ros.

963

ჯავახიშვილი ივანე. A № 737 პალიმფსესტი.

(ამოკითხული ტექსტი). 1923

32 ფ.; 22,5×18; ქაღალდი: უყდო; ცალკე ფურცლებად; ქაღალდისავე კანში ჩადებული; ივ. ჯავახიშვილის ხელით; მრგვლოვანი (გადმოწერილი ტექსტი); 1923 წ.; დაწერილია ფფ. ცალ მხარეზე.

„ტფ. ს. უ. მუზეუმის ხ[ელნაწერის]— № 737 პალიმფსესტი. გვ. 236, უკუღმა (იხ. v. გვ. 235).
1. მისი და იხილეს ბე[ჭე]...“ 2 — 32.

შენიშვნა: A კოლექციის № 737 ტბოტის ხელნაწერის პალიმფსესტური ნაწილის (235 — 246 r —v-ს და 260, 261 — 262, 265, 266, 323—338 r.- v — ს) ხანმეტი ტექსტები, დაწერილი ასომთავრული მრგვლოვანით, თავშეკრული ბ-თა და ჯ-თი, წაკითხული და გადმოწერილი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1923 წ.

964

მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმიდის ხელნაწერში. [1585]

1 ფ., ორად შეკეცილი; 41×27; ქაღალდი; წერილი ნუსხურით; ორ-ორ სვეტად დასაწყისი ასოები სინგორით; [1585]; ნაპოვნია ე. თაყაიშვილის მიერ 1919 წ. სეტტემბერში, ნიკორწმიდის ეკლესიაში, ქაღალდის ნაფლეთებში. გადმოცემულია მუზეუმის ფონდში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1946 წ.

სულთა მატიანე.

„ . . . . . ი და კურთხევა მათი.

მართლმადიდებელთა მეფეთა: დაჩისი, ფარსმანისი და ფარსმანისი, ადარნასესი, ბაკურისი, არჩილისი და ადარნასესი საუკუნო იყავნ ჴსენაჲ.

არჩილ მეფისა და მოწამისა სჴნოს.

მართლმადიდებელთა მეფეთა: ბაგრატისი, გ[იორგ]ისი სჴნს ჴს.

[დ]ოსი, ბაგრატისი, გიორსი, მეფეთა შორის წარჩინებულისა, რომელმან ბრწყინვალე ჰყო სჯული ქართველთა და ადიდნა ეკლესიანი ღ[თისნი] სჴნს იყენ ჴსნაჲ.

დიმიტრისი, მართლმადიდებლისა მეფისა, რომელმან მონაზონებისა ღვაწლთა შინა სრულ ყო საწუთო ესე სჴნს იყო.

[დ]ოთის, მართლმადიდებლისა მეფისა სჴნს იყო.

თამარ-თომაჲ დედოფლისა და მეფისა მონაზონებისა ზეშთარწყინვებულისა საუჴნს იყავნ.

გ[იორგ]ის, მართლმადიდებელისა მეფისა პანგრატოვანისა სჴნს.

[შ]ვილისა მათისა თამარ მეფისა, დედოფლისა და თუთმპყრობელისა ყოვლისა აღმოსავლეთისა და საქართველოჲსა სჴნს.

ღ[ითივ გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა ალექსანდრე ყოფილისა აბრაჰამისი სჴნს იყო.

ღ[ითივ გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა კოსტანტინე-ყოფილისა კჳრილესი სჴნს იყავნ.

თანამეცხედრისა მათისა დედოფალთ-დედოფლისა თამარ-ყოფილისა თეკლასი სჴნს იყავნ.

ღ[ითივ-გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა დავით-ყოფილისა დამიანესი საუკუნო იყავნ ჴსენებაჲ.

გიორგი-ყ[ა]ფ[ა]ლ[ა]ნისა გერასიმესი საუკუნ იყ[ა]ვნ ჯ[ა]ნ.

თჳთმპყრობელისა ღთ[ა]ივ გჳრგ[ჳ]ნოსნისაჲ მეფეთ-მეფისა სახლი მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი.

ბ[ა]ტონისა ბაგრატ[ი]ონისა მრავალმცა არიან წელნი მათნი. [ძ]ისა მათისა პ[ა]ტრ[ო]ნისა ერეკლესი და არჩილისი მრავალმცა არიან წელნი მათნი.

ბ[ა]ტრ[ო]ნისა ალექსანდრესი და თანამეცხედრისა მათისა ბ[ა]ტრ[ო]ნისა ელენესი და ძეთა მათთა მრავალმცა არიან წელნი მათნი.

ზეცათა მეუფეო! ქ[უე]ყანისა მეუფენი დაიცევნ!“

„[ქ]ართლისა პატრიაქნი: ი[ა]კ[ო]ბესი, სამოელისი, ში[უ]სი, ევლალიისი, პ[ე]ტრესი, სამოელისი, მელქიზედეკისი, ოქროპირისა, გ[რ]იგისა, გაბრიელისა, პ[ე]ტრესი, ევსტატისი, გ[რ]იგისი, დიმიტრისი, ბასილისი, იესი, სუჯ[ა]მონისი—ძე მეფეთა.

ქ[ა]ზ მელქიზედეგისი ს[ა]კ[ურ]დ[ა]ყ[ო]ისა აღმოსავლეთისა პატრიაქთა ს[ა]ჯნებცა არს საჯენებელი და კბ[ი]ჯ მათი.

წ[ი]სა და ღ[მრ]თშემოსილისა ს[ა]ბ[ა]ჲ ქჯ[ა]ისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიაქსა ს[ა]ჯნო.

წ[ი]სა გ[უ]ლაბერიძისა არსენისი, მიქელ მირიანის ძისა ქ[ა]ჯისა ს[ა]ჯნო.

წ[ი]სა მამათმთავრისა და ღ[მრ]თშემოსილისა აღმოსავლეთისაჲ და ყოვლისა საქართველოსაჲ მამათმთავრისაჲ, სჯ[უ]ლთა თჳთმპყრობელისა და პატრიაქისა მრავალმცა არიან წელნი მათნი.

[ღ[მრ]თ]ნ დაიცვას წ[ი]ჲ მეფე მათი. წ[ი]ნ სამებ[ა]ჲთ[ა]ნ ესენი ადიდნა. ამათითა უკუე კეთილდმსახურებისათჳს, ვიდრე სიკუდილადმდე მოღუაწეებითა და შრომითა და მღ[ვ]ძარებითა განსწავლულ ყო ფრიად განმტკიცებად; ევედრებოდით ღმერთსა, რ[ათამც]ა მობაძავე სა[ღ]თოსა მოქალაქობ[ა]სა მათსა გამოეწინდეთ აღსასრულადმდე და მევედრებელნი ღ[მრ]ს ვიქმნეთ სძ[ი]ებელითა მოწყალებით და მადლითა დიდისა და პირველისა მღდელთ-მოძ[ღ]ურისა ქრისტეს, ჴეშმარიტისა ღ[მრ]ისა ჩ[ნ]ისაჲთა, მეოხებითა უფროსად დიდებულისა დედოფლისა ჩ[ნ]ისა ღ[მრ]თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, ამინ.“ 1 ꙋ — v.

შენიშვნა: 1. ტექსტის დანარჩენი ნაწილი შედგება „კჳრიკისა“ და ორშაბათ-სამშაბათის „მომჴსენეთაგან.“ 1 v.

წყდება: „სამშაბათსა „მომიჴსენენი.“ — ჭერაბინ.“ „სოფლისა ამის გემოთაგან შეევგინე.“

2. „მეფეთა და კათალიკოსთა“ მოსახსენებელის ტექსტი გამოცემულია. იხ. ექ. თაყაიშვილი, „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში,“ პარიზი, 1939.

3. აქ წარმოდგენილ ტექსტში სწორ ფრჩხილებში ჩასმულია მეფეთა სახელებში გადაშვების გამო დ ასოს მაგიერ დ ასოთი დაწყებული. დ[აეი]თ — სიტყვის პირველი ასო (ორ შემთხვევაში).

სიტყვა შვილისა-ს პირველი ასო, რომელიც შ-ს მაგიერ ძ-თი იწყება ხელნაწერში.

სიტყვა ძისა-ს პირველი ასო, რომელიც ხელნაწერში წ-თი (წმიდისა!) იწყება.

სიტყვა ქართლისა-ს პირველი ასო, რომელიც ხელნაწერში ქ-ს მაგიერად მ-თი იწყება (მართლისა!).

მინაწერები: „ქვთიმე თაყაიშვილისა, კონვერტზე, რომელშიც ჩადებულია ხელნაწერის ფრაგმენტი:

1. „ამაში ჩადებული ხელნაწერის ერთი ფურცელი შეიცავს ტექსტს ბროშურისას, რომელიც ჩვენ გამოვეცით სათაურით:

„შეფხვა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში.“ პარიზი, 1939.

„უნდა გაეგზავნოს ტფილისის მუზეუმს ან უნივერსიტეტს.“

2. „ჩვ შენიშვნა სატრანგეთში, ლეგილში იყო დაწერილი, იმ შემთხვევისათვის, თუ მე აღარ მეღირსებოდა საქართველოში დაბრუნება.

ასეთი შენიშვნები სხვა საბუთებსაც ჰქონდა მიწერილი! ე. თ.“

„ეხლა უნდა გადაეცეს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. ე. თ.“

965ა

თ. სახოკია. ქართული ანდაზები. 1951

II+389 ფ.; 30 × 20,5; ჭადალდი; უყდო; რვეულებად აკინძული (სულ 8 რვეული; თითოეული რვეული 50 ფურცელია) მანქანაზე ნაბეჭდი; 1951 წ.; შემოწირულია შემკრების — თ. სახოკიას მიერ 1951 წ.

[თ. სახოკია]. „ქართული ანდაზები“. „— ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“. 1 — 389.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე აწერია: „თ, სახოკია. ქართული ანდაზები. შიგ შესულია მეგრული ანდაზებიცა. შიგ შედის, რაც პირადად გაგიგონია 1888 წლიდან, თუ სადმე დაბეჭდილში ამოშიკითხავს.“

2. ანდაზები დალაგებულია ანბანზე.

3. ტექსტში ავტორის ხელით შეუტანიათ შესწორებები და ჩამატებები.

ანდერძი: (შემკრების, თ. სახოკიას ხელით). 1. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ვუტოვებ ჩემს სიკვდილის შემდეგ დასაბეჭდად უსასყიდლოდ: ა. ქართულ ანდაზების უუსრულეს კრებულს. ნაწილი კრებულისა პირადად ჩემ მიერ შეგროვილი, ხოლო ნაწილი ამოკრებულია იმ კრებულებიდან, რაც ქართულად დაბეჭდილა დღემდე. კრებულს დართული აქვს ზოგიერთ ანდაზის წარმოშობის ისტორიის ბარათები. მთავარ კრებულს დართული აქვს კრებული უცენზურო ანდაზებისა. სასურველია ეს (უცენზურო) კრებული დაიბეჭდოს იმის მსგავსად, როგორც იბეჭდებოდა ძველად ბერლინში ცნობილი „კრიპტოდია“ 500 ცალად და შიგ შედიოდა უცენზურო ფოლკლორი კველა ეროვნებათა არა მსხილოად გასარცელებლად, არამედ სამეცნიერო დაწესებულებათათვის.

„ბ. ჩემის „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ მე-II ტომში. ხელნაწერი ინახება გ ი ო რ გ ი ჩ ი ტ ა ი ა ს თ ა ნ, როშლის რედაქციით უნდა გამოვიდეს წიგნი. ეს წიგნი სახელმძღვანელოდ უნდა დაიბეჭდოს. ვინიცობაა სახელმძღვანელოს მიერ მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა ჩემს სიცოცხლეში, მაშინ აკადემიამ კეთილ ინებოს და დაბეჭდოს ჩემის მხრივ უსასყიდლოდ. რედაქტორობა მიენდოს უეჭველად პროფ. გ. ჩ ი ტ ა ი ა ს, თქვენი პატივისმცემელი თ. ს ა ხ ო კ ი ა.

იმედი მაქვს ჩემის ლექსიკონის (იმ სიტყვების, რაც ჩუბინაშვილსა და საბას არა აქვსთ) დაბეჭდვასაც გაუძღვება აკადემია. თ. ს ა ხ ო კ ი ა“. 1 r — v.

2. „მოცულობა ჩვენის ანდაზების კრებულისა არის 389 გვ. × (გვერდზე) 14 = 5446. უმნიშვნელოა 13 გვ. × 14 = 182.“ 11 r.

შენიშვნა: 1. ანდერძის ბოლოს მიწერილია. „მილებულია 6 II 1951 წ. ა. შ ა ნ ი ძ ე.“ 1 v.

2. ანდერძზე წარწერილია: „ანდერძი და ქართ. ანდაზები“ დაცულ იქნეს საქ. სახ. მუზეუმში. იქვე უნდა მივიდეს საბოლოოდ ავრეთვე „ქართ. ხატოვან სიტყვა-თქმათა“ მე-2 ტომი, ა. შ ა ნ ი ძ ე. 6 II 1951 წ.“ 1 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

965 ბ

თ. სახოკია. უწმაწური ანდაზები. 1943

8 ფ.: 24×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული, ავტოგრაფი „შავად“ ნაწერი; 1943 წ.; დაუწერელია 1 v, 8 r — v, შემოწირულია შემკრების — თ. სახოკიას მიერ 1951 წ.

„ქართული უწმაწური ანდაზები, შეკრებილი და ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ ჩშმგ წელსა“ 1 r;

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს 160 ანდაზას.
2. ანდაზები ანბანზეა დალაგებული.

965 გ

თ. სახოკია. ქართული უწმაწური ანდაზები. 1943

10 ფ.: 22,4 × 17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი: 1943 წ.; დაუწერელია 1 v, 9 v—10 v; შემოწირულია შემკრების – თ. სახოკიას მიერ 1951 წ.

„ქართული უწმაწური ანდაზები შეკრებილი და ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ. ტირაჟი უნდა იქნეს არა უმეტეს 500 ცალისა სამეცნიერო დაწესებულებებში დასაგზავნად. თეთრად გადაიწერა ჩშმგ წელსა“ 1 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს 177 ანდაზას.
2. ანდაზები დალაგებულია ანბანზე.

965 დ

თ. სახოკია. ქართული უწმაწური ანდაზები. 1951

26 ფ.; 30,7 × 21.1; ქაღალდი; უყდო; მანქანაზე ნაბეჭდი ორ ცალად; 1951 წ.; შემოწირულია შემკრების—თ. სახოკიას მიერ 1951 წ.

[თ. სახოკია] „ქართული უწმაწური ანდაზები.“

შენიშვნა: 1. შეიცავს 182 ანდაზას (იხ. გვ. 1—13).
2. ანდაზები დალაგებულია ანბანზე.
3. ტექსტში ავტორის ხელით შეტანილია ჩამატებები.
4. თავფურცელზე წაწერილია: „ქართული უწმაწური ანდაზები, შეკრებილი და ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ.
ტირაჟი უნდა იქნეს არა უმეტეს 500 ცალისა, სამეცნიერო დაწესებულებებში დასაგზავნად.“

965 ე

თ. სახოკია. ზოგიერთი უწმაწური ანდაზის წარმოშობის ისტორია. XX საუკ.

31 ბარათი; სხვადასხვა ზომისა; ავტოგრაფი; [XX ს.].

[თ. სახოკია. ზოგიერთი ანდაზის წარმოშობის ისტორიის ბარათები სულ 31 ცალი.].

966

სვიმონ ჯულფელი. დიალექტიკა. XVIII

128 ფ.; 16.4×10; ლურჯი და თეთრი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა, დახიანებული; ბოლონაკლული; ფურცლები 118 r—128r დახიანებულია; მთელ რული,დასწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ჭვირნიშანი აქეს; [XVIII ს.]; შეძ ნილია დოც. გრ. კალანდარიშვილისაგან 1951 წლის ივნისში.

[სვიმონ ჯულფელი]. „დაწყებასა წ~ს დიალიკტიკისასა საჭმარ არს კითხვისათ~ს მცირისა რაჲსამე თქმად, რომელსა განაზღვრებს არისტოტელი ესოეთ: კითხუა არს ძიება მიგებისა. — აწ უკუწ დაღაცათუ მრავალ არიან სახენი კითხვისანი, გარნა აქა საჭმარ არს ჩუსნდა რაჲ არსისა და ვითარი არსისათ~ს, რ~ლნი თქმად არიან ამათ~თს, რ~ლთა ყოფა აღსარებულ არს...“

წ უ ყ რ ე ბ ა: „... რ~ლი გარდასახლდების, სასიკუდინე სნეულება არს, შენ გარდასა... ძიერ, მაშასადამე, სასიკუდი... არ...“ 1 r — 128 v.

მინაწერები: 1. „წითლური ეფთარ ეიშოვე“ (ვადამწერის ხელი) 119 v.
2. „ამა წიგნისა მწერლებისა დრო და ჟამი არ ჩანს ანუ ვის მიერ ქნილ არს“ (ქიმიური ხელნთა ნაწერი) 54 r, 128 v.

967

რუსუდანიანი. XIX

473 ფ. 20×15,5; სხვადასხვა ფერის ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა; მთელრული; სხვადასხვა ხელი; ბოლონაკლული; სათაურები სინგურით; [XIX ს.]; ჭვირნიშანი: 1838 წ. 60 r; დაუწერელია 189 v; შეძენილია თინათინ ლობჟანიძისაგან 1951 წ. ივნისში.

„კარი პირველი რუსუდანისა. — იყო ქვეყანასა ზმირინიისასა დიდებული და სახელგანთქმული, რომელსა სახელი ეწოდებოდა აფთვიმიანე და ჰყვა მას ათორმეტი ძე სახელგანთქმული...“ 1 r — 473 v.

წ უ ყ რ ე ბ ა: ...„დიდად შეეწყალა ხელმწიფესა და ასრე ბრძანა: ამას ასეთი ცეცხლი სწვავს, რომ ამისი დანელება ჩვენ უსიკუდილოდ არ შეგვიძლია და სიკუდილი ამისი უსამართლოა. თავიდან თავისა მკლელიაო, თავათ არ დარჩება და, თუ დარჩება, ჩვენ მაშინცა აღარას გვარგებსო და გაეისტუმროთო თავის ქვეყანასაო. თუ მოკედეს, მკვდარი იგი დაწონ, ვისთვისაც სულ ქმნილია, და თუ დარჩა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა დახიანებული ხელნაწერიდან. ამაზე მიუთითებს ტექსტში გამოტოვებული თავისუფალი ადგილები. გვიან ეს თავისუფალი ადგილები შეუვსია სხვას და იქ, სადაც ადგილი არ ჰყოფნია, ლურჯი და თეთრი ფურცლები ჩაუმატებია; იხ. გვერდები: 41 r — v, 60 v, 113 r — v, 120 r — 121 r, და სხვ.
ზოგჯერ ჩამატებები ტექსტშიცაა შეტანილი; იხ. 115 v — 116 r.
2. ყდის ყუაზე მხედრულით ამოტეიფრულია „რუსუდანიანი“.
3. 62 r-ხე ტექსტის აღმდგენელის ხელით დაწერილია ლექსი:
„მუნ ვიწყე წერად ამისა, ანბავი რუსუდანისა,
გმირთა ძალგულთა ჰაბუკთა მოყმეთა ცხრათა ძმანისა,

ხავა მოყმისა ღარიბად მავალი უცხოდ ქვეყნისა,
სახსოვრად დარჩეს ი ო ს ე ბ, მომიგონებდეთ ამისსა,
ესე ანბავი ტურფანი ძველთაგან ხელმწიფისანი,
უცხო და უცხო მეფეთა სიტურფით მეზვესი (!) მხისანი,
მადგან განათლდეს ხმელეთი, მთავარე თხუთმეტის დღისანი.
დეეთა მებრძოლნი მუსურელნი ნაღმი ბტურეული კლდისანი[ი].“

მინაწერები: 1. „მეფის ასული, ქველ კეთილ სულო,
ძვირ უფასულო, ქეთევან რქმელო,
ზნეობით სრულო, მწყე უნაკლულო,
ქებით აღმკულო, საქელგანთქმულო,
რტო დავითური, მის მტილსვე რგულო,
ევფრატით რწყულო, კოშკებ დასხმულო,
მონარგიზული, ჯერ არ დაზრულო,
პირ მომაწყული, სადავ განქმული.“ 445 v.

ეს ლექსი ეკუთვნის დიმიტრი ბაგრატოვანს. დაბეჭდილია წიგნში: წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა, ლექსად თქმული. სანკტპეტერპურღი, 1819 წ.

2. (ფანქრით). ესე რუსეთდანიანი ეკუთვნის დიმიტრი კაჭარავს. 1884 წ.„ (ქვედა ყდის საცავი ფურცელი).

იხ. აგრეთვე მინაწერი 445 v.

968

ოთხთავი. XVIII

237 ფ.; 15×9.5; ქაღალდი; ვერცხლის ყდა, ვერცხლისავე საკეტით (ერთი აკლია) და ვერცხლის 3 ფეხით (ერთი აკლია). ფეხების სიმაღლე 1 სანტიმეტრი; ქედური ხელოვნებით გამოხატულია ზემო ყდაზე — ქოისტეს ჯვარცმა (მარცხნივ ღვთისმშობელი, მარჯვნივ იოანე), 4 მახარებელი, ირგვლივ ყვავილოვანი ორნამენტი, ქვემო ყდაზე — ჯვარი ირგვლივ გვირგვინით და ყვავილოვანი ორნამენტებით, ყდაზეა ორი ანგელოზი და ყვავილოვანი ორნამენტები; ყდაზე სამ ადგილას აღნიშნულია მოჭედილობის თარიღი (1781 წ.), ინიციალები A. A. k; მახარებლებსა და იესო ქრისტეს წარწერები გაკეთებული აქვს სლავურ ენაზე; ყდას აქვს საცავი ფურცლები; ნუსხური; სათავურები და სახედაო ასოები სინგურით; მინიატურები (9 v, 62 v, 99 v, 156 v): [XVIII ს.]; დაუწერელია: 1 r — 6 v, 7 v — 8 r, 9 r, 61 v — 62 r, 98 r — 99 r, 155 r — 156 r, 197 v, 222 v — 223 r, 234 r — 237 v. ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძარს; შემოვიდა ანტირელიგიური ფუნეულიდან 1951 წელს.

„სახარება მათესი, თავი პირველი. — წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შუა ისაკ, ისაკ შუა იაკობ, იაკობ შუა იუდა და ძმანი მისნი...“ 10 r — 197 r.

შენიშვნა: 1. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს: ა) „სამიებელი წიგნისა სახარებისა“ 198 r — 217 v; ბ). „თვეთა მეტყველებანი“ 217 v — 231 v, გ) სახარებანი წ‘თა მამათა ჩვენთა ქართველთა მნათობთა აოთრმეტთა ასურეთით ღვთისა მიერ მოვლინებულთა“ 231 v — 233 v;

2. მინიატურებზე გამოსახულია მახარებლები: მათე 9 v, მარკოზი 62 v, ლუკა 99 v და იოანე 156 v. მინიატურებს სლავური წარწერები აქვს გაკეთებული.

3. 7 r-ზე მოთავსებულია სახარების ტექსტიდან ამოღებული ნაწყვეტი.

მინაწერი: (ლუოჯი მელნით, მხედრულად) „წმ. სახარება ესე ეკუთვნის მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძარს“ 8 v, 233 v.

969

მარხვანი. XVI

323 ფ.; 29×19: ქაღალდი: ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა, დაზიანებული: დაშლილი, რესტავრირებული ძველად. ჭიისაგან შეჭმული. ჭუჭყიანი ფურცლები, ბოლონაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები და სახედაო ასოები სინგურით; თავსამკაული (1 r); [XVI საუკ. პირველი ნახევარი]; ვეირნიშანი: ხარის თავი და ღუზა (1492 წ. და 1498 წ. ქაღალდისთვის დამახასიათებელი) (21 r, 133 r); გადმოცემულია ანტირელიგიური მუზეუმიდან 1951 წ.

[მარხვანი]: „სახელითა ღვთისათა, ჱამისა, ძისა და სულისა წმიდისათა იწყებიან წმიდანი მარხვანი მეზუთრაისა და ფარისეველისა კეთრიანისა და სრულ იქმნებიან წმიდასა დიდსა შაბათსა. — ვ̃ კ̃ ა, შენ სიტყუაჲ, ჴმაჲ აღმამაღლებელი ჩუენ ბრწყინვალე გჳჩნა. სიმდაბლისა ო̃ნ, რ̃თა განამარილა ფარისეველისა მის უვალრეს მეზუთრე იგი...“ 1 r — 298 v.

შენიშვნა: 1. ზოგიერთ საგალობელთან მიწერილია ავტორის სახელი: თ ე ო დ ო რ ე სტ უ დ ი ე ლ ი, ა ნ დ რ ი ა, ს ტ ე ფ ა ნ ე, ი ო ს ი ფ, ა ნ ტ ო ნ ი, თ ე ო ფ ა ნ ე, ი ო ა ნ ე, მ ა რ კ ო ზ, კ ო ზ მ ა ნ.

2. 287 r-ზე მოთავსებულია ე ფ რ ე მ მ ც ი რ ი ს მიერ თარგმნილი საგალობელი: „ბალობანი გოდებისათჳს ღ̃ ს̃ მშობელისა დაფლვასა ზედა ღ̃თივგუმთოვანთა ჴორცთა რ̃ჲ ჩ̃ნისა ი̃ჳ ქ̃ჲსა. გოლგოთას ბერძენნი დიდსა ქ̃რსკჳსა სერობისად იტჯუან და საეკლესიოდ მიმწურისანი ა̃რნ, ხ̃ თ̃ვის წინა ოდესცა ვის სთნდე.“ „თ რ̃ გი ე ფ რ ე მ̃“. გალობაჲ. ჴ̃ჲ ზ̃ გ̃ნ: ზ̃ლაჲ მეწ̃ამეც. დაბადებულთა შენთა ცხოვნებაჲ ინებე, მაცხოვარო ჩ̃ო, ამისთჳსცა...“

3. მარხვანს დართული აქვს: ა) „თ ბ რ ო ბ აჲ სს̃წ̃ლისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ჯუ̃ჯოშეულსა დიდისა ეკლესიისასჲ სოფიაჲ წმიდას საუფლოსაგან და პატიოსნის ხატისა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისა ი̃ჳ ქ̃ჲსა და მუნ მისრულისა მისთჳს პატრიკისა და კ̃რისტეს ნ̃ოყუარისაჲ ს̃წ̃ინოზრძისა მისისა, გ. მ. — არარაჲ არს ესრეთ მახარებელ სულთა ღმრთის მოყუარეთაჲ, ე̃რ საქმეთა. ე̃სი მიერ საკ̃რველებით აღსრულებულთაჲ...“ 298 v—304 r.

ბ) „ძ ე გ ლ ს წ ე რ ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლოს შეკრებულთა წმიდათა ხატთ თაყუანისცემისათჳს, რომელი-ესე წარიკითხვის სოფია წმიდას და ყოველთა ეკლესიათა პირველს კ̃რიაკესა მრ̃ხეთს წმიდისა ჭამის წორჳასა ზედა შემოსილისა ხუცესაგან. გ. მ. — წინაჲსწ̃რმეტყუელთა ქადაგებისაგან დამტკიცებულნი და წმიდისა სახარებისა ბრძანებათა დამორჩილებულნი, წმიდათა მოციქულთა მოძღურებისაებრ ვდღესასწაულობთ დღეს ამას ს̃ხ̃ფურებისა და განაწლებისა სარწმუნოებისა ჩუენისასა, რამეთუ ე ს ი ი ა ჲ წინაჲსწ̃რმეტყუელი იტყჳს: „განახლებობდეთ ჭალაკნი ღ̃რთისა მიმართ...

წმინდანო მღდელნო, ვითამთა წინაჲსწ̃რ იკითხენ ამას ძეგლს წერასა, ეგრეთვე სრულებით აჰა სწერია“ 304 r — 312 r;

შენიშვნა: ძეგლის წერის ბოლო ნაწილში, სადაც ჩამოთვლილი არიან „მართლმადიდებელი მეფენი“, იხსენიებიან ქართველებიც: „... ბ აგ რ ა ტ ა ფ ხ ა ზ თ ა და ქ ა რ თ უ ლ თ მართლმადიდებლისა მეფისა საუკუნომცა არს საჴსენებელი.

გ ი ო რ გ ი კ ე ს ა რ თ ა ს ი ს ა ა ფ ხ ა ზ თ ა ქართველთა მეფისა საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევა მათი.

დ ა ვ ი თ ყ ო ვ ლ ი ს ა აღმოსავლეთისა მეფისა ახლისა მართლმადიდებლისა საუკუნომცა საჴსენებელი და კურთხევა მისი.

დ ე მ ე ტ რ ე ყ ო ვ ლ ი ს ა აღმოსავლეთ ს მეფისა, საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევა მისი.

გ ი ო რ გ ი ყ ო ვ ლ ი ს ა აღმოსავლეთისა ჯელმწიფედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა, საუკუნოჲმცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მისი.

თამარ ყოყლისა აღმოსავლეთისა აზლის მართლმადიდებლისა, აფხაზთა, ქართველთაჲ, ჰერთა და კახთა და ყოველთა ჭოისტენეთა მპყრობელისა. საუკუნოჲცა არს საჯ-სენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

ძისა მათისა გიორგი ყოყლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა, მრავალმკა არიან წელნი მეუობისა მისისანი..." (310 r);

ასევე ტაძრისაჭთა „და ღმერთშემოსილთა მამათა" რიგის შემდეგ ქართველთა ხსენებაცაა: „... უსხეულოთა მიმაჯესებულისა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისა, აზლისაჲ ოქ ოხანრისა ქართველთა გამჰანათლებელისა საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

წმიდათა და მართლმადიდებელთა დედოფალთა მ ა რ ი ა მ ი ს ი და მ ა რ თ ა ს ი, საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მათი.

წმიდათა მამათა ი ო ა ნ ე ს ი და ი ო ა ნ ე სჳ ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა და გ ი ო რ გ ი ს ი, საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მათი.

წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ ქართველთა მწიაობისა, საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი." (310 v); ამას კი ათაბაგებისა, ტაოს მთავართა სახლის ხსენება მოჰყვება: „დიდისა და წარჩინებულისა და სიმჭნით განთქმულისა და სახელოვანისა და მტერთაჯან უძლეველისა ა თ ა ბ ა გ ა მ ი ს პ ა ს ა ლ ა რ ი ს ა მორწმუნისა პატრონისა ჩუენისა ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ს ი საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

ეგრეჳვე მეუღლისა მათისა დედათა დიდებისა და სიქეთისა ძალსა წმიდათა მენელ-საცხებლესაჲ მოდასისა და სარწმენოჳსისა ბებეჳსა და კეთილად მოღუაწესა ღმრთის მოყუარისა პატრონის დ ე დ ი ს ი მ ე დ ი ს, საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

და პირმშოსა ძისა მათისა სიმჭნით ჭებულისა და სიბრძის გამომეძებელისა და დაუცხრომელად ღმრთისმადიდებელისა პატრონის კ ა ი ხ ო ს რ ო ს ს საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

და მშმდგომისა და საყუარელისა ძმისა მისისა, ღჳთივ განბრძნობილისა, მჭნედ მჭედართა და მრავალთა და ძლიერთა და სახელდებულთა ფალავანთა დამჭობელისა და ქედისა შემმუსრველისა, სჩრილტანიოს ზღჳდისა სრულსა ჩოჭოსნობისა და ანგელოზებრივისა სჭემისა ღირსად მიმღებელისა პატრონისა ჩუენისა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ყ ო ფ ი ე ს ი ა კ ო ბ ი ს ი, საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

და ძმის წულისა მათისა მჭნისა და ახოგინისა და ქველპარმჭაჭყულისა, აგარიანთა მომსრველისა, გულოჭნებით სახელგანთქმულისა. მტერთა შემაძრწუნებელისა, სარწმუნოებისა და ქრისტეს ჲეშხარტისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელისა და აწ მფლობელისა ჩუენისა პატრონისა ნ ა ვ ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ს ი, საუკუნოჲცაჲ არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი და მრავალჯა არიან დღენი და ჟამნი ცხორებისაჲ მისისანი.

და მეუღლისა მათისა ღ ვ თ ი ს მ ჯ ნ ე ს ა ნ ი ს ა მთავისა და ცისკროვნებრ ბრწყინვალისა, სიმჭდის მეძიებელისა და წერილთ მოყუარულისა და ჯუართა და ხატთა პირად-პირადად მამკობელისა პატრონისა ა ნ ნ ა ს ი ი. მრავალჯა არიან დღენი და ჟამნი ცხორებისა მისისანი.

და მეთ მათთა, სამოთხჱ ნერგთა, ვარდთა სურნელთა და გონიერთა საღმრთოდ, სამჭედროდ აღზრდილთა პატრონის მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ი და პატრონის კ ა ი ხ ო ს რ ო ს ი მრავალმეა არიან დღენი და ჟამნი ცხორებისა მათისანი.

და სოილ კ ო პ ა ს - ძ ი ს ა, ტაკოსა ამილაზორისა და მხატვრობით კეთილად ჴელოვნისა და სიბრძნის მეტყუელისა და საღმრთოთა წ ჩ რ ი ლ თ ა მართლიად აღმსრულებელისა და თარგმანთა განმამარტებელისა, მრავალმეცა არიან დღენი და ჟამნი სუფევისა მისისანი და კელაფაც საუკუნოჲცა არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

ეგრეთვე მართლმადიდებელთა და კურთხეულთა მ შ ო ბ ე ლ თ ა მისთა რ უ ა მ - ყ ო ფ ი ლ ი ს რ ა შ თ ა ე ლ ი ს ა და რ ა ი ნ დ ო - ყ ო ფ ი ლ ი ს ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ს ი, საუკუნოჲცაჲ არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მათი.

და მემკჳდრისა მისისა ღუაწლ მრავალ და მოღუაწებით წმიდაჲა ქალწულთა მიმსგავსებულსა, ლოცვა მარხვით დაუშრომელსა და სრულსა მ ო წ ა ზ ო ნ ე ბ ი ს ა და ს ჴ ე მ ო ს ნ ა - ბ ი ს ღირსებით სრულ ქმნილსა მ ა ნ გ უ ბ ა რ - ყ ო ფ ი ლ ს ა მ ა რ თ ა ს ი, საუკუნოჲცაჲ არს საჯსენებელი და კურთხეჳაჲ მისი.

ძეთა და ასულთა მათთა მიცვალებულთა საუკუნოდმცა არს საჭირებელ და კურთხევა მათი. და ცოცხალთა მრავალმცა არიან ქმანი და დღენი ცხოვრებისაჲ მათისანი, ამინ.

ყოველთა ნათესავთა ჩუენთა, ქართველთა მასპინძლისა გრიგოლ სვეტიცხოვლისა ბაკურიანის ძისა, ყოველისა დასავლისა დიდისა დემეტრეკოპოსისაჲ მართლმადიდებელისა, საუკუნოდმცა არს საჭირებელი და კურთხევაჲ მათი..." (310 v — 311 v);

გ) „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომედელ მთავარეპისკოპოსისა ცხოვრებაჲ წმიდაჲსაჲ ჯუარცმისა და დაფლისათჳს უფლისა ჩუენისა იჳსუ ქ-ს, რომელი იკითხვების დიდსა პარასკეჳსა, რჲ იწყა თქუ, გ-ენ მ-მო!" 312 r — 324 r

დ) „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეპიფანე კვპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ დაფლისათჳს უფლისა ჩუენისა იჳსუ ქ-ს და იჩ-ს არიმათელისათ-ს ჲოსების შთასლვისა-თ-ს შემდგომად ცხ-ლეს მყ-ელისა ენების მ-ისა, გ-ენ მ-მო!" 324 r—v.

წყ-ბა. „...ჳ-ა არდინენი წარელენ ჳრ მხე სჳ-სა აღა..."

4. ხელნაწერის ხაგიერთი ფურცლების კიდეები შეჭრილია, მგ: 21 v, 26 v. 29 r. 59 r. და სხე.

მინაწერები: 1. „ღ-ო და რ-კონის მ-რთას-მობელო, შ-ე ფ-დ ცდ-ვილ გაიან-ენუ..." 172 v.

2. (მხედრულით.) „ჭ. რა ესე გალობანი ითქჳნეს, ერთი კოჯა ღვინო ხუცესთ არის, ვინც დაააკლებს....." 192 r.

3. (მხედრულით) „ჭ. ღმერთო და რ-კონის ღმრთისმშობელო, უშველე დარ-ჯანს, ხ-ია უდღეგრძელე" 203 r.

4. „ჩ-ნ ქ-ი ღ-ა მრ ამბა აღაჳრდებან ზ-ქ-რია შევწირე და მოვაკვნე წ-ნი და ს-ლთა გ-შნთ-ლნი ესე მრხვანი ჳ-დ წ-ა მ-ხისა ღ-ის მშ-ბ-ლს ს-ლისა ჩ-ლის სამლოცველოდ და ცდ-ათა ჩ-თა შესანდობელად დღესა მას დიდსა გ-ჳთხვისა-ს, ა-ნ. ვინცა და რა-მანცა კ-ანა ჳ-ლ ყოს ამისსა შლად და გამოწირვად, რისხვასცა მ-ა ... და ყ-ნი წ-ნი ღ-ნი ხ-ცისა და ქ-ნისნი." 241 v — 242 r.

იხ. აგრეთვე მინაწერები: 4 r, 45 r. 65 v, 84 r, 197 v, 202 v, 296 r.

970

კრებული. 1827

133 ფ.; 34×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ფურცლები (80 — 133 და ბოლო ყდა ობისგან დაზიანებულია; ხელთაწერილი, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1827 წ. (132 v), ჰვირნიშანი აქვს; გადამწერი: იოანე იალღუზის ძე (132 v); დაწერილია: 64 v, 110 v, 133 r — v.; შემოსულია ანტირუსიგიური მუხუთიდან 1951 წელს.

1. „წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილი კესარიელ კაბადუკის მთავარეპისკოპოსისა, ექესთა დღეთათჳს თქმული, თავი ა. — სიტყჳს მიგებაჲ: დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცანი და ქუეყანა. რ-სა ენებოს დაბადებისათჳს სოფლისა მითხრობად, დასაბამად ხილულთა ამათ შემკობისა, ესეგ-რისა სიტყჳსა შეენის დაწყებად, რ-ცისა და ქ-ყნისა დაბადებისა ჰენებავს უწყებად..." 1 r — 64 r.

2. „წმიდისა და ღ-თშემოსილისა მამისა ჩუ-ნისა გ-რ-გორი ნოსელ ეპისკოპოსისა, ძმისა წმიდისა დიდისა ვასილისა, რ-ლი იგი აკლდა აღწერასა ექვს[ს]ით დღეთასა, რ-ლი იგი წინასწარ ჰსთქუა ნეტარმან და დიდმან ვ-ასილ-ი, და ვინაჲთგან დაბადებისათჳს კაცისა დაუშთა მას, ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ-ჰყო წმიდამან გრიგორი მაღლად და ღთივ დიდებულად. — თავი ა. რომელსა შინა არს ზოგს რაამე სოლლისათჳს ბუნებათა მეტყუ[ველებად] და შემკობილი მითხრობად პირველ კაცის შესაქმისა დაბადებულთა. ესე წიგნი არს შესაქმისა ცისა და ქუეყანისა...“ 66 r — 110 r.

შენიშვნა: წინ უძღვის: „ძმსა ჩემსა და მონასა ღ[მრ]თისასა. პეტრეს ეპისკოპოსსა გრიგორი ნოსელ ეპისკოპოსი (65 r — 66 r).

ბოლოს ერთვის: „წ[იგნ]ის მამისა ჩ[ემ]ისა გრიგოლი ნოსელ-ეპისკოპოსისა პეტრეს მიმართ ძმისა თჳსისა **პასუხი** ეგუსთა დღეთათჳს (111 r — 132 v).

ანდერძი: „სრული იქმნა ძალითა და შეწევნითა ყ[ო]ვლთა კეთილთა მაცხ[ოვრ]ისა (!) ღ[მრ]თისათა წელსა 1827, ივნისს 20 დღესა, ჴელითა ღუბერსკის სკკრატარისა იოანე იალღუზის ძისათა. ხ[ო]თ[ბ]ენ კეთილ გულისჴიერნო მკითხ[ვ]ელნო, მიიღეთ ჩემ გულხაისამიერი ესე უმდაბლესი ვედრებაჲ და უკეთუ ცთომა და ნაკლულება რაამე იხილოთ ნუ მწყენეთ, არ[ა] სიყვარულისათჳს ლოცვთ ჴსენებაჲ მაგეთ. თუმცა ვიგულისმოდგინე გარნა გონება კაცობრივი უძლურ არს“ 132 v.

მინაწერი: (ლურჯი მელნით). „ცნობად — 17 რვეულია. რვეულში 8 ფურცელი, ხოლო პირველ რვეულში კი არის 6 ფურცელი“ (ზემო ყდის შიდა გვერდი).

971

კურთხევანი. XVIII

98 ფ.: 20 × 14,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა: რესტავრირებული; ნუსხური, სათაურები სინგურით; თავსამკაულიანი (84v); [XVIII] ჰვირნიშანი აქვს; შემოწირულია ლუარსაბ კარბელაშვილისაგან.

კურთხევანი, ძალითა ღ[მრ]თისათა ღ[მრ]თ დედაკაცსა ზედა მშობიარესა პირველსა დღესა, უფლისა მიმართ...“ 1 r — 98 v.

შენიშვნა: 1. კურთხევანი იმავე შედგენილობისაა, როგორისაც ვახტანგ VI-ის სტამბაში 1713 წ. დაბეჭდილი კურთხევანი არის. თარგმანი ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე ეკუთვნის კვიპრიანე სამთავნელს.

2. ხელნაწერი ყოფილა ნაკლული და გვიან აღუდგენიათ: აღმდგენელის ხელით: 59 v — 63 v, 76 v — 91 v. ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი კურთხევანის ფურცლებით: 64 — 67, 92 — 97.

3. ცუდი შეკინძვის გამო ზოგიერთი ფურცელი თავის ადგილზე არაა.

4. ხემო ყდის შიდა ნაწილისათვის გამოყენებულია ნუსხურად ნაბეჭდი ფურცელი (სახ[ელ]ის სტამბისაჲ).

5. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ხელრთვა გვ. 98 v.

ანდერძი: (აღმდგენელისა). „მე აროან დიაკონმან დავწერე ნაკლებ ესე კთ[ვ]ენისი შეკერითურ, კ[ა]ლ უა“ (1792 წ.). 98 v.

მინაწერი: (ქიმიური მელნით) „ჩემს შვილს გივის თავისი პაპის მღ. ანდრიას ნაანდერძევი, ლ. კარბელაშვილი. 4.VI 43 წ.“

972

ისტორიული ძეგლების წარწერები. 1840—1846

6 სხვადასხვა ზომის ფურცელი: 36,2 × 22,5 და 22,1 × 17,7; ქაღალდი; მბეჭდური; ავტოგრაფი; 1840—1846 (2 v, 5 r); დაუწერელია: (3 v — 4 r — v); შემოწირულია: ე[ქვ]ემ. თაყაიშვილის მიერ. 1951 წ. ოქტომბერში.

[ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ გადმოღებული ისტორიული ძეგლების წარწერები]. — „კახეთში ს. იყალთოს თავში ეკლესია არის წ. შიოსი..“ 1 r — 6 v.

შენიშვნა: შეიცავს შემდეგ წარწერებს: 1. სოფელ იყალთოს წმ. შიოს ეკლესიისას; 2. წმ. ნინოს ეკლესიისას ქიზიყში (1717 წ.).

3. სოფელ ტანძიანის (სომხითში) ეკლესიის კარიბჭისას.

4. წმ. დავით გარეჯის სახ. ეკლესიის კარიბჭისას და საფლავის ქვებისას.

5. პიტარეთის მონასტრისას.

6. ზურაბიანთ სასახლე, ზურაბიანთ კარის ეკლესიისას (კახეთის ხეობა; ს. ბაბილაშენი, ახლა სატრედის უბახიან“).

7. კახეთის ხეობაში მშვენიერი თლილი ქვის ეკლესიისას (აქვე ზურაბაანთ სოფელი ყოფილა, ახლა სათხეს ეკლესიის კარიბჭისას.) 8. წმ. სამების მონასტრის ეკლესიისას (კახეთის ხეობაში). 9. სოფელ საკარიის წყაროს ქვატკირის თაღისას.

მინაწერი: 1. „1859-ს წელსა, ოქტომბრის ვ-ს დღესა, ქვეშელ პეტრე ბესელაშვილს მივეცი იჯარით ორის წლის ვადით ჩემი ღორისთავის მამული თუმან ნახევრათ“. (ფანქრით.) 3 r.

2. „ეს არის პითარეთის მონასტრის წარწერა ფრანზების გამოშვებით და შეცდომებით გადმოღებული, ე. თ.“ 3 r.

973 ა

დიმიტრი ბერი ბაქრაძე. მოგზაურობა სვანეთში. XIX

9 ფ.; 17×14; ქაღალდი; უყდო ავტოგრაფი; [XIX ს.]; შემოწირულია პროფ. ექვთ. თაყაიშვილის მიერ 1951 წ. ოქტომბერს.

დიმიტრი ბერი ბაქრაძე „მოგზაურობა სვანეთში“. — სოფელსა სვანეთსა ბეჩოს უწოდებენ ეკლესიასა მათსტისას, რომელსა შინა დახიზნული ჰყოფილა კანკელი მცხეთის ეკლესიისა...“ 1 r — 9 v.

შენიშვნა: ხელნაწერი ჩადებულია 873 ბ ხელნაწერთან ერთად ორად გაკეცილ ქაღალდის ფურცელში, რომელსაც წითელი ფანქრით აწერია: „ორი რვეული, დიმიტრი ბერი ბაქრაძე“.

973 ბ

სვანეთის ეკლესიების ქონების აღრიცხვის სია. 1874

8 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; ხელმწერული; დიმიტრი ბერი ბაქრაძის ხელით დაწერილი; 1874 წ. მაისი (1 r); დაუწერელია: (7 v — 8 v); შემოწირულია პროფ. ექვთ. თაყაიშვილის მიერ 1951 წ. ოქტომბერს.

*1874 წელსა, მაისის 29 დღესა, კამისია დანიშნული სვანეთის ეკლესიებთ(!) ქონების ცნობაში მოყვანისათვის შეუდგა უშკულის სამრეკლოსა შინა გამოკვლევასა მოძრავთა კუთვნილებათა მისთა და აღმოსჩნდა შემდგომი...“ 1 r — 7 r;

შენიშვნა: ხელნაწერი ჩადებულია 973 ა ხელნაწერთან ერთად ორად გაკეცილ ქაღალდის ფურცელში, რომელსაც წითელი ფანქრით აწერია: „ორი რვეული, დიმიტრი ბერი ბაქრაძე“.

25. ხელნაწერთა აღწერილობა.

974

ყარამანიანი. 1830

230 ფ.; 21 × 16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა, დაშლილი; მხედრული, სათაურები სინგურით; 1830 წ. იანვარი (229 v). ჭვირნიშანი 1828 წ. (99 r) გადამწერი: მირზაოის ასული მართა (229 v); დაუწერელია (1 v); შემოწირულია ალ. ღლონტის მიერ 1949 წ.

„წიგნი ყარამანიანი, ნათქვამი სპარსულთა ქართველთა შვილი სარდალ სალთხუცის დავითისაგან, ახლა მირზაშვილის ასულის მართასაგან გარდმოწერილი, ტკბილი და სასმენელად სამო, სავაქაკო. კარი პირველი. ა. — პირველსა ქამსა სპარაეთსა შიგან იყო ხემწიფე დიდი, რომელსა ეწოდა თახმურად..“ 1 r — 229 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს „ყარამანიანი“-ს პირველსა და მეორე კარს.

2. ხელნაწერი დაკაზმვისას ცუდად აუკინძავთ ამის გამო ტექსტის თანამიმდევრობის დასაცავად კიდეებზე სათანადო მინაწერები აქვს გაკეთებული იხ. 7 v, 8 v, 16 v 24 v, 32 v.

3. ხელნაწერის ბოლოში დართული აქვს ორი ლიცენზია: თვალნაკრაობისა და შეშინებულისა. (იხ. 230 v და ქვემო ყდის შიდა გვერდი.)

ანდერძი: (გადამწერისა): „აქ დასრულდა ამბავი ყარამანისა, ნუმცა დაესრულების ამბავი თქვენი, თუმცა ყარამანის ამბავი სხვაე მრავალი არის, მაგრამ ამაში ამის მეტი არ ეწერა, და ესე კმასაყოფელი იყოს. დასრულდა ყარამანიანი იანვრისი (!) **ჩყლ** წელსა ხელითა მირზაოის ასულისა (მართასითა, ვინც იხილავედეთ, მცირესა ამას მუშაკობასა შენდობას ბრძანებდით, რათა თქვენცა სახელი აღიწეროს წიგნსა მას ცხოველთასა. თუ რ[.]ნე (!) შემცდარი და მეტნაკლები იყოს, ნუ გამკიცხავთ, ამისთვის რომ დიდათ ფიქრიანი და შეწუხებული გულით ვსწერდი. აღმამკითხველნო. ყოველთა გეედრებით შენდობისათვის, ჩემის სულის საოხად აღვწერე წიგნი ესე“ 229 v — 230 r

მინაწერები: 1. „მოწყენილი იყავით ყველანო, ეს ყარამანიანი მე მაჩუქა ივანემა რადგან მამიდაჩემის დაწერილია, ივანე, კოტე, სვიმონი“ (ზემო ყდის შიდა გვერდი).

2. (იისფერი მელნით) „შეიძინე ეს ხელნაწერი ერთი უცნობი ქალიდან, რომელმაც, ვერ მითხრა, თუ საიდან გაჩნდა მათს ოჯახში იგი, ალ. ღლონტი 10.3.40“ 229 v. იხ. აგრეთვე მინაწერი 1 v.

975

ქართული ანბანი. XIX

1 ფ.; ლურჯ სქელ ქაღალდზე დაკრული თეთრი ქაღალდი; 37,6 × 31,5 მხედრული, მოხატული საზეადო ასოები; [XIX ს.]; შემოწირულია ნათელა ჯავახიშვილის მიერ 1951 წელს.

[ქართული ანბანი, საზეადო ასოები, შესრულებული მხატვრულად, ცხოველების გამოსახულებებით].

შენიშვნა: 1. ჩართულად სწერია: „იაკობ“. „ავთანდილ“.

2. აქვს წარწერა „ქ. ეს სოლომონისა“.

976

პარმენ ცახელის (თვალჭრელიძის) წერილი მათე ნიკოლოზის-ძე გორდეზიანისადმი. 1908.

2 ფ.; 21 × 13; ცალხაზიანი ქაღალდი: პირველი ფურცელი მთელია, მეორე — ნახევარი; მხედრული; ავტოგრაფი; 1908 წ. 13 ნოემბერი; გადმოცემულია მ. ფოფხაძის მიერ.

„ჭკირფასო ძმაო მათე! ქუთაისის კომიტეტმა შემთხოვა წარმოადგენლად წასულა თბილისში აკაკი ასათიანის ადრესის მისართმევად იუბილეის დროს..“ 1 r — 2 v.

შენიშვნა: 1. წერილის ფურცლები სხვადასხვა დროსაა შემოსული. ამაზე მიუთითებს შემდეგი ცნობები: ა). „საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ის გამგეს, აწ გარდაცვლილი პიძაჩეის მათე ნიკოლოზის ძე გორდეზიანის პირად წერილებში ვიპოვე პოეტ პარმენ ცაბელის (თვალჭრელიძის) წერილის ნაწილი, რომელსაც სიამოვნებით გადმოვცემ თქვენს განყოფილებას, თუ იგი თქვენთვის საინტერესო იქნება, მაცია ფოფხაძე 1947 წლის ნოემბერი.“

ბ). „ჩელნაწერთა განყოფილების გამგე[ს] ამხ. კ. გრიგოლიას, თანდართული ბარათი პ. ცაბელის მიწერილია მათე ნიკოლოზის ძე გორდეზიანისადმი, რომელიც ცხოვრობდა და მსახურებდა ქ. ონში (ამჟამად გარდაცვლილია). ბარათი გადმომცა მუზეუმისათვის მისმა მეუღლე ლიუდმილა სპირიდონის ასულმა დავალი — გორდეზიანისამ, (რომლის მამიდაშვილი იყო პ. ცაბელი). ერთი ამის ანალოგიური ბარათი — შარშან გადმოგეცით. მ. ფოფხაძე. 1949 წლის 25 მარტი ქ. თბილისი.“

ეს ცნობები თან ახლავს წერილს.

977

ალ. ყაზბეგი. ვაი ჩემო ძველისაგან ძველო ნივთებო. XIX

24 ფ.: 22×18; ცალპაზიანი ქაღალდი; ყდის მაგიერ ქაღალდის გარე კანია; მხედრული; [XIX ს. ბოლო წლები.]: შეძენილია ელენე კოსტანტინეს ას. კვირკველიასაგან 1951 წლის ნოემბერში.

[ალექსანდრე ყაზბეგი]. „ვაი ჩემო ძველისაგან ძველო ნივთებო, კომედია ორ მოქმედებად.“ მოქმედება 1-ლი, გამოსვლა 1, სცენა წარმოადგენს ოთახს ქართულსა და ევროპიულს გემოვნებაზედ მორთულს...“ 1 r — 24 v.

შენიშვნა: 1. მოქმედი პირები დაწერილია თვით ავტორის ალ. ყაზბეგის ხელით. აქვე დასახელებულია შემსრულებელთა. ნ. გაბუნიას, მ. საფაროვას, კ. მესხის, დ. ბ. კორინთლის გვარებიც (იხ. ქვედა კანის შიდა გვერდი.).

2. ზედა კანზე ალ. ყაზეყის ex libris-ია მოთავსებული.

978

ჯუზეპე მაზინის წერილი.
გადატანილია საარქივო ფონდში „სხვადასხვა“ № 57.

979

აკაკი წერეთელი. ჩემი მტრები. XIX — XX

1 ფ.; 21,3 × 13,5 პატარა ზომის ფოსტის ქაღალდი; დაზიანებული; მხედრული; [XIX — XX ს.]. შეძენილია ელადიძე გრიგოლისძე ჩიქოვანისაგან 1952 წ. 4 მარტს.

აკაკი წერეთელი. ჩემი მტრები.

„ისე როგორც გველს გოგირდი,
ყოველ ცუდ კაცს ვეჯავრები!
ბევრს არ ვიცნობ, ვერც მიცნობენ
მოსისხარი ჩემი მტრები...“ 1 r — v.

შენიშვნა: 1. ბოლოში ხელმოწერილია: „აკაკი“ 1 v;

2. ფურცელზე დახიანებულია, მაგრამ ლექსი გარკვევით იკითხება.

3. ლექსი გამოაქვეყნა შ. გოხალიშვილმა, იხ. ჟურნ. დროშა, № 5, 1952 წ. მაისი გვ. 18.

980

კრებული. 1851

126 ფ.; 22 × 16,5; ქაღალდი: ტყავგადაკრული ტეიფრული ბის ყდა; დახიანებული მხედრული; სათაურები სინგურით; თავსმკაული (3 r); 1851 წ. (117 r), ჟვირნიშანი 1841 წ. (48 r); გადამწერი: სერაპიონ ბერი (117 r); დამკვეთი: გიორგი მიხაილისძე წარვაშიძე (1 r); დაწერილია: 1 v — 2 r; 117 v — 118 v; 124 v — 125 r; 126 r; ზედნილია მერი ვარლამის ას. გოლანძიასაგან 1952 წლის 10 ავგისტოს.

1. [ნაკიფორე ხუცესი]. „ცხოვრება და მოქალაქობა წმისა და ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა ქრისთის სალოს, გ. უ.! — ძმანო ჩემნო და მამანო საყვარელნო უფალნო, ისმინეთ. ჩემი მოძღვრისამიერი ცხოვრება მისი და გაუწყო ჭტი...“ 3 r — 117 r.

2. „სიტყვანი წმთა მამათანი და იგავნი სახარებისა, განმარტება. — კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალემით იერიქოდ და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცვეს, დაწყლეს...“ 119 r — 124 r.

ანდერძი: 1. „ეს ანდრია სალოსის წიგნი არის ქნეინა კესარია ნიკოლოზის დადიანის ასულის! ღმერთმა მოაზმაროს თავათ და თავის გაზრდილის გიორგის აღზრდით და ბედნიერებითურთ, ამინ. ღმერთმა ისმინოს, კირიელეისონ; დაიწერა აფხაზეთის მემკვიდრის გიორგი მიხაილის ძის შარვაშიძის ბრძანებით 1854 года августа 19-го “ 1 r.

2. „ალიწერა და სრული იქმნა წიგნი ესე ჰამი და ტკბილად სასმენელი და სულთა სასარგებლო წმ'სა და ნეტარისა ანდრია სალოსის ცხოვრება. ღ'თა იესო ქ'ე და წ'ა ანგრია, აცხოვნე და შეიწყალე და შეიწყე ქ'სა განკითხვისასა ფ'დ ცოდვილი დამწერი ამ სი სერაპიონ ბერი, ჩაწნა-ხა (1851 წ.) მაისის თვესა:—“ 117 r.

მინაწერები: 1. „ნეტარი ანდრია ქრისტესთვის სალოსი ცხოვრებდა წელთა დასაბამიდგან ხუთი ათას ცხრაას სამოცდა ერთსა, რომლისა ხსენებასა აღასრულებს ეკლესია ოქტომბრის ორსა, ქრისტეს აქეთ მეხუთე საუკუნეში. იერომონახი ბესარიონ“ 2 v.

2. „ესე წიგნი ქნეინა კესარია დადიანის ასულისაგან ნათხოვრად მაქუს და მასვე მიერთვას, ბესარიონ ბერი მიქაბერიძე“ 2 v.

3. „ქნეინა. კესარია დადიანის ასული“ 125 v.

4. სხვა მინაწერი იხ. 126 v.

981 ა

კარაბადინი. XIX

23 ფ.; 22×17,5; ლურჯი და თეთრი ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; დაშლილი; მხედრული; [XIX]; შეძენილია მ. ვ. გოლანძიასაგან.

[კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი] „... რომ სიგრილით გულს ეპყდებოდეს, ინდაური...“ 1 r — 23 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... და დანაყილი ერთმანეთს აურიეე, ლიმონის წვენით გაქენით, გასწურეთ, დაალევინეთ...“

შენიშვნა: ფ. 1 r დახიანებულია.

981 ბ.

კარაბადინი. XIX

58 ფ.; 22 × 17; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; დაწლილი; მხედრული; [XIX ს.]; შეძენილია მ. ვ. გოლანძისაგან.

[კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი] „... კარგად წყალი დაასხი და შეჩეჩე ... მრავალძარღვას კაკალი კარგად ადღუღე, გამოსწურე...“ 1 r — 58 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ავადმყოფს და მთელსაც ერთად უნდა აჭამო. ამას გარდა კიდევ მასწავლეს...“

შენიშვნა: ხელნაწერის ფურცლები დახიანებულია.

981 გ

კარი კარაბადინისა მართალი და ჰეშმარიტი. XIX

29 ფ.; 22 × 17,5; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; დაწლილი; მხედრული; [XIX ს.]. შეძენილია მ. ვ. გოლანძისაგან.

„კ ა რ ი კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი და ჰ ე შ მ ა რ ი ტ ი. კარი მაჯუნებისა, მაჯუნი ჩაფიჩინისა...“ 1 r — 29 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ექნება უწინ, ხელი გაეხსენი, თუ...“

შენიშვნა: ფურცლები დახიანებულია.

982

ქილილა და დამანა. XVIII

411 ფ.; 31 × 21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა, ყდა მოცილებულია; აქვს ყდის საცავი ფურცლები; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.] ჰვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 1 r — 4 v, 398 r — 411 v.

„კარი პირველი ქილილა დამანასი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან.

მეც მივყევ სპარსთა ზღაპარსა თარგმანებისა მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა...

დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავალად თქმული ბრძნისა ანვარი სოლისა...“ 5 r — 397 v.

შენიშვნა: 1. ქილილა და დამანას ეს ხელნაწერი სულხან-საბა ორბელიანის რედაქციისაა.

2. ბოლოში დართული აქვს: „მეფის ნაბრძანები შაირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები...“ 397 r — v.

3. კიდეებზე მოთავსებულია სიტყვების განმარტება.

4. ილუსტრაციებისათვის გამოტოვებულია თავისუფალი ადგილები აღნიშნით: „დასახატავი“, იხ.: 6 v, 7 r, 8 v და ა. შ.

5. ქილილა და დამანას სამასწლიანი რედაქცია ორჯერაა გამოცემული. 1886 წ. ილ. ჭყონიას რედაქციით და 1949 წ. აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით.

983

რაფიელ ერისთავის ლექსები და სხვა მასალები.

გადატანილია რაფიელ ერისთავის პირად საარქივო ფონდში.

984

პ. უმიკაშვილი, ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკონი. XIX — XX.

47 ფ.; 35 × 11; ჭალადი; უყდრო; პ. უმიკაშვილის ავტოგრაფი; [XIX — XX ს. ს.] მუზეუმს გადმოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა 1952 წელს.

პ. უმიკაშვილი, ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკონი.—
არსი — 1, II — существо.
ამადარი — 15, I — таковой.
ასული — 33, IV — возвышенный высоко художественный.
ამო 34, IV — приятный.

985

Родословная книга Тумановых

გადატანილია მ. თუმანიშვილის პირად საარქივო ფონდში № 829.

986

დიმიტრი მელვინეთ-უხუცესის ნაწერები

გადატანილია დ. მელვინეთ-უხუცესის პირად საარქივო ფონდში.

987

თომა მოციქულის წამება (ფრაგმენტი). XIII

2 ფ.; 34 × 24,5; ეტრატი; ფრაგმენტი; ნუსხური; ეტრატი ძალზე დაზიანებულია; არ იკითხება: 1 r, 2 v; [XIII ს.]; ხელნაწერი 1952 წელს ბუხეუმს შეწირა ნ. რეხვიაშვილმა.

[წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს]
„...ენებად მოვიდა საკჳრველებათა მოციქული... და ეძებდა... ნაწილსა ნაწი...აგან მისთა საკუ[რნებ]ელად სნეულისა...“ 1 v.

შენიშვნა: 1. სათაური აღდგენილია ხელნაწერ H — 341-ის მიხედვით [იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია), ტ. I.].

2. მეორე ფურცელი „შუხთას“ წარმოადგენს. შუხთის ობიექტი არ ჩანს.

3. ფრაგმენტი ნ. რეხვიაშვილმა იპოვა სოფ. კურსების წმიდა გიორგის ეკლესიაში.

988

წერილები ამბაკო ჭელიძისა ივანე ჯავახიშვილთან

გადატანილია საარქივო ფონდში „სხვადასხვა“.

989

რუსული საბუთი

გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში (Ros. — 351).

990

ჟამნი. XVIII

87 ფ.; 19×14,5; ქაღალდი; უყდრო; დაშლილი ნაკლულია; ნუსხური, სათაურები სინგურით; გადამწერი — ბიეთის მოძღვარი ბასილი (76 v); [XVIII ს.]; 1952 წ. ხელნაწერი მუზეუმს გადმოსცა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა.

